საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
1-7 აპრილი, 2009 №7

# საქართველო & მსოფლიო

www.geworld.net
გამოდის ოთხშაბათობით ფასი 1 ლარი. ელ.ფოსტა: info@geworld.net

დიმიტრი მედვედევი:

# თქვენი ინიციატივა დროული და აქტუალურია

„დიდი ყურადღებით გავეცანი თქვენს მიმართვას. იმ პირობებში, როცა რუსეთისა და საქართველოს ხალხების ურთიერთობები სერიოზულ გამოცდას გადის, აუცილებელია ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და ჩვენი საერთო წარსულის ფაქტების პირუთვნელი ასახვა...
თქვენი ინიციატივა დროული და აქტუალურია. ეს მნიშვნელოვანი რესურსია, რომელიც ხელს შეუწყობს რუსეთისა და საქართველოს ხალხების ურთიერთპატივისცემის განმტკიცებას. დარწმუნებული ვარ, თქვენი საქმიანობა რუსი მკვლევრების მხარდაჭერას პოვებს, ისინი თქვენსავით დაინტერესებული არიან ჩვენი ქვეყნების ისტორიის ობიექტური შეფასებით, ისტორიისა, რომლის ფურცლებითაც ერთად შეგვიძლია ვიამაყოთ...“

2-3


ПРЕЗИДЕНТ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ

27 марта 2009 г. № Пр-731

Москва, Кремль

**Членам общественного совета неправительственной организации "Историческое наследие" (Грузия)**

С большим вниманием ознакомился с вашим обращением. В условиях, когда отношения близких друг другу народов России и Грузии проходят через серьезные испытания, необходимо восстановление исторической справедливости и непредвзятое отражение фактов нашего общего прошлого.

К сожалению, в последние годы многовековая история российско-грузинских отношений, традиции дружбы и добрососедства наших народов все чаще искажаются, а то и просто переписываются в угоду конъюнктурным устремлениям отдельных политиков. Противодействие таким фальсификациям, сохранение богатейшего наследия, оставленного нам поколениями предков, - дело профессиональной чести ученых.

В этой связи считаю вашу инициативу своевременной и актуальной. Это - важный ресурс, который будет способствовать укреплению взаимного уважения народов России и Грузии. Уверен, ваша работа получит поддержку российских исследователей, так же, как и вы, заинтересованных в объективной оценке истории наших стран, многими страницами которой мы вправе вместе гордиться.

Желаю вам успехов и всего самого доброго.

Д.Медведев



# ოქრუაშვილის პარიზული ვნებანი



ვაგლახ, ლაჩარი ყოფილა
გვეგონა რკინის მკვნეტავი –
ერთხელ ხო უკვე გაიქცა,
რისთვის ბრუნდება ნეტავი?

26

## გამოუქვეყნებელი ინტერვიუ გურამ შარაძესთან

6

## ვისი დაშოშმინება მოუწევს პატრიარქს?

10

## რისთვის ემზადებოდა ხელისუფლება შარშან 9 აპრილს?

16

# მიშას „ოქროს“ სინჯი დაუწუნეს

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## დიმიტრი მედვედევი:

# თქვენი ინიციატივა დროული და აქტუალურია

**გასულ პარასკევს, 27 მარტს, კაფე „ქარავანში“ არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ (თავმჯდომარე ტარიელ გაგნიძე) უაღრესად საჭირბოროტო თემატიკისადმი მიძღვნილი საინტერესო ციკლის „ჟამი ხსნისა“ პირველი სამი კრებულის პრეზენტაცია გამართა.**

**ამ შეკრებაზე გამოსულმა საზოგადოების თავმჯდომარემ, ცნობილმა მეცნიერებმა, ჟურნალისტებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ ხანს ჩვენში ქვეყნის წარსულზე და, ძირითადად, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე ლაპარაკისას სრულიად უგულებელყოფილია ისტორიული სინამდვილე. დღეს ზეობს გაყალბებულ ფაქტებზე აგებული აღვირახსნილი პროპაგანდა, რომელმაც შეაღწია ყველგან, სადაც კი ისტორიაზე წარმოდგენა ყალიბდება. ურცხვადაა გადაკეთებული ისტორიული ფაქტები და მოვლენები, ხშირად კი პირდაპირი ტყუილია წარმოჩენილი უტყუარ ჭეშმარიტებად.**

**ხან თამარ მეფე გამოგვიცხადეს ოსად (ოსებს არაფერს ვერჩით), ხან დავით აღმაშენებელი შეგვირაცხეს „ყველაზე დასავლური ღირებულებების“ მატარებლად, ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ, თურმე, თურქეთი ყოფილა ჩვენი ისტორიული „მეგობარი“, რუსეთი კი — ისტორიული „მტერი“.**



ისტორიის ფალსიფიკაცია დღევანდელ დღეს ცეცხლზე დასხმული ნავთია რუსეთთან უკიდურესად წამხდარი ურთიერთობებისთვის.

ყოველივე ამის გამო „ისტორიულმა მემკვიდრეობამ“ მიზნად დაისახა, შეეკრიბა და სისტემაში მოეყვანა ისტორიული დოკუმენტები, რომლებიც ასახავდა საქართველოს მდგომარეობას მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში, რათა საზოგადოებამ ისტორიული დოკუმენტების მიხედვით განესაჯოს და შეაფასოს საქართველოსთვის რუსეთთან ურთიერთობის ავ-კარგი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ მიმართვას, რომელიც ანალოგიური საზოგადოებრივ-სამეცნიერო საქმიანობის რუსეთში წამოწყების თხოვნით გაუგზავნეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, დიმიტრი მედვედევი პირადად გამოეხმაურა. ხსენებულ მიმართვაში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ დაძაბული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები ჩვენს ქვეყნებს კატასტროფამდე მიიყვანს, თუ საზოგადოება არ გააცნობიერებს, რომ უკვე ორი ათეული წელიწადია, მიმდინარეობს რუსეთისა და საქართველოს ისტორიის დახვეწილი ფალსიფიკაცია, რაც მიზნად ისახავს ოდესღაც მოძმე ხალხების სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაკიდებას. არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“ სწორედ იმისთვის შეიქმნა, რომ საზოგადოებას და, პირველ რიგში, ახალგაზრდა თაობას საკუთარი ქვეყნის რეალური წარსულის შეცნობაში დაეხმაროს. ამ მიზნითვე გამოაქვეყნა და დასაბეჭდად ამზადებს უნიკალურ ისტორიულ დოკუმენტებს — სახელმწიფო აქტებს, თანამედროვეთა მოგონებებს, ბიოგრაფიულ მასალებსა და სხვ.

გამოსაქვეყნებლად მზადდება ბიოგრაფიული ნარკვევების კრებულები რუსი და ქართველი ხალხების გამოჩენილი წარმომადგენლების — სახელმწიფო მოღვაწეთა, სარდლების, სასულიერო მოღვაწეთა, მეცნიერების, ხელოვნების ოსტატთა შესახებ, რომლებიც თავიანთი ბედით განასახიერებენ ქართველი და რუსი ერების ისტორიის, რწმენის, კულტურის ერთიანობას.

**„ისტორიულმა მემკვიდრეობამ“ იმედი გამოთქვა, რომ ამ წამოწყებას გაგებით მოეკიდება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის ფართო საზოგადოებრიობაც, ამ ინიციატივის რეალური სარგებლობა კი მრავალგზის გაიზრდება, თუ ანალოგიურ საქმიანობას დაიწყებს საზოგადოებრივი ან სახელმწიფო სტრუქტურა რუსეთის ფედერაციაშიც.**

ცნობილია ისიც, რომ რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივი კავშირის, ასევე, ორივე ქვეყნისათვის სასარგებლო ურთიერთობების მოდელის შემუშავებისთვის რუსეთის პრეზიდენტმა დ. მედვედევმა 2008 წლის ივლისში მეგობრობის ორდენით დააჯილდოვა ქართველი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც შექმნის დღიდან არის „ისტორიული მემკვიდრეობის“ საზოგადოებრივი საბჭოს წევრი.

„ისტორიულმა მემკვიდრეობამ“ ბატონ ალექსანდრეს (რომელიც ამჟამად სამკურნალოდ იმყოფება საზღვარგარეთ) გააცნო თავისი ინიციატივა და სთხოვა, გამოეყენებინა მისი შესაძლებლობები და ავტორიტეტი, რათა საზოგადოების მიმართვა მისულიყო რუსეთის პრეზიდენტის ყურამდე და ბატონ მედვედევს მხარი დაეჭირა ამ წამოწყებისთვის.

რფ-ის პრეზიდენტისადმი მიმართვიდან რამდენიმე დღეში ნათელი გახდა, რომ ბატონმა დ. მედვედევმა მოიწონა ქართული მხარის ინიციატივა. ამის დასტური გახლავთ წერილი, რომელიც მან არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიულ მემკვიდრეობას“ გამოუგზავნა და რომლის ქართულ ვარიანტს აქვე გთავაზობთ:

**„არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ საზოგადოებრივი საბჭოს წევრებს**

**დიდი ყურადღებით გავეცანი თქვენს მიმართვას. იმ პირობებში, როცა რუსეთისა და საქართველოს ხალხების ურთიერთობები სერიოზულ გამოცდას გადის, აუცილებელია ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და ჩვენი საერთო წარსულის ფაქტების პირუთვნელი ასახვა.**

**სამწუხაროდ, ბოლო წლებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების, ტრადიციის, მეგობრობისა და კეთილმეზობლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია უფრო და უფრო ხშირად მახინჯდება, ანდა ხელახლა იწერება ცალკეულ პოლიტიკოსთა კონიუნქტურული მისწრაფებების გამო. ასეთი ფალსიფიკაციების წინააღმდეგ მიმართული ქმედება, წინაპართა მიერ დანატოვარი უმდიდრესი მემკვიდრეობის შენარჩუნება მეცნიერთა პროფესიული ღირსების საქმეა.**

**ამასთან, თქვენი ინიციატივა დროული და აქტუალურია. ეს მნიშვნელოვანი რესურსია, რომელიც ხელს შეუწყობს რუსეთისა და საქართველოს ხალხების ურთიერთპატივისცემის განმტკიცებას. დარწმუნებული ვარ, თქვენი საქმიანობა რუსი მკვლევრების მხარდაჭერას პოვებს, ისინი თქვენსავით დაინტერესებული არიან ჩვენი ქვეყნების ისტორიის ობიექტური შეფასებით, ისტორიისა, რომლის ფურცლებითაც ერთად შეგვიძლია ვიამაყოთ.**

**გისურვებთ სიკეთესა და წარმატებებს.“**







ზემოთქმულთან დაკავშირებით ჩვენ ვესაუბრეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ დამფუძნებელსა და თავმჯდომარეს, ბატონ **ტარიელ გაგნიძეს.**

**— რატომ გადაწყვიტეთ ამ ორგანიზაციის შექმნა და რას ისახავთ მიზნად?**

— ჩვენი აზრით, რფ-სა და საქართველოს შორის ურთიერთობების გამწვავება არა მხოლოდ პოლიტიკური ელიტის წინდაუხედავი საქმიანობითაა გამოწვეული, არამედ იმ ფაქტითაც, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში მიმდინარეობს მასობრივი, მასშტაბური, წინასწარგანზრახული ფალსიფიკაცია ორივე ქვეყნის ისტორიისა. ვერ ვიქნებით გულგრილნი, რადგან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გაუარესება, ისტორიის ფალსიფიკაციასთან ერთად, ხალხთაშორის მტრობას გამოიწვევს. ეს არათუ წერტილს დაუსვამს რუსეთთან სრულფასოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების პერსპექტივას, არამედ სავალალოდ აისახება რუსეთში მცხოვრები მილიონობით ქართველის ბედზეც.

დაგეგმილი გვაქვს იმ შინაარსის ბროშურათა სერიის გამოშვება, რომლებიც უკვე გამოვაქვეყნეთ. ეს იქნება ისტორიული დოკუმენტები, ბიოგრაფიული მასალები, ისტორიულ მოვლენათა მონაწილეებისა და თვითმხილველთა მემუარები. გამოსაცემი ლიტერატურის დიდი ნაწილი ეძღვნება რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივი ურთიერთობების ისტორიას, რუსეთის როლის ობიექტურად წარმოჩენას ქართველი ხალხის გადარჩენისა და განვითარების საქმეში და, ასევე, საქართველოს როლის თვალსაჩინოობას რუსეთის, როგორც უმნიშვნელოვანესი სამხედრო-ეკონომიკური სახელმწიფოს, ჩამოყალიბებაში. ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია უმეცარი პოლიტიკანების მიერ ჩვენი ხალხისთვის თავსმოხვეული თეზისი იმის შესახებ, რომ ქართველები საუკუნეების განმავლობაში რუსეთის მონები იყვნენ. მიგვაჩნია, რომ ეს თეზისი შეურაცხყოფს ჩვენს ერს, ჩვენი წინაპრების ხსოვნას, მით უმეტეს, რომ ამას არაფერი აქვს საერთო რეალურ ისტორიასთან.

განზრახული გვაქვს სამეცნიერო-პრაქტიკული, მათ შორის, საერთაშორისო კონფერენციების გამართვაც როგორც რუსეთ-საქართველოს ისტორიული და თანამედროვე ურთიერთობების, ასევე, სხვა მეზობელ ქვეყნებთან ჩვენი ურთიერთობების პრობლემების შესახებ.

გვინდა, შევქმნათ კვალიფიციურ ისტორიკოსთა, პოლიტოლოგთა, სოციოლოგთაგან შემდგარი ლექტორთა ჯგუფი და ორგანიზება გავუკეთოთ რეგიონებში ლექციების ციკლების ჩატარებას ადგილობრივი მასწავლებლების, სტუდენტების, მოსწავლეებისა და ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისთვის.

— **საზოგადოება არაერთგვაროვნად ეკიდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების საკითხს და სწორედ ამ ნიშნით მიმდინარეობს ბრძოლა პოლიტიკურ ძალებს შორისაც...**

## — ჩვენ არ ვმონაწილეობთ პოლიტიკურ დაპირისპირებებში, რადგან ვერ ვხედავთ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ქვეყანას ჩიხიდან გამოიყვანს. სრულიად ნათელია, რომ საქართველოს

## გადარჩენა ნგრევისა და ეკონომიკური დეგრადაციისგან შეუძლია მხოლოდ იმ ძალას, რომელსაც რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების უნარი შესწევს, დააინტერესებს მეზობელ ქვეყანას ერთიანი, ეკონომიკურად განვითარებული საქართველოს არსებობით. ასეთი ძალა კი ჯერჯერობით არ ჩანს.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში ბოლო წლებში იმ სიტუაციის ანალოგიური ვითარებაა, რომელმაც აიძულა ილია ჭავჭავაძე, შეექმნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. განათლების სისტემის წინასწარგანზრახულმა ნგრევამ, ეროვნული მეცნიერების განადგურებამ, ისტორიის კონიუნქტურულ დამახინჯებასთან ერთად, ხელი შეუწყო უვიცი თაობის ფორმირებას. თუ სასწრაფო ზომები არ მივიღეთ, 10-20 წლის შემდეგ დეგრადირებულ მოსახლეობას მივიღებთ. ამიტომ ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ზოგადსაგანმანათლებლო მიზნების რეალიზაციაა.

— **მიიჩნიეთ, რომ ამ მიზნების რეალიზების შესახებ რფ-ის პრეზიდენტისთვის უნდა გეცნობებინათ? იცოდით, რომ ეს შედეგს გამოიღებდა?**

— რუსეთის პრეზიდენტს გავაცანით ჩვენი ინიციატივა და გამოვთქვით სურვილი, რუსეთის შესაბამის სამსახურებსაც მოეკიდათ ხელი მსგავსი საქმიანობისათვის. ჩვენი საერთო ისტორიის ფალსიფიკაციისკენ მიმართული დესტრუქციული მუშაობა რუსეთშიც მიმდინარეობს. გარდა ამისა, ბოლო წლებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ზოგიერთმა მეზობელმა ქვეყანამ რუსეთში სერიოზული პროპაგანდისტული კამპანია გააჩაღა საქართველოს ამა თუ იმ რეგიონის ისტორიული კუთვნილების საზოგადოდ ჩამოყალიბებული წარმოდგენის შეცვლის მიზნით. ნათელია, რომ ეს კეთდება საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მიტაცებისთვის ფონის შესაქმნელად და ამის გასამართლებლად. ჩვენს ხელისუფლებას არ შესწევს უნარი, წინ აღუდგეს ამ მცდელობებს და ეს აზრადაც არ მოსდის. რუსეთ-საქართველოს შორის მტრული ურთიერთობები ხელს უწყობს ამ დესტრუქციული ძალების გააქტიურებას და ახალი ტერიტორიული პრობლემებით გვემუქრება. ვისაც რა უნდა, ის თქვას, მაგრამ დღეს ჩვენი მეზობლებისთვის მხოლოდ რუსეთია შემაკავებელი ფაქტორი, თორემ საქართველოსგან უკვე თბილისსაც აღარ დატოვებდნენ. სწორედ ამიტომ ფრიად მნიშვნელოვანია რუსეთის პრეზიდენტის პოზიცია ამ საკითხში და ჩვენ მადლიერნი ვართ, რომ იგი კეთილგანწყობით გამოეხმაურა ჩვენს თხოვნას.

**თორნიკე მანველიძე**

# მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ჭეშმარიტი მიზეზები



**მსოფლიო ეკონომიკის დამანგრეველი კრიზისის ძირითად და ერთადერთ მიზეზს წარმოადგენს ძირითადი მსოფლიო ვალუტის — დოლარის კვლავწარმოება.**
**საქმე ისაა, რომ 1971 წლიდან, მას შემდეგ, რაც გაუქმებულ იქნა დოლარის დამოკიდებულება აშშ-ს ოქროს მარაგზე, დაიწყო დოლარის განუსაზღვრელი რაოდენობით ბეჭდვა. დოლარის მსყიდველობით უნარს უზრუნველყოფდა როგორც აშშ-ის, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნების შიდასაწარმოო პროდუქცია.**

**თითქოს არაფერი, მაგრამ სახელმწიფოებს, რომელთა ეკონომიკაც დოლარის უზრუნველყოფას ახდენს, არასდროს ჰქონიათ და არც ახლა აქვთ ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა დოლარის ემისიის მოცულობაზე. მისი კონტროლის უფლება აქვს მხოლოდ აშშ-ის ფედერალურ სარეზერვო სისტემას (ფსს).**

ფედერალური სარეზერვო სისტემა (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აშშ-ის ცენტრალური ბანკი) კერძო ორგანიზაციაა, რომელიც რამდენიმე ამერიკულ კერძო ბანკს ეკუთვნის. მსოფლიო ფულის ბეჭდვა მათი მთავარი ბიზნესია. ამის მიღწევას ფსს-ს დღევანდელმა მფლობელებმა უამრავი დრო და ძალ-ღონე შეალიეს. მაგალითისთვის: პირველი და მეორე მსოფლიო ომები, ბრეტონ-ვუდსის შეთანხმება 1944 წელს, და, რა თქმა უნდა, თვითონ ფსს-ს შექმნა 1913 წელს, აშშ-ის 1907 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ.

**ამგვარად, კერძო პირთა ჯგუფმა საბოლოოდ მოიპოვა დოლარის ბრუნვაში გაშვების, მისი მოცულობის განსაზღვრის, გამოშვების ვადების კონტროლის და ა.შ. უფლება. მსოფლიოში დოლარის მასის მოცულობა 10-ჯერ მეტად გაიზარდა, რითაც ბევრად გადააჭარბა მსოფლიოში ტვირთის მასის მოცულობას.**

ასეთი მდგომარეობა წარმოუდგენლად მომგებიანი იყო, პირველ რიგში, ფსს-ს მფლობელთათვის, მეორე რიგში — თავად აშშ-სთვის როგორც სახელმწიფოსთვის. სიტუაციის ამ წყობამ აშშ-ს საშუალება მისცა, 1971 წლიდან არა მსოფლიოს საშუალებებსა და პროდუქტებზე, არამედ უშუალოდ მსოფლიოს ხარჯზე ეცხოვრა.

აშშ-ის შიდასაწარმოო პროდუქცია შეადგენს მსოფლიო შიდასაწარმოო პროდუქციის 20%-ს, რაც, სხვადასხვა ინფორმაციით, გადაჭარბებული რიცხვია, რადგან აშშ თავის სტატისტიკაში ითვლის მთელ რიგ მაჩვენებლებს, რომელთაც სხვა ქვეყნები ყურადღებას არ აქცევენ ხოლმე. თუ საერთო წესებით დავთვლით, ეს მაჩვენებელი 15%-მდე ჩამოვა.

კარგი, იყოს 20%, მაგრამ აშშ მსოფლიოში ყოველწლიურად წარმოებული პროდუქციის 40%-ს მოიხმარს. დაისმის კითხვა: თუ ვილაც აწარმოებს 20%-ს (ან 15%-ს), ხოლო მოიხმარს 40%-ს, ამისთვის ვინმემ ხომ უნდა გადაიხადოს?

**იხდის კიდევაც, ოღონდ ეს ვინმე დანარჩენი მსოფლიოა, რომელიც ამერიკას თავის საქონელს ფარატინა ქაღალდების სანაცვლოდ, უკვე მრავალი წელია, აძლევს. ასე ხდება მსოფლიო სიმდიდრეების გადანაწილება აშშ-ის სასარგებლოდ.**

ბუნებრივად ჩნდება კითხვა — რაში დასჭირდა ფსს-ს უფრო მეტი დოლარის წარმოება, ვიდრე ეს მსოფლიო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისთვის იყო საჭირო?

**მართლაც — თუ ყველა ქვეყანას, რომლებიც თავიანთი წარმოებით დოლარის სიმყარეს უზრუნველყოფენ, ექნებოდა უფლება, დოლარის ემისია ეკონტროლებინა, არაფერი ცუდი არ მოხდებოდა. დოლარის რეალური მასა იმ აქტივების შესაბამისი იქნებოდა, რომელთაც მისი ფასი უნდა შეენარჩუნებინა.**

სწორედ აქაა დამარხული ძაღლის თავი — თუ შენ ხარ კერძო პირი, გაქვს დოლარის ბეჭდვის უფლება და არ ხარ წმინდანი (ფსს-ის ბანკირები კი წმინდანები ნამდვილად არ არიან), მაშინ ვალდებული ხარ, დოლარის კვლავწარმოება დაიწყო, რაც ფანტასტიკურ შესაძლებლობებს მოგცემს. სწორედ ამისთვის შეიქმნა ფსს. ამისთვის გაკეთდა ყველაფერი, რომ დოლარი მსოფლიო ვალუტა გამხდარიყო. შენი დოლარი — ეს მხოლოდ და მხოლოდ შენი საქონელია, თანაც — საუკეთესო საქონელი მსოფლიოში. მისგან მიღებული მოგება ყველა სხვა სფეროდან მიღებულ მოგებას უსწრებს მსოფლიო მასშტაბით.

**ეს უფლება ფსს-მ დამსახურებულად მიიღო.**

**ამ უფლებაზე დაიხარჯა ფულის ინტელექტისა და ძალისხმევის უზარმაზარი რაოდენობა, ამისთვის მოწყობილ იქნა რამდენიმე კრიზისი და (ჯერჯერობით) ორი მსოფლიო ომი.**

დოლარის კვლავწარმოება საჭიროა გასამდიდრებლად (სხვა რისთვის უნდა იყოს კიდევ საჭირო?). ამ პრაქტიკულად ვირტუალური ფულით შეიძლება სრულიად არავირტუალური, ლიკვიდური საკუთრების (კომპანიების, ქარხნების, ოქროს, სხვა აქტივების) შეძენა.

მოგების ნაწილი იხარჯება აშშ-ის შეიარაღებული ძალების შენახვაზე. ფსს-ის მფლობელები — ესაა ტვინი, მაგრამ თვით ყველაზე გენიალური ტვინიც კი უძლურია უხეში ძალის წინაშე, ამიტომ საჭიროა ძალიან ძლიერი, მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სხეული. ეს სხეული ამერიკის შეერთებული შტატებია. სწორედ ამიტომ დაიხარჯა უდიდესი თანხები, რომ სხეულს ჰყოლოდა მსოფლიოში უძლიერესი არმია და ყველაზე მაძღარი ხალხი.

მნიშვნელოვანი ხარჯები იქნა გაწეული ე.წ. „იაფი სამომხმარებლო კრედიტების“ (ხომ არ გეცნობათ?) შესაქმნელად. ანუ, თუ შენ ჯერ არაფერი გამოგიმუშავებია, მიუხედავად ამისა, შეგიძლია აიღო კრედიტი ბინის, ავეჯის, ავტომობილის და სხვ. შესაძენად. ოღონდ 30 წლის განმავლობაში მოგიწევს მუშაობა ამ კრედიტის დასაფარავად. ამ ყველაფრის უზრუნველყოფა (კრედიტების დიდი რაოდენობით გაცემა) შესაძლებელი იყო მხოლოდ დოლარის განუსაზღვრელი ემისიის ხარჯზე.

ამასთან, მათ, ვინც „საქმეშია“, მშვენივრად იცოდნენ, რომ ამ კრედიტების დაბრუნება მომხმარებელს მთლიანი მოცულობით არასდროს მოუწევდა, რადგან ოდესმე დადგებოდა „კონტროლირებადი ნგრევის“ პერიოდი და ყველაფერი შეიცვლებოდა, შესაბამისად, დაეცემოდა დოლარიც.

ახლა ძალიან ბევრი აღტაცებით ამბობს:

— **ვაშა! ახლა დოლარი ეცემა, ამერიკის ეკონომიკა განადგურდება და ეს აშშ-ის კრახი იქნება!**

**ერთი რამ უნდა გავიაზროთ — ტვინს საერთო ჯამში სხეული ფეხებზე ჰკიდია!**

ტვინმა თავისთვის შეიქმნა სხეული, მაგრამ ის ამ სხეულზე დამოკიდებული არაა; მას შეუძლია კიდევ რამდენიმე სხეულის შექმნა. ტვინი არასდროს წააგებს, თუ მისი ერთ-ერთი სხეული მოკვდება ან ძალიან დასუსტდება. ტვინი მხოლოდ ნაწილობრივაა ბაზირებული აშშ-ში, მისი დანარჩენი ნაწილები განთავსებულია ინგლისში, იტალიაში, საფრანგეთში და ა. შ.

**სხვათა შორის, შესაძლოა, რომ ტვინმა ახლა ერთი სხეულის სანაცვლოდ, მრავალი სხეული შექმნას — ესეც თქვენი მრავალპოლარული მსოფლიო!**

ერთ-ერთი ასეთი სხეული იქნება რუსეთი. არსებობს ვერსია, რომ ეს სხეული იარსებებს რუსეთის, ბელორუსიის, უკრაინისა და, სავარაუდოდ, ყაზახეთის რესპუბლიკების კავშირის სახით.

ნათელია, რომ რუსეთი გაძლიერდება და გამსხვილდება, რადგან ტვინს ყოველ ახალ სხეულთან გარკვეული ტიპის მოთხოვნილებები აქვს — ტერიტორიის, მოსახლეობის რაოდენობის, ეკონომიკისა და არმიის სიძლიერის მხრივ და ა.შ.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

*www.arteksgroup.com*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# აკადემიკოს პავლოვის ძაღლები

**საშინელებათა ფილმების კვირეული, რომელიც შსს-მ წარმოგვიდგინა, დასრულდა. ახლა ფანტასტიკას ან კომედიებს თუ გვიჩვენებენ, მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ეროტიკის გადაღება არ დაიწყონ. რა მიზნით გვიჩვენა ხელისუფლებამ ცნობილი ვიდეოჩანაწერები და რას მიაღწია ამით?**
**თუ იგი 9 აპრილის წინ საპროტესტო სიტუაციის განმუხტვას ლამობდა, მსგავსი არანაირი ცვლილება არ შეინიშნება. ვინც აქციაზე წასვლას აპირებდა, არ გადაუფიქრებია, ოპოზიციამ კვლავ დააფიქსირა ერთიანობა და მოთხოვნების შეუვალობაც. თუმცა შსს-ს ფილმებმა, სავარაუდოდ, მაინც მოახდინეს გარკვეული გავლენა, ოღონდ სხვა მიზნობრივ აუდიტორიაზე.**



ნებისმიერი ხელისუფლება რღვევის გზაზე სამ ძირითად ეტაპს გადის: 1. ნეგატივის დაგროვება, სხვადასხვა მანკიერი მოვლენის დაკავშირება ხელისუფლებასთან (ჩვენს შემთხვევაში, 2004-დან 2007 წლის მეორე ნახევრამდე); 2. ნეგატივის კონცენტრირება. ამ ეტაპზე მკვიდრდება აზრი, რომ ხელისუფლებისათვის არა უბრალოდ დამახასიათებელია მანკიერება, არამედ იგი თავად წარმოადგენს მანკიერების პირველწყაროს. ამ ეტაპის ბოლოს ხდება ისეთი განწყობის დამკვიდრება, რომ შექმნილი მდგომარეობა აუტანელი და საშიში ხდება (2007 წლის მეორე ნახევარი, 2008 წ.); 3. გამოსავლის შეთავაზება. ამ ეტაპზე ხელისუფლება წარმოჩენილია, როგორც დაბრკოლება, რომლის გადალახვა პრობლემებს მოხსნის (მიმდინარე ეტაპი).

**ყველას გვახსოვს სასკოლო ილუსტრაციები დენზე მიერთებული ძაღლებით და აკადემიკოს პავლოვის კეთილი და ოდნავ სადისტური ღიმილით. მეორე და მესამე ეტაპი უკეთ რომ გავაანალიზოთ, სჯობს, მის მეთოდებს მივმართოთ. წარმოვიდგინოთ, რომ თითოეული სოციალური ჯგუფი გალიაში გამოკეტილი თაგვებია, გალიებზე კი ელექტროსადენებია მიერთებული. თაგვი სადაც უნდა წავიდეს, ყველგან დენის დარტყმა (ნეგატივის პორცია) ელოდება, ძაბვა მატულობს. თაგვი თანდათან გიჟდება. თუ ამ დროს გალიის კარს გაუღებენ, იგი ისე გავარდება გასასვლელისკენ, რომ წამითაც არ დაფიქრდება იმაზე, ვინ და რისთვის გაუღო კარი, სად მიდის გზა და ყველას, ვინც გზას გადაუღობავს, გადაუვლის.**

ამ კუთხით შეიძლება ,,ფერადი რევოლუციები", სსრკ-ის ნგრევა და სხვა მოვლენებიც განვიხილოთ, მაგრამ ამჯერად დავაკვირდეთ ერთ-ერთი ჯგუფის ქცევას, რომელშიც ფრიად მსუქანი თაგვები (ვირთხებისგან ვერც გაარჩევ) შედიან (ჩვენს შემთხვევაში დაბალი და საშუალო რგოლის ჩინოვნიკები). გალიაში კარგად კი კვებავდნენ, მაგრამ ბოლოს დენის დარტყმები საგრძნობი გახდა, საფრთხის შეგრძნება კი აუტანელი. ერთბაშად ორი კარი გაიღო, ზოგი დაიბნა, ძირითადი ნაწილი ორად გაიყო.

ანალოგიურად: ბოლო პერიოდში ჩინოვნიკებს სააკაშვილისაგან წასვლის ორი ვარიანტი (ორი მკაფიო შემოთავაზება) ჰქონდათ — ან ბურჯანაძესთან ან ალასანიასთან. ისინიც ორ, თითქმის თანაბარ ნაწილად გაიყვნენ (უწყებების, რეგიონების და ა.შ. მიხედვით), სიტუაცია განსხვავებულია (ამჯერად საერთო სურათი გვაინტერესებს). ზოგი ადგილზე დარჩა (ბურიდანის პარადოქსი). ეს იდეაში ნიშნავდა მომავალში უმნიშვნელოვანესი ადმინისტრაციული რესურსის დაქსაქსვას.

გალიის მაგალითს თუ დავუბრუნდებით, დავინახავთ, რომ ახლახან ერთ გასასვლელს, პირობითად „ბურჯანაძის კარს" ფრიად დაფლეთილი, მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერი მუხტის გამტარი შსს-ს და სახელისუფლებო პროპაგანდის კაბელი მიუერთეს. ვინც იმ მიმართულებით გარბოდა, დენის (ნეგატივის, პოტენციური საფრთხის შემცველი ინფორმაციის) ძლიერი დარტყმა მიიღო. რა ხდებოდა ამ დროს მეორე, პირობითად ,,ალასანიას კართან"? – ლოგიკური რამ, ორგანიზაციამ ,,ალიანსი საქართველოსთვის" გააძლიერა ჩინოვნიკების გადმობირებაზე ორიენტირებული კამპანია.

ალიანსის ლიდერების წინა განცხადებებს იმის თაობაზე, რომ ჩინოვნიკებს, რომელთაც დანაშაული არ მიუძღვით, განსაკუთრებული არაფერი ემუქრებათ, 26 მარტს დაემატა საგულისხმო განცხადება, რომელიც სწორად შერჩეულ მომენტში პოლიციის აკადემიის ყოფილმა რექტორმა ლევან იზორიამ გააკეთა. ,,GHN"-ის ცნობით, მან განაცხადა, რომ ,,ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ალიანსი საჯარო სამსახურების წარმომადგენლების, მოსამართლეების, პროკურორების და პოლიციელების უვადო დანიშვნის წესზე იმუშავებს, რაც ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში, მათ შორის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც, აპრობირებულია". განხილულ კონტექსტში ეს მეგა-დაპირება და კვადრატში აყვანილი გარანტიაა.

ცხადია, შსს-ს ხელმძღვანელობა და ,,ალიანსი საქართველოსთვის" არანაირ შეთანხმებულ მოქმედებას არ ახორციელებენ. ამისთვის ობიექტური წინაპირობა არ არსებობს, თუმცა, გამორიცხული არაა, რომ ვიღაცას ერჩივნა, ხელისუფლებისა და ბურჯანაძის წინააღმდეგ ქაოტური შეტევა ერთდროულად დაეწყო, ხოლო ალასანიას გუნდისთვის — გაეძლიერებინა ჩინოვნიკების მოზიდვაზე ორიენტირებული კამპანია (მისი 90% საამკარაოზე არ გამოდის, თუმცა დაუდასტურებელი ინფორმაციით ძალზე აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა უწყებაში). ასეთი ძალა კი, რომელსაც შეუძლია, ერთდროულად მისცეს რჩევა ორ დაპირისპირებულ მხარეს, ერთია, თანაც გარე. თუ ეს ვარაუდი მართებულია, ხელისუფლების გადაბარების პროცესი სავსებით კონტროლირებადია და გადამწყვეტ ფაზაში შედის.

## წინააღმდეგობის სული

**უამრავ ადამიანს სჯერა, რომ სააკაშვილის წასვლის შემდეგ ქვეყანაში მშვიდობა დამყარდება. სახალხო ზეიმი, თავისუფლების ,,თაფლობის თვე", ალბათ, ნამდვილად იქნება, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ, ადრე თუ გვიან, გამარჯვებულთა შორის გააფთრებული ბრძოლა დაიწყოს.**

ამ ბრძოლის კონტურების გამოკვეთა ჯერ ძალზე რთულია, მაგრამ შესაძლოა, იგი ორ ირაკლის — ალასანიასა და ოქრუაშვილს შორის გაჩაღდეს. დღეს ისინი ერთ მწყობრში დგანან და სააკაშვილის წასვლამდე ასე იქნებიან, მაგრამ შემდეგ?.. ორივეს რეალური აღზევება ,,ვარდების რევოლუციით" დაიწყო და (ვინ იცის?), შესაძლოა, ,,ვარდების ომით" დასრულდეს.

**ორაზროვანი კალამბურია: XV საუკუნეში ვარდების (წითელი და თეთრი) ომში, ორად გაყოფილმა ძველმა ინგლისურმა არისტოკრატიამ საკუთარი თავი ფიზიკურად, ეკონომიურად და მორალურადაც კი გაანადგურა. ამ ფენის ფაქტობრივმა მოსპობამ გზა გაუხსნა ახალ დროს, პროგრესს. ჩვენს მმართველებს იმ ბრწყინვალე რაინდებს ვერ შევადარებთ, მაგრამ ერთმანეთთან საერთო ნამდვილად აქვთ — მზარდი შეუსაბამობა რეალობასთან, ხელისუფლებაში ყოფნის ობიექტური საფუძვლების შემცირება.**

ლევ ტროცკი ნაშრომში ,,რევოლუციის ღალატი" (სხვათა შორის მასში აღმოაჩინეს აშშ-ის ანალიტიკურმა ცენტრებმა საბჭოეთის სუსტი წერტილი) ავითარებს, ერთი შეხედვით, მარტივ აზრს: სოციალისტურ ქვეყანაში ხელისუფლებასა ქვეყნის ქონებას შორის არ დგას მესაკუთრე. ამასთანავე, ყველა რგოლის მმართველთა მდგომარეობა არამდგრადია, უჭირთ თანამდებობის შენარჩუნება, მემკვიდრეობით ვერ გადასცემენ მას, ვერ ახდენენ პირადი ქონების კონვერტაციას, ცდუნება კი დიდია. და თუ მკაცრად არ გააკონტროლდნენ, უდიდეს საფრთხეს შეუქმნიან სოციალისტურ სახელმწიფოს.

მართლაც, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც სრულად აკონტროლებდა მმართველ რგოლს, სსრკ ნელ-ნელა დაინგრა, შიგნიდან გატყდა სახელისუფლებო იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე მდგომი იმ ადამიანებისა და ჯგუფების მოქმედების შედეგად, რომლებიც ლამობდნენ არამყარი ხელისუფლების კონვერტაცია სხვა ტიპის აქტივებში მოეხდინათ.

ტროცკი იქით იყოს, მაგრამ პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებს გარდამავალ ეტაპზე იგივე პრობლემა აქვთ. პოლიტიკოსებსა და ქვეყნის ქონებას შორის მესაკუთრეთა დამცავი ზღუდე ბოლომდე აგებული და მყარი არ არის. შესაბამისად ისევ მტაცებლური ინსტინქტი ზეობს. ჩვენი ახალგაზრდა პოლიტიკოსების დიდი ნაწილი (არა მხოლოდ ხელისუფლებაში მყოფი) ამ თვალსაზრისით სოციალისტური ბიუროკრატიის უკანასკნელ ნაყოფს წარმოადგენს (ფსიქოლოგიურად და არა შრომის წიგნაკით, ან ასაკით). რა საერთო ექნებათ ამ ადამიანებს მომავალთან, თუ ქვეყნის ეკონომიკა და პოლიტიკური სისტემა ნორმალურად განვითარდება (ამ ეტაპის დადგომა ობიექტურად გარდაუვალია)? — არც არაფერი, როგორც ძველი ,,ვარდების ომის" მოქმედ პირებს. ასეთ დროს, როგორც წესი, პროგრესთან შეუსაბამო სოციალურ ჯგუფში თვითგანადგურების მექანიზმი ირთვება, წინა პლანზე კი (ამა თუ იმ გზით) დესტრუქციული ლიდერები გამოდიან, როგორც ხსენებულ XV საუკუნეში — რიჩარდ III.

ორი ირაკლის სავარაუდო ანტაგონისტურ წყვილში, ალასანია შესაძლო მომავალი აღზევების გამო მოხვდა, თუმცა მის ადგილას შეიძლება სხვაც იყოს. ოქრუაშვილი კი განსაკუთრებულ დაკვირვებას საჭიროებს. ტელეკომპანია ,,მაესტროს" ეთერში, გადაცემაში ,,პროფესია-ჟურნალისტი" ოქრუაშვილმა საკმაოდ არგუმენტირებულად ისაუბრა იმაზე, რომ ხელისუფლების პარამილიტარულმა ჯგუფებმა შეიძლება, პროვოკაციები განახორციელონ, რომ სააკაშვილის გასტუმრება იოლი არ იქნება. ბოლოს კი განაცხადა, რომ საპრეზიდენტო ამბიცია არ აქვს.

თუმცა პოლიტიკური ამბიცია მას ნამდვილად გააჩნია. ალბათ, იგი არ გაჩერდება მანამ, სანამ საქართველოს ერთ-ერთ (ერთადერთ?) წამყვან პოლიტიკურ მოთამაშედ არ იქცევა. ამის დადასტურებაა არა მარტო მისი

# ბობოყვათში პრეზიდენტ სააკაშვილის რეზიდენციის მისადგომები დანაღმეს...

**9 აპრილამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა. ხელისუფლებაში პანიკის ნიშნები გამოჩნდა. უკვე ღიად საუბრობენ, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი გასაქცევად ემზადება და (გზადაგზა) თავდაცვის ზღუდეებსაც ქმნის.**
**ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბობოყვათში პრეზიდენტის რეზიდენცია დაინაღმა, მიმდებარე ტერიტორიაზე გაითხარა სანგრები და მობილიზებულია საბრძოლო ტექნიკა.**
**ამის თაობაზე ინფორმაციას ადვოკატი ლალი აფციაური გვაწვდის, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა გააკეთა განცხადება ბობოყვათში არსებული მდგომარეობის შესახებ.**

**ლალი აფციაური:** — მაქვს უტყუარი ცნობები, რომ პრეზიდენტის ბრძანებით, ბობოყვათში განლაგებულია დიდი ოდენობით საბრძოლო ტექნიკა, სპეცდანიშნულების რაზმები და ასევე დანაღმულია რეზიდენციის ახლომახლო მიდამოები (ეს წინა ხელისუფლების დროსაც ნაცადი ხერხია. გვახსოვს, ასლან აბაშიძის მიერ ბათუმის დატოვების შემდეგ მის რეზიდენციასთან შორიახლო რამდენიმე ადამიანი რომ აფეთქდა ნაღმზე). ამ დღეებში უკრაინიდან ჩამოიყვანეს ხუთასამდე კინოლოგი და ამდენივე ძაღლი (გერმანული ნაგაზი), რომელთაც, ჩემი ინფორმაციით, 9 აპრილის მომიტინგეთა დასარბევად გამოიყენებენ.

ჩემთვის უცნობია, რამდენი ჯარისკაცია თავმოყრილი ბობოყვათში და კონკრეტულად რა ტიპის შეიარაღებას ფლობენ ისინი, თუმცა, ერთი რამის თქმა დანამდვილებით შემიძლია: ხელისუფლება სერიოზულად ემზადება 9 აპრილისთვის და დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი ქვეყნიდან მისი გაქცევის გეგმის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია.

**ჯაბა ჭყანია**

პოლიტიკური ბიოგრაფია, არამედ, ის დატვირთვაც, რასაც იგი ანიჭებს თავის ჩამოსვლას საქართველოში. იდეაში, სწორედ მან, სააკაშვილის შემდგომ პერიოდში, შეიძლება შეასრულოს იმ სასტარტო მექანიზმის როლი, რომელიც სუიციდურ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩააბამს რეალობასჩამორჩენილ, პოსტ-სოციალისტური საქართველოს პოლიტიკოსების მთელ გენერაციას.



### სამი დალიე, შეგერგება, ანუ საქართველო თუ ჯორჯია? — საკითხავი აი ეს არის...

**შაბათს „დელფიმ“ ლიტვურ პრესაზე დაყრდნობით გაავრცელა ცნობა იმის თაობაზე, რომ ვილნიუსის ერთ-ერთ კაზინოში, ერთმა კლიენტმა მეორეს ბოთლი ესროლა. ხულიგანი დააკავეს. მან პოლიციაში წარმოადგინა საბუთები, რომელთა თანახმად იგი, არც მეტი არც ნაკლები, საქართველოს კონსული აღმოჩნდა. დიპლომატი გამოუშვეს, თუმცა დაზარალებულმა პოლიციას განცხადებით დროულად მიმართა. თუ ეს ინფორმაცია დადასტურდა, გაჩნდება სავსებით ლეგიტიმური კითხვა:**

### რა ხდება თქვენს უწყებაში, ბატონო გრიგოლ! ჯერ სკანდალი — პრაღაში, როდესაც ქართული დიპლომატიის მთვრალი წარმომადგენლები ჩეხ ტაქსისტს დასდევდნენ, როგორც ავსტრალიელი აბორიგენები კენგურუს, ახლა ვილნიუსში — ბოთლების სროლა...

ბატონი გრიგოლი კი იაპონიაში საქართველოს „ჯორჯიად“ მოხსენიების საკითხზე მუშაობს. „გრუძია“-ს (წარმოთქმის ვარიანტი „გურუჯია“-ს) ნუ გვიწოდებთ, ეს რუსული „გრუზია“-დან მოდისო, შემდგომში „ჯორჯია“ იხმარეთო. საინტერესოა: ა) „გრუზია“ რუსების მოგონილი არ არის, იგი ფუძე „გურჯ“-ის ტრანსფორმაციის შედეგს (გურჯ-გურზ-გრუზ) წარმოადგენს. ამავე ფუძიდან მოდის „გურჯისტანიც“; ბ) „გრუზია“-დ (მაგ. იაპონიის მეზობელ ჩინეთში „გლუცზია“) ჩვენ ქვეყანას ბევრგან იხსენიებენ, მაგრამ ვაშაძე მაინცდამაინც იაპონიას დააცხრა; გ) ვაშაძეს იაპონელებისთვის არ უთხოვია, ჩვენი ქვეყნისთვის „საქართველო“ ეწოდებინათ.

**ოფიციალური ტოკიო საგონებელში ჩავარდა. რომ გვეთხოვა სახელწოდება „საქართველო“ გამოეყენებინათ, კი გაგვიგებდნენ, მაგრამ „ჯორჯია“? სხედან ახლა, ალბათ, ტოკიოში და ფიქრობენ, ფურცლავენ დოკუმენტებს.**

**იაპონიასთან დაკავშირებული საკითხი ბოლოს სულ ახალახან ახსენეს, დავით ბაქრაძემ უცაბედად შეურაცხყოფა რომ მიაყენა იაპონელებს, მოიხსენია რა „კამიკაძე“ კნინობით კონტექსტში. ყველა კამიკაძე კი, იაპონური რელიგიური ტრადიციის თანახმად წმინდანად (უფრო ზუსტად „უმცროს, მცირე ღმერთად“) ითვლება. მათ სულებს, ისევე როგორც იმპერიის ომებში დაღუპული მებრძოლებისას, თაყვანს იასუკუნის („ქვეყანაში დამკვიდრებული მშვიდობის“) ტაძარში სცემენ.**

სახელის დარქმევა ობიექტის სპეციფიური ხასიათის განსაზღვრას და, გარკვეულწილად, მასზე ძალაუფლების მოპოვებას ნიშნავს (თემა მშვენივრადაა გაშლილი ბიბლიის კომენტატორების მიერ „დაბადების“ II თავის ანალიზში). ამგვარად, „გრუზიას“ შეცვლა „ჯორჯიათი“ და არა „საქართველოთი“, არაპირდაპირ ნიშნავს მის აღიარებას აშშ-ს გავლენის ზონად. ეს კი უკვე გეოპოლიტიკური არჩევანის საკითხია. გეოპოლიტიკური კვლევები შორს წაგვიყვანს. შემოვიფარგლოთ იმ ფაქტის კონსტატაციით, რომ იაპონიამ უნდა გამოკვეთოს პოზიცია დღესდღეობით აქტუალურ იმ სტრატეგიასთან დაკავშირებით, რომელიც აშშ-ჩინეთის დაახლოებას გულისხმობს.

ვაშინგტონი ტოკიოს პოზიციის ამ მიმართულებით ზონდირებას ახორციელებს, ინდიკატორი კი იაპონიის რეაქციაა უამრავ პოლიტიკურ მესიჯზე, რომელიც ტოკიოში სხვადასხვა არხით მიედინება. ასეთად, პრინციპში, „ჯორჯიის პრობლემაც“ გამოდგება. ამ წინადადების მიღება ქვეტექსტში აშშ-ს გეოპოლიტიკური ხედვის მიღებასაც ნიშნავს. როგორც ჩანს, კურატორებმა ძალზე მოხერხებულად ჩააქსოვეს ეს საკითხი საქართველოს ხელისუფლების დღის წესრიგში. მაღალი რანგის იაპონელმა დიპლომატმა გაზეთ „იომიურის“ განუცხადა — **„ჯორჯიას“ თუ დავარქმევთ, შეიძლება ამერიკის შტატში აგვერიოსო. ალბათ, ეს ფრაზაც გარკვეულ მინიშნებას შეიცავდა.**

**მნიშვნელობა აქვს იმ პაუზის ხანგრძლივობასაც, რომელსაც ტოკიო საკითხის გადაწყვეტისთვის გააკეთებს. როდესაც არალეგიტიმურმა და სისხლიანმა რეჟიმმა ბირმას „მიანმა“ დაარქვა, მსოფლიო დიდხანს არ აღიარებდა ამ ცვლილებას; მათ შორის — იაპონიაც (1989-დან 2006-მდე), რადგან ახალი სახელწოდების მიღება რეჟიმის უფლებამოსილების აღიარებასაც ნიშნავდა, ხოლო პაუზის გახანგრძლივება — იმას, რომ იგი მოკლებულია ლეგიტიმურობას. თუ ტოკიო გადაწყვეტილებას ხანგრძლივი დროით გადადებს, ეს სააკაშვილის ხელისუფლებისათვის, უპირველესად, ვაშაძის უწყებისთვის „სახის დაკარგვა“ იქნება, თუმცა ამას პრაღისა და ვილნიუსის მთვრალი დებოშებით გათანგული ქართული დიპლომატია, ალბათ, ვერ შეამჩნევს.**

**დიმიტრი მონიავა**

# ფავორიტმა მონაწილემ იმედის ტელეპროექტი პროტესტის ნიშნად პირდაპირ ეთერში დატოვა

**ტელეკომპანია „იმედის გაერთიანებული ემირატების“ ცნობილი პროექტი „ტელეკომიკი“ ლექსო ლეკიაშვილმა პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად, პირდაპირ ეთერში დატოვა. რა უსამართლობას ვერ შეეგუა კონკურსის ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული მონაწილე და რატომ თქვა პროექტში დარჩენაზე უარი, თავად გვიამბობს.**



**ლექსო ლეკიაშვილი**: — პროექტიდან წამოვედი იმიტომ, რომ კონკურსის წესები დაირღვა, რის გამოც აღმოვჩნდი არათანაბარ მდგომარეობაში სხვა მონაწილეებთან. ჩემი ბოლო გამოსვლა ეთერში ასე გაჟღერდა: „გამარჯობათ, მე ვარ ლექსო ლეკიაშვილი, ჩემი პირადი ნომერია 1 და ძალიან გთხოვთ, აღარ დამიმესიჯოთ ნომერზე 1211. მეგობრების რჩევით, გადაწყვეტილება მივიღე, დავტოვო პროეტი. ძალიან მიჭირს ამის გაკეთება, მაგრამ „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“. რა ვქნა, ვერ ვეგუები უსამართლობას, კარგად ბრძანდებოდეთ“.

...ამასთან, ჩემი იმედიდან წამოსვლის მიზეზი ისიც იყო, რომ ტელევიზიის ბუფეტში არ იყო ხაშლამა (ეს რა თქმა უნდა ხუმრობით. იცინის). ადრე, როცა „იმედს“ პატრონი ჰყავდა,მსგავს პროექტებზე („დუბლი 2“, „აქტიორი“, „ნუცას სკოლა“ და ა.შ.) sms-ების გაგზავნა უფასო იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ტელევიზიას ბადრი მოუკვდა, ყველაფერი შეიცვალა — sms-ები ფასიანი გახდა. როგორც ჩანს, ჩემი მისამართით ყველაზე მეტი ზარი დაფიქსირდა. ამიტომ გადაწყვიტეს, ერთი კვირით გაეხანგრძლივებინათ ჩემი პროექტში ყოფნის ვადა, მაგრამ ვერ მივართვი...

**— რაც შეეხება ხაშლამას. როგორ ფიქრობთ, რომ მიგემართათ არხის ხელმძღვანელობისთვის მენიუში თქვენს საყვარელ კერძს შეიტანდნენ?**

— არა მარტო არხის ხელმძღვანელობას, რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციასაც მივმართე, მაგრამ ყურიც არავინ შეიბერტყა — ქვეყანაში ათასი პრობლემა, უმუშევრობა და კრიზისიაო. მოკლედ, რა გეხაშლამება, საქართველო თავზე გვექცევაო!..

„დაჟე“ ისიც ვიფიქრე, სხვებს მივწერ წერილს ან სტრასბურგში ვიჩივლებ-მეთქი, მაგრამ „შეაყარე კედელს ცერცვი“ — ვის სცალია ახლა ჩემთვის! (იცინის)

**— გავიგე, პროექტში რაღაც სხვა პრობლემებიც გქონიათ, რაც გიქმნიდათ დისკომფორტს?**

## ლექსო ლეკიაშვილი: იმედში დღემდე ვერ გაურკვევიათ, ვისი SMS ვის აქტივშია

— მაგალითად, განათება ძალიან ცუდად მოქმედებდა ჩემზე. შეუძლოდ რომ ვხდებოდი, ეგრევე ხაშლამა მინდებოდა, მაგრამ რას ვიზამდი, „იმედის“ სამზარეულოს მენიუში მე ვინ შემატანინებდა ცვლილებებს...

**— როგორც ვიცი, თქვენ და პროექტის კიდევ რამდენიმე მონაწილე სცენარებს თვითონ წერდით.**

— პროექტის მოთხოვნა არ იყო ის, რომ სცენარები ჩვენ გვეწერა, მთავარია შემდგარიყო შოუ. ჰო და, ჩემგანაც სწორედ შოუ მიიღეს... თუმცა ჩემი შოუს სცენარს მე თვითონ ვწერდი.

**— გადაცემის ავტორებმა და ჟიურის წევრებმა თუ იცოდნენ, პროექტის დატოვებას რომ აპირებდით?**

— ეს მხოლოდ ჩემმა მეგობრებმა იცოდნენ, რომელთა რჩევითაც წამოვედი, ჟიურის წევრებს კი განცვიფრება შერჩათ სახეზე. ჩამოუვარდათ ყბა... ამას ხომ არავინ ელოდა! გადაცემის დასრულების შემდეგ პატარა შენიშვნაც მივიღე.

**— რაო, რა გითხრეს?**

— რა მითხრეს და ძალიან ცუდად მოიქეციო, ამას ინანებო, მოკლედ „იმედში“ დაბრუნების გზა მოიჭერიო, მაგრამ ჯვარი კი არ მაქვს ამ არხზე დაწერილი... ჯულიეტა ვაშაყმაძესავით სულ მანდ ხომ არ ისხდებიან ეგენი?! რა ვიცით, რა დრო მოვა, იქნებ ხვალ და ზეგ სულაც ხელისუფლებაში აღმოჩნდე.

**— ჟიურის მუშაობით რამდენად კმაყოფილი დარჩით?**

— ჟიურის წევრების მიმართ არანაირი პრეტენზია არა მაქვს, უბრალოდ გადაცემის და მთლიანად არხის სისტემაა არეული. იმდენად არეული, რომ თვითონაც ვერ გაურკვევიათ, რა ხდება, მითუმეტეს „ტელეკომიკში“, სადაც ვერ გაიგებ, ვისი sms ვის აქტივშია...

**— დაბოლოს, რას ეტყვით „ტელეკომიკის“ მესვეურებს?**

— ორშაბათს დილით, როცა პროექტიდან წამოსვლის შესახებ განვაცხადე, ვთქვი, რომ არ ვაპირებ სხვის დაშვებულ შეცდომებზე პასუხი ვაგო. მითუმეტეს არ მინდა ჩემმა გულშემატკივრებმა ფული უაზროდ ხარჯონ... დიდი მადლობა ყველას, ვინც ერთი sms მაინც გამომიგზავნა ამ გაქანდარებული ფინანსური კრიზისის მიუხედავად...

აქვე მინდა მივმართო ჟიურის წევრებს: ის, რაც გავაკეთე, ბოლმაში არ ჩამითვალოთ, ყველას დიდ მადლობას გიხდით. ეს მადლობა მიიღეთ როგორც „დაბრავოლნი“ ჟესტი, დაახლოებით ისე, ტაქსის მძღოლებს რომ ეუბნებიან ფულის გადახდის შემდეგ, რადგან ყველაფრისთვის — კარგისთვისაც და ცუდისთვისაც — მე უკვე გადავიხადე.

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

# ესტონეთი უხერხულ მდგომარეობაშია

**წინასწარი მონაცემებით, ევროკავშირის კომისიამ, რომელმაც გასული წლის აგვისტოში რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის გარემოებები და მიმდინარეობა შეისწავლა, დაასკვნა, რომ სწორედ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მოახდინა საომარი მოქმედებების ინიცირება. თუ ეს ინფორმაცია ოფიციალურად დადასტურდება, ესტონეთი ფრიად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან რიიგიკოგუმ, ქვეყნის მმართველი პარტიების ინიციატივით, შარშან იჩქარა რუსეთის ქმედებების დაგმობა, ხოლო პრეზიდენტი ტოომას ჰედრიკ ილვესი საგანგებოდ ჩავიდა საქართველოში სააკაშვილისთვის მხარდაჭერის გამოსახატავად.**

როგორც ყოველკვირეული გამოცემა „შპიგელი“ წერს, უპირველესად, კომისიამ 2008 წლის 7 აგვისტოს ნაციონალურ ტელეარხზე სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული ქართველი მშვიდობისმყოფლების მეთაურის, გენერალ მამუკა ყურაშვილის გამოსვლა გააანალიზა. მაშინ ყურაშვილმა განაცხადა, რომ საქართველომ „რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის დამყარების“ გადაწყვეტილება მიიღო.

„შპიგელის“ ცნობით, კომისიას გენერალ ყურაშვილის სატელევიზიო გამოსვლა პრინციპულად მიაჩნია. გენერლის სიტყვების გაანალიზების შემდეგ კომისიამ დაასკვნა, რომ სააკაშვილი, როგორც თავად ირწმუნებოდა, „რუსეთის აგრესიას“ კი არ დაუპირისპირდა, არამედ საომარი მოქმედებების გაჩაღებას გეგმავდა. კომისია აღიარებს საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ დადასტურებულ ფაქტსაც, რომ უკვე 7 აგვისტოს დილით სამხრეთ ოსეთის საზღვარზე 12 ათასი ქართველი სამხედრო და 75 ტანკი იმყოფებოდა. ამის სწრაფად გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა, შესაბამისად, ეს ქმედებები დაგეგმილ აქციას ჰგავს.

კიდევ ერთ არგუმენტად იქცა ევროკავშირის კომისიის კითხვებზე რუსეთის გენშტაბის უფროსის მოადგილის ანატოლი ნაგოვიცინის პასუხები. ნაგოვიცინს არგუმენტად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2008 წლის 7 აგვისტოს № 2 ბრძანებულება მოჰყავდა. საქართველოს მთავრობა დღემდე უარზეა, კომისიას ეს ბრძანებულება წარმოუდგინოს და მოტივად იმას იშველიებს, რომ ეს სახელწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს.

ყოველკვირეული გამოცემის ინფორმაციით, სააკაშვილის მიერ გაჩაღებულმა რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანმა ომმა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობების ისეთი სახიფათო ესკალაცია გამოიწვია, როგორიც ჯერ არ ყოფილა ცივი ომის დასრულების შემდგომ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გამოუქვეყნებელი ინტერვიუ გურამ შარაძესთან

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას!**
**მას შემდეგ, რაც გამოიჩინეთ კეთილი ნება და უსიტყვოდ დათანხმდით გურამ შარაძესთან თავის დროზე გამოუქვეყნებელი ინტერვიუს დაბეჭდვას, თავს ვალდებულად ვთვლი, პატარა კომენტარი გავაკეთო. დარწმუნებული ვარ, უარს არც ამის გამოქვეყნებაზე მეტყვით, რადგან ახლახან დაარსებულმა თქვენმა გაზეთმა უკვე არა ერთხელ დაამტკიცა, რომ ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს!**
**ულრმესი მადლობა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ამისთვის!**

*პატივისცემით,*
***რუსუდან შარაძე,***
*30 მარტი, ჟენევა*



აქვე იმათ გასაგონადაც ვიტყვი, ვინც გადაწყვეტს დაყვედრებას, რომ ჩვენ ოდესღაც დაგვითმეს ტელეეთერი. მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან მამაჩემი აიკრძალა ყველა ტელეკომპანიაში და ეს ტაბუ მხოლოდ ერთხელ — 2007 წლის მაისში აიხსნა, როდესაც მთელ ქვეყანას აჩვენეს გურამ შარაძის სისხლში მცურავი ცხედარი და თავზარდაცემული ოჯახი. ყველასთვის ნათელია, რას ემსახურებოდა მაშინ ეს — შიშის, ტერორის გამყარებას, რომ ყველას ასე დახვრეტდნენ, ასე დაახრჩობდნენ სისხლში, ვინც გაბედავდა წინააღმდეგობის გაწევას! მაშინ ტელეკომპანიები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვის უკეთ გამოუვიდოდა ეს და როგორი იქნებოდა რეიტინგი, რომელზეც დღეს, რატომღაც, ყველა შეშლილია.

გურამ შარაძე არსად წასულა! ის იყო იქ, სადაც იყო მუდამ, და ამაში მისი ამ ინტერვიუთიც დარწმუნდებით, რომლის სრული ვარიანტის ექსკლუზიურ უფლებას საქართველოში ჩამოსვლისთანავე „საქართველო და მსოფლიოს“ ვპირდები.

## ხელთ მაქვს მამაჩემის უკანასკნელი, მკვლელობის წინადღით მიცემული საგაზეთო ინტერვიუ, რომელიც, ასევე, არ გამოქვეყნებულა. ის ფერიას მთაზე ეკლესიის დანგრევას ეხება და ფრიად საყურადღებო ცნობებს შეიცავს. ამის გამოქვეყნების ექსკლუზიურ უფლებასაც თქვენს გაზეთს ვპირდები.

ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გაეცნობით, არის საათნახევრიანი აუდიოჩანაწერის მოკლე ვერსია. გაზეთში, სადაც ის თავის დროზე უნდა გამოქვეყნებულიყო, ბოლო მომენტში აღარ დაბეჭდეს კოლეგიალობის თვალსაზრისით. გულწრფელად შეწუხებულ ჟურნალისტს, რადგან მას ამაში ბრალი არ ჰქონდა, მამამ გამოართვა ჩანაწერი და ვის აღარ მიმართა თხოვნით, გამოექვეყნებინათ, მაგრამ ყველასგან ზრდილობიანი უარი მიიღო, იმავე კოლეგიალობის თვალსაზრისით. შემდეგ, რატომღაც, მე მომცა — შენ გქონდესო. უარის მიზეზი არც ისე უსაფუძვლოა და კარგად მესმის, რადგან ჟურნალისტები ჩემი კოლეგებიც არიან და, მერწმუნეთ, ჩემთვისაც ძალიან მძიმეა ეს ნაბიჯი, მაგრამ მამაჩემის წინაშე ვალდებულება მკარნახობს, მხილებულ იქნეს ის ხალხი, ვისი ხელითაც სააკაშვილის მორჩილმა მკვლელმა ხელისუფლებამ შეიქმნა შესანიშნავი ალიბი, რომ, თითქოს, გურამ შარაძე წავიდა პოლიტიკიდან და მისი მკვლელობა არ სჭირდებოდათ...

ვთვლი, რომ, ზოგადად, „ჯიბის“ ჟურნალისტებს უსიტყვოდ რომ არ შეესრულებინათ ხელისუფლების დაკვეთა და გურამ შარაძეს მოეხერხებინა თავისი სიტყვის ხალხამდე მიწვდენა, მას ასე ხელაღებით ვერ დახვრეტდნენ, ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც ვერ იტყოდნენ, რომ გურამ შარაძე წავიდა პოლიტიკიდან და მეცნიერულ საქმიანობაში გადაერთო. აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ რას ეტყოდა ის ხალხს...

ვისარგებლებ შემთხვევით და ვიტყვი, რომ ჩვენი ოჯახის მიმართ ახალი ცილისმწამებლური ტალღაა აგორებული. მე არაფერს გამოვრიცხავ, მხოლოდ ერთს ვიტყვი — ჩვენ გურამ შარაძის დახრეტას არავის შევარჩენთ, ეს არის ჩვენთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი და თუ ჩვენი ოჯახის რომელიმე წევრს თმის ერთი ღერიც ჩამოუვარდება, მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება სააკაშვილის ხელისუფლებას.

ვიტყვი იმასაც, რომ ვერასდროს ვირწმუნებ იმ დემოკრატიას, სადაც გურამ შარაძის სასტიკად დახვრეტაზე ტაბუა დადებული. მე არ მწამს იმ პატრიოტიზმის, სადაც მისი სახელის მიჩქმალვას ცდილობენ.

## ჩაწერილია 2005 წლის დეკემბერში

**— ბატონო გურამ, რა ხდება, კონკრეტულად, რა პრეტენზიები გაქვთ ჩვენი ტელევიზიების მიმართ?**

— სიტყვა „პრეტენზია“ არ მინდა, ვთქვა, რადგან ძალიან ხმამაღალი ნათქვამი გამომივა. რა უფლება მაქვს, მოვთხოვო ჩვენს ტელემედიას, რომ მაინცდამაინც ჩემი პიროვნებით დაინტერესდეს,... მაგრამ სხვაა, როდესაც ვიცი და ვხედავ, რომ ეს ხდება უმაღლესი ხელისუფლების განკარგულებით.

„გურამ შარაძე ეკრანზე არ დამანახვოთ!“ — ეს პირდაპირ პრეზიდენტის დავალებაა და მისი გულის მოსაგებად ჩვენი ტელემედიის ხელმძღვანელები თავს იკლავენ და ასრულებენ ამ დავალებას. ცხოვრებაში არაფერი დამიწერია შეუმოწმებლად, დოკუმენტური სიზუსტის გარეშე, — ეს გამიმჟღავნა ე.წ. ოპოზიციური ტელევიზია „კავკასიის“ ხელმძღვანელმა დავით აქუბარდიამ. ყველაფერი კი ასე დაიწყო: როდესაც დაგროვდა თემები, რომლებზედაც ისეთი ადამიანები ალაპარაკდნენ, ვინც თავის დროზე ამ თემების გამო მებრძოდნენ და ახლა ხმა ამოიღეს მხოლოდ იმიტომ, რომ დაინახეს, მომგებიანია მათზე საუბარი, რამდენჯერმე მივმართე ბატონ დავით აქუბარდიას. მახსოვს, ის ჩემს მეგობრობაზე დებდა თავს და ერთ დროს მეუბნებოდა: თუკი ვინმე „კავკასიას“ უყურებს, ერთ-ერთი რესპონდენტი და სტუმარი თქვენ ბრძანდებითო. გახსოვთ, ალბათ, ჩვენი საყვარელი „იუმორინა“, ცნობილი იუმორიც ამ თემაზე... და აი, ერთ მშვენიერ დღეს ბატონმა აქუბარდიამ ამიკრძალა ტელეეთერი. როდესაც მე და ელიზბარ ჯაველიძემ შევატყვეთ, რომ ეს ჩვენ გვეხებოდა, მივედით და ვკითხეთ, რა ხდებოდა. — „ბატონო გურამ, ბატონო ელიზბარ, როგორ გეკადრებათ, ამ საღამოსვე მობრძანდით, დაგითმობთ დროს გადაცემა „სპექტრში“. შევთანხმდით. ცოტა ხანში გვირეკავს მეც და ელიზბარსაც — „უი, უი, დამავიწყდა, დღეს პარასკევია და ინდური ფილმის დღე გვაქვს, მაყურებელს ვერ დავკარგავ და ამიტომ ბოდიშს ვიხდი... დაგირეკავთ ორშაბათსო“. გავიდა ორასი ორშაბათი......

ტელეფონით არაფერი გამოვიდა... როცა შევატყვე, ცრუპენტელობდა, ვიფიქრე, მივსულიყავი, თვალებში ჩამეხედა ამ კაცისთვის, აბა, თუ გაბედავდა მოტყუებას. რომ მივედი, ირინა გოგოსაშვილს ესაუბრებოდა. ცალკე ოთახში გამიხმო. მითხრა: — „რა ვქნა, ბატონო გურამ, ძლივს პურის ფულს ვშოულობ და გინდათ, დახურონ ჩემი ტელევიზია? პირდაპირ მითხრა სააკაშვილმა, შარაძეს დამანახვებ და დაგხურავო“. ამ ყველაფერს რომ აქუბარდია გაგიბედავს, კაცოო!.. ჩემი გამოჩენა შემოსავლებს დაუფრთხობდა, ალბათ. ვინ კადრულობდა „კავკასიაზე“ რეკლამას და ახლა ხომ ხედავთ, რა ხდება......

ეს იმიტომ გითხარით, რომ გაუხმაურებელია და ოპოზიციური ნიშნით აქუბარდია ჯერ კიდევ სუნთქავს. მე მას ბევრი დრო მივეცი, რათა გონს მოსულიყო, მაგრამ უკვე ველარ დავფარავ, რადგან პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების განკარგულება, რომ გურამ შარაძე არსად გამოჩნდეს, წარმატებით ხორციელდება.

ახლა გადავიდეთ „მზეზე“. იქ იყო ერთი წამყვანი ჟურნალისტი ირაკლი იმნაიშვილი, რომელიც სადაც კი წამასწრებდა, ასე ვთქვათ, ყველგან „კბილს მკრავდა“. ყურადღებას არ ვაქცევდი, რა ჩემი ტოლია... ერთ დღეს მირეკავს და მეუბნება: — „ბატონო გურამ, ძალიან გთხოვთ, უარი არ მითხრათ, ამ საღამოს უნდა მობრძანდეთ ჩემს გადაცემაში „არჩევანის ზღვარზე“. — ვიფიქრე, თუ არ აქვს პირი შერცხვენილი ამ კაცს, ასე რატომ მეხვეწება გადაცემაში მისვლას, უარს ისედაც რატომ ვეტყოდი-თქო... მაინც ვკითხე, ვინ იქნებოდა ჩემთან ერთად. — „არავინ, ბატონო გურამ, ისე მოენატრეთ ხალხს, რომ მარტოს დაგეთმობათ ეთერიო“. მაგრამ იმნაიშვილი ის ჭაბუკი არ არის, რამე სირცხვილის გრძნობა ჰქონდეს. შუა გადაცემაში აცხადებს: „ახლა ჩაგვერთვება გიგა ბოკერია!..“ იმ საღამოს იმნაიშვილმა და ბოკერიამ, ორივემ მოინდომა ჩემთვის კიდევ ერთხელ „კბილის გაკვრა“, მაგრამ იქით გავკარი ორივეს მაგრად, იმნაიშვილსაც და ბოკერიასაც (იცინის)... და თან ისე, რომ როგორც კი გადაცემა დამთავრდა, სტუდიაში მყოფმა ჟურნალისტებმა ტაშით დაანგრიეს იქაურობა. ჰკითხეთ, თუნდაც, ნინო ჟიჟილაშვილს. იმნაიშვილს კი კარგადაც გადაუხადა ბოკერიამ — გააპანღურა და გადაცემაც დაუხურა.

მივუახლოვდეთ „იმედს“. დავიწყოთ გიორგი თარგამაძით. მე ვიცი, თქვენ ჩემს ამ სიტყვებს აქუბარდიასთანაც გადაამოწმებთ, თარგამაძესთანაც და გრიგოლიასთანაც, რომელზეც მერე მოგახსენებთ. თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ შემდეგ ამას უკომენტაროდ დავტოვებ? ახლავე გთხოვთ, მათი კომენტარი მერე უნდა „გავაკომენტარო“, თუ იმავე ნომერში არა, მომდევნოში მაინც.

## თარგამაძეზე არის ნათქვამი: „ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადაო“. სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა, პირველად რომ გავიცანი. 1993 წელს კოლხური კოშკის დაწვაზე რამდენიმე რეპორტაჟი გავაკეთებინე „იბერვიზიისთვის“... მოგეხსენებათ, 1994 წელს სამუშაოდ გადავედი ასლან აბაშიძესთან. მასთან ვაქე და ვადიდე.

ასლან აბაშიძე მაშინ ჯერ კიდევ არ ჰყავდათ გადაყვანილი ჭკუიდან მის მეგობრებს, მათ შორის, გიორგი თარგამაძეს....

18 წლის თარგამაძე გახდა მინისტრი. მერე „გალსტუკიანი“ გიორგი თარგამაძე გადაჯინსდა და დაიწყო ცუნცულ-ცუნცული. მომდიოდა ხმები მის ავკაცობასა და ამბების მიტან-მოტანაზე. ასლან აბაშიძემ რომ პარკი გააშენა, იმის მშენებლობის ერთ-ერთ დათვალიერებაზე მოვკიდე ხელი თარგამაძეს, მივიყვანე ასლან აბაშიძესთან და ვუთხარი: „აბა, ახლა თქვი, რას ელაპარაკები მას ჩემზე ყურში, ჩემ ზურგს უკან!“. წახდა, გაშავდა...... „მეტი აღარ დაგინახო, ჩემზე ილაპარაკო არც ჩემ ზურგს უკან და არც ისე-მეთქი“...

თბილისში რომ იყო „აღორძინების“ საარჩევნო შტაბის უფროსი, მაშინ მიხვდა აბაშიძე, რაშიც იყო საქმე. თარგამაძემ დაასწრო და სანამ გამოაგდებდნენ, თვითონ დატოვა პარლამენტი და „აღორძინება“.

## აი, კაცი! კაცად აქცია ჯერ გურამ შარაძემ, მერე — აბაშიძემ. ორივეს უღალატა. ორივე გადააგდო... აბაშიძის „აღორძინების“ ქერის ორმოდან მოხვდა ბადრი პატარკაციშვილის კიდევ უფრო დიდ ქერის ორმოში — გახდა „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი და დღეს წარმატებით ასრულებს ხელისუფლების დავალებას, რომ გურამ შარაძე არ გამოჩნდეს ეკრანზე... ალბათ, პატარკაციშვილს რომ დაიჭერენ ან აქ, ან რუსეთში, იგივეს იზამს....

„ვარდების რევოლუციამდე“ ცოტა ხნით ადრე მირეკავს ბადრი პატარკაციშვილი და მეკითხება: — „რა დაგიშავე, რატომ მლანძღავო? — სად-მეთქი? — და აგერ თარგამაძე გამოვიდა და თქვა, გურამ შარაძემ ბადრი პატარკაციშვილი გალანძღა ერთ-ერთ მიტინგზეო. მე ვუთხარი: — ახლავე მივალ თარგამაძესთან-მეთქი... და მივვარდი „იმედში“. ვეუბნები (მისი მეუღლეც იქ იყო), — ამოიღეთ ჩანაწერი, სადაც მე ამას ვამბობ-მეთქი. — გვაპატიე, ბატონო გურამ, ახლავე გამოვასწორებთო. მაშინ იყო, რომ „ღამის ქრონიკაში“ მიმიწვიეს, მეფერენ, მაგრამ მე მაინც ვთქვი ჩემი სათქმელი. რა მქონდა მე გიორგი თარგამაძესთან გასაყოფი ან საბრძოლი?!. ასლან აბაშიძეს ხომ გადამკიდა და ახლა პატარკაციშვილის გადაკიდება მოინდომა...

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**გეხსომებათ, როგორ ჩააკითხა ამასწინათ ჰოლანდიაში ექსკლუზიური უფლებით ოჯახური იდილიის გასაშუქებლად პირადად თარგამაძემ სააკაშვილს... ხვალ თუ ზეგ „დროებაში“ უნდა იყოს მისი თავისმომჭრელი მლიქვნელობის დოკუმენტი — პრეზიდენტ სააკაშვილის დაბადების დღე. სტალინს აღარ უხდიან დაბადების დღეს 21 დეკემბერს და სააკაშვილის დაბადების დღე... ვის დაკარგვია, კაცოო?!.**

დღეს ქართველი ხალხის სკლეროზის გამო ეროვნულ მოღვაწეებად ითვლებიან ისინი, ვინც ილია ჭავჭავაძეს აძაგებდნენ... წაგვართვეს მამის სახელი, ამოგვიშალეს ეროვნება......დავურეკე ინგა გრიგოლიას. ვუთხარი: — ,,ინგა, რა ხდება, რად გინდათ ასეთი სპეკულაცია, ვის ალაპარაკებთ საქართველოზე, საქართველოს მტრებს, საქართველოს მოძულეებს?..“ — ,,რა ვქნა, ბატონო გურამ, ხელისუფლება უარს აცხადებს თქვენთან პირდაპირ ეთერში დაჯდომაზეო“. შემდეგ გაავებულმა — ,,ჩემს გადაცემაში შეკითხვების უფლებას მართმევთო?..“

**გესმით, კაცო? რა ჩამოჰყვა ამისთანა ინგა გრიგოლიას სამტრედიიდან, რომ მთელი საქართველო ყურით ჰყავს დაბმული — პრეზიდენტი, პრემიერი, მთავრობა... ზოგი ,,პირველებში“, ზოგიც — ,,რეაქციაში“.**

ვეკითხები ინგა გრიგოლიას: — ესე იგი, ოპოზიციონერ კობა დავითაშვილს და ლევან ბერძენიშვილს პრეზიდენტი გისვამს სტუდიაში? აკი, დამოუკიდებელი ჟურნალისტი ხარ-მეთქი?..

აღარაფერს ვამბობ ,,რუსთავი 2“-სა და ,,თავისუფლების ინსტიტუტის“ ფილიალად ქცეულ ,,პირველ არხზე“, რომლის დირექტორად გია ნოდიამ თავისუფლებისინსტიტუტელი თამარ კინწურაშვილი დანიშნა.

**— ლოგიკურად, უნდა გიხაროდეთ, რომ ისეთ საშიშ და ძლიერ მოწინააღმდეგედ გთვლიან, რომ ეშინიათ თქვენი ეკრანზე გამოჩენის. ეს ასეა?**

— რომ დაგეთანხმოთ, ჩემი მხრიდან ნარცისობა გამოვა. მე რაც ვთქვი, სიმართლე ვთქვი. ჩემი რვატომეულის — ,,ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის“ პრეზენტაციაზე ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რომელიც ამასწინათ გაიმართა, საკუთარი თვალით ნახეთ, რომ იქ არც ერთი ტელევიზია — არც სახელმწიფო, არც ე.წ დამოუკიდებელი და ოპოზიციური, არ მოვიდა. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ ღრმად დამარწმუნა, რომ ეს იყო მართლა ეროვნული დღე, რომ ჩვენ ჭეშმარიტად ეროვნულ, ქართულ, საქართველოსთვის დაწერილ წიგნებს განვიხილავთ.

მინდა, მთელმა საქართველომ იცოდეს, რომ გურამ შარაძეს არც ხელისუფლება და არც ხელისუფლების ყურმოჭრილი ტელევიზია ეკრანზე არ მაჩენს იმისთვის, რომ სიმართლე ვუთხრა ქართველ ხალხს და მთელს მსოფლიოს.

*იბეჭდება შემოკლებით.*



# ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრები თვითმკვლელობით იმუქრებიან

**„ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საგანგაშო ინფორმაციას ავრცელებს. მათი განცხადებით, ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი პატიმრები პროტესტის ნიშნად თვითმკვლელობით იმუქრებიან. ამის შესახებ მათ მსჯავრდებულთა ახლობლებმა შეატყობინეს. დაწესებულებაში ექიმები პატიმრებს, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობაც ყოველდღიურად უარესდება, არა თუ მკურნალობენ, არამედ ტკივილგამაყუჩებლებსაც არ აძლევენ.**



ერთ-ერთი მსჯავრდებულის დედის თამარ ბატიაშვილის განცხადებით, დაახლოებით ორი თვეა, რაც დაწესებულებაში მყოფი მისი შვილის საავადმყოფოში გადაყვანას ითხოვენ, რადგან მსჯავრდებულის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და შესაძლოა, დაიღუპოს, მაგრამ — უშედეგოდ. მსჯავრდებულთა ახლობლების განმარტებით, სასჯელაღსრულების სამინისტროს ადმინისტრაცია პატიმართა წერილებს, სადაც ისინი დაწესებულებაში არსებულ უკიდურესად მძიმე პირობებზე, ზეწოლის, ცემის თუ სხვა არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე საუბრობენ, უპასუხოდ და რეაგირების გარეშე ტოვებს. სასჯელაღსრულების სამინისტროში ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების პროტესტის შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებენ, — ნათქვამია განცხადებაში.

სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული საშინელი მდგომარეობის შესახებ მუდმივად საუბრობენ პოლიტიკური პარტიები თუ არასამთავრობო ორგანიზაციები. თუმცა ამ სისტემაში არსებული ვითარება მუდმივად მძიმეა და, როგორც ჩანს, გამოსწორებას არ ექვემდებარება.

ლეიბორისტული პარტიის წევრი ლეილა გაფრინდაშვილი: **„მიუხედავად იმისა, რომ უწმინდესმა თავის მიმართვაში განსაკუთრებული ყურადღება პატიმრების მდგომარეობაზე გაამახვილა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების მიმართ კვლავ ფიზიკური ანგარიშსწორება მიმდინარეობს.**

**დღეისთვის საპატიმროები საკონცენტრაციო ბანაკად არის ქცეული და პენიტენციარული დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრებზე საშინელი ფიზიკური ზეწოლა ხდება. ხშირ შემთხვევაში პატიმრები ცემის დროს ელუპებათ, ოჯახის წევრებს კი აშანტაჟებენ და ტერორის გზით მათ გაჩუმებას ცდილობენ.**

**გარდა ამისა, ციხეებში საშინლად არაჰიგიენური მდგომარეობაა, პატიმრებს კვირებისა და ხშირად თვეების განმავლობაში დაბანის საშუალება არ აქვთ.“**

ცოტა ხნის წინათ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ თამარ ხიდაშელმაც გააკეთა განცხადება, რომ ქსნის კოლონიის 34-მა პატიმარმა ასოციაციას წერილით მიმართა. ისინი იმ არაადამიანურ პირობებს აღწერდნენ, რომელშიც პატიმრობის ვადის მოხდა უწევთ. თამარ ხიდაშელი: **„ისინი, პირველ რიგში, ადმინისტრაციის სასტიკ დამოკიდებულებას, აუტანელ ყოფით პირობებს და სამედიცინო მომსახურებას უჩივიან. პატიმრები ე.წ. გარაჟის ტიპის ბეტონისიატაკიან კამერაში ცხოვრობენ, სადაც კედლები უმეტესად სველია. კამერაში ერთი პატარა ფანჯარაა და იქიდან შედის ვენტილაცია ტუალეტიდან. სრული ანტისანიტარია სუფევს. არ არის სუფთა წყალი და სასმელ წყალს პატიმრებს ბოთლებით აძლევენ.“** ეს ფაქტები ასოციაციის წარმომადგენლებმაც დაადასტურეს, რომლებმაც პატიმრების მდგომარეობა თებერვალში ადგილზე შეისწავლეს და მდგომარეობის გამოსწორება ახალ მინისტრ შაშკინს სთხოვეს. არასამთავრობო სექტორიდან მოსულ მინისტრზე მართლაც ბევრი ამყარებდა იმედებს. იყო ილუზია, თითქოს, იგი ციხეში არსებულ მდგომარეობას გამოასწორებდა, თუმცა შაშკინის მიმართ იმედებიც ისევე გაცრუვდა, როგორც სახალხო დამცველის აპარატიდან გადამისამართებული ბაჩო ახალაიასი. მართალია, პრეზიდენტი აცხადებს, ჩვენი პატიმრები უკეთეს საკნებში იმყოფებიან, ვიდრე ტელეკომპანია „მაესტროში“ გია გაჩეჩილაძეს მოუწყვესო, მაგრამ ეს, ალბათ, მხოლოდ იმ პატიმრებს ეხებათ, რომლებიც ხელისუფლების სიმპათიას იმსახურებენ.

**მანანა ჭელიძე**

# რა საფრთხე ემუქრება საქართველოს 9 აპრილს

**9 აპრილის წლისთავზე, გაუთვალისწინებელი გარემოებების გამოისობით, საქართველოში შესაძლოა, დიდი უბედურება დატრიალდეს. ეს თარიღი ქართველებისთვის ღირსშესანიშნავია და, სავარაუდოდ, ქუჩაში ბევრი ხალხი გამოვა, რაც ოპოზიციასაც ხელს აძლევს, — განაცხადა ევროპის ინსტიტუტის ხმელთაშუა და შავი ზღვების ცენტრის ხელმძღვანელმა ალა იაზიკოვამ.**

9 აპრილი ქართველებისთვის მძიმე დღეა. ამ დღეს საბჭოთა არმიის ნაწილებმა ძალიან უხეშად დაშალეს დემონსტრაცია, დაშავდა სამოქალაქო მოსახლეობა, მათ შორის, ახალგაზრდები, რომელთა წინააღმდეგ სასანგრე ნიჩბები გამოიყენეს. „ეს დღე ქართველების მეხსიერებაში დარჩა, მას შეუძლია ხალხის გაერთიანება და ქუჩაში გამოყვანა. სწორედ ამას იმედოვნებს ოპოზიციაც,“ — განაცხადა იაზიკოვამ.

ოპოზიციაზე ლაპარაკისას პოლიტოლოგმა გაიხსენა „ვარდების რევოლუცია“, რომლის წყალობითაც ქვეყნის სათავეში სააკაშვილი მოვიდა. მაშინ სამი მოღვაწე ერთობლივად გამოვიდა შევარდნაძის ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით. ესენი იყვნენ: მიხეილ სააკაშვილი, ნინო ბურჯანაძე და შემდგომში გაურკვეველ გარემოებებში დაღუპული ზურაბ ჟვანია.

„რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, — განაგრძობს იაზიკოვა, — ის აგრძელებდა პრეზიდენტ სააკაშვილთან თანამშრომლობას. 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგაც, როცა დემონსტრაცია ძალზე უხეშად დაშალა უკვე სააკაშვილის რეჟიმმა, ბურჯანაძე არ გადამდგარა და სააკაშვილთან დარჩა. სწორედ ამაში ადანაშაულებს მას ოპოზიციის ნაწილი. ახლა ის უკვე აშკარად აფრიალებს საბრძოლო დროშას, თუმცა, ჩემი აზრით, ახლა პერსპექტივა ნაკლები აქვს, ვიდრე 2-3 წლის წინ.“

თავად პრეზიდენტი სააკაშვილი ახლა პოპულარობით აღარ სარგებლობს. იაზიკოვას თქმით, გამოკითხვა რომ ჩატარდეს, ხალხს რეპრესიების არ ეშინოდეს და აზრის გამოთქმა უშიშრად შეეძლოს, სააკაშვილის რეიტინგი უაღრესად დაბალი იქნებოდა. ახლა მას პრაქტიკულად აშკარად ადანაშაულებენ აგვისტოს ომის გაჩაღებაში, ლაპარაკობენ მის თავშეუკავებლობასა და სიგიჟეზე, საყვედურობენ, რომ აქამდე ვერ მიხვდა, სახელმწიფოს ინტერესებისთვის რომ უნდა გადადგეს.

ახლახან ელექტრონულ მედიაში გამოქვეყნდა ინტერვიუ ექს-პრეზიდენტ შევარდნაძესთან, რომლის თქმითაც, ძნელი არ არის ისეთი კაცის პოვნა, წესრიგს რომ დაამყარებს, უფრო მეტიც, მას შეუძლია დაასახელოს ასეთ ადამიანთა ჯგუფი, მაგრამ, სამწუხაროდ, არავინ აღარაფერს ეკითხება, ოპოზიცია კი დაქსაქსულია...

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სოზარ სუბარი — მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერი!

**საზოგადოების გარკვეული ნაწილი თვლის, რომ საყოველთაო გლობალიზაციის პირობებში გართულდება ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, მაგრამ გლობალიზაციის პროცესს უარყოფითი შედეგები არ მოჰყვება, თუკი სახელმწიფო სწორად მიუდგება გასატარებელ რეფორმებს. სამწუხაროდ, სხვადასხვა ინსტიტუტებისა თუ საზოგადო მოღვაწეების მხრიდან ხშირად ვაწყდებით უხეშ და არაობიექტურ ჩარევას ისეთ სფეროებში, რომლებიც პირდაპირ გულისხმობს ეროვნულობის შენარჩუნებას. ერთ-ერთ ასეთ საკითხს წარმოადგენს სახელმწიფოში მართლმადიდებელი ეკლესიის იურიდიულ-სამართლებრივი სტატუსი.**



სოზარ სუბარის მიერ ფაქტების არასწორი ინტერპრეტაცია და საპატრიარქოს მოძალადე აგრესორის როლში გამოყვანა კიდევ ერთხელ ამტკიცებს ომბუდსმენის მტრულ დამოკიდებულებას მართლმადიდებელი ეკლესიისადმი.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით არ შეიძლება, არ ვახსენოთ სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, რომელიც დღეს ოპოზიციის ლამის არაფორმალურ ლიდერად მოგვევლინოს. ხალხის თვალში ქულების დასაწერად იგი აქტიურად აკრიტიკებს ხელისუფლებას მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებაში მისი არასწორი პოლიტიკის გამო. საკმარისია, გავეცნოთ ომბუდსმენის მიერ ხელმოწერილ ოფიციალურ დოკუმენტებს, რომ დავინახოთ მისი ნამდვილი სახე და დავრწმუნდეთ — სოზარ სუბარი მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერია.

2005 წლის 23 დეკემბერს პარლამენტში წარდგენილ ანგარიშში **„ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“**

**სოზარ სუბარი ღიად გამოხატავს ნეგატიურ დამოკიდებულებას მართლმადიდებელი რელიგიის მიმართ. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, მისი ტენდენციური დამოკიდებულება სადავო ეკლესიებთან დაკავშირებით.**

***— ისევ გადაუჭრელია სომხური სამოციქულო და კათოლიკური ეკლესიებისთვის ტაძრების დაბრუნების საკითხი.... თბილისში ხუთი უმოქმედო ტაძარია, რომელთა გამო მიმდინარეობს დავა საპატრიარქოსა და სომხურ სამოციქულო ეკლესიას შორის. საქართველოს მასშტაბით მხარეების მიერ სადავო ტაძრების სხვადასხვა რაოდენობა სახელდება. კათოლიკური ეკლესია საპატრიარქოს მიერ დაკავებული 4 ტაძრის დაბრუნების საკითხს სვამს, რომლებიც ქუთაისში, გორში, ივლიტასა და უდეში მდებარეობს.***

***საპატრიარქოს პოზიციას ტაძრების ისტორიული მეპატრონის თაობაზე ანგარიშს უწევს ხელისუფლება, რომელიც ცალმხრივად ვერ წყვეტს, დაუბრუნოს თუ არა ტაძრები მათ ისტორიულ მფლობელებს. ამდენად, კათოლიკური და სომხური ეკლესიების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, მიმართვებსა და განცხადებებს, სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ჯერჯერობით შედეგი არ მოჰყოლია“.***

**ბატონ სოზარს შევახსენებთ, რომ საუკუნეების განმავლობაში სომხურ ეკლესიას არაერთხელ გამოუთქვამს პრეტენზია ქართულ ტაძრებზე (ჯვრის მონასტერი, ქვემო ბეთლემი, მეტეხი, სიონი და ა.შ.). აქამდე მათი ყველა მოთხოვნა რომ დაკმაყოფილებულიყო, დღეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმიდა სალოცავების გარეშე დარჩებოდა.**

რაც შეეხება სომხური ეკლესიის ამჟამინდელ პრეტენზიებს, საქართველოს საპატრიარქოში დაარსებულია კომპეტენტური სპეციალისტებისგან შემდგარი სომხურ-ქართული ერთობლივი კომისია, რომელიც ახლაც იკვლევს აღნიშნულ საკითხს; ხოლო სოზარ სუბარის კრიტიკიდან ჩანს, რომ მას ჯერ კიდევ კომისიის მუშაობის დასრულებამდე აქვს მიღებული გადაწყვეტილება ეკლესიების ისტორიული კუთვნილების თაობაზე და ამით ამჟღავნებს თავის უკიდურეს ტენდენციურობას მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. რაც შეეხება ყოფილ კათოლიკურ ტაძრებს, საქართველოს ომბუდსმენმა უნდა იცოდეს, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას ეს ტაძრები კათოლიკებისთვის არ წაურთმევია. XX საუკუნის დასაწყისში კომუნისტურმა ხელისუფლებამ ისინი სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მორწმუნეების მოთხოვნის საფუძველზე ახალმა მთავრობამ ეს ტაძრები მართლმადიდებელ ეკლესიას გადასცა. აქედან გამომდინარე, საქართველოს საპატრიარქომ ისინი სახელმწიფოსგან თავის მფლობელობაში კანონიერი გზით მიიღო. ამდენად, კათოლიკურ ეკლესიას ამ საკითხთან დაკავშირებით სადაო მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოსთან შეიძლება ჰქონდეს. აღნიშნული ვითარება, რა თქმა უნდა, სოზარ სუბარისთვის კარგად უნდა იყოს ცნობილი. მის მიერ ფაქტების არასწორი ინტერპრეტაცია და საპატრიარქოს მოძალადე აგრესორის როლში გამოყვანა კიდევ ერთხელ ამტკიცებს ომბუდსმენის მტრულ დამოკიდებულებას მართლმადიდებელი ეკლესიისადმი.

ასევე ჩვენი ყურადღება მიიპყრო პარლამენტში წარდგენილი *ანგარიშის* იმ ნაწილმა, სადაც გაკრიტიკებულია ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი: 1. *საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმდიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება* (***კონკორდატი***) და 2. *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობლივი კომისიის ურთიერთგაგების* ***მემორანდუმი.***

კერძოდ, ***კონკორდატი*** მიჩნეულია ანტიკონსტიტუციურ და დისკრიმინაციულ დოკუმენტად, რადგან უპირატეს უფლებრივ მდგომარეობაში აყენებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სხვა აღმსარებლობებთან შედარებით. ***კონკორდატის*** მიხედვით: *„მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებულია, როგორც სრულუფლებიანი საჯარო სამართლის იურიდიული პირი; სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებში და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნას; სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან, განახორციელონ მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთობლივი პროექტები“* და ა.შ.

**სოზარ სუბარის თვალსაზრისით კი, საქართველოში არსებულ ყველა სხვა აღმსარებლობასა და რელიგიას მართლმადიდებლობასთან აბსოლუტურად იდენტური უფლებები უნდა ჰქონდეს.**

რაც შეეხება საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს განათლების სამინისტროს შორის დადებულ ***მემორანდუმს*** — ეს დოკუმენტი ითვალისწინებს თანმშრომლობას ისეთ საკითხებში, როგორიცაა:

*„მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების სწავლებისთვის საჭირო სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროგრამების შედგენის, პედაგოგიური კადრების შერჩევის, მომზადებისა და დანიშვნა-გათავისუფლების პროცედურების შემუშავება;*

*მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების საკითხების შემცველი საგნების სასწავლო გეგმების მომზადებისა და შესაბამისი სახელმძღვანელოების განხილვის პროცესში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა მონაწილეობის პროცედურის შემუშავება;*

*საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსებისა და ქონებრივი საკითხების სამართლებრივი უზრუნველყოფა;*

*მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თანამშრომლობის ფორმებისა და პირობების დადგენა.“*

საქართველოს სახალხო დამცველის *ანგარიშში* ნათქვამია:

***„მემორანდუმი არღვევს სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის კონსტიტუციით აღიარებულ პრინციპს და სხვა კონფესიების მიმდევართა დისკრიმინაციას გულისხმობს, რადგან:***

***1. მემორანდუმის თანახმად, სახელმწიფომ შესაძლოა, დააფინანსოს მართლმადიდებლობის სწავლება როგორც საჯარო სკოლაში, ასევე საეკლესიო სასწავლო დაწესებულებებშიც;***

***2. საერო სკოლის რელიგიის პედაგოგის შერჩევის, დანიშვნა-მომზადების, გათავისუფლების პროცესში შესაძლოა, მონაწილეობა მიიღოს საპატრიარქომ. ამ შემთხვევაში შეიძლება, განმსაზღვრელი აღმოჩნდეს პედაგოგის მრწამსი და არა კვალიფიკაცია, რითაც შეილახება აკადემიური თავისუფლების პრინციპი და განხორციელდება არამართლმადიდებელი პედაგოგების დისკრიმინაცია;***

***3. მემორანდუმში არსადაა ნათქვამი, რომ მართლმადიდებლობის შესახებ საგნის სწავლება ნებაყოფლობითია (კონსტიტუციური შეთანხმება კი ამას აღიარებს 5.1);***

***4. გაურკვეველია, რას გულისხმობს მემორანდუმის „გ“ პუნქტი: მართლმადიდებლური სარწმუნოების შემცველი საგნები და სახელმძღვანელოები შესაძლოა, იყოს რელიგია, ლიტერატურა, ისტორია, საბუნებისმეტყველო დისციპლინები. შესაბამისად თუკი საპატრიარქო მონაწილეობას მიიღებს მათ შედგენაში, ამით: ა) შეილახება სწავლების სამეცნიერო ხასიათი (კრეაციონისტული თეორიის სწავლება სკოლაში); ბ) შესაძლოა, საგანმანათლებლო სისტემამ რელიგიური ცენზურის ელემენტი დაუშვას; გ) სხვა აღმსარებლობებთან მიმართებით სწავლებამ არაპლურალისტური და ტენდენციური ხასიათი მიიღოს;***

***5. მემორანდუმი წინააღმდეგობაში მოდის განათლების კანონთან, რომლის თანახმად სახელმწიფო უზრუნველყოფს საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისგან, მიზნად ისახავს მოსწავლეთა ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული ცნობიერების ჩამოყალიბებას და კანონის სახით ვალდებულებას იღებს, არ დაუშვას არამეცნიერული შეხედულების ან თეორიის, როგორც მეცნიერული ფაქტის ან მეცნიერული თეორიის, სწავლება.“***

იმის გასარკვევად, რამდენად გამართლებულია საქართველოს ომბუდსმენის კრიტიკა და ზემოთ ციტირებული *მემორანდუმი* და *კონკორდატი* მართლა ატარებს თუ არა ანტიკონსტიტუციურ და დისკრიმინაციულ ხასიათს, შემდეგი საკითხებით დავინტერეს-

დით: 1) რა იურიდიული სტატუსი გააჩნია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ეკლესიას და არსებობს თუ არა მათ შორის რაიმე უფლებრივი იერარქია; 2) არსებობს თუ არა რელიგიის საგანი ევროპის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში და რა ფორმით ისწავლება იგი.

აღნიშნულ თემებზე გავესაუბრეთ ღვთისმეტყველების მეცნიერებათა დოქტორს კანონიკური სამართლის დარგში, ბ-ნ **ალექსი ქშუტაშვილს**, რომელმაც აღნიშნა, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებობს სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის ურთიერთობის ოთხი ძირითადი იურიდიული ფორმა:

— **პირველ ტიპს მიეკუთვნება ქვეყნები, სადაც არ არსებობს რელიგიური გაერთიანებების იურიდიული აღიარება.** ასეთი ქვეყნებია: საფრანგეთი, ჰოლანდია და ირლანდია, თუმცა იურიდიული არაღიარება სულაც არ ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან რელიგიურ ინდიფერენტულობასა და ნეიტრალურობას. სამივე ქვეყნის შემთხვევაში არსებობს ათეული წლების მანძილზე ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რომელიც იქ ისტორიულად არსებულ ეკლესიებს აძლევს გარკვეულ სამართლებრივ სტატუსსა და უპირატესობას, ანუ არსებობს მათი ფაქტობრივი აღიარება და სახელმწიფოს აქვს კანონით გათვალისწინებული უფლება, დააფინანსოს რელიგიური ინსტიტუტები. სასულიერო პირები სახელმწიფოსგან იღებენ ხელფასს, ჩართულები არიან სოციალური დაცვის სისტემაში; ასევე სახელმწიფო რადიო და სატელევიზიო არხები მხოლოდ ქვეყანაში ისტორიულად არსებულ ეკლესიებს უთმობენ საეთერო დროს რელიგიური გადაცემებისთვის.

**მეორე ტიპის** ქვეყნებია: ბელგია, ავსტრია, რუმინეთი და ა.შ. აქ **არსებობს სხვადასხვა რელიგიური გაერთიანებების იურიდიული აღიარების სისტემა,** თუმცა მხოლოდ ისტორიულად ტრადიციულ ეკლესიებს აძლევს სახელმწიფო ე.წ. აღიარებული აღმსარებლობის სტატუსს და ვალდებულებას იღებს შემდეგ საკითხებში: სასულიერო პირების ხელფასითა და სოციალური დაცვით უზრუნველყოფა, სასულიერო სკოლების დაფინანსება, საკულტო ნაგებობების მშენებლობა და აღდგენა, სხვადასხვა მისიონერული პროექტების დაფინანსება, საავადმყოფოებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და ჯარში სასულიერო პირების საქმიანობის ხელშეწყობა და დაფინანსება.

**მესამე ტიპის** ქვეყნებში, როგორიცაა იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, გერმანია, ლუქსემბურგი და ა.შ. **სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის არსებობს შეთანხმებების (კონკორდატების) სისტემა.** აქაც სხვადასხვა რელიგიური გაერთიანებები შედარებით იოლად გადიან სახელმწიფო რეგისტრაციას, მაგრამ სახელმწიფოები აქტიურად მხოლოდ ისტორიულად ტრადიციულ ეკლესიებს ეხმარებიან როგორც ფინანსურად, ასევე სხვა რესურსებითაც.

**მეოთხე ტიპს** კი მიეკუთვნება ქვეყნები: ინგლისი, შვედეთი, დანია, ფინეთი და საბერძნეთი, სადაც **ოფიციალურად არსებობს ერთ-ერთი გაბატონებული ეკლესია, რომელსაც მფარველობს სახელმწიფო.** მაგალითად, საბერძნეთში ტრადიციულ ეკლესიას გააჩნია სახელმწიფო რელიგიის სტატუსი და ქვეყანაში მოქმედი კანონი მას სხვა რელიგიებთან შედარებით ბევრად უპირატეს უფლებრივ მდგომარეობაში აყენებს".

## ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობის შესწავლისას ძალიან იოლია იმის დანახვა, რომ აბსოლუტურად ყველა ქვეყანაში ისტორიულად ტრადიციულ ეკლესიას უპირატესი უფლებრივი მდგომარეობა გააჩნია სხვა რელიგიებთან შედარებით.

თუკი ამის გამო ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არ არის მიჩნეული, რომ რელიგიური უმცირესობები განიცდიან რაიმე დისკრიმინაციასა და საკუთარი უფლებების დარღვევას, რატომ უნდა ჩაითვალოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უპირატესი უფლებრივი მდგომარეობა არაკონსტიტუციურად და დისკრიმინაციულად?!

## გაუგებარია, რატომ აძლევს არასწორ ინტერპრეტაციას საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებულ კონსტიტუციურ შეთანხმებას.

რაც შეეხება მეორე საკითხს, ბატონი **ალექსი ქშუტაშვილისგან** შევიტყვეთ, რომ აქაც არსებობს რამდენიმე ტიპის პრაქტიკა:

**1. ევროკავშირში საფრანგეთი არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც რელიგიის შესწავლა არანაირი ფორმით არაა დაშვებული ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში. რელიგიის საკითხებს არ ეხებიან არც სხვა პარალელური საგნების შესწავლისას. თუმცა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ასეთი პოლიტიკის გამო ბოლო წლებში ფრანგ საზოგადოებაში შეიმჩნევა ღრმა რელიგიური გაუნათლებლობა. ამიტომ 2002 წლიდან საფრანგეთის განათლების სამინისტროში დადგა საკითხი იმის თაობაზე, რომ რელიგიის შესწავლას აუცილებლად დაეთმოს გარკვეული ადგილი ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნის ალზაკია-ლორენის რეგიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რელიგიას ჩვეულებრივად ასწავლიან.**

**2. მეორე ტიპის პრაქტიკა გავრცელებულია ქვეყნებში, სადაც რელიგიის შესწავლა ორიენტირებულია ძირითადად იმ ქვეყანაში გაბატონებული ეკლესიის აღმსარებლობაზე. როგორც წესი, ესაა კათოლიკური, ან მართლმადიდებლური ტრადიციების მქონე ქვეყნები. აქ რელიგიის გაკვეთილების არსებობა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულოა, მაგრამ, როგორც წესი, ფაკულტატიური ან არჩევითი საგნის სახით. სხვა აღმსარებლობების ბავშვებს საშუალება ეძლევათ, გაიარონ რელიგიის გაკვეთილები საკუთარი აღმსარებლობის მასწავლებელთან, ან საერთოდ, აირჩიონ სხვა ალტერნატიული საგანი. სახელმწიფოები ძირითად შემთხვევებში თანამშრომლობენ ადგილობრივ ეკლესიებთან სასკოლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შედგენაში და ასევე, პედაგოგების მომზადებასა და შერჩევაში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში ადგილობრივი ეკლესიები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სისტემებში.**

**3. სხვა ტიპის პრაქტიკაა გავრცელებული ქვეყნებში, სადაც რელიგიის შესწავლა ხდება ზოგადი სახით, ანუ რაიმე კონკრეტულ სარწმუნოებაზე აქცენტირების გარეშე. ეს, ძირითადად, პროტესტანტული ტრადიციების მქონე ქვეყნებია. აქ რელიგიის გაკვეთილებს ასევე გააჩნია ოფიციალური სავალდებულო სტატუსი, მაგრამ, წინა ტიპის პრაქტიკისგან განსხვავებით, ბავშვებს აღარ აქვთ არჩევის უფლება; სასწავლო პროგრამის მიხედვით, ყველა ვალდებულია, გაიაროს ეს საგანი.**

ასე რომ, საკითხის შესწავლამ ცხადჰყო, რომ ამა თუ იმ ფორმით (ზოგადად, თუ ორიენტირებულად კონკრეტულ აღმსარებლობაზე) და სხვადასხვა სტატუსით (სავალდებულოდ, ფაკულტატიურად თუ არჩევითად) ევროკავშირის წევრ ქვეყნებში რელიგიის გაკვეთილებს უკავიათ ოფიციალური ადგილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში. ასევე, აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში, ადგილობრივი ეკლესიები აქტიურად თანამშრომლობენ განათლების სამინისტროებთან საგანმანათლებლო სისტემების შემუშავებასა და კონტროლში. ევროპაში სულაც არ თვლიან, რომ ეს რამენაირად არღვევს სახელმწიფო მართვის ლაიციზმისა და ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებს და არ ფიქრობენ, რომ ამით საფრთხე ემუქრება ბავშვების ჯანსაღ ზნეობრივ აღზრდასა თუ საგნებისადმი მეცნიერულ მიდგომას. ცივილიზებულ სამყაროში იციან, რომ სასკოლო საგანმანათლებლო სისტემაში რელიგიის გაკვეთილების ჩართვის გარეშე შეუძლებელია ტოლერანტული, სხვადასხვა მსოფლმხედველობებსა და კულტურებს შორის დიალოგისკენ გახსნილი, ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება.

**არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველი ერი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი შემწყნარებლობითა და ტოლერანტობით. ამ მიწა-წყალზე საუკუნეების მანძილზე გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ მართლმადიდებლები, მონოფიზიტები, მუსულმანები და იუდეველები. ხოლო ასეთი გახსნილი ცნობიერების ჩამოყალიბებას საფუძვლად ყოველთვის მართლმადიდებლური აზროვნება და მსოფლმხედველობა ედო.** მართლმადიდებელი ეკლესიის გარკვეული უფლებრივი მდგომარეობა და მართლმადიდებელი სარწმუნოების შემსწავლელი საგნის არსებობა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ხელს შეუწყობს საქართველოს საერთაშორისო აღიარებას, როგორც დემოკრატიული ფასეულობების მქონე ქვეყნისა. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია გულისხმობს დემოკრატიულ რეფორმებს არა მარტო საკანონმდებლო, აღმასრულებელ, სასამართლო თუ სამხედრო სფეროებში, არამედ იმ სფეროშიც, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოში რელიგიების იურიდიულ სტატუსსა და რელიგიის შესწავლას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

**ძნელია იმის დაჯერება, რომ ზემოთ მოყვანილი ფაქტები უცნობია საქართველოს სახალხო დამცველისთვის, ამიტომ ყველანაირი საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ სოზარ სუბარის შეტევები საპატრიარქოზე გამომდინარეობს მისი მტრული დამოკიდებულებიდან მართლმადიდებელი სარწმუნოების მიმართ და მიზნად ისახავს ეროვნული ცნობიერებისა და ფასეულობების განადგურებას.**

**ნატა ეუაშვილი**



## აზერბაიჯანი საქართველოს ტერიტორიებს ეპატრონება

**სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონებში მცხოვრები გლეხები და ფერმერები დახმარებას ითხოვენ. როგორც ფერმერებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, გაზაფხულზე წყალდიდობის გამო მდინარე ალაზანი კალაპოტს იცვლის, მარჯვნივ იწევს და საქართველოს კუთვნილი ტერიტორიის დიდი ნაწილი აზერბაიჯანს რჩება.**

„საქმე მხოლოდ გლეხებისა და ფერმერების საკუთრებაში არსებული მიწების დაცვას არ ეხება. ტერიტორიებს ვკარგავთ. საკუთარი ძალებით მოსახლეობა მდინარის ნაპირს ვერ ვამაგრებთ, ვერც იმას მივაღწიეთ, რომ მთავრობიდან ვინმემ ყურადღება მოგვაქციოს. ადგილობრივ და სამხარეო ხელისუფლებას არა ერთხელ მივმართეთ, წერილებიც გავგზავნეთ, მაგრამ — უშედეგოდ. ალაზანი ყოველდღე ანადგურებს ჩვენს სავარგულებს და გვაზარალებს", — აცხადებენ ფერმერები.

მათივე თქმით, სიღნაღის რაიონის სოფელ ერისიმედიდან დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყარომდე აზერბაიჯანის მხარეს დღედაღამ მუშაობს მძიმე ტექნიკა. აზერბაიჯანელები მდინარის მარცხენა სანაპიროს ამაგრებენ.

კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინფორმაციით, მდინარეების ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩასატარებლად მიმდინარე წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან 7 მილიონამდე თანხა გამოიყო. „ამ თანხით დაგეგმილია მდინარე ალაზნის ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებაც სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონების ტერიტორიაზე. სამუშაოების ჩასატარებლად ტენდერი უკვე გამოცხადდა", — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს გუბერნატორის პირველმა მოადგილე გიორგი სიბაშვილმა.

## ისრაელში კონტრაბანდული გზით შეტანილი ქართული ხატები და ტილოები აღმოაჩინეს

**ისრაელში კონტრაბანდული გზით შეტანილი ფერწერული ნამუშევრებისა და ხატების იდენტიფიცირება დასრულდა. ებრაელი სამართალდამცავების მიერ აღმოჩენილი ტილოები და ხატები ქართველმა დიპლომატებმაც ნახეს და კონტრაბანდული გზით შეტანილი ხელოვნების ნიმუშებში ხუთი ქართული ტილო და ხატიც აღმოაჩინეს.**

როგორც „მედიანიუსს" კულტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა სოფიო ხუნწარიამ განუცხადა, ისრაელში საქართველოს ელჩმა 100 ტილოდან მხოლოდ 20-ის ნახვა მოახერხა. აქედან 3 ხატი და ორი ფერწერული ნამუშევარი ქართული იყო. მათ ქართულ წარმოშობაზე მას შემდეგ დაეჭვდნენ, რაც ხატებზე ასომთავრული და ნუსხური წარწერები აღმოაჩინეს. ხუნწარიას თქმით, მათი იდენტიფიცირებისთვის ტილოების ფოტოასლებს დაამზადებენ და კულტურის სამინისტროს გადმოუგზავნიან.

„საბედნიეროდ, ისრაელში საქართველოს ელჩი კარგი ხელოვნებათმცოდე აღმოჩნდა და მისი ძალისხმევით ძალიან ძვირფას კულტურულ მემკვიდრეობას დავიბრუნებთ.

მხოლოდ ოცი ტილოს ნახვა მოახერხა. თუ დანარჩენი ტილოების ნახვის შესაძლებლობა მიეცა, შესაძლოა, უფრო მეტი ქართული ხატი და ფერწერული ნამუშევრებიც აღმოჩნდეს. ამისათვის საქართველოს საელჩო ისრაელის შსს-თან თანამშრომლობს", — განუცხადა „მედიანიუსს" სოფიო ხუნწარიამ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ვისი დაშოშმინება მოუწევს პატრიარქს 9 აპრილს?

**13 აპრილიდან დიდმარხვის ყველაზე მძიმე კვირა — ვნების შვიდეული იწყება. ეს ქრისტეს ვნების, ჯვარცმის და ხსოვნის კვირაა. ამ დღეებში მარხვაც განსაკუთრებით მძიმეა და ლოცვებიც უფრო ხშირად იკითხება. მაშინ, როცა ყველა მართლმადიდებელი ტაძარში უნდა იყოს, ოპოზიცია მათ აქციაზე ეპატიჟება. მიტინგის დაწყების თარიღად 9 აპრილის შერჩევა შესაძლოა, სწორი პოლიტიკური გათვლა იყო, ვინაიდან ეს თარიღი სიმბოლურად მართლაც ნიშანდობლივია ქართველი საზოგადოებისთვის. გვახსოვს, 7 ნოემბრის აქციის დარბევის შემდეგ ხშირად ავლებდნენ პარალელს 9 აპრილთან. აცხადებდნენ, რომ ხელისუფლებამ 7 ნოემბერს რუსთაველზე 9 აპრილი მოაწყო და ისევე გაუსწორდა ხალხს, როგორც თავის დროზე — როდიონოვი. ახლა თუ ისტორია განმეორდება, სათქმელიც მეტი იქნება. თუმცა, მხოლოდ ამ ავბედითი თარიღის გამო რამდენად მიზანშეწონილი იყო მძიმე მარხვაში ფართომასშტაბიანი აქციების წამოწყება, ეს, ალბათ, საკამათო საკითხია და რამდენიმე მოსაზრებას არსებობის უფლება ნამდვილად აქვს.**



ერთ-ერთ ინტერვიუში, ჟურნალისტის კითხვაზე — რომ ბოლო დროს ხელისუფლება ძალიან დაუახლოვდა ეკლესიას, პატრიარქი ერევა პოლიტიკურ დავებში, პრეზიდენტი კი ეკლესიას პოლიტიკური განცხადებების ტრიბუნად იყენებს — სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა: **„ხელისუფლების მხრიდან მიმდინარეობს სერიოზული მცდელობა ეკლესიის დისკრედიტაციისა, რატომ? — მას აქვს დიდი ძალაუფლება. როცა პატრიარქმა მოუწოდა მოშიმშილეებს, აქცია შეეწყვიტათ, ორი დღის შემდეგ ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა, რომ ეკლესიას უბრუნებდა ქონებას. ჩემთვის ნათელია — ხელისუფლებამ ეკლესიის საწინააღმდეგო სტრატეგია შეიმუშავა. ამიტომ ვფიქრობ, რომ სწორედ ეკლესიას აქვს არჩევნების გასაღები.“** საქართველოში პატრიარქს მართლაც ყველაზე დიდი ძალა აქვს. აქ სადავო, ვფიქრობ, არაფერია, ხოლო ვინ როგორ იყენებს პატრიარქის „გასაღებს“, ამაზე მხოლოდ მსჯელობა შეიძლება.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პროტესტის ყველაზე მძიმე ფორმა შიმშილობა გახდა. 2004 წლიდან დღემდე არა ერთმა ადამიანმა მიმართა ამ ფორმას. გვახსოვს კონსტანტინე გამსახურდიას საკმაოდ ხანგრძლივი შიმშილობა, რომელიც მან პატრიარქის თხოვნით შეწყვიტა; აკადემიკოს გურამ შარაძის შიმშილობა, რომელიც მან ასევე პატრიარქის თხოვნით შეწყვიტა; ქალთა კოლონიაში მოშიმშილე 19 პატიმარი, რომელთაც პატრიარქმა საჩუქრები, სურსათი, ხატები, ლოცვანი და სახელმძღვანელოები გადასცა და შიმშილობის შეწყვეტისკენ მოუწოდა. დაბოლოს, გვახსოვს ოპოზიციის წევრების ყველაზე ფართომასშტაბიანი, 17-დღიანი შიმშილობა 2008 წლის გაზაფხულზე. მაშინ პატრიარქი ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს თანაბრად მოუწოდებდა, დიალოგსა და დათმობებზე წასულიყვნენ, თუმცა დათმობაზე მხოლოდ ოპოზიცია წავიდა. **„გულისტკივილით ვადევნებთ თვალს საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს და ვხედავთ, რომ დაპირისპირება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, რომელმაც უვადო შიმშილობის სახით მწვავე ფორმა მიიღო, ისეთ სტადიაში გადადის, რომ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ეს კი არაქრისტიანული ქმედებაა. ამიტომაც, მამაშვილური სიყვარულით მივმართავ მოშიმშილეთ, შეწყვიტონ პროტესტის ეს ფორმა და დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან. ასევე თხოვნით მივმართავ ხელისუფალთ, რომ საქართველოს მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის გადადგან ისეთი ნაბიჯი, რაც დააცხრობს დაპირისპირებას და მოლაპარაკების განახლებას შესაძლებელს გახდის. ბოლო დროს ხელისუფლების მიერ გაკეთებული განცხადება ნიშნავს, რომ ისინი ეძებენ გამოსავალს შექმნილი სიტუაციიდან, რაც მხოლოდ ყველა მხარის შეთანხმებით შეიძლება განხორციელდეს, ამისკენ კი ყველა უნდა ისწრაფვოდეს. ამასთან, ყველას უნდა ახსოვდეს, რომ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, კომპრომისი და დათმობა ძლიერთა თვისებაა და ეს სულაც არ ნიშნავს სისუსტესა და უკანდახევას. აღვავლენთ ლოცვებს, რათა გაიმარჯვოს სიბრძნემ და კეთილგონიერებამ“,** — ასეთი იყო პატრიარქის მიმართვა მოშიმშილეების მიმართ. შიმშილობის მე-17 დღეს კი უწმინდესი პარლამენტის წინ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ მოშიმშილეებთან მივიდა, ნაკურთხი წყალი საკუთარი ხელით დაალევინა და სეფისკვერები დაურიგა. ამის შემდეგ აქცია შეწყდა. **„ყველაზე ბრძნული სიტყვა არის უწმინდესის სიტყვა, რომელიც შევისმინეთ და შევწყვიტეთ შიმშილობის აქცია. უწმინდესმა სეფისკვერი და ლოცვა-კურთხევა მოგვიტანა,“** — განაცხადა მოშიმშილეთა ერთ-ერთმა თავკაცმა.

როგორ განვითარდება მოვლენები 9 აპრილის შემდეგ, ძნელად პროგნოზირებადია.

### ასევე რთულია იმის თქმა, რომელი მხარე უფრო მეტად ამყარებს იმედებს პატრიარქის ამ მხრივ ჩარევასა და სიტუაციის განმუხტვაზე. თუმცა ამერიკის სახელმწიფო მდივნის მეთიუ ბრაიზას პატრიარქთან მოულოდნელი ვიზიტის

### მიზეზი მისი გამძაფრებული რელიგიურობისთვის ძნელია.

**„თუ კავკასიის პრობლემა გლობალურად განიხილება, უფრო ადვილი იქნება აფხაზეთისა და ცხინვალის გამთლიანების საკითხი“** — ასეთი განცხადება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილესთან მეთიუ ბრაიზასთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა. საქართველოს პატრიარქმა და ბრაიზამ ქვეყნის შიდაპოლიტიკურ პროცესებზე, ხელისუფლებისა და ოპოზიციის ურთიერთობებზე, რუსეთ-საქართველოს ომსა და კონფლიქტის მოგვარების გზებზე ისაუბრეს. **„მეთიუ ბრაიზას ვიზიტი ამ რთულ დროს მეტად მნიშვნელოვანია. ჩვენ საქართველოს შესახებ და მშვიდობიან კავკასიაზე ვისაუბრეთ“, — ბრძანა პატრიარქმა. — პატრიარქთან შეხვედრის სურვილი მეთიუ ბრაიზამ გამოთქვა“,** — ეს საპატრიარქოს განცხადებაა ბრაიზას ვიზიტთან დაკავშირებით, რომელიც, სავარაუდოდ, პრეზიდენტის ინიციატივით ესტუმრა უწმინდესს. რადგან სააკაშვილმა ყველაზე კარგად უწყის, რომ ამ ქვეყანაში, მიუხედავად ათასგვარი ხერხისა ხელისუფლების მხრიდან, პატრიარქს გადამწყვეტი სიტყვა ეთქმის, მთავარი ერთია —

### ვის მიმართავს პატრიარქი; მათ, ვინც მძიმე მარხვაში ხალხი აქციაზე მოიხმო, თუ მათ, ვინც მძიმე მარხვაში პროტესტის ჩახშობას გადაწყვეტს?

**მანანა ჭელიძე**

# სვანებმა გლობალიზაციის მარწუხებისაგან ქართული სულის დახსნა განიზრახეს

**რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ორგანიზაციათა ნუსხას კიდევ ერთი სუბიექტი შეემატა. 2008 წლის 23 ნოემბერს, „ვარდების რევოლუციის“ ხუთი წლისთავზე დაფუძნდა კულტურული საზოგადოება „შუმერი“, რომლის სულისჩამდგმელები და შექმნის ინიციატორები საქართველოს სვანი ინტელიგენცია გახლავთ. მართალია, „შუმერი“ არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია, მაგრამ მისი წევრები აქტიურად მონაწილეობენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში, ხშირად მართავენ შეხვედრებს და ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობენ.**



ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა გასულ კვირას ჭადრაკის სასახლეში გაიმართა, რომლის დასრულების შემდეგაც ორგანიზაციის მიზნებისა და პრიორიტეტების თაობაზე კომენტარისთვის მის დამფუძნებელს ჯოყოლა ჩეგიანს და კიდევ რამდენიმე წევრს მივმართეთ.

**ჯოყოლა ჩეგიანი:** „ჩვენ არა ვართ ევროპული და ზოგადად დასავლური ღირებულებების წინააღმდეგი, მაგრამ ჩვენი წეს-ჩვეულებები, ტრადიციები და თვითმყოფადობა დავიწყებას მიეცა. გვინდა, ეს ყველაფერი წინ წამოვწიოთ და გადაგვარების გზაზე დამდგარი ეროვნული ფასეულობები კვლავ ავაღორძინოთ.

ამას გარდა, არის უამრავი ცხოვრებისეული პრობლემა — დაიცალა მთა, ვართ ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე, ნადგურდება ფლორა და ფაუნა და ა.შ. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს ძალიან საინტერესო პროექტები, მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, თავზე დაგვემხო საქართველო და მათი განხორციელების საშუალება რეალურად აღარ არის...

ჩვენი ორგანიზაცია არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან არ თანამშრომლობს, თუმცა შეკრებებზე ხშირად ვიწვევთ ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლებს. ჩვენ მხოლოდ იქ დავდგებით, სადაც ქართველი ხალხი იქნება“.

**ერეკლე სალიანი:** „საზოგადოება „შუმერის“ უმთავრესი მიზანია ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მოვლა და შენარჩუნება. მსოფლიო გლობალიზაციის ეპოქაში ქართულმა სულმა და ღირებულებებმა არ უნდა დაკარგოს თავისი თვითმყოფადობა, რის საფრთხეც დღეს საკმაოდ დიდია.

თავის მხრივ, გლობალიზაცია ცოტა სხვაგვარად უნდა გვესმოდეს. უპირველესად, იგი უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა კულტურის დაახლოებას, სულიერ ნათესაობას, მაგრამ, როცა მათი ურთიერთშერწყმის შედეგად იღებ ერთგვარ აჯაფსანდალს, ეს საშინელებაა. ამის თვალსაჩინო მაგალითი არსებობს ისტორიაში, როცა ლათინურ ენაზე ამეტყველდა თითქმის ნახევარი მსოფლიო. რა შედეგი მოუტანა ამან კაცობრიობას, ყველას კარგად მოგვეხსენება. ამიტომ ჩვენ, ქართველებმა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ არ აღმოვჩნდეთ ამ ფსევდოგლობალიზაციის მსხვერპლი“.

**სოსო ჯაჭვლიანი:** „საზოგადოების წევრები მაშინ ვიკრიბებით ხოლმე, როცა ქვეყანაში რამე განსაკუთრებული ხდება. დღეს განსაკუთრებული ისაა, რომ ქვეყანა თავზე გვექცევა და არც მშველელი გვყავს ვინმე, თუ ისევ ჩვენ არ ვუშველეთ ჩვენს თავს. სწორედ ამისთვის შევიკრიბეთ და ვცდილობთ რამე გამოსავლის პოვნას. საქართველო დიდ განსაცდელშია და თუ ქართველმა ქართველს არ მოუსმინა, წასულია ჩვენი საქმე“.

**ჯაბა ჟვანია**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სქემა, რომლითაც „ნაციონალური მოძრაობა“ გზების მშენებლობაზე ფულს ათეთრებს

**ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტის, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის მოწყობა სახელმწიფო ბიუჯეტს მილიონობით ლარი უჯდება. ნატახტარი-აღაიანის თექვსმეტკილომეტრიანი ზოლის მშენებლობის სამართლებრივი და ფინანსური ანალიზისას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ უამრავი დარღვევა აღმოაჩინა. „წარმოდგენილმა ანგარიშმა ცხადყო, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში კვლავაც მწვავედ დგას მიკერძოებულობის, არათანაბარი მიდგომის, კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფის პრობლემები და კორუფციის საკითხები“, — ნათქვამია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მომზადებულ დასკვნაში. მარტივად რომ ვთქვათ, ეს ანგარიში ნათლად ასახავს, როგორ ათეთრებს ნაციონალური მოძრაობა ფულს და რამდენის გადახდაა საჭირო ნაციონალების პარტიულ ყულაბაში მილიონიანი ტენდერის მოსაგებად.**



საავტომობილო გზების აღდგენა, განსაკუთრებით მაგისტრალების მშენებლობა პრეზიდენტს რომ პრიორიტეტულად მიაჩნია და ამისთვის მილიონებს არ იშურებს, ახალი არავისთვისაა და ამ იდეას მოწინააღმდეგეები, ალბათ, ცოტა თუ ჰყავს, მაგრამ რამდენად მიზნობრივად იხარჯება აღნიშნული მილიონები და როგორ არჩევენ კომპანიებს სამუშაოების შესასრულებლად, ეს ცალკე საკითხია. ახლახან პრეზიდენტმა საგზაო დეპარტამენტის უფროსი რომან დალაქიშვილი გაათავისუფლა და მის ადგილას ფინანსური პოლიციის თანამშრომელი (მოგვიანებით გურიის გუბერნატორი) რამაზ ნიკოლეიშვილი დანიშნა. ვიფიქრებდით, ეს ცვლილება საგზაო დეპარტამენტში კორუფციის აღმოსაფხვრელად განახორციელა-თქო, ჩვენ მიერ მოძიებულ მასალებში საწინააღმდეგო ფაქტები რომ არ აღმოგვეჩინა.

**„საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შპს „ზიმო“-სთან ხელშეკრულება 2006 წლის 20 მარტს გააფორმა. ხელშეკრულების თანახმად, კონტრაქტორ კომპანიას 2006 წლის 31 დეკემბერს უნდა დაესრულებინა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის ნატახტარი-აღაიანის მონაკვეთის პირველი რიგის მშენებლობა. ხელშეკრულების თანხად განისაზღვრა 47 132 575,41 ლარი.“ — ვკითხულობთ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მასალებში. შპს „ზიმო“-მ ვერ მოახერხა სამუშაოების დროულად დასრულება და საგზაო დეპარტამენტმა მას ვადა 2007 წლის ივლისამდე გადაუწია. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადებით, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის ნატახტარი-აღაიანის თექვსმეტკილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა-რეკონტრუქცია 2007 წლის ზაფხულში დასრულდა და იგი 46 319 590 ლარი დაჯდა. რა ნიშნით შეირჩა შპს „ზიმო“, რა დარღვევებით მიმდინარეობდა გამარჯვებული კომპანიის გამოვლენა, ამას კვლავ საიას მასალებიდან გავეცნოთ:. „სატენდერო დოკუმენტაციის დეტალურად გაცნობისას გვრჩება შთაბეჭდილება, რომ საავტომობილო გზების დეპარტმენტს, როგორც შემსყიდველ ორგანიზაციას, დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა ტენდერში გამარჯვება შპს „ზიმო“-სთვის მიენიჭებინა“, —** აცხადებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და დეტალურად მოგვითხრობს, კონკრეტულად რაში გამოიხატა აღნიშნული მიკერძოება: **„ექსპერტთა დასკვნებსა და კომისიის სხდომის ოქმებში ერთი და იგივე ხარვეზები სხვადასხვა პრეტენდენტთან მიმართებაში სრულიად განსხვავებულად ფასდებოდა. მაგალითად: „მისაწოდებელი ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების სრული აღწერილობის „წარუდგენლობა შპს „ბლექ სი გრუპის“, შპს „ონური ტაჰუტ თაშიმალიჯიქ“-ისა და შპს „გზამშენი-4“-ის შემთხვევაში „მნიშვნელოვან ხარვეზად“ დაკვალიფიცირდა, თუმცა, იქვე, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ტენდერში მონაწილეობაში ეს გარემოება ხელს არ შეუშლიდა პრეტენდენტ ფირმებს. იგივე დოკუმენტის წარმოუდგენლობა შპს „ზიმო“-ს შემთხვევაში ხარვეზად არ იქნა მიჩნეული. ექსპერტებმა დასკვნაში აღნიშნეს „... არ აქვს წარმოდგენილი მხოლოდ ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების აღწერილობა. შპს „ზიმო“ უპრობლემოდ იქნა დაშვებული ტენდერში მონაწილეობის მისაღებად“. „ტენდერიც მოულოდნელი შედეგით დაგვირგვინდა, კერძოდ, ტენდერში გამარჯვებული აღმოჩნდა არა ის წინადადებები, რომლებსაც კომისიის წევრებმა მიანიჭეს უპირატესობა (I ლოტზე შპს „გზამშენი-4“-ის ალტერნატიული წინადადება, II და III ლოტებზე შპს „ზიმო“-ს ძირითადი წინადადება), არამედ წინადადება, რომელიც კომისიის წევრთა შეფასების ცხრილში თითქმის ბოლო ადგილზე იმყოფებოდა, ანუ შპს „ზიმო“-ს ალტერნატიული წინადადება, რაც გულისხმობდა მთელ 16 კილომეტრიან მონაკვეთზე ასფალტის საფარის ნაცვლად ცემენტობეტონის საფარის მოწყობას.“ საია ტენდერის მიმდინარეობისას კიდევ ერთ მნიშვნელოვან კანონდარღვევაზე მიუთითებს. ტენდერის მეორე ეტაპზე, მას შემდეგ, რაც პრეტენდენტი კომპანიები დამტკიცდება, კანონით აკრძალულია მათთან ყოველგვარი მოლაპარაკება, თუმცა ტენდერის შედეგები რომ მონაწილე კომპანიებისთვის წინასწარ იყო ცნობილი, ნათლად იკვეთება შპს „გზამშენი-4“-ის მიერ სატენდერო კომისიისთვის მიწერილ წერილებში. „ამრიგად, სატენდერო კომისია გასცდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებს და მოლაპარაკებებს პრეტენდენტებთან აწარმოებდა ტენდერის ყველა სტადიაზე კანონის მოთხოვნათა დარღვევით“,** — აცხადებს საია. ეს ყველაფერი მხოლოდ იმ ჩინოვნიკების კერძო ინტერესებს მიეწერებოდა, რომლებითაც სატენდერო კომისია იყო დაკომპლექტებული. ამ ყველაფრის გასაღებს საიამ ამავე ასოციაციის ანტიკორუფციულ მონაცემთა ბაზაში მიაგნო. **2006 წლის 9 აგვისტოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის შპს „ზიმო“-მ პოლიტიკურ გაერთიანება ნაციონალურ მოძრაობას 200 000 ლარი შესწირა, მისმა კონტრაქტორმა შპს „კავკასუს როუდ პროჯექტმა“ კი დამატებით 100 000 ლარი გადარიცხა ზემოაღნიშნული პარტიის ანგარიშზე.** ასევე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შპს „ზიმო“-მ 2007 წლის 21 ნოემბერს პოლიტიკურ გაერთიანებას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დამატებით კიდევ 100 000 ლარი ჩაურიცხა“.

**ვფიქრობთ, კომენტარიც ზედმეტია, თუ რატომ არ დაიშურეს ძალისხმევა კომისიის წევრებმა შპს „ზიმო“-ს გასამარჯვებლად. ეს განმსაზღვრელი ფაქტორი მით უფრო აშკარა ხდება, თუ იგივე საგზაო მონაკვეთზე II რიგის მშენებლობისას გამოცხადებულ ტენდერს მივადევნებთ თვალს. მას შემდეგ, რაც შპს „ზიმო“-მ ნაცმოძრაობას 400 000 ლარი უბოძა, სატენდერო კომისია „მოიხიბლა“ მისი წინადადებით, რომელიც ცემენტობეტონის გზის მშენებლობას ითვალისწინებდა.**

საიას განცხადებით: **„კომისიამ ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ ამგვარი ტექნოლოგიით მშენებლობის არანაირი გამოცდილება ამ კომპანიას არ გააჩნდა და ავტომაგისტრალი მისი პირველი ექსპერიმენტი იქნებოდა. სატენდერო კომისიამ I რიგის სამუშაოს შესყიდვისას შპს „ზიმო“-სთან მიმართებით დაადგინა, რომ აღნიშნულ კომპანიას „ნამდვილად შესწევს უნარი, შეასრულოს ასეთი მნიშვნელოვანი კონტრაქტი მეტად შემჭიდროვებულ ვადებში, რაც მას განვლილი გამოცდილების ანალიზის გათვალისწინებით უკვე საქმით აქვს დადასტურებული“. ხოლო ერთი წლის შემდეგ, შპს „ზიმო“-მ იგივე ტიპის სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერში იმის გამო ვერ გაიმარჯვა, რომ, სატენდერო კომისიის მოსაზრებით, მას „საკმარისი გამოცდილება არ გააჩნდა“.** ამჯერად ტენდერში სხვა კომპანიამ გაიმარჯვა და 31.992.446,77 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გაფორმდა.

**რას იზამ. მას შემდეგ საქართველოში ბევრი არჩევნები იყო, და, როგორც ჩანს, სხვა კომპანიებმა „ზიმო“-ზე დიდი რაოდენობის თანხები შესწირეს ნაციონალურ მოძრაობას. აღსანიშნავია, რომ კონტრაქტორს მშენებლობა 2007 წლის 31 დეკემბერს უნდა დაესრულებინა, თუმცა აღნიშნული სამუშაოები 2009 წელს კვლავ დაუსრულებელი იყო. შეფასება, რამდენად მიზნობრივად და სამართლიანად გაიხარჯა 30 124 100 ლარი თექვსმეტკილომეტრიან მონაკვეთზე, თქვენთვის მოგვინდვია.**

**მანანა ჭელიძე**



ლოტებზე და შპს „გზამშენი-4“-ის ალტერნატიულ წინადადებას, თუმცა ტექნოლოგიის გათვალისწინებით კომისიის წევრები უპირატესობას ანიჭებენ შპს „ზიმოს“ ალტერნატიულ წინადადებას ცემენტობეტონის საფარის მოწყობის სახით.

სატენდერო კომისიამ მსჯელობისა და ანალიზის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება:

1. სატენდერო კომისიის სხდომაზე აღნიშნული გარემოებებისა და შესაბამისი არგუმენტირებული მოსაზრებების საფუძველზე სათანადო საბანკო გარანტიების უზრუნველყოფისა და ასევე შპს „გზამშენი-4“-ის წინადადების გათვალისწინებით სამივე ლოტზე გამარჯვებულად გამოცხადდეს შპს „ზიმო“ ალტერნატიული წინადადებით.
2. ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში ჩამოყალიბდეს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის და დროის ფაქტორის მკაცრი დაცვის (გარანტიების) პირობებით, სადაც გათვალისწინებული იქნას ყველა ის გარემოება რაც სატენდერო კომისიის სხდომაზე იქნა აღნიშნული და სატენდერო წინადადებას მოიცავს.
3. დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველომ, იურიდიულ სამმართველოსთან ერთობლივად მოამზადოს სათანადო დოკუმენტები ხელშეკრულების გასაფორმებლად.

რ. დალაქიშვილი
ი. ლითანიშვილი
გ. წერეთელი
თ. გველესიანი
დ. კორახაშვილი
ა. თვალჭრელიძე
ნ. გასყიანი
ჯ. შუბითიძე
შემსრულებელი: ქ. გელაშვილი

## საქართველოდან დიდი რაოდენობით ოქრო გავიდა

**2009 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს საექსპორტო ათეულში სასაქონლო ჯგუფებიდან პირველი ადგილი დაუმუშავებელმა ან ნახევრად დამუშავებულმა ოქრომ დაიკავა.**

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, აღნიშნული სასაქონლო ჯგუფის წილზე იანვარ-თებერვალში ექსპორტის მთლიან მოცულობაში 10,9 პროცენტი, შესაბამისად — 14 900 000 აშშ დოლარი შეადგინა. მეორე ადგილზეა აზოტოვანი სასუქების ექსპორტი, რომლის მოცულობაც საანგარიშო პერიოდში 14 800 000 დოლარია.

მესამე პოზიციას ფეროშენადნობების სასაქონლო ჯგუფი იკავებს 11 500 000 დოლარით.

რაც შეეხება იმპორტს, იანვარ-თებერვალში უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რომლის წილმა იმპორტში 55 100 000 აშშ დოლარი და, შესაბამისად, 9,8 პროცენტი შეადგინა.

მეორე ადგილზეა ნავთობის აირებისა და აირისებრი ნახშირწყალბადების სასაქონლო ჯგუფი 42 800 000 დოლარით, მესამეზე კი — სამკურნალო საშუალებების ჯგუფი 22 700 000 დოლარით.

2009 წლის იანვარ-თებერვალში ექსპორტის მაჩვენებელმა 136 800 000, ხოლო იმპორტისა — 564 900 000 დოლარი შეადგინა.

## ფრანგულმა კომპანიამ თბილისში სასტუმროს აშენება გადადო

**საინვესტიციო კომპანია „აღმოსავლეთის კაპიტალმა“ და ფრანგულმა კომპანია „აკორმა“ თბილისში სასტუმროს აშენება გაურკვეველი ვადით გადადეს.**

„აღმოსავლეთის კაპიტალის“ ოფიციალური ინფორმაციით, პროექტის განხორციელების შესაძლებლობას პარტნიორები მიმდინარე წლის ივნისში განიხილავენ, თუმცა ყველაფერი მაინც ფინანსური კრიზისის მასშტაბებზეა დამოკიდებული. „აღმოსავლეთის კაპიტალი“ და „აკორი“ ოთხვარსკვლავიანი სასტუმროს აშენებას, რომელშიც 200 ნომერი იქნებოდა განთავსებული, 2011 წლისთვის გეგმავდნენ. პროექტის ღირებულება 30 მილიონი დოლარი იყო.

## „BMW“-მ ახალი მოდელი ქალებს მიუძღვნა

**ავტოკონცერნმა „BMW“-მ „ზეტ 4“-ის ახალი მოდელი ქალებს მიუძღვნა.**

აღსანიშნავია, რომ 2004-2008 წლებში „BMW“-მ 200 ათასი „ზეტ 4“ გაყიდა. მყიდველთა 80-90 პროცენტი მამაკაცები იყვნენ.

თუმცა „ზეტ 4“-ის ახალი ვერსია უფრო „ქალურია“. მან შედარებით მომრგვალებული და არააგრესიული ფორმები მიიღო.

ავტოკონცერნი „BMW“ იმედოვნებს, რომ მანდილოსნები ამ მოდელს დააფასებენ.

„ზეტ 4“-ის ახალი ვერსია სარეალიზაციოდ 2009 წლის ზაფხულში გამოჩნდება.

1 - 7 აპრილი, 2009 წელი. №7
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ნინო ბურჯანაძე დამთავრდა...

**ქართული პოლიტიკა კეთილშობილ ქალთა სასწავლებელი არ არის და ბანტიანი გოგონებიც სხვაგან უნდა ვეძებოთ. პოლიტიკური პროცესები ხანდახან ისეთ უმართავ სახეს იღებს, რომ სამყაროს აღსასრულის დასაწყისად მოგვეჩვენება, მაგრამ თუ ყურადღებით დავაკვირდებით, ნათლად დავინახავთ, რომ ეს კინო უკვე ვნახეთ. ბოლო ოცი წლის მანძილზე საქართველო მუდმივი დეჟა ვიუს განცდით ცხოვრობს და ბორბალში მომწყვდეული ციყვის თავგანწირვით მხტუნავი პოლიტიკოსების ენერგიულობა აღარ გვაოცებს. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა. ამასაც შევეჩვიეთ, სამწუხაროდ.**



9 აპრილის მოახლოებამ და საქართველოსთვის ამ უმნიშვნელოვანესი თარიღის აღნიშვნის პოლიტიკურმა ინსინუაციებმა ერთიანად მოიცვა ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. ოპოზიცია იქადნება, — „ბიჭები ვართ და მოვდივართ, ბიჭები ხართ და დაგვხვდითო“. **ხელისუფლება იცინის, თან ოპოზიციას ისეთ ალიყურებს უთავაზებს, ეს უკანასკნელნი ერთმანეთს ეკითხებიან, — მარცხნიდან შეგაქანა თუ მარჯვნიდანო. სინამდვილეში მახვილი ზემოთ ჰკიდია და ქართული პოლიტიკის დამოკლეც და პროკრუსტეც მიხეილია. ამიტომაც მიხეილის მახვილი, სანამ ჯერ კიდევ ფხიანია, დაუნდობლად მუსრავს ყველას, ვინც რეალურ საფრთხეს უქმნის მის ძალაუფლებას.**

მიხეილ სააკაშვილისთვის ბურჯანაძე არასოდეს ყოფილა თანასწორი მეტოქე. ისიც და ზურაბ ჟვანიაც ნინა ანზოროვნას ყოველთვის ფარად იყენებდნენ. დასჭირდა ჟვანიას 2001 წელს და ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარე გახდა. გასპიკერებული ბურჯანაძე კომპლექსების ტყვეობაში აღმოჩნდა და ჟვანიაზე შურს იმით იძიებდა, რომ მას მისაღებში აცდევინებდა ხოლმე. სწორედ ამიტომ დაიმსახურა ჟვანიასგან მეტსახელი „ქუთაისელი კეკელა“.

ჟვანიას მუდმივად მოკლე ჯაჭვზე ჰყავდა ბურჯანაძე. მის პროვინციელ გამოხტომებსაც მოთმინებით იტანდა, რადგან კარგად იცოდა, რომ ამ „კეკელკას“ გამოყენება ახლაც შეიძლებოდა და მომავალშიც მოახერხებდა.

### ანზოროვნას მოსათაფლავად „მცირედი“ კმაროდა — ცოტა შექება, დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრთან, ლეგენდარულ მარგარეტ ტეტჩერთან ხშირ-ხშირად შედარება და ოჯახის,

### შესაბამისად კი, ბიზნესინტერესების ხელშეუხებლობა...

ბურჯანაძის ეს სისუსტეები კარგად იცოდა შევარდნაძემაც. ჟვანია და შევარდნაძე (როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა) კარგად ერთობოდნენ ამ სათამაშოთი. საერთოდ, ამ ორი პოლიტიკოსის მთავარი გასართობი პოლიტიკაში ადამიანების წარმოჩენა და შემდეგ ხელის ერთი მოსმით შეწირვა იყო. მაგრამ ეს სხვა წერილის თემაა. დავუბრუნდეთ ბურჯანაძეს.

**ჟვანიას „ქუთაისელი კეკელა“ 2003 წელს კიდევ ერთხელ დასჭირდა. პოლიტიკური ობსაიდის საფრთხის წინაშე მდგარმა ჟვანიამ და „დემოკრატებმა“, ნულოვანი რეიტინგის გამო, ბურჯანაძის კალთას შეაფარეს თავი და „ბურჯანაძე-დემოკრატებად“ გადაკვალიფიცირდნენ.**

### იმ ზაფხულს ჟვანიამ ბურჯანაძის მორიგი, შეიძლება ითქვას, უაზრო კაპრიზიც კი დააკმაყოფილა და ანზოროვნა თამარ მეფეს შეადარა. ბურჯანაძემ შეიფერა, ხალხმა კი ბევრი იცინა.

2003 წლის პარლამენტის არჩევნებზე ბურჯანაძეც და მისი ამალაც უმანდატოდ დარჩა, შევარდნაძემ და ჟვანიამ კი ახალი თამაში წამოიწყეს. სააკაშვილი და მისი „ნაცმოძრაობა“ პირველ ადგილს ითხოვდნენ, „მოქკავშირი“ არ თმობდა, აბაშიძე და მისი „აღორძინება“ მეორე ადგილისთვის თავს იკლავდნენ. აი, ჟვანია და ბურჯანაძე კი ქუჩის პოლიტიკისთვის გაიწირნენ. აშშ-ის მაშინდელი ელჩი რიჩარდ მაილსი შევარდნაძისგან კატეგორიულად ითხოვდა ჟვანიას გუნდისთვის დაუმსახურებელი ხმების მიწერას და სააკაშვილის პირობას — საარჩევნო ოქმს ხელს მოვაწერ, თუ ჟვანიას პროცენტებს არ წაუმატებთო — ყურადღებას აღარავინ აქცევდა.

**ჟვანიამ ოსტატურად ისარგებლა შექმნილი ვითარებით და თავისი და ბურჯანაძის ოჯახის ნალოლიავებ ინტელიგენციას და აქტიურ მომხრეებს ფილარმონიაში თავი მოუყარა. შემდეგ რამდენიმე ათასი კაცი ფილარმონიიდან დაძრა და დედაქალაქის საკრებულოს შენობას მიაყენა. ამით სააკაშვილი აიძულა, ხელისუფლებასთან სეპარატული მოლაპარაკებები შეეწყვიტა და „დემოკრატიისა და არჩევნების თავისუფლებისთვის დამცველთა“ გვერდით დამდგარიყო. სააკაშვილი აივანზე გადმოდგა.**

დაიწყო პოლიტიკური თამაში. როლები განაწილებული იყო და ბურჯანაძეც ზუსტად ასრულებდა რეჟისორის ასისტენტის — ჟვანიას მითითებებს. ორი კვირის მანძილზე პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტში ათენ-აღამებდა და 22 ნოემბერს აშკარად დაბნეულმა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად გამოაცხადა თავი.

**ხალხმა ყიჟინა დასცა, პოლიტიკოსებიდან ზოგი თავში ხელს იცემდა, ზოგიც ტაშისკვრით ხელებს იტყავებდა. ცოტამ თუ მიაქცია ყურადღება სახლში მიმავალი შევარდნაძის სიტყვებს: ერთი პრეზიდენტი იქნება, მეორე — პარლამენტის თავმჯდომარე და მესამე — პრემიერ-მინისტრიო. ვინც გაიგო, — ნეტა ამას ვინლა ეკითხებაო. თურმე, ეკითხებოდა. აკი ყველაფერი ასე მოხდა კიდეც.**

მოკლედ, ბურჯანაძემ ძველი, უკვე დათხოვნილი პარლამენტი შეკრიბა (კაი დედისშვილები იყვნენ, წინააღმდეგობა გაეწიათ!), სახელმწიფო გადატრიალებაც „გააპრავა“ და ჟვანიას აქტიური მონაწილეობით კონსტიტუციის დედასაც ცხარე ცრემლი ადინა. „ამ საკითხზე ყბედობას აღარ ვაპირებთ“, — ჟვანიას პირდაპირ ტელეეთერში გაკეთებულ ამ განცხადებას ეკა ხოფერიას „ღამის კურიერის“ და ინგა გრიგოლიას „ღამის მზერას“ დახურვა მოჰყვა.

**კონსტიტუცია შეიცვალა ბურჯანაძის აქტიური მონაწილეობით, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მას რამეს ეკითხებოდნენ. პრეზიდენტისთვის უფლებების მონარქის უფლებებამდე გაზრდით პარლამენტის უფლებები კატასტროფულად შემცირდა. მაგრამ ნინოსთვის მთავარი იყო, მის ოჯახს არავინ შეჰხებოდა. არც არავინ ეხებოდა ანზოროვნას და მის ოჯახს. სხვას რომ თავი დავანებოთ, ის ხომ რევოლუციის დედა იყო! ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონა... ეგონა!..**

სინამდვილეში კი მთელი ძალაუფლება სააკაშვილმა და ჟვანიამ გაიყვეს. არა მარტო ძალაუფლება, — საქართველოც! ბურჯანაძეს კი... ბურჯანაძისთვის მთავარი იყო, მის ოჯახს არავინ შეჰხებოდა. არც ეხებოდნენ. თუმცა, არც არაფერს ეკითხებოდნენ ქვეყნის მეორე პირს. 2004 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ სიების შედგენისას ბურჯანაძისა და ჟვანიას დაპირისპირებამ, უპირველესად, ხელისუფლების შიგნით გააოცა ხალხი, მაგრამ სააკაშვილს იმ ეტაპზე ხელს არ აძლევდა ამ ფაქტის აფიშირება და თითქმის ყველას ამბიცია დაკმაყოფილდა. **აქ გამოჩნდა პირველად ბურჯანაძის პოლიტიკური „მე“. წლისთავზე რევოლუციამ პირველი მსხვერპლი მოითხოვა და ჟვანია გადასანსლა. ბურჯანაძემ მეორედ გამოაჩინა საკუთარი „მე“ და ნოღაიდელის პრემიერ-მინისტრად დანიშვნას წინააღმდეგობა გაუწია. მაგრამ შემდეგ უცებ მიყუჩდა. მიზეზი სულ მალე გაცხადდა — პრემიერმა ნოღაიდელმა პირველივე ბრძანებით 27-მილიონიანი ვალი ჩამოაწერა, აბა, თუ გამოიცნობთ ვის? დიახ, — ანზორ ბურჯანაძეს!** ახლა უკვე შეეძლოთ კონტროლის პალატის რევიზორებს, ტომებად აკინძული რევიზიის დასკვნები არქივისთვის გადაეცათ.

**შევარდნაძის მახვილი, რომელიც სააკაშვილმა ლანგრით გადაიბარა ბურჯანაძეების თავზე კიდევ რამდენიმე წლის მანძილზე ეკიდა („დავიჭირო მამაშენი?..“ „დავიჭირო მამაშენი?..“), მაგრამ ნინომ ნოღაიდელს ჩამოახსნევინა და შორს მოისროლა. მისი მთავარი მოთხოვნა ოჯახის ხელშეუხებლობის შესახებ დაკმაყოფილებული იყო და ნინომაც ამოისუნთქა.**

მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა სააკაშვილის დამოკიდებულებაში ბურჯანაძისადმი. მიხეილისთვის ნინო არასოდეს ყოფილა ანგარიშგასაწევი ფიგურა. უფრო სწორად, საერთოდ ფიგურადაც არ აღიქვამდა. **ნინო მაინც თავისას ცდილობდა და ასე დადგა 2008 წელი. მთელი ამ დროის მანძილზე ბურჯანაძე იყო ყველა იმ კარგი თუ ცუდი საქმის აქტიური მონაწილე და მხარდამჭერი, რასაც ეს ხელისუფლება სჩადიოდა. არავის ახსოვს მისი პროტესტი ძალადობაზე, საკუთრების წართმევაზე, ტელედაჭერებზე, მკვლელობებზე... ბურჯანაძე მაშინაც გაყუჩდა, 2007 წლის 7 ნოემბერს ხალხს დასაკლავად რომ დასდევდნენ სააკაშვილის ბანდები და მისი იძულებითი გადადგომის შემდეგ მშვენივრად მოირგო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის სავარძელი უკვე მეორედ. ერთხელაც არ დაუგმია ძალადობის ეს უმაღლესი გამოვლინება, სანამ თვითონ სააკაშვილმა არ განაცხადა ფარისევლურად, — ყველა ხელკეტი მე მომხვდაო.**

როგორც კი საპარლამენტო სიაში მისთვის სასურველი ყველა ადამიანის ჩასმაზე უარი უთხრეს და ვინც უკვე ჩასმული ჰყავდა, ისინიც ამოუყარეს, **ბურჯანაძემ ქოში უკუღმა ჰყარა, — საერთოდ წავალ პოლიტიკიდანო. ასეც მოიქცა. მაგრამ თავდაპირველად ხელისუფლების (ანუ თავის!) დანაშაულებებზე კრინტიც არ დაუძრავს...**

### დუმილი ბურჯანაძეს სააკაშვილმა მეფურად დაუფასა და წყნეთის აგარაკი თავისი „აქსესუარებით“, ანუ რამდენიმე მილიონი ლარის ღირებულების ქონება 1 ლარად უფეშქაშა!

ნინო ბურჯანაძე რომ დიდ პოლიტიკაში შემთხვევით მოხვდა, ეს ყველაზე კარგად ედუარდ შევარდნაძემ იცის და ამ ორიოდ თვის წინათ განაცხადა კიდეც, — ბურჯანაძე, როგორც პოლიტიკოსი, დამთავრდაო. ძნელი სათქმელია, რა იგულისხმა ყოფილმა პრეზიდენტმა — ბურჯანაძის მოღვაწეობის რამდენიმე წარუმატებელი წელი, მის მიერ ორგზის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება თუ გენეტიკური მიდრეკილება ზიზილ-პიპილოებისკენ... მაგრამ ერთი რამ ცხადია — შევარდნაძეს მახვილი თვალი აქვს და, თანაც, ასაკის მიუხედავად, სათვალეს დღემდე არ ხმარობს.

„ვანო ფიქჩერსის“ მიერ მომზადებული სერიალების შესახებ ამ წერილში არაფერს ვიტყვი. ეს ის თემაა, რომელზეც მხოლოდ ირონიულად შეიძლება წერაც და საუბარიც. მაგრამ თვით ბურჯანაძის გახალხოსნება და „უცნობის“ საკანში მისი მეუღლის — ბადრი ბიწაძის საუბრის ძველბიჭური მანერა გვაფიქრებინებს, რომ ეს ხალხი ყველაფერზე წამსვლელია საკუთარი უსაფრთხოებისა და ქონების დასაცავად.

**ესეც, ალბათ, ხალხზე ზრუნვის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა — ეს ქონება ბურჯანაძეებმა და ბიწაძემ ხომ თავის დროზე სწორედ ხალხს ამოაცალეს ჯიბიდან და შემდეგ თვალ-მარგალიტად აქციეს. ბურჯანაძეებს „აქვთ საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები“, მაგრამ ადრე თუ გვიან ამ ქვეყანაში ის დროც დადგება, როცა კიდეც აუწონიან, კიდეც შეაფასებენ და კიდეც...**

**ბონდო მძინარაშვილი**

# კამერული მუსიკა ოპერაში



**2 აპრილს, 19 საათზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წითელ დარბაზში კამერული მუსიკის კონცერტი გაიმართება. სოლისტის ამპლუაში წარსდგება ცნობილი ახალგაზრდა მუსიკოსი გიორგი ცაგარელი (ალტი). მასთან ერთად კონცერტში მონაწილეობენ პიანისტები ნუცა კასრაძე, ირაკლი ოიკაშვილი და გიორგი აბულაძე.**

კონცერტის პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანი და ორიგინალურია, შესრულდება ნაწარმოებები ალტისა და ფორტეპიანოსთვის — იოჰანეს ბრამსის სონატა №2, ჯორჯ ენესკუს საკონცერტო პიესა, დიმიტრი შოსტაკოვიჩის სონატა (თხზ. 147), იოსებ ბარდანაშვილის „მეტამორფოზები“, ჯემალ ოიკაშვილის „ჩაფიქრება“.

საინტერესო, უჩვეულო პროგრამა და კონცერტში მონაწილე ხელოვანთა მაღალი საშემსრულებლო დონე აუდიტორიისთვის სიამოვნების მინიჭების საწინდარია.

ეწვიეთ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს და ისიამოვნეთ!

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ხელისუფლებამ არასასურველი სუბიექტების დაშინების მეთოდები დახვეწა

## ბადრი ბიწაძის მამა ნაცმოძრაობისათვის ხმების არმიცემის გამო ჭიათურაში პედაგოგებს ატერორებდა

**ცხრა აპრილის მოახლოებასთან ერთად ქვეყანაში პანიკა იმატებს, შემშინებლებიც გააქტიურდნენ და შეშინებულებიც. ამიტომ სახალხო დამცველის ოფისშიც განსაკუთრებული ხალხმრავლობაა. მას განცხადებით არა ერთმა ადამიანმა მიმართა, მათ შორის — პოლიტიკოსებმაც; ხელისუფლება 9 აპრილთან დაკავშირებით ზეწოლას ახორციელებსო. შიშის ისტერია პირველად ნინო ბურჯანაძის პარტიას შეეყარა. ბურჯანაძე-ბიწაძის ტანდემი პირველი აყვირდა — შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია სასაზღვრო პოლიციის მოქმედ და ყოფილ თანამშრომლებზე ზეწოლას ახდენს, მიმდინარეობს სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის თანამშრომლების დაბარება გენერალურ ინსპექციაში და მათი თანამდებობებიდან დათხოვნა უწყების ყოფილ ხელმძღვანელთან თანამშრომლობის გამოო. მოგვიანებით ბიწაძე უფრო შორს წავიდა; მერაბიშვილმა შემომითვალა, — პრეზიდენტი შენს დაპატიმრებას ითხოვს და იქნებ ერთი თვით სადმე გაიქცეო. ეს განცხადება წინ უსწრებდა ბურჯანაძის პარტიის წევრების დაკავებას, რომლებიც, ალბათ, მალე „ალაპარაკდებიან“ და ბიწაძის ბრალდებაც — სახელმწიფო გადატრიალების მომზადება — ასე „შეიკვრება“.**



მერაბიშვილს ასეთი გულშემატკივრული ტონი არ აქვს სხვა პარტიების მიმართ, მათ არც გაქცევას ურჩევს და არც პრეზიდენტის სურვილებს აცნობს. ახლახან „ალიანსი საქართველომ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ლაგოდეხის შტაბის ხელმძღვანელზე ზეწოლა ხორციელდება. ლაგოდეხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორს ნუცა პაპავას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაკავებული თანამდებობის დატოვებას აიძულებენ. ლაგოდეხის გამგებელმა გია გოზალიშვილმა რადიო „ჰერეთისთვის“ მიცემულ კომენტარში აღნიშნა, რომ ვინც ხელისუფლების კურსს არ ეთანხმება, თანამდებობას დატოვებდა. პარტია „საქართველოს გზის“ აქტივისტებს შს თანამშრომლებმა 9 აპრილის მიტინგთან დაკავშირებით გამოკითხვის შეწყვეტა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერისტეტის ეზოში შსს-ს თანამშრომლები აქტივისტებს დაპატიმრებით დაემუქრნენ. „საქართველოს გზის“ ახალგაზრდული მოძრაობის თავმჯდომარე მამუკა ბალიაშვილი აცხადებს, რომ მათ აქტივისტებზე ზეწოლამ უკვე სისტემატური ხასიათი მიიღო. მსგავსი მეთოდები კი ვანო მერაბიშვილის „კანტორაში“ მუშავდება. ეს ჩვეული ტაქტიკაა და აღარავის უკვირს — იმუქრება ყველა, ვისაც ძალა ერჩის ან მომავლის იმედი აქვს. ბოლო პერიოდში დაშინების კიდევ ერთი ფაქტი გახმაურდა, თუმცა მისი მომზადება მერაბიშვილის „კანტორას“ არ ბრალდება.

26 მარტს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა ლევან ყუბანეიშვილმა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძემ და ჟურნალისტმა გიორგი მაქარაშვილმა პრესკონფერენცია გამართეს, სადაც განაცხადეს, რომ 2009 წლის 15 მარტს ჟურნალისტზე ზეწოლა და მუქარა განხორციელდა. მაქარაშვილს ვინმე თენგომ, რომელიც ოპოზიციის მიერ 9 აპრილს დაგეგმილი საპროტესტო აქციის ორგანიზატორად წარუდგა, საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორსა და საინფორმაციო სამსახურის უფროსზე კომპრომატების შეგროვება მოსთხოვა. „ამის შემდეგ მე უნდა წამოვსულიყავი „პირველი არხიდან“ და მოპოვებული კომპრომატებით ტელეკომპანია „მაესტროში“, გადაცემაში „საკანი №5“ მივსულიყავი. შემდეგ მოხდებოდა ჩემი, როგორც ერთ-ერთი ახალგაზრდა ოპოზიციური ლიდერის, ჩამოყალიბება და დამევალებოდა ახალგაზრდული ფრთის ორგანიზება 9 აპრილის აქციების დროს. დამპირდა, რომ ამის სანაცვლოდ ოპოზიცია ფინანსურ პრობლემებს მომიგვარებდა და მინისტრის მოადგილის თანამდებობასაც მომცემდა. უარის თქმის შემთხვევაში, ჩემთვის უცნობი ადამიანი ჩემი ფეხმძიმე მეუღლის კიბეებიდან დაგორებით დამემუქრა,“ — განაცხადა მაქარაშვილმა. ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე სასწრაფოდ აღიძრა და უსაფრთხოების მიზნით დაზარალებულს დაცვაც დაენიშნა. მაინც რას ნიშნავს, გამოცდილება რომ არ აქვს ადამიანს, თორემ მუქარამდე ეთხოვათ მაქარაშვილისთვის, იქნებ, ასეთი „მომხიბვლელი“ წინადადება ისედაც მისაღები ყოფილიყო მისთვის?!.

ყველაზე მეტად ჯერჯერობით ბურჯანაძე დაზარალდა. არადა, რას წარმოიდგენდა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის მამამთილი, სახალხო დამცველის დასაცავი ოდესმე მისი ოჯახი და თანაპარტიელები თუ გახდებოდნენ.

### ზუსტად ერთი წლის წინათ სახალხო დამცველს რეზო ბიწაძის შანტაჟისგან უხდებოდა პოლიტიკური ოპონენტების დაცვა.

გთავაზობთ სოზარ სუბარის განცხადებას ამ ფაქტთან დაკავშირებით: **„ჭიათურის რაიონის სოფელ გეჟრულის სკოლის დირექტორი დაიბარა სოფელ სვერის სკოლის დირექტორმა, პარლამენტის თავმჯდომარის მამამთილმა რეზო ბიწაძემ და მოსთხოვა მას 7 მასწავლებლის გათავისუფლება სკოლიდან. ეს 7 ადამიანი არჩევნების დროს იყვნენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, დამკვირვებლები, მათ გამო ნაციონალურმა მოძრაობამ ვერ წამოიღო იმ სოფლიდან ის პროცენტი, რაც ჰქონდა დაგეგმილი. ამ ფაქტთან დაკავშირებით არიან მოწმეები, მათ შორის, ერთი ბუღალტერი, რომელიც მანქანაში იჯდა. ბიწაძეს არ დაუნახავს ბუღალტერი, როდესაც ამ ბუღალტერის მისამართით იგინებოდა და მისი დედის სამსახურიდან გათავისუფლებას ითხოვდა. მათ გარდა ბიწაძემ კიდევ რამდენიმე ადამიანი დაასახელა, რომელთა გვარებიც ასევე ცნობილია. ზეწოლებით აიძულეს გეჟრულის სკოლის დირექტორი, რომ დაეწერა განცხადება. ზეწოლა იყო რესურსცენტრის ხელმძღვანელზეც. როცა ამ დირექტორმა დაწერა განცხადება და გადადგა თანამდებობიდან, ფაქტობრივად, გაიფიცა მთელი სკოლა, მასწავლებლებიც, მოსწავლეებიც არ შედიან კლასში. მე გუშინ ვიყავი ჩასული, შევხვდი და პირობა მომცეს, რომ სამშაბათიდან ისინი გააგრძელებენ ბრძოლას სხვა სამართლებრივი საშუალებებით. ისინი შედიან სკოლაში მხოლოდ იმიტომ, რომ სასწავლო პროცესი არ ჩაიშალოს. სკოლის მასწავლებლები ერთხმად ამბობენ, რომ მათ უნდათ დაუბრუნდეთ ძველი დირექტორი, რომელიც ბევრს აკეთებდა ამ სკოლისთვის. სამეურვეო საბჭომ გააგზავნა წერილი განათლების მინისტრის სახელზე, სადაც საუბარია იმაზე, რომ დირექტორმა თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება საეჭვო ვითარებაში დაწერა. რეზო ბიწაძე სოფელ გეჟრულის სკოლის დირექტორს ემუქრებოდა, რომ თუ ჭკუით არ იქნებით, საერთოდ გავაუქმებ ამ სკოლას და შემოვუერთებ ჩემს სკოლასო. ბუნებრივია, რომ სკოლის დირექტორს ასეთი ძალაუფლება არ აქვს, მაგრამ საოცარი სწორედ ის არის, რომ მას აღმოაჩნდა ასეთი ძალაუფლება. იბარებს მეორე სკოლის დირექტორს, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს რესურსცენტრის ხელმძღვანელს.**

**...მასწავლებლები არ გაათავისუფლეს, დირექტორი სწორედ იმიტომ გადადგა, რომ მე მირჩევნია გადავდგე, ვიდრე ისინი გავათავისუფლოო. ეს უკანონობა ვერ ჩაიდინა და დაწერა განცხადება. თუმცა დღეს აღიარებს, რომ ეს განცხადება დაწერა პოლიტიკური ზეწოლის გამო. ამას აღიარებს სამეურვეო საბჭოც და მთელი პედკოლექტივიც. ამას ადასტურებს სოფლის მოსახლეობაც.“**

**მანანა ჭელიძე**

# ვაშინგტონს ბურჯანაძის ცრემლების არ სჯერა

**აშშ ფიზიკურად არ ჩაერევა სააკაშვილის რეჟიმისა და ოპოზიციის ურთიერთობებში, — განაცხადა რუსეთის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტის პროფესორმა, ფონდ „ნაციონალური პერსპექტივების“ საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარემ ალექსეი კუზმინმა.**

საქართველოს ხელისუფლებამ ნინო ბურჯანაძის პარტიის წევრები იარაღის უკანონოდ შეძენასა და გადატრიალების მომზადებაში დაადანაშაულა.

კუზმინის თქმით, ფალსიფიცირებული პოლიტიკური პროცესები იმდენად სტანდარტული და ჩვეულებრივი ამბავია, განსაკუთრებით გარკვეულწილად ლეგიტიმურობადაკარგული პერსონალისტური რეჟიმებისთვის, რომ აქ საკომენტაროც არსებითად არაფერია. „ცუდად გაკეთებული სიყალბე შორიდანაც თვალშისაცემია,“ — თქვა მან.

საქართველოში საშუალოვადიან პერსპექტივაში მოსალოდნელია საკმაოდ მკაცრი დაპირისპირებები. ამ სიყალბის პუბლიკაციით რეჟიმმა ფაქტობრივად ხელ-ფეხი გაიხსნა, რათა ნებისმიერი ოპოზიციური ძალა ტერორისტულ საქმიანობაში, ანტიკონსტიტუციურ გადატრიალებასა და სხვ. დაადანაშაულოს,“ — თქვა კუზმინმა.

პრობლემა შესაძლოა, შექმნას რეჟიმისთვის ამერიკის მხარდაჭერამ. „სავარაუდოდ, ამ სიტუაციაში რეჟიმი აშშ-ის არსებულ მხარდაჭერასაც დაკარგავს. ისეთი სათუთი დამოკიდებულებები, როგორიც ბუშისა და მაკკეინის რეჟიმთან ჰქონდა, სააკაშვილს აღარ დაესიზმრება,“ — დარწმუნებულია ექსპერტი.

ამასთან, პოლიტოლოგს არ ჰგონია, რომ აშშ ფიზიკურად ჩაერევა საქართველოს შიდა ურთიერთობებში. „ისინი, რასაკვირველია, ტონს გაიმკაცრებენ, თუკი სააკაშვილი ალასანიას ან ბურჯანაძის დაკავებას გადაწყვეტს, მაგრამ ამაზე შორს არ წავლენ. სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები დააპატიმროს. მან პოლიტიკური ოპონენტებიც დახოცა, ასე რომ, დაპატიმრებები ჩვეულებრივი ამბავი იქნება,“ — დაასკვნა კუზმინმა.

# ობამას თრიაქის სიკეთის არ სჯერა

მარიხუანის ლეგალიზაცია ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის შეუფერებელი მეთოდია, — ნახევრად ხუმრობით განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და იქვე აღნიშნა, რომ ეს საკითხი ბევრ ამერიკელს აღელვებს.

რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტმა უპასუხა ინტერნეტით დასმულ 100 000-ზე მეტ შეკითხვას, რომელთაგან უმეტესი უმუშევრობასა და ფინანსურ კრიზისთან ხელისუფლების ბრძოლას ეხებოდა.

„იყო ერთი კითხვა, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა: შეუწყობს თუ არა ხელს მარიხუანის ლეგალიზაცია ეკონომიკის გაჯანსაღებას და სამუშაო ადგილების შექმნას“, — განუცხადა გახალისებულ აუდიტორიას პრეზიდენტმა, რომელმაც წინასაარჩევნოდ აღიარა, რომ ახალგაზრდობაში ნარკოტიკებს გემო გაუსინჯა, — ჩემი პასუხი იყო „არა.“ მგონია, რომ ეს ეკონომიკური აღმავლობისთვის შესაფერისი სტრატეგია არ არის.“

არადა, ამ კითხვის დამსმელი ამერიკელების აზრით, თუ მარიხუანით ვაჭრობაზე სახელმწიფო კონტროლს დააწესებს, საგადასახადო შენატანები მნიშვნელოვნად გაიზრდება.

1 - 7 აპრილი, 2009 წელი. №7
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილის ერთი განცხადების შესახებ



**შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულმა ხმაურიანმა ვიდეომასალამ გააჩინა შეკითხვა — რატომ აირჩია მერაბიშვილის უწყებამ ნომერ პირველ სამიზნედ ნინო ბურჯანაძის მოძრაობა?**
**ამ ლოგიკური შეკითხვიდან გამომდინარე გაჩენილ ეჭვის მარცვალს კიდევ უფრო აღვივებს ბადრი ბიწაძის ერთობ დროული და საეჭვო განცხადება — ვანო მერაბიშვილი დამიკავშირდა და გამაფრთხილა, სააკაშვილი შენს დაპატიმრებას ბრძანებს და იქნებ, ერთი თვით საქართველო დატოვოო.**

შესაძლოა, ამ განცხადებაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი არც არაფერია, მაგრამ, ცოტა არ იყოს, უცნაურია, რომ არცერთმა საინფორმაციო საშუალებამ ბიწაძის ამ განცხადების ქვეტექსტზე ყურადღება არ გაამახვილა. არადა, ჩნდება ლოგიკური კითხვები: რატომ გააფრთხილა ხელისუფლების ბურჯმა მერაბიშვილმა ნაცმოძრაობას კარგა ხნის წინათ გამიჯნული და აწ უკვე გაოპოზიციონერებული ბიწაძე — მიშა შენზე ცოფებს ყრის და თავს უშველეო? თავად ბიწაძეს რაში აწყობდა „ვანიჩქასთან“ სატელეფონო საუბრის გახმაურება და ასეთი მნიშვნელოვანი „ინფორმატორის ჩაშვება“?..

თუ ეს მერაბიშვილის მხრიდან მხოლოდ მეგობრული ჟესტი იყო, გამოდის, რომ ბადრიმ ვანოს სიკეთე „ჩაშვებით“ გადაუხადა (რაც გამორიცხული სულაც არ არის — ხელისუფლება დიდი ხანია, „ჩაშვების ინსტიტუტს“ ამკვიდრებს). თუმცა შეიძლება „ძაღლის თავი“ სულ სხვაგან მარხია...

ამ განცხადებით ან ბადრი ბიწაძეს სურდა პრეზიდენტსა და შინაგან საქმეთა მინისტრს შორის უნდობლობის გაჩენა, ანუ ზედმეტად ეჭვიანი სააკაშვილისათვის ბალღამის ჩაწვეთება — უერთგულესმა მერაბიშვილმაც კი თხასავით გაგყიდაო, ან თავად მერაბიშვილმა გადაწყვიტა, ოპოზიციასთან ყველა ხიდი არ დაეწვა და მიშას დამხობის შემთხვევაში კოზირი ჰქონოდა — ბიწაძე ხომ გავაფრთხილე რომ დაჭერას უპირებდნენო.

ვერსიის პირველი ნაწილი ბიწაძის ვირეშმაკობაზე უფრო მეტყველებს, რადგან ასეთი პრიმიტიული ხერხით მერაბიშვილსა და სააკაშვილს შორის შუღლის ჩამოგდება, მსუბუქად რომ ვთქვათ, გონებასუსტობაა. რაც შეეხება ვერსიის მეორე ნაწილს, ჩნდება მარტივი და ლოგიკური კითხვა — მიშას რეჟიმის დასასრული, ეს იგივე მერაბიშვილის დასასრულიცაა და რაში უნდა აწყობდეს ამ უკანასკნელს ნაცმოძრაობის ბელადის დისკრედიტაცია?..

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, თავად ბიწაძე ამ საკითხზე საუბარს თავს არიდებს. ამ რამდენიმე დღის წინათ მასთან ინტერვიუს ჩასაწერად მისულს ბურჯანაძის პარტიის პრესმდივანმა მითხრა: **ბადრი ოფისში არ გახლავთ, მაგრამ რომც იყოს, ინტერვიუს მაინც არ იძლევაო.** არადა, ხუთი წუთის შემდეგ საკუთარი თვალით ვნახე, როგორ ჩამოირბინა ოფისის კიბეებზე პარტიზანივით და „გაწკიპინებული“ ავტომობილით თვალსა და ხელს შუა გაქრა...

...რადგან პატივცემულმა ბიწაძემ ჩვენთან საუბარი არ ისურვა, კომენტარისთვის ექსპერტ **სოსო ცისკარიშვილს** მივმართეთ:

— ჩემთვის უცნობია ვანო მერაბიშვილისა და მისი ყოფილი მოადგილის ბადრი ბიწაძის პირადი ურთიერთობები. თუმცა არ მაქვს მიზეზი, არ დავიჯერო ბიწაძის განცხადება. მითუმეტეს, როცა მეორე მხრისგან არანაირი უარმყოფელი კომენტარი არ გაკეთებულა.

ვფიქრობ, მერაბიშვილი იმასაც აცნობიერებს, რომ უკანასკნელ ხანებში მისი პირადი პასუხისმგებლობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 9 აპრილს მოვლენები მშვიდობიანი გზით თუ არ განვითარდა, პრაქტიკულად ის იქნება სამიზნე. არის თუ არა ასეთი პასუხისმგებლობისთვის მზად ვანო მერაბიშვილი, ფსიქოლოგების გასარკვევია.

**ერთია, იყო სააკაშვილის დავალებების კარგი შემსრულებელი და სულ სხვაა, აგო პასუხი სააკაშვილის დავალებით გადადგმულ არასწორ ნაბიჯებზე.**

**P.S. ბატონი ცისკარიშვილის არ იყოს, მართლაც ნაკლებად სარწმუნოა, მერაბიშვილსა და სააკაშვილს შორის რაიმე სერიოზული განხეთქილება არსებობდეს, მით უფრო, ისეთი, რის გამოც ვანოს შესაძლოა, ბიწაძესთან შეეკრა პირი... ისე, ნათქვამი კია: „შიში მაჩვენე და გაქცევას განახებო.“ 9 აპრილის მოახლოებასთან ერთად შესაძლოა, ნაცელიტაში თვითგადარჩენის სურვილმა ბელადისადმი ერთგულების პრიმიტიული ინსტინქტი დათრგუნოს...**

**ჯაბა ჟვანია**

# ნინო ანზოროვნას შავ-თეთრი პიარი

**„არ მალაპარაკოთ, თორემ საქმე ძალიან ცუდად იქნებაო“, — განაცხადა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ და ჩვეული, მრავლისმეტყველი ღიმილით გამოხედა კამერებს (კამერების მიღმა კი — თავის, აწ უკვე ყოფილ, „პოზიციონერ“ მეგობრებს)...**
**თუ ვინმეს ჰგონია, რომ ნინო ბურჯანაძემ პარლამენტს გემო მხოლოდ მას შემდეგ გაუსინჯა, რაც ის 1995 წლიდან მამის დახმარებით დეპუტატი გახდა, ძალიან ცდება. ჯერ კიდევ 1992 წლიდან, როდესაც არეული ქვეყნის დასალაგებლად ჩამოსული დიდი დიპლომატი შევარდნაძე ბუმერანგივით დაუბრუნდა საქართველოს, ეკოლოგიის სამინისტროს ექსპერტ-კონსულტანტი ნინო თავისთან, პარლამენტში გადაიყვანა. ეკოლოგიის დიდმა ექსპერტმა ამჯერად პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტად განაგრძო მუშაობა!**

რატომაც არა!.. რა განსხვავებაა საზღვაო სამართალს, ეკოლოგიასა და საგარეო საქმეებს შორის? — არც არანაირი! მითუმეტეს, თუ ანზორ ბურჯანაძის ასული ხარ და ქვეყნის პრეზიდენტი მამაშენის მეგობარია?!...

მოსკოვში მიღებულ განათლებას პლუს მამიკოს ავტორიტეტი საკმაოდ დიდი აქტივი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში გიგანტური ნაბიჯებით დაეწყო მოძრაობა.

**იმაზე საუბარი, თუ რომელი რომელს ეხმარებოდა – ანზორი ნინოს თავისი ფულებით თუ ნინო – ანზორს თავისი გავლენით, საკმაოდ დაგვიანებულია. თუმცა დროული და აუცილებელიცაა იმაზე მსჯელობა, თუ რატომ და როგორ გადაწყვიტა სააკაშვილის თანამედროშემ გუნდის გარეთ თამაში.**

ალბათ, არსებობენ ისეთი გულუბრყვილოები, რომლებიც ნინო ბურჯანაძეში მართლაც ოპოზიციონერს ხედავენ – ვერ ეგუება დინჯი და დარბაისელი ქალბატონი სააკაშვილის მსუბუქ და არასერიოზულ ქმედებებსო!..

**არ დაიჯეროთ! საქართველოს პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს მართლაც რომ ნდომებოდა მიშასგან გამიჯვნა, ამას მაშინ გააკეთებდა, როდესაც ჭეშმარიტი პოლიტიკოსის ალღო უკარნახებდა, ანუ 2007 წლის 7 ნოემბერს, ზუსტად მაშინ, როდესაც მისი გამხეცებული თანაგუნდელები გაზის ბალონებით და ხელკეტებით დასდევდნენ რუსთაველზე შეკრებილ მშვიდობიან მომიტინგეებს.**

ისე, თუ წარმოგიდგენიათ, მაშინ როგორი სკანდალი მოჰყვებოდა პარლამენტის თავმჯდომარის პროტესტს და ნინო ბურჯანაძე რამხელა პოლიტიკური ფიგურა გახდებოდა?!

**საინტერესოა, რა მოხდა ერთი წლის განმავლობაში? რა შეიცვალა და როგორ? რამ განარისხა „რკინის ქალბატონი“ ნინო ბურჯანაძე ისე, რომ გადაწყვიტა, დამოუკიდებლად (!) განეგრძო თამაში?!**



**ეჭვქვეშაა ის გარემოებაც, თითქოს ანზორის მხოლოდშობილი ასულის იდეაფიქსი საქართველოს პრეზიდენტობა ყოფილიყოს. მან უკვე ორჯერ მოასწრო ამ საოცნებო თანამდებობაზე ყოფნა (მერე რა, თუ მხოლოდ 40-40 დღით?) და ეს სრულიად საკმარისი იყო მისი ქალური ამბიციების დასაკმაყოფილებლად.**

როგორც ამბობენ, ქალბატონი ნინოს კვლავ ოპოზიციაში გადასვლა მისი თანაგუნდელების შევიწროვებამ გამოიწვია. არავისთვისაა საიდუმლო ის ფაქტი, რომ თვით „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ კი, ბურჯანაძემ საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი კლანები ჩამოაყალიბა, მერე კი, როგორც ყოველთვის, რაღაც ვერ გაიყვეს და...

...დაიწყო ბურჯანაძეების, ნოღაიდელებისა და მსგავსთა ოპოზიციონერობა!

**ასე მოხდა ამჯერადაც! ნინო ბურჯანაძე მოულოდნელად მოაქციეს თამაშგარე მდგომარეობაში და გამწარებულმა ქალბატონმა თავს გაქცევით უშველა!**

მოდი, გავიხსენოთ, საპარლამენტო არჩევნებში რამდენი ხმა დაკარგა „ნაციონალურმა პარტიამ“ ყოფილი თავმჯდომარის ჩამოშორების შემდეგ; მგონი, — არცერთი!

**დიახ, ნაცმოძრაობას ნინოს დაკარგვით არც არაფერი დაუკარგავს... ბურჯანაძე კი ნაცმოძრაობიდან წამოსვლის შემდეგ პოლიტიკურად გაკოტრდა!**

რატომღაც ბევრს ჰგონია, რომ წარმატებული პოლიტიკოსობისთვის საკმარისი მხოლოდ ფული და ცნობადობაა. ეს ორი არგუმენტი ნამდვილად აუცილებელია, მაგრამ პოლიტიკოსს დროისა და ადამიანების ემოციების შეგრძნება უნდა ჰქონდეს!

ახლოვდება 9 აპრილი და უფრო მეტი აგრესიით გამოდიან არენაზე პოზიციაგამოვლილი ოპოზიციონერები.

**საინტერესოა, რატომ გამოჰყავთ ისინი „წამებულის“ მანტიით შემოსილნი? პიარი — „შავია“ ის თუ „თეთრი“, მაინც პიარია! საიდუმლო ჩანაწერების ჩვენებით და ოჯახის წევრების ვახშმობების საყოველთაო განსჯით ვის წისქვილზე ასხამენ წყალს, აი, ესაა გასარკვევი! ან კადრში გაბრდღვიალებული ბურჯანაძე მხოლოდ რატომ იმუქრება და რატომ არ ალაგებს საზოგადოების წინ იმ კომპრომატებს, რომლებითაც შესაძლებელია, ხელისუფლების სრული დისკრედიტაცია მოხდეს?!**

**საზოგადოება საკმაოდ გონიერია და საკმაოზე მეტად პოლიტიზებული! ჭიქაში დატრიალებული ქარიშხლებით ვეღარავის შეაშინებენ!**

**ირმა ვარსიმაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

### ზურაბ გაგნიძე:

# ირაკლი ოქრუაშვილის სანდოობის კოეფიციენტი უკიდურესად დაბალია



## სამშობლოსა და ერის სიყვარული სულაც არაა ოქრუაშვილის გაოპოზიციონერების მიზეზი

**პოლიტიკურ არენაზე საქართველოს აღორძინებისთვის საზოგადოების მასობრივი დარაზმვა თვალშისაცემად იკვეთება, თუმცა საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მზად მაორგანიზებელი ძალის მაღალი ფუნქციის ხელში ასაღებად. ყოველივე ამის გამო, დიდია მოთხოვნა ნაციონალური კოლორიტის, ეროვნული ტემპერამენტის, უსამართლოდ ხელყოფილი ყველას და ყველაფრის მოსარჩლე წინამძღოლზე. ლიდერობის მსურველი ბევრია, მაგრამ გახდე მრავალმილიონიანი აუდიტორიის რჩეული, რთულია, თანაც როცა ამას ემატება ხალხის გულგატეხილობა.**
**როგორ განვსაზღვროთ ამა თუ იმ ლიდერის სულიერი სიჯანსაღე, ანუ მისი ფსიქიკა, ამ საკითხზე გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**

**— ბატონო ზურაბ, ხალხს არ ჰყავს მკვეთრად გამოკვეთილი ლიდერი. მათი არჩევანი რამდენიმე პოლიტიკურ ფიგურაზეა ორიენტირებული. რას გვეტყვით ირაკლი ოქრუაშვილის შესახებ, მის ტემპერამენტსა და სულიერ უნარებზე?**

— ირაკლი ოქრუაშვილი ქოლერიკული ტემპერამენტის მატარებელია. ურთიერთსაპირისპირო პოზიციები აქვს, შეცდომებში ჯიუტი და გაუტეხელია, თავნება, უზომოდ პატივმოყვარე და ავადმყოფურად ამაყი. მის სიბრაზეს მრისხანება ჰქვია, რაც შურისძიებამდე მიჰყვება. ეს კი ქოლერიკული ტემპერამენტის ნერვიული დენების შედეგია. თუ მიზანს ვერ აღწევს, ჭირვეულობა ეუფლება და ხშირად საკუთარ თავზე ჩაციკლული ნევროტიკის შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი ფსიქიკის წამყვანი ხაზებია: უზომო პატივმოყვარეობა, სატრაპული მრისხანება და ავადმყოფური სიამაყე. მისი პიროვნული უმწიფრობის მახასიათებელია ის, რომ არ შეუძლია გარემო სიტუაციისა და თავისი შესაძლებლობების სწორი აღქმა, ამიტომ გარშემომყოფებსაც და საკუთარ თავსაც ზედმეტ მოთხოვნებს უყენებს, რითაც არღვევს ფსიქოლოგიის ძირითად კრიტერიუმებს პიროვნულ სიმწიფეზე. ამის ნათელი დადასტურებაა მისი სატელევიზიო ტრაბახი — „2007 წლის 1 იანვარს ცხინვალში ვიზეიმებთო“. ყველამ ვნახეთ, რომ ეს ასე არ მოხდა... პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები ხშირად ამბობენ, — ხალხის ისტორიული მეხსიერება ხანმოკლეაო, მაგრამ, აღნიშნული ფაქტის გამო, ირაკლი ოქრუაშვილის სანდოობის კოეფიციენტი ხალხის თვალში უკიდურესად დაბალია. თუმცა ოფიციალური შეფასება არ მისცემია მისი „ბელადობით“ მოწყობილ არაორგანიზებულ ხანმოკლე გალაშქრებას ოსეთში და მსხვერპლთა რაოდენობაც არ დათვლილა. იმასაც ამბობდნენ, ირაკლი კოკოითთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, მაგრამ ნერვებმა ვერ გაუძლო და შეთანხმება არ შედგაო.

**— ბატონო ზურაბ, ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკური ელიტის ფოკუსირებული ფიგურა გახლდათ. მას არა ერთი საპასუხისმგებლო თანამდებობა ერგო... ვფიქრობ, მას პირადი თვისებები ეხმარებოდა...**

— ის მალე ღიზიანდება და განუწყვეტელი ბრძოლა სწადია. მბრძანებლური, აგრესიული და თავშეუკავებელია. ამიტომ მისი აღმასვლა კარიერაში სრულიად დაუმსახურებლად ხდებოდა. გახსოვთ მისი დესპოტური პასუხი კახელ გლეხებთან. თავდაცვაში ყველა ჩინოსნისგან მონურ მორჩილებას მოითხოვდა, თრგუნავდა მათ ღირსებებს. ასეთი ჯარისკაცი კი მეომარი ვერ იქნება. თანაც, ჟანგით შეჭმული სამხედრო ტექნიკა შემოიტანა, რომლის გამო აგვისტოს ომში სირცხვილი ვჭამეთ. ამგვარი ფსიქოტიპის მიერ სიახლის აღქმა, ანუ შთაბეჭდილებების მიღების უნარი, მისთვის დამახასიათებელ სპონტანურობას უკავშირდება. დიპლომატიური უვიცობა, გალანტურობის დეფიციტი და უხეშობამდე მისული პირდაპირობა პიროვნულ უმწიფრობასთან ერთად მის პოლიტიკურ უმწიფრობასაც უსვამს ხაზს. ამის თქმის უფლებას მაძლევს ქართული ღვინის ემბარგოსთან დაკავშირებული მისი შეურაცხმყოფელი გამოთქმები, რომელიც გულის მოსაფხანი გამოთქმები უფრო იყო, ვიდრე პოლიტიკოსი ლიდერის მცდელობა მდგომარეობის შესამსუბუქებლად, რაც, ძირითადად, უხამსი პაროდიულობის მომძლავრებით გამოხატა... და ჩნდება კითხვა: მას, როგორც ლიდერს, აქვს სიტუაციაზე შესატყვისი რეაქცია და პოლიტიკური პასუხისმგებლობა? ან აქვს პიროვნული სიმწიფის მთავარი მახასიათებელი უნარი — თავშეკავება ან ისეთი ასპექტი, როგორიცაა: სერიოზულობა, რომელშიც არამცდაარამც არ იგულისხმება მოღუშული სახე და შეკრული კოპები? ყოველივე ეს მოწმობს, რომ იმპულსურია, აკლია კეთილგონიერება და სიფრთხილე, არ ითვალისწინებს რისკის ფაქტორსა და მოსალოდნელ შედეგებს; არ შეუძლია, უზომოდ პატივმოყვარული ზრახვანი კეთილმოსურნეობით შეფუთოს, შურისმაძიებლობა მოჩვენებითი თანაგრძნობით შეცვალოს, სარკაზმს ჯანმრთელი იუმორის ფორმა მისცეს... მძლავრი მრისხანება ხელს უშლის, მოწინააღმდეგის გამანადგურებელი დარტყმისათვის დროს მოუცადოს. ეს კი მას ხშირად ნერვიული სტრესებით ასაჩუქრებს. სწორედ ამ სულიერ თვისებათა გამო წავიდა ხელისუფლებიდან.

**— იქნებ ქვეყნისა და ერის სიყვარულმა უბიძგა ამ ნაბიჯის გადადგმისკენ?**

— ვერ დაგეთანხმებით. უჩვეულო და ექსტრავაგანტურმა სახელმწიფო მოღვაწემ ერთი პოზიციიდან მეორე პოზიციაზე ქუხილით გადაინაცვლა. ეს კი მოწმობს, რომ საკუთარი ნებით კი არა, ზემოქმედების იძულებით მოხდა მისი წასვლა. ამას მოწმობს მისი აფეთქება, დარჩენილის წალეკვის სურვილი, უკან დასახევი გზის დანგრევა. ამას მოჰყვა მისი შოკისმომგვრელი ელვისებური განცხადებები... ის იბრძოდა კორიდაზე დაჭრილი ხარის გონებრივი გათიშვებითა და საბედისწერო მიუხვედრელობით, რისკიანი გაუთვალისწინებელი ილეთებით; მზად იყო, საკუთარი თავისთვისაც ევნო, ოღონდ უფსკრულთან მისულს მოწინააღმდეგეც თან გადაეყოლებინა. ამგვარ ფსიქოტიპში „მხეცი“ მაშინ იღვიძებს, თუ მისი სიამაყე დაჭრეს, თუ თავს შეურაცხყოფილად და მოტყუებულად გრძნობს. სამშობლოსა და ერის სიყვარული ოქრუაშვილის გაოპოზიციონერების მიზეზი სულაც არაა. მასზე წინ მისი ეგოცენტრიზმია. ის პოლიტიკაში დიდი იმედებით შეიჭრა და აღმასვლის კიბეებიც უმოკლეს ხანში აირბინა. არასწორი ზიგზაგებიანი გზებით იღვაწა. მას უამრავი დრამატული ინტრიგა და ძნელად გასაძრომი ხვრელი დახვდა, როგორიცაა: ზურაბ ჟვანიას ბურუსით მოცული გარდაცვალება, ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის შეკვეთა, დაზიანებული სამხედრო ტექნიკის შემოტანა, პრეზიდენტის „ბოინგი“ და სხვა, რაზეც თვითონვე ისაუბრა. წლების განმავლობაში არა ერთ უმძიმეს და არაკეთილსინდისიერ დავალებას გაართვა თავი. გაუჩნდა პრეტენზია ძალაუფლებისა და უძლეველობისა. მისი აღზევება უცებ კრახით დამთავრდა. მომავლის კარი თვალწინ აუჭედეს. ის კი ქოლერიკია... ყოყლოჩინობამ, ნერვიულმა დაძაბულობამ მასში ვულკანური აგრესია გააღვიძა. ოდიოზური თავკერძობით ვერაფრით მოახერხა განეიტრალება, რამაც მის შურისმაძიებელ ბუნებას იმპულსური ქმედებისაკენ უბიძგა. პრეზიდენტის გუშინდელი მარჯვენა ხელი უცებ მონანიე სუბიექტად მოგვევლინა და თავის ყოფილ „პატრონზე“ კომპრომატები შემოგვთავაზა, თუმცა შეზღუდულად. ბატონი ირაკლი „ციხის შიგნიდან“ გამტეხი პირველი მერცხალი გახლდათ. ამ გამოსვლას ხალხის იმდროინდელი მღელვარებაც დაემატა. ხალხმა მისი აღიარება-სინანული იმგვარ სიმაღლეზე აიყვანა, რასაც ნამდვილად არ იმსახურებდა. უფრო მეტიც, ყველა იმ განდობის თანამზრახველი თუ არა, მისი უტყვი მოწმე ხომ თვითონვე გახლდათ. მისი ყოფილი შეფები მიხვდნენ, რომ მათზე გაცეცხლებული ოქრუაშვილი თავს ვეღარ აკონტროლებდა და პრობლემებს უქმნიდა. თან ცნობდნენ მის პრინციპულ სიჯიუტეს. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ მისი გავლენა და ავტორიტეტი ხელისუფლებაზე განაწყენებულ ხალხში მატულობდა პრეზიდენტის რეიტინგის დაცემის ხარჯზე. ამიტომ დააპატიმრეს, ბევრი რამ გაუხსენეს, საჭირო ინსტრუქტაჟი ჩაუტარეს და გზა გაუხსნეს. აი, მისი მეტამორფოზული გზა. ვინც მას ჯანსაღ ოპოზიციონერად აღიქვამს, ეს მისი საქმეა...

### ოქრუაშვილის რეპუტაცია სერიოზულ ჩაღრმავებასა და ანალიზს მოითხოვს. მისთვის მართალი და იდეისთვის შეწირული ლიდერის იმიჯი, სხვა რომ არაფერი, მეტისმეტია.

ვიცი, საზოგადოებაში დიდი კამათი და განსჯითი პაექრობაა, ვინ არის ირაკლი ოქრუაშვილი — უშნო პატივმოყვარეობით, ამპარტავნობითა და შურისძიებით აღსავსე ავანტიურისტი თუ ტალახჩამორეცხილი მონანიე რაინდი, რომელსაც იდეისთვის თავგანწირვა განუზრახავს? მინდა, ვუთხრა მათ — „არ არის საქმენი, რომელიც არა გამჟღავნდეს“... დრო ყველაზე მიუკერძოებელი შემფასებელია.

**— ბატონო ზურაბ, საზოგადოებას არანაკლებ აინტერესებს, რით და როგორ ცხოვრობს პატივმოყვარე და ავადმყოფურად ამაყი ოქრუაშვილი მსოფლიო დედაქალაქ პარიზში?**

—საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ის სამშობლოდან გაძევებული, დაჩაგრული ან უსამართლობისგან გაქცეული გმირია და ეს შეკითხვაც აქედან მოდის. კრიტიკულად განწყობილნი კი ამ გადასახლებაში ახალ-ახალ ცოდვებს დალანდავენ. მოტყუებული მასის ფსიქოლოგიაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. ამ ახალი ჯურის პოლიტიკოსებს ურთიერთგამომრიცხავ შეხედულებათა გარდა, ფულის წიგნაკების მთელი კოლექცია აქვთ. პოლიტიკაში ყოფნაც ამ მონაგარი საჭურჭლის ერთბაშად დაკარგვის შიშით სურთ. საკითხავია ისიც, თუ როგორ დააგროვა ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელემ ამდენი ქონება. დღეს ეს „ყოჩაღი ბიჭი“ ისევ პოლიტიკურ ავანსცენაზეა ლიდერობის კანდიდატად. გულზე ხელის ბრაგუნით პატიოსნებასა და სინდისზე ლაპარაკობს, სახელმწიფო ქონების დატაცებაზე აღშფოთებას ვერ მალავს. ჩვენ კი სიმართლის მაძიებელი თვალი შეიძლება გვატყუებდეს.

**— თუ ფული საკმაოდ აქვს, ხომ შეუძლია განზე გადგომა და გულგრილი მაყურებლის სავარძლის დაკავება... რატომ ებმება პოლიტიკაში?**

— ფსიქიკით უზომოდ პატივმოყვარეა, საკუთარ „მე“-ზე ნარცისივითაა შეყვარებული. სიდარბაისლე, სტაბილური გარემო, მიღწეულით კმაყოფილება ქოლერიკისთვის სიკვდილის ტოლფასია. თან გულს უღრღნის შური, მტრობა, ქიშპი, დაუცხრომელი ბოღმა, რევანშის დაუოკებელი სურვილი. ერთობ ახირებული ფსიქოტიპია, ადვილად აღგზნებადი. მის ხასიათშია სტიქიური აგრესიულობა, მოუსვენრობა, ნევროზულობა. ამგვარი ფსიქიკის მატარებელი დაუნდობელია მტრისა და მოწინააღმდეგეთა მიმართ. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში მას საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხარდაჭერაც აქვს, შესაძლოა, ფიქრობდეს, ქვეყანაში არსებული დესტრუქციით ისარგებლოს, რათა კვლავაც იერარქიული კიბის სათავეში მოექცეს.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რისთვის ემზადებოდა საქართველოს ხელისუფლება შარშან, 9 აპრილს?!

**ოპოზიციური სპექტრი აქტიურად ემზადება 9 აპრილს ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციებისთვის. დღეს საზოგადოების უმთავრესი შეკითხვაა — რა იქნება 9 აპრილს და რას უნდა ველოდოთ 9 აპრილის შემდეგ?**
**შეიძლება ითქვას, რომ შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური ვითარება ერთგვარად ხელს აძლევს საქართველოს ხელისუფლებას.**
**შესაძლოა, ეს მოსაზრება ალოგიკურად მოგეჩვენოთ, მაგრამ 9 აპრილის მომლოდინე ოპოზიციურ სპექტრს საერთოდ გადაავიწყდა ხელისუფლების უმთავრესი დანაშაული — აგვისტოს მოვლენები!**
**ის, რაც ხელისუფლებამ აგვისტოში თავს დაგვატეხა, მისი არა მხოლოდ გაუთვლელი და გაუაზრებელი ქმედების შედეგია. როგორც ექსპერტების დიდი ნაწილი ამტკიცებს, საქმე გვაქვს დანაშაულთან და ხშირ შემთხვევაში შეფასება უფრო რადიკალურია. მავანი ხელისუფლების მოღალატეობრივ ნაბიჯზეც საუბრობს...**

**რატომ არ გაანადგურეს იარაღი და ტყვია-წამალი, რომლის გამოტანაც კოდორის ხეობიდან ვერ ხერხდებოდა?**



ხელისუფლება და მათი მხარდამჭერები კატეგორიულად უარყოფენ ბრალდებას, რომ აგვისტოში ომი საქართველომ დაიწყო. არადა, სამწუხაროდ, ფაქტები სწორედ ამაზე მეტყველებს! „საქართველო და მსოფლიო" ექსკლუზიურ ინფორმაციას მოგაწვდით, რომელიც რამდენიმე დღის წინათ თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა კონფიდენციალურად გვიამბო.

**საქართველოს ხელისუფლება გასული წლის 9 აპრილს აფხაზეთზე თავდასხმისთვის ემზადებოდა.**

ინფორმატორის მიერ ნაამბობის სისწორეში ეჭვი იმიტომაც არ გვეპარება, რომ აგვისტოს მოვლენებისას საქართველოს მოსახლეობამ ძალიან მძიმედ იწვნია ჩვენი გაუწონასწორებელი ხელისუფლების არაადეკვატური ქმედების შედეგი. როგორც უნდა ვამტკიცოთ, რომ ომი ჩვენ არ დაგვიწყია, ყველას კარგად ახსოვს გენერალ ყურაშვილის განცხადება — **ცხინვალში კონსტიტუციური წესრიგი უნდა აღდგესო, რასაც კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა კი არა, ფართომასშტაბიანი დაპირისპირება მოჰყვა და შედეგად მივიღეთ ის, რომ დაკარგულ ტერიტორიებს კიდევ 114 ქართული სოფელი მიემატა!**

ისევ ჩვენი ინფორმატორის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას დავუბრუნდეთ. გასული წლის მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გარკვეულ ნაწილს, თურმე, კოდორის ხეობაში დიდი რაოდენობით ტყვია-წამალი შეჰქონდა. ასევე — საწვავი და სამხედრო ფორმა. ქართული ჯარის მცირე შენაერთები ვითარებას სწავლობდნენ აფხაზეთისა და კოდორის საზღვარზე და ყველაფერი მზად იყო აფხაზეთზე შეტევის დასაწყებად. ინფორმატორი საქართველოს ხელისუფლების გეგმებზეც საუბრობს და აცხადებს, რომ ხელისუფლებას დაგეგმილი ჰქონდა აფხაზეთზე შეტევა და, როგორც ჩანს, თურმე ამის შემდეგ ცხინვალის რეგიონში უბრძოლველად შევიდოდით. ქართული ჯარის ნაწილების ინტენსიური გადაადგილება და კოდორის ხეობაში დიდი რაოდენობით შეიარაღების, ტყვია-წამლის, საწვავისა და სამხედრო ფორმის შეტანის ფაქტი ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ უცხოელ დამკვირვებლებს, რომლებიც კონფლიქტის რეგიონებში მონიტორინგს აწარმოებდნენ. ჩვენი წყარო ვარაუდობს, რომ სწორედ მათ გააფრთხილეს საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთში ომის დაწყების შემთხვევაში მოსალოდნელ კატასტროფაზე და ხელი აალებინეს ამ ავანტიურაზე...

რადგან სააკაშვილის ავანტიურისტული ჩანაფიქრი გაიშიფრა, როგორც ვნახეთ, ხელისუფლებამ გეგმა შეცვალა და უკვე აგვისტოში ცხინვალის რეგიონს დაესხნენ თავს. ჩვენი ინფორმატორის განმარტებით, გეგმა ასეთი იყო: ცხინვალის რეგიონში ვითარების დაძაბვის პარალელურად აფხაზეთის მიმართულებით შეტევა კოდორის ხეობიდანაც დაიწყებოდა. ეს გეგმაც ჩავარდა და, ჩვენდა სამწუხაროდ, ცხინვალიდანაც და კოდორის ხეობიდანაც კუდით ქვა გვასროლინეს...

სააკაშვილისა და მისი ამფსონების არაადეკვატურმა, გაუთვლელმა და სპონტანურმა ქმედებამ სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა. დავკარგეთ როგორც ცხინვალის მთელი რეგიონი და ახალგორის რაიონი, ასევე კოდორის ხეობა, რომლის აღებაზე აფხაზები ოცნებასაც ვერ ბედავდნენ. აგვისტოში კი ეს პლაცდარმი ისე გამოგვეცალა ხელიდან, იქ ტყვიაც არ გავარდნილა, რასაც კოდორის მოსახლეობაც ადასტურებს! თუმცა ამ შემთხვევაში კიდევ ერთ „უცნაურ" ფაქტთან გვაქვს საქმე, კერძოდ: მთელი ის შეიარაღება, ტყვია-წამალი, საწვავი და ტანსაცმელი, რაც ქართველმა ჯარისკაცებმა კოდორის ხეობაში შეიტანეს, მტრის ხელში აღმოჩნდა. **არადა, ომის დაუწერელი კანონია: თუ უკან იხევ, სამხედრო ქონებისა და სტრატეგიული ობიექტების ევაკუაცია ან ლიკვიდაცია უნდა მოხდეს. ჩვენმა ხელისუფლებამ მთელი ამ ქონების გამოტანა რომ „ვერ მოახერხა", ამაზე აღარაფერს ვამბობთ. რატომ არ გაანადგურეს იარაღი და ტყვია-წამალი?!.** ეს მხოლოდ დეტალებია, მთავარი კი ის სკანდალური ინფორმაციაა, რაც „საქართველო და მსოფლიოს" შეიარაღებული ძალების ერთ-ერთმა პოლკოვნიკმა კონფიდენციალურად უამბო (რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს დამნაშავე და ავანტიურისტი ხელისუფლება ჰყავს)!

**როგორც ჩანს, გასული წლის 9 აპრილს ხელისუფლება აფხაზეთში ომის დაწყებას იმიტომ აპირებდა, რომ ვითარება პოლიტიკურად გასულ წელსაც საკმაოდ დაძაბული იყო. ასე რომ, სააკაშვილისგან სიურპრიზებს ახლაც უნდა ველოდოთ. თუ ვითარება უკიდურესად დაიძაბება, მიშას არც ჭკუა დაუშლის და არც გონება, რომ, თუნდაც, ახალგორში მორიგი პროვოკაცია მოაწყოს და ქვეყანა კვლავ ფართომასშტაბიან დაპირისპირებაში ჩააბას.**

მიხეილ სააკაშვილისგან ადეკვატური ნაბიჯების გადადგმას საზოგადოება კარგა ხანია, აღარ ელის, მაგრამ თუკი საქართველოს ხელისუფლება გასული წლის 9 აპრილისთვის აფხაზეთზე თავდასმას გეგმავდა, **ნინო ბურჯანაძე მაშინ ხომ ქვეყნის მეორე პირი იყო და რატომღაც პროტესტი ამის შესახებ არც მისგან და არც საზღვრების დამცველი მისი მეუღლისგან გვსმენია... თუმცა, შესაძლოა, დიდი მიხეილის გეგმის შესახებ არაფერი იცოდნენ...** გაოპოზიციონერებული ბურჯანაძე დღეს ყველაფერზე ურცხვად აცხადებს, — საქმის კურსში არ ვიყავიო. თუ არასდროს არაფერი იცოდა, რა ხდებოდა მის ხელისუფლებაში, თავმოყვარეობამ თავის დროზე რატომ არ შეაწუხა ქალბატონი ნინო?! რაც შეეხება საზღვრის დაცვას, რამდენად იცავდა ბადრი ბიწაძე საქართველოს საზღვარს, ორიოდ სიტყვით ამის შესახებაც მოგახსენებთ.

**თავის დროზე საზღვრის ჩრდილოეთის მონაკვეთზე საგუშაგოების გახსნამ ხელი შეუწყო მთის სოფლებიდან მიგრაციის შეჩერებას, რადგან საგუშაგოები, ძირითადად, ადგილობრივი მოსახლეობისგან კომპლექტდებოდა. სასაზღვრო საგუშაგოები მოიცავდა თუშეთის, ხევსურეთის, რაჭის, სვანეთისა და კოდორის ხეობის სოფლების მიმდებარე ტერიტორიებს.** „ვარდების რევოლუციის", ანუ მას შემდეგ, რაც საქართველოს საზღვრების მთავარ დამცველად ბადრი ბიწაძე მოგვევლინა, **დაინერგა ეგრეთ წოდებული გერმანული მეთოდი, რის მიხედვითაც ერთ საგუშაგოს მობილური სატრანსპორტო საშუალებით უნდა გაეკონტროლებინა სამი საგუშაგოს მიერ გასაკონტროლებელი ტერიტორია. ეს ყველაფერი კი მოხდა იმ პირობებში, როდესაც საზღვრის დაცვის ბიუჯეტი 60 მილიონი ლარი იყო და ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფოს საზღვრის დაცვაზე მეტად გვეზრუნა, სამსახურიდან დაითხოვეს რამდენიმე ათასი მესაზღვრე. შედეგად მივიღეთ საზღვრისპირა სოფლების დაცლა. ამ საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემაზე რომ არაფერი ვთქვათ, საგუშაგოების გაუქმების გამო, მაგალითად, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორია სადავო გახდა მეზობელ ქვეყანასთან**. ამ საკითხზე თავის დროზე საკმაოდ მწვავედ საუბრობდა ოპოზიციონერი ზვიად ძიძიგური, მაგრამ თუნდაც ამ ფაქტს მისთვის ხელი არ შეუშლია, დღეს ნინო ბურჯანაძისა და ბადრი ბიწაძის გვერდით დადგეს და მათი „უფლებების დასაცავად" იბრძოლოს... **სადავო გახდა, აგრეთვე მარნეულის რაიონის სასაზღვრო ტერიტორიები და ჰუჯაბის მონასტრის ტერიტორია...** ეს ორიოდ ფაქტიც საკმარისია იმის შესაფასებლად, რამდენად ეფექტიანი იყო ბადრი ბიწაძის ხელმძღვანელობის პერიოდში საქართველოს საზღვრების დაცვა, თუმცა ერთპიროვნულად, ალბათ, მხოლოდ ბადრი ბიწაძეს ვერ დავადანაშაულებთ, რადგან საქართველოს ტერიტორიების ნაწილ-ნაწილ გასხვისება ხელისუფლების უგუნური პოლიტიკის ბრალია და არა მხოლოდ ცალკეული ჩინოვნიკების. ისე „საქართველოს სიყვარულით გულანთებულ" ბიწაძეს ამის შესახებ მაშინაც შეეძლო ხმის ამოღება, როცა მთავარი მესაზღვრე იყო. დღეს რომ ბრძანებს — საქართველოს საზღვრების დაცვაზე არავინ ზრუნავსო, მისი მმართველობის დროს მეზობელ ქვეყნებთან მოსაზღვრე საგუშაგოები რომ უქმდებოდა, რაც თავისთავად შექმნიდა პრობლემას, ამ საკითხზე მაშინაც შეეძლო ეხმაურა, მაგრამ თვითონაც და მისი მეუღლეც თბილი სავარძლებიდან გუნდრუკს უკმევდნენ მიხეილ სააკაშვილს!

„საქართველო და მსოფლიო" ერთ ფაქტზეც გაამახვილებს მკითხველის ყურადღებას. ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ნინო ანზოროვნა უმრავლესობას დატოვებდა, ანზორ ბურჯანაძის დაბადების დღეზე მიხეილ სააკაშვილიც მიუწვევიათ. საქართველოს პრეზიდენტის სადღეგრძელო მეფქვილე ანზორ ბურჯანაძეს შემდეგი სიტყვებით დაუსრულებია: **ბატონო მიხეილ, თქვენ თუ არ გეყვარებით, ჩვენ მაინც გვეყვარებიო**... ალაბათ, საქართველოს მოსახლეობას ბურჯანაძეების „ფერიცვალება" დიდად არ გაუკვირდება... ისინი, ვიდრე მათ კეთილდღეობას რაიმე საფრთხე არ დაემუქრება, მარტივად ახერხებენ, კერპად აქციონ ხან ედუარდ შევარდნაძე, ხანაც მისი მემკვიდრე — სააკაშვილი...

ქართველ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილის, მათ შორის, ბურჯანაძისა და სააკაშვილის ზნეობრივი სახე, საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი და ამაზე საუბრის გაგრძელება, ალბათ, აღარ ღირს. ახლა მთავარი პრობლემა ისაა, რა სიურპრიზს შემოგვთავაზებს 9 აპრილისთვის სააკაშვილის ხელისუფლება და რით გადაფარავს ხალხში არსებულ პროტესტს?!

**მანანა ჩხეიძე**

# ბადრი ბიწაძემ გარეჯისა და ჰუჯაბის მონასტრები ტერიტორიული დავის საგნად აქცია

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ორი განრისხებული ამომრჩეველი

**დღეს საქართველო თითოეული მოქალაქისაგან მკაცრ ობიექტურ პოზიციასა და არსებული სიტუაციის გონივრულ შეფასებას მოითხოვს. შეშინებული, დათრგუნული პიროვნებებით თავისუფალ, დემოკრატიულ ქვეყნად ვერ ჩამოვყალიბდებით. ხალხი იყო, არის და იქნება ერის მარადიულობის გარანტი, ამიტომ მის შვილებს უფლება არ აქვთ, ვიწრო, მხოლოდ პირადი ინტერესებით იცხოვრონ. ისტორიულად ხალხი ყველასა და ყველაფერს თავის სახელს არქმევს, თანაც შეუცდომლად განსაზღვრავს.**



მარიკა მანიჟაშვილი



ბეგლარ სიჭივავა

თითოეული მოქალაქე ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს მთელი სიგრძე-სიგანით თუ შეიცნობს და გააანალიზებს, მაშინ ქვეყანაც და ხელისუფლებაც ხალხის კუთვნილება გახდება. მთავარი ის კი არაა, როგორ აფასებს ხელისუფლება საკუთარ ღვაწლს, არამედ ის, როგორია მათ შესახებ საზოგადოებრივი აზრი. მოთმინების ზღვართან მისული ხალხის სამსჯავრო კი მკაცრია და მოურიდებელი. ფრთხილად! როცა საზოგადოებისა და ხელისუფლების ინტერესები ურთიერთშეთანხმებული არაა, ამგვარი მდგომარეობა ისტორიაში ხშირად კატაკლიზმებით მთავრდება. დღეს ჩვენი სტუმრები არიან პენსიონერი ქალბატონი მარიკა მანიჟაშვილი და უმუშევარი ბეგლარ სიჭინავა.

**— ქალბატონო მარიკა, თქვენ სააკაშვილის მომხრე იყავით, დღეს კი ნანობთ ამას. რით დაიმსახურა მაშინ თქვენი მხარდაჭერა ან ახლა რამ შეგაცვლევინათ აზრი?**

— ქვეყნის სათავეში როდესაც თეთრი მელა მოვიდა, ვიცოდი, ვინც იყო და ისიც, რომ არაფერი სასიკეთოდ არ შეიცვლებოდა. შევარდნაძემ პენსიონერები გაგვრიყა, გაგვწირა, უნუგეშოდ,9 ლარის ანაზარა დაგვტოვა.საკუთარმა დაუცველობამ ლამის სიგიჟემდე მიმიყვანა. ჭირსაც დავაკლდი და ლხინსაც. სიბნელისა და სიცივისათვის განწირულს სიცოცხლე გამიმწარდა. უბედურება ისაა, რომ ის 9 ლარიც ჩვენსავით „იყინებოდა". შიმშილით რომ არ მოვმკვდარიყავი, სახლიდან ოფლითა და შრომით მოპოვებული ნივთები გამქონდა და ვყიდდი. შევარდნაძის მოსვლა საქართველოში ხალხის ინტერესების დიდი ღალატი იყო. ყოველივე ამის გამო ვარდების რევოლუციასა და მიშას მოსვლას ხელისუფლებაში სიხარულით შევხვდი. ღმერთს მადლობას ვწირავდი, რომ ამ დღეს მოვესწარი. იმას როგორ წარმოვიდგენდი, რომ ეს ახალგაზრდა კაცი შევარდნაძეზე ბევრად უარესი იქნებოდა. ვფიქრობდი, რომ დასაწყისში მიშას წელგატეხილი ქვეყნის წინწაწევა გაუჭირდებოდა, რადგან შევარდნაძისგან მძიმე მემკვიდრეობა მიიღო... მალე მელამ კუდი ველარ დამალა და განაცხადა, ხელისუფლება მიშას „ლანგრით მივართვიო", ე.ი. ჩვენს წინ მიშამ გრანდიოზული სცენა გაითამაშა, მოგვატყუა. მაშინ გავიფიქრე, რატომ ხელი არ მომტყდა, როცა ამ თავქარიან კაცს ხმა მივეცი-მეთქი, როგორც კი პრეზიდენტობა გაინაღდა, ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე ხელი აიღო, ფუჭი და ყალბი დაპირებები დაგვირიგა. ეკლესიების, სახლების, პირადი საკუთრების ნგრევასა და დაწიოკებებს სამართლიანობის აღდგენა დაარქვა, ხალხის სამსახურიდან გამოყრას კი — რეფორმები. ვერაგობითა და თვალთმაქცობით წინამორბედს გადააჭარბა და ქვეყნის თავზეხელაღებულ დამაქცევრად იქცა. მისი ულირსობა აშკარა გახდა 7 ნოემბრის აქციის დარბევისას. ამ სირცხვილს იგი ვერასოდეს ჩამოირეცხს. ხალხმა მოიყვანა, გულში ჩაიკრა, ქვეყნის ბედი ანდო და... თურმე ვის? — ანგელოზის ნიღბიან სატანას, რომელიც ქართველი კაცისთვის მიუღებელი, რაღაც გადაგვარებული, ნირშეცვლილი მანერებითა და თავქარიანი სიტყვა-პასუხით, ვაჟკაცისთვის შეუფერებელი გამუდმებული ქაქანით გულს იოხებს. თავისი ზნითა და საქციელით მოსახლეობა არა მარტო დალალა, არამედ მტრად მოიკიდა. მარტო მე კი არა, შვილო, აღარავის უნდა ეს ნაცარქექია პრეზიდენტი. აგვისტოს ომში ვისთან მიდიოდა საბრძოლველად, ვის ეტოლებოდა და ვის უსინჯავდა კბილს? რამდენი უბედურება და ზიანი მოგვიტანა! ფეხით უნდა ჩასულიყო მოსკოვს, პუტინს მუხლისჩოქად უნდა დადგომოდა და ეს უბედურება აეცილებინა. მისი გამართლება შეუძლებელია. სააკაშვილი აუტანელი ტკივილია, რომელიც უკვე ისეთ სატკივრად გვექცა, მკურნალობას რომ აღარ ემორჩილება, ამიტომ უნდა მოვიკვეთოთ. ვაი, რომ ამ ტკივილში ჩემი ხელიც ურევია.

**— ქალბატონო მარიკა, წახვალთ 9 აპრილის აქციაზე?**

— შვილო, მე ასაკიანი ქალი ვარ და ვერ წავალ, მაგრამ ახალგაზრდაც რომ ვიყო, არ წავიდოდი. თანაგრძნობას ვაცხადებ ამ სამგლოვიარო თარიღისადმი, მაგრამ ფარისეველი ჭირისუფლის როლი, ნინო ბურჯანაძე რომ კისრულობს, ძალიან მაღიზიანებს.

## სად ნინო და სად 9 აპრილი, ზნეობა აღარ არის?! მინდა, ამ ქალს პირდაპირ ვკითხო: ოპოზიციონერობა არ რცხვენია?

როცა ხელისუფლებაში იყო, რა გააკეთა? ეჭვი მაქვს, ეს მისი მორიგი პოლიტიკური ფანდია თავისი ბნელი მხარეებით, დიდი მცდარი ნაბიჯია, საკუთარი კარიერის დასასრულს გადადგმული.

**ბეგლარ სიჭინავა, უმუშევარი:**

**— ბატონო ბეგლარ, როცა ხმა სააკაშვილს მიეცით, გაიძულათ ვინმემ თუ თავად გადაწყვიტეთ?**

— თბილისელი კაცი ვარ, ოქროსუბნელი. პოლიტიკაში არასოდეს ჩავრეულვარ. პატარა კაცი ვარ, ვაგზლის ტერიტორიაზე სიგარეტების პატარა ჯიხური მედგა, დაუყვედრებელ ლუკმას ვჭამდი, მოდიოდნენ ჩემთან აგიტატორები,— ესეო, ისეო, სააკაშვილზე კარგს ვის ხედავო, უცებ ხომ არ ავშენდებოდითო და მეც სააკაშვილს მივეცი ხმა. ამხელა კაცი ვარ და ჯერ ასე არ შევმცდარვარ. ბრტყელშუბლიანებმა ისე უტიფრად დამინგრიეს ჩემი მარჩენალი ჯიხური, როგორც დაგიბარებია. მათ არც ჩემი ხმა სჭირდებათ და არც ჩემნაირების დარდი აქვთ. ვფიქრობ, სააკაშვილმა რაც დათესა, იმას მოიმკის. ხომ დაინგრა მაგის ავტორიტეტი ჩემი ჯიხურივით! აქამდე თუ ხალხი დროშებით ხელში '„მიშა, მიშას" გაჰყვიროდა, ახლა ყვირიან „წადი, წადიო". გულწრფელად რომ გითხრა, მიშა კაცობაში მაგრადაა ჩაჭრილი. ყველა გააუბედურა — ბიზნესმენი თუ წვრილი მოვაჭრე, მოსამსახურე თუ სპორტსმენი, ქურდი თუ პატიოსანი, მომხრე თუ ოპოზიციონერი, შინაური თუ გარეული. რამხელა ღვარძლი დათესა ამ ხუთ წელიწადში! ისე მსჯელობს, უცხოპლანეტელი მგონია. სახელი ძალიან შეიბღალა. კანონები, სასამართლო, კონსტიტუცია, ბიზნესი, პარლამენტი — ყველაფერი საკუთარ სურვილს დაუქვემდებარა, თვითონ ჭრის და თვითონ კერავს. ვერ წარმომიდგენია, რატომ სძულს საკუთარი ქვეყანა, ხალხი...

## არ ვიცი, რა უნდა ამგვარ კაცს ქვეყნის სათავეში. მისი მზაკვრობა და სიმუხთლე ბავშვმაც კი იცის. მშიშარა და მხდალია, ხალხის გამოსვლების ეშინია.

რადიკალები ხართო, თვითონ ჩვენს მიმართ რადიკალი არ არის? ფარდაგზე დადებული ღორის თავივით იგორა, სანამ სახელი არ წაიხდინა, თვითონ მოიმზადა ნიადაგი წასასვლელად, თორემ ხალხმა კარგად მიიღო. სჯობს, ნებით წავიდეს, თორემ ჩვენცა გვაქვს სიმხნე და ძალა, ხომ იცით, მართალი კაცი ქვაზე მაგარია. სიმართლე კი ხალხის მხარეზეა. ჩვენი მთავარი იარაღი რწმენაა, რომელიც ჩვენი შემწეც იქნება და მფარველიც.

**— ბატონო ბეგლარ, ისე ლაპარაკობთ, რომ 9 აპრილს მიტინგზე აუცილებლად წახვალთ...**

— სადაც ჩემი ხალხი, ჩემი სისხლი და ხორცი დადგება, მეც და ჩემი ოჯახიც იქ ვიქნებით. იცით, ეს ხალხი თვითონ სააკაშვილმა დარაზმა და ათასობით ადამიანი ქუჩაში თვითონვე გამოიყვანა. მან მოამწიფა და დააჩქარა ხალხში განახლების წყურვილი. ზედმეტი ზეწოლით ხალხი გონს მოეგო და მზადაა ხელისუფლების შესაცვლელად. მან წყალი ოპოზიციის წისქვილზე დაასხა, თორემ ხალხმა კარგად იცის, ვინ ვინ არის.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

# ჯორჯია? — ნო პრობლემ!

**საქართველომ ოფიციალური თხოვნით მიმართა იაპონიას — იაპონურ ენაზე მისი რუსულენოვანი სახელწოდება „გრუზია" შეიცვალოს ინგლისური „ჯორჯიათი." აღნიშნული ლინგვისტური საკითხი ორ ქვეყანას შორის საგარეო საქმეთა სამინისტროების დონეზე განიხილება. საქართველოს საელჩოში ეს ფაქტი დაადასტურეს.**

„დიახ, მივმართეთ ასეთი თხოვნით, — აღიარა საელჩოს მთავარმა მრჩეველმა ნიკა აფხაზავამ, — იაპონელებმა რა გვიპასუხეს? — ნო პრობლემ, — გვითხრეს. ახლა ამ საკითხზე მუშაობენ."

ინფორმირებულ წყაროთა ცნობით, საქართველოს საგარეო საქმეთა ხელმძღვანელმა გრიგოლ ვაშაძემ თავის იაპონელ კოლეგასთან ხიროფუმი ნაკასონესთან საუბრისას უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ საქართველოს ხსენებისას იაპონელები რუსული ენიდან ნასესხებ სიტყვა „გრუზიას" იყენებენ და ამ სახელწოდების ინგლისური „ჯორჯიათი" ჩანაცვლება მოითხოვა. იაპონელები თბილისის ლინგვისტური დემარშით, ცოტა არ იყოს, შეცბუნდნენ. „პრობლემები შეიქმნება: ამ ქვეყანას უთუოდ აურევენ ამერიკის შტატ ჯორჯიაში, — გამოთქვა თავისი მოსაზრება იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანმა თანამშრომელმა, — თუმცაღა, ჩვენ სერიოზული თხოვნით მოგვმართეს, რომელსაც პოზიტიურად განვიხილავთ."

„ჯერჯერობით სახელწოდება „ჯორჯიას" შემოღება გადაწყვეტილი არ არის, — იუწყებიან იაპონიის საგარეო საქმეთა პრესსამსახურში, — ჩვენ მხოლოდ იმაზე ვფიქრობთ, როგორი რეაგირება მოვახდინოთ აღნიშნულზე."

გამორიცხული არ არის, რომ „ჯორჯიად" სახეცვლილების საკითხის განხილვა მსოფლიოს სხვა ქვეყნებსაც მოუწევთ. თუმცაღა, დასავლეთ ევროპაში განსაკუთრებული პრობლემები არ შეიქმნება, რადგან იქ თითქმის ყველგან საქართველოს „გეორგიას" ან „ჯორჯიას" უწოდებენ, აი გერმანელები კი სიტყვა „გრუსიენ"-ს იყენებენ. სამაგიეროდ, ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცესა და აღმოსავლეთ აზიაში ამ ქვეყანას „გრუზიად" მოიხსენიებენ. ჩინელები, მაგალითად, საქართველოს „გლუცზიას" უწოდებენ, მსგავს დასახელებას იყენებს ორი კორეული სახელმწიფოც.

რუსი პოლიტოლოგები კი დარწმუნებულნი არიან, რომ მსგავსი თხოვნით საქართველომ რუსეთსაც თუ მიმართა, მასზე რეაგირება აუცილებელი არ არის. ექსპერტ მაქსიმ შევჩენკოს თქმით, საერთაშორისო დონეზე ისედაც მიღებულია „ჯორჯიას", და არა „გრუზიას", წარმოთქმა. „როცა საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი საერთაშორისო შეხვედრებზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე ინგლისურ ენაზე ლაპარაკობს, სიტყვა „ჯორჯიას" წარმოთქვამს.

თუმცაღა, შევჩენკოს თქმით, ის მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლების თხოვნას, რადგან ამაში ანტირუსულს ვერაფერს ხედავს, ხოლო სახელცვლილება ისეთივეა, როგორიც თავის დროზე ბირმისთვის — მიანმის, ხოლო სპილოსძვლის სანაპიროსთვის ბურკინა-ფასოს დარქმევა. „საქართველოს ბოლო ხანებში ისედაც უჭირს. ჰოდა, გაიხარონ," — დასძინა მან.

**„ქართულად „გრუზიას" „საქართველო" ჰქვია. ამიტომ უფრო ლოგიკური იქნებოდა, სხვა ქვეყნებისთვის ეთხოვათ, ასე დაგვიძახეთო, მით უმეტეს, რომ „ჯორჯია" ერთ-ერთი ამერიკულ შტატს ჰქვია,"** — განაცხადა სტრატეგიული შეფასებების ინსტიტუტის პრეზიდენტმა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტის მსოფლიო პოლიტიკური პროცესების კათედრის პროფესორმა ალექსანდრე კონოვალიოვმა.

„ეს ტიპურია პროვინციალი პოლიტიკოსებისთვის, რომლებსაც მსოფლიოსთვის შესათავაზებელი სხვა არაფერი გააჩნიათ — თხოვნა — სხვა სახელით მომმართეთ, რათა ის რუსულად არ ჟღერდესო," — განაცხადა ექსპერტმა.

მისივე თქმით, სახელმწიფოს, რომელიც თავისი პოლიტიკური პარტნიორისთვის სახელწოდების შეცვლას მოისურვებს, უამრავი დოკუმენტის, მათ შორის, კანონების კორექტირებაც მოუწევს. ჯერჯერობით უცნობია, ჩათვლის თუ არა იაპონია დამაკმაყოფილებლად არგუმენტს — „არ გვინდა რუსულად ჟღერდეს."

**დიდი ამბავი, თუ იაპონიას და კიდევ თითო-ოროლა სახელმწიფოს დოკუმენტაციის ქექვა და შესწორებების შეტანა მოუწევს კანონებში. თუ გამოცდილება არა აქვთ, შეუძლიათ, გამოცდილების გაზიარება საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს სთხოვონ, რომელმაც თავის დროზე ლამურების დაცვის კანონიც კი მიიღო. მერე რა, რომ ქართველმა ლამურებმა ამის შესახებ ყურმოკვრითაც არ იციან და უწინდებურად თავდაყირა დაკიდებულებს სძინავთ.**

სახელწოდების შეცვლას კიდევ რა უშავს, ორიოდე თვის წინათ არ იყო, გიგი წერეთელს თავის ერთ-ერთ ინტერვიუში დანანებით რომ წამოსცდა? — **ეჰ, ბარემ კარგი იქნებოდა, აშშ-ს თავის შტატად ვეღიარებინეთო... კაცმა რომ თქვას, ნაწილობრივ მაინც აუხდება ნაოცნებარი, თუ კარგად აღზრდილმა იაპონელებმა სახელწოდების შეცვლისთვის საჭირო პროცედურების ჩატარება არ დაიზარეს... შეიძლება მართლაც აერიოს ვინმეს ამერიკის შტატში, როგორც აგვისტოს ომის დროს, როცა ჯორჯიის შტატის ერთმა მკვიდრმა ქალბატონმა ინტერნეტით შეიტყო, რომ რუსები ტანკებითა და სრული სამხედრო კამუფლიაჟით ჯორჯიაში შეჭრილიყვნენ და ინფორმაციის გადასამოწმებლად ქუჩაში გავარდა, შემდეგ კი ინტერნეტში განათავსა ცნობა იმის შესახებ, რომ აღნიშნული შორეულადაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს — ჯორჯიის შტატში რუსული ტანკები არ ჭაჭანებდნენ!**

**ასე რომ, „ნო პრობლემ"!**

*უცხოური პრესის მიხედვით*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ბრიტანეთის ელჩს სააკაშვილის ინტერესების დაცვაში ადანაშაულებენ

**დღეს დიდი ბრიტანეთის საელჩოში ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ ელჩისთვის გადასაცემად ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები მიიტანა.**

ძაგანიას თქმით, აღნიშნული დოკუმენტები ხელისუფლების მიერ პატარკაციშვილის მკვლელობის შეკვეთას ადასტურებს და ამ მასალების „სკოტლანდ იარდისთვის“ გადაცემა სურს. დოკუმენტების საელჩოში შეტანამდე ძაგანიამ ეჭვი გამოთქვა, რომ ელჩი პოლიტიკური მიზეზების გამო მათ მიღებაზე უარს ეტყოდა.

საელჩოს შენობასთან მისულ ლეიბორისტული პარტიის წევრებს დაცვამ განუმარტა, რომ შესვენების საათების გამო, საელჩოში ის პირები არ იმყოფებოდნენ, რომელთაც შესაბამისი დოკუმენტების მიღება ევალებოდათ. მათ ძაგანიას ურჩიეს, დიდი ბრიტანეთის ელჩის პოლიტიკურ წარმომადგენელთან შეხვედრა წინასწარ შეეთანხმებინა და აღნიშნული დოკუმენტები პირადად მისთვის გადაეცათ.

კახა ძაგანიამ აღნიშნული ფაქტი საელჩოს მიერ „სააკაშვილის ინტერესების დაცვად“ შეაფასა და აღნიშნა, რომ სააკაშვილის მითითებით ინგლისის საელჩო ყველანაირად ცდილობს, ხელის შეუშალოს ლეიბორისტულ პარტიას, რომ აღნიშნული მასალები „სკოტლანდ იარდს“ არ ჩაუვარდეს.

„ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ მოპოვებულ დოკუმენტებში არის სხვადასხვა ჩინოვნიკისა და საზოგადო მოღვაწის შეფასებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ პატარკაციშვილი სააკაშვილის შეკვეთით მოკლეს. ამ დისკებზე ჩაწერილია ის მოწმეები, ვინც მკვლელობის შეკვეთის უშუალო მომსწრეები არიან. ჩვენ ეს მასალები სხვადასხვა გზით მოვიძიეთ და „სკოტლანდ იარდს“ ვაცნობეთ. მათი მხრიდან მივიღეთ მოთხოვნა, აღნიშნული მასალები მიგვეწოდებინა, თუმცა ბრიტანეთის საელჩომ შალვა ნათელაშვილს ვიზის ჩარტყმაზე უარი უთხრა, ახლი კი ამ დოკუმენტების არ იღებენ“, — განაცხადა ლეობორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა.

# ობამამ ავტომწარმოებლებს ულტიმატუმი წაუყენა

**აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას განცხადებით, ამერიკელი ავტომწარმოებლები სახელმწიფოსგან მორიგ დახმარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ ისინი სერიოზულ რესტრუქტურიზაციას განახორციელებენ.**

ობამას აზრით, ავტომწარმოებლებმა თავიანთ არამყარ ბიზნესმოდელს უნდა გადახედონ.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ყველაზე მეტად ამერიკული ავტოგიგანტი „ჯენერალ მოტორსი“ დააზარალა. ამ კომპანიის კრიზისმა უკვე ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ „ჯენერალ მოტორსი“ თავის სათავო ოფისის გაყიდვასაც კი ცდილობდა.

31 მარტს აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაცია „ჯენერალ მოტორსისა“ და „კრაისლერისთვის“ 22 მილიარდი დოლარის ოდენობის კრედიტის გამოყოფის საკითხს განიხილავს.

კრედიტი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყოფა, თუ ადმინისტრაცია დარწმუნდება, რომ „ჯენერალ მოტორსი“ და „კრაისლერი“ კონკურენტუნარიანობის დაბრუნებას მოახერხებენ.

# საქართველოს საგარეო ვალმა შვიდ მილიარდს გადააჭარბა!

**ქვეყანაში ახლა სრულიად სხვა სცენარით ვითარდება მოვლენები: პოზიციაც და ოპოზიციაც ურთიერთს გამალებით აკვირდებიან; ცდილობენ, ერთმანეთის არც ერთი „ცრუ“ მოძრაობა არ გამოეპაროთ და დაგეგმილი მიტინგები ზუსტად ისე წარიმართოს, როგორც თითოეული ფიქრობს (ყველა — სათავისოდ, რასაკვირველია). რატომღაც ყურადღების მიღმა რჩება ის გარემოება, რომ პოლიტიკის გარდა, არსებობს ეკონომიკა, რომელიც სუბიექტურ-ობიექტური მიზეზების გამო, ნელ-ნელა უძლურდება და კრიზისიდან სულ მალე შოკში აღმოჩნდება! საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საიტზე დღევანდელი მდგომარეობისთვის სრულიად შესაბამისი ინფორმაცია დადო: ქვეყნის საგარეო ვალმა 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7 მილიარდ 302 მილიონი დოლარი შეადგინა. მაჩვენებელი მართლაც რომ კატასტროფულია!**



**მთლიანი საგარეო ვალიდან 2,26 მლრდ აშშ დოლარი (31%) სამთავრობო სექტორის ვალია, 460,2 მლნ აშშ დოლარი (6,3%) — საქართველოს ეროვნულ ბანკზე, 1,874 მლრდ აშშ დოლარი (25,7%) საბანკო სექტორზე მოდის. 2008 წლის მონაცემებით, 778,9 მლნ აშშ დოლარი (10,7%) სხვა სექტორების (ნეტავ, რომლების?) ვალია, ხოლო 1,928 მლრდ აშშ დოლარი (26,4%) — კომპანიათაშორისი ვალი.**

როგორც სებ-ი გვამცნობს, საგარეო ვალის 97,4% უცხოურ ვალუტაში იყო დენომინირებული.

გასული წლის IV კვარტალში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 159 მლნ აშშ დოლარით გაზრდილა. აქედან, 106,8 მლნ სამთავრობო სექტორზე (გაზრდილი ვალის 67,2%) მოდის, ასევე მნიშვნელოვნად (72,1 მლნ აშშ დოლარი) გაიზარდა კომპანიათაშორისი ვალი. როგორც სებ-ში განმარტავენ, სამთავრობო სექტორის საგარეო ვალის ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა გამოწვეული იყო ახალი ვალის აღებით (ძირითადად, მსოფლიო ბანკიდან — 129 მლნ აშშ დოლარი), რომელიც შემცირდა ადრე აღებული ვალის ნაწილის დაფარვით (13 მლნ აშშ დოლარი). საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნულ ბანკს ახალი ვალი არ აუღია.

**საბანკო სექტორში გრძელდება მოკლევადიანი ვალის გრძელვადიანი ვალით ჩანაცვლების პროცესი. საანგარიშო პერიოდში საბანკო სექტორის მოკლევადიანი ვალი 101,3 მლნ აშშ დოლარით შემცირდა, ხოლო გრძელვადიანი — 93,4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.**

როგორც ეროვნულ ბანკში განაცხადეს: „რაც შეეხება საკურსო ცვლილებებს, მან 50,2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამ სექტორში დიდი საკურსო ცვლილება გამოწვეულია იმით, რომ აქ დიდია ეროვნული ვალუტით დენომინირებული ვალის მოცულობა, განსაკუთრებით, სავაჭრო კრედიტებში“.

**სულ სხვა ინფორმაციას იძლევა ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. მისი მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვალი დღეისათვის 4 მილიარდ 367 მილიონი ლარია, რაც გასულ წელთან შედარებით 44,7%-ით მეტია. სამწუხაროდ, არსად ჩანს ევროობლიგაციებით სესხად აღებული 500 მილიონის კვალი!**

ვალების არითმეტიკული პროგრესიით ზრდა გასული წლის აგვისტოს ომის მერე დაიწყო. სწორედ ამ პერიოდში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოიყო 250 მილიონი დოლარის ოდენობის ტრანში სავალუტო რეზერვების მხარდასაჭერად. აზიის განვითარების ბანკიდან პოსტკონფლიქტური რეგიონის აღდგენისათვის გადაუდებელი დახმარება იქნა მიღებული.

**2008 წლის დეკემბერში კი სიღარიბის დაძლევისთვის მსოფლიო ბანკიდან მიღებულ იქნა 38 მლნ დოლარი. აღნიშნულ თანხებს სახელმწიფო კრედიტად იღებს და, ბუნებრივია, მომავალში მისი გადახდა უნდა მოხდეს. ამჟამად საქართველოს მრავალმხრივი კრედიტორების 2 მილიარდ 655 მილიონი ლარი მართებს.**

მრავალმხრივ კრედიტორებს შორის არიან: მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროგაერთიანება, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი.

ორმხრივ კრედიტორებთან საგარეო ვალი 862,960 ლარია. აქედან 264,512 ლარით გერმანია ლიდერობს. მას მოჰყვებიან რუსეთი, იაპონია, თურქეთი, ამერიკა და ა.შ. 2008 წლის აპრილში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, ანუ ევროობლიგაციების, გამოშვების შემდეგ საგარეო ვალი კიდევ 500 მილიონი დოლარით გაიზარდა.

**ექსპერტთა დამსახურებული კრიტიკა მოჰყვა ზემოთქმულ გადაწყვეტილებას. სრულიად გაუგებარია, როდესაც მთავრობა პროფიციტულ ბიუჯეტს გეგმავს, ისედაც დიდი ვალების მქონე ქვეყანას ახალი ვალების წამოკიდება რატომ უნდა სჭირდებოდეს?! მითუმეტეს, ობლიგაციები ლონდონის ბირჟაზე საკმაოდ მაღალი პროცენტით გავიდა. ობლიგაციების წლიური საპროცენტო განაკვეთი 7,5%-ით განისაზღვრა. მისი დაფარვის ვადა კი 2013 წლის 15 აპრილია.**

ყველასათვის ნათელია, რომ აღნიშნული დროისათვის მოქმედი ხელისუფლება აღარ იქნება და ვალდებულება მომავალ ხელისუფლებას მძიმე ტვირთად დააწვება. ამჟამინდელს კი ობლიგაციების გამოშვება ერთ-ერთ პიარკამპანიად წარმოუდგენია – როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, ევროობლიგაციების გამოშვებამ ქვეყანა საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებსა და მრავალ მსხვილ ინსტიტუციონალურ ინვესტორს გააცნო. საკმაოდ ძვირადღირებული პიარია, ვერაფერს ვიტყვით!..

საგარეო ვალის დაფარვის თანხები 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, რა თქმა უნდა, განსაზღვრულია. კრედიტების ძირითადი თანხის დაფარვას 97,332 მილიონი ლარი მოხმარდება. მათ შორის, ორმხრივი კრედიტებისთვის 41,737 მილიონი ლარია გათვალისწინებული, ხოლო მრავალმხრივი კრედიტებისთვის — 53,147 მილიონი ლარი. სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების გასტუმრებას 2,447 მილიონი ლარი უნდა მოხმარდეს. მთლიანი ვალი კი 17,077 მილიონი ლარია.

**კრედიტორების პროცენტებისთვის განსაზღვრული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში 116,375 მილიონი ლარია. მათ შორის, ორმხრივი კრედიტორებისთვის — 36,013 მილიონი ლარი, მრავალმხრივი კრედიტებისთვის — 22,833 მილიონი ლარი. სახელმწიფოს მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ვალდებულების მომსახურებას 57,375 მილიონი ლარი მოხმარდება.**

ოპტიმისტურად განწყობილი ფინანსისტები აცხადებენ, რომ საგარეო ვალის არსებობა ქვეყნისთვის არც ისე საშიშია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. მთავარია, მან მიღებულ საერთაშორისო სტანდარტებს — მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-ს არ გადააჭარბოს.

**ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დღეისათვის საქართველოს საგარეო ვალი მშპ-თან მიმართებაში (ეკონომიკის განვითარების სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით) 32%-ს არ აჭარბებს. სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს თუ დავუჯერებთ, 2008 წელს საქართველოს მთლიანმა შიდა პროდუქტმა 13,97 მლრდ დოლარი შეადგინა. ასე რომ, თუ დღეისათვის ქვეყნის ვალმა 7 მილიარდ დოლარს გადააბიჯა, სულ მალე მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-საც გავცდებით და მაშინ ქვეყანა ვერ ასცდება დეფოლტს.**

**ირმა ვარსიმაშვილი**

# მეხუთე ქვეითი ბრიგადის ბაზიდან ხელყუმბარები დაიკარგა

27 მარტს საქართველოს შეიარაღებული ძალების მეხუთე ქვეითი ბრიგადის ბაზიდან, რომელიც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მდებარეობს, ხელყუმბარები დაიკარგა.

დაკარგული ხელყუმბარების რაოდენობა ცნობილი არ არის. წინასწარი ინფორმაციით, დაიკარგა „რგდ“ და „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარები. საქმეს სამხედრო პოლიცია იძიებს. სამხედრო პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელის გაგა კირკიტაძის ინფორმაციით, ზემოხსენებული დანაშაული 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# მგლები სენაკის სოფლებს თავს ესხმიან

**სენაკის სოფლებს მგლები სისტემატურად თავს ესხმიან.**

როგორც ადგილობრივებმა „მედიანიუსთან“ საუბრისას განმარტეს, მგლები სენაკის სამ სოფელში, კერძოდ, ფოცხოში, უშაფათსა და ზანაში გამოჩნდნენ და ანადგურებენ საქონელს. მათივე მტკიცებით, დახმარებისთვის ადგილობრივ გამგეობასაც მიმართეს. თუმცა, დახმარება დღემდე არ მიუღიათ.

როგორც ცნობილი გახდა, აღნიშნულ სოფლებთან ახლოს ტყეა და მგლები სწორედ ამ მაღალმთიანი ადგილიდან გადმოდიან.

სენაკის გამგებელმა კობა კილასონიამ „მედიანიუსთან“ საუბრისას აღნიშნული ინფორმაცია არ დაადასტურა და მას დეზინფორმაცია უწოდა.

საქართველო გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## დავით იაკობიძე:

# დღეს აღიკვეთა „საყოველთაო კორუფცია", მაგრამ ჩამოყალიბდა კორუმპირებული ელიტა, ანუ კორუმპირებული ხელისუფლება



***ციტატა სახარებიდან, რომელსაც წარმოგიდგენთ, სხვა განზომილებიდანაა, მაგრამ ზუსტად მიესადაგება პრობლემას, რომელსაც პროფესორ დავით იაკობიძესთან ერთად განვიხილავთ ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის შეთავაზებულ ინტერვიუში და ამიტომ ვაძლევ თავს უფლებას, ასე თავისუფლად გამოვიყენო სიბრძნე ბიბლიისა.***
***ათასობით თავმოყრილი ხალხის წინაშე იესო ქრისტემ თავის მოწაფეებს ასე მიმართა:***
***„მოერიდეთ ფარისეველთა საფუარს, რომელიც პირმოთნეობაა. არაფერია დაფარული, რომელიც არ გაცხადდება, და იდუმალი, რომელიც არ შეიცნობა.***
***ამიტომ, რაც ბნელში გითქვამთ, ნათელში მოისმენენ, და რაც ყურში იჩურჩულეთ ოთახებში, ერდო-ბანზე გახმაურდება" (ლუკა 12, 1-3).***

ახლა კი პროზა:

— **ათეულობით წლის განმავლობაში დაფარული და გასაიდუმლოებული შვეიცარიული ბანკების ანაბრები საყოველთაოდ საცნაური ხდება და საჯარო ინფორმაციის სტატუსს იძენს.**

**მართლა ასეა, ბატონო დავით? მართლა დაფარული აღარაფერია? ბანკები „ფარისეველთა საფუარს" ხომ არ დაემსგავსა?**

— ეს შეკითხვა უაღრესად მნიშვნელოვანია დღევანდელი გლობალური მსოფლიოს საფინანსო სისტემის პოზიციონირების გასარკვევად. პასუხის გაცემა რთულია, რადგან უკავშირდება მსოფლიოში ფულის მიმოქცევის ისეთ საკითხებს, რომლებიც, ზოგადად რომ ვთქვათ, გამომდინარეობს ბოროტისა და კეთილის ბრძოლის ყოვლისმომცველი პრობლემიდან.

ამჯერად ბოროტება „შავი" ფულის მოძრაობისა და ტერორიზმის, როგორც ანტისაზოგადოებრივი მოვლენის, სახითაა წარმოდგენილი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამჟამად გლობალური განვითარების ორი დიდი პრობლემა აწუხებს კაცობრიობას: მსოფლიო ეკონომიკური რეცესია, ანუ განვითარების ტემპის ვარდნა, და ცივილიზაციათა შორის გამოუცხადებელი ომი. ომი, რომელიც მიმდინარეობს — ტერორიზმი.

ასეთ ვითარებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ საიდუმლოებას, რომელსაც ბანკები ფლობენ.

— **მაგრამ აი, მოხდა განსაიდუმლოება და, ხომ დაიკარგა ამის გამო ბანკების დამოუკიდებლობა და „ყველას მხარდამჭერი" დაწესებულების როლი?**

— ასეა. უფრო მეტიც: ბანკი ამ საიდუმლოებას გასცემს კლიენტის ნებართვის გარეშე და ამის გამო უფრო საშიში ხდება, ვიდრე ნებისმიერი პოლიცია.

— **ესე იგი, „ჩაუშვა" საკუთარი კლიენტი?**

— მარტო ეგ არ არის: არა მხოლოდ „ჩაუშვა", არა მარტო მიაწოდა ინფორმაცია პოლიციას ფულადი გზავნილის ან დეპოზიტის შესახებ კლიენტის ნებართვის გარეშე, არამედ (მიაქციეთ ამ მომენტს ყურადღება) ივალდებულა, დაეხმაროს სამართალდამცავებს ამ ფულის წარმოშობის წყაროს დადგენაში. ამიტომ ბანკი ზოგიერთი კლიენტისთვის პოლიციაზე უფრო საშიში ხდება. ხვდებით, ეს რას ნიშნავს?

— **ალბათ, იმას, რომ დაიწყო ნადირობა კორუმპირებულ ჩინოვნიკებზე?**

— ამასაც და, რაც მთავარია, იმას, რომ ბანკი საშიში გახდა ყველა ჯურის მომპარავისა და ყალთაბანდისათვის, საშიში მათთვის, ვისაც აქვს პოტენციური შესაძლებლობა, მიიღოს არაშრომითი შემოსავალი. არსებობს ასეთი პერსპექტივის მქონე პირების ჩამონათვალი, რომელსაც მოწყვლად პირთა ჩამონათვალს უწოდებენ. ეს სიტყვა ქართულში იშვიათად იხმარებოდა, მაგრამ ნეგატიურმა პროცესებმა, რაც ჩვენს ქვეყანაში განვითარდა, წარმოქმნა ასეთი ადამიანის ტიპი, ადამიანისა, რომელიც გარკვეულ პირობებში ვერ შეძლებს არსებული სოციალური ნორმების დაცვას, იოლად შეიძლება დაიკოდოს, ანუ — დაჭრას. რუსულად ამ ტერმინს „უიაზვიმი" შეეფარდება.

— **კორუფციის წინააღმდეგ ასეთი საყოველთაო გალაშქრების პირობებში ჩვენს კორუფციონერებს ორი გზა დარჩენიათ: ან საკუთარი ფეხით წავიდნენ პროკურორთან, ან მუთაქაში ჩატენონ არამად ნაშოვნი ბანკნოტები.**

— პროკურორთან თავისი ნებით მისული კორუმპირებული ჩინოვნიკი ჯერჯერობით არ მინახავს. ხოლო „მუთაქას" რაც შეეხება, გეტყვით, რომ ფულის შენახვის ამ „ტრადიციულ" ხერხს, ჯერ ერთი, პროცენტები არ მოაქვს, მეორეც, ინფლაცია დიდად აზარალებს.

— **მაგრამ მაინც ინახავენ.**

— მართალია, ინახავენ. ნამდვილ ამბავს გეტყვით: ჩემმა ნაცნობმა ექიმმა მითხრა, რომ ერთმა ყოფილმა ჩინოვნიკმა ახლახან მკურნალობის ფული ჩემი ხელმოწერილი ლარებით გადაუხადა. მოგეხსენებათ, ბანკნოტზე აუცილებლად არის ფინანსთა მინისტრის ხელმოწერა. იმ ლარის დიზაინი, რომელზეც ხელს ვაწერდი, 1995 წელს შეიცვალა, ხელსაც უკვე სხვა აწერდა. მაგრამ ასეთი „მუთაქისტი" ადამიანები მაინც უმნიშვნელო რაოდენობით არიან, რადგან ფულის შოვნის, მათ შორის, ქურდობით, მთავარი სტიმული ფულის კაპიტალიზაციაა — დღეს იმიტომ შოულობენ, რომ ხვალ უფრო მეტი ჰქონდეთ და არა იმიტომ, რომ ხვალ დღევანდელის ნახევარს ან, მით უფრო, მესამედს დასჯერდნენ.

— **საბანკო ანგარიშებზე საიდუმლოების გაუქმება თუ ეფექტიანი ანტიკორუფციული ღონისძიებაა, მაშ რაღა გვაქვს სამწუხარო?**

— მე და თქვენ — არაფერი. ასევე, არაფერი აქვთ სამწუხარო, ჩვენ რომ ვიცნობთ, იმ ადამიანების 99 პროცენტს.

მაგრამ პრობლემის არსი რომ გავიგოთ, ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ.

ბანკები შვეიცარიაშიც და მთელ მსოფლიოშიც შეიქმნა როგორც ძვირფასეულობის შემნახველი ერთგვარი კომერციული დაწესებულებები. ამ სადეპოზიტო სტრუქტურებს მწვანე შუქს უნთებდა მთელი ქრისტიანული ცივილიზაცია. მაგრამ მათ, როგორც საკრედიტო დაწესებულებების, განვითარებას დიდად შეუშალა ხელი რელიგიამ, კერძოდ, ქრისტიანობამ, რადგან კრედიტი ეშმაკეულ მოვლენად მიიჩნია. იმასაც ამბობენ, რომ ტამპლიერთა ორდენი საფრანგეთის მეფემ და რომის პაპმა იმიტომ გაანადგურეს, რომ ტამპლიერებმა შექმნეს ფულის მიმოქცევის უნიკალური სისტემა, რომელსაც საფუძვლად ედო კრედიტის ისეთი ნაირსახეობა, რომელსაც დღეს ოვერდრაფტს უწოდებენ.

— **თქვენი აზრით, ხელისუფალთა და ბანკირების ბრძოლას ისტორიული დაპირისპირება უდევს საფუძვლად და ძალაუფლების განაწილების პრობლემას უკავშირდება?**

— სწორედ ასეა. თუ არ ვცდები, ინგლისის მეფემ გეორგ XII საგანგებო დეკრეტიც კი გამოსცა, რომლითაც მეკობრეებს უფლება მიეცათ, ინგლისში დაბრუნების შემდეგ ნაყაჩაღარი ფული დიდი ბრიტანეთის სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ეს ისტორიული ფაქტი ადასტურებს, რომ ქრისტიანულ სამყაროში ფულის მფლობელზე პოლიტიკური ზემოქმედება ყოველთვის არ ეფუძნებოდა სამართალს. საინტერესოა, რომ სხვა მსოფლიო რელიგიები, მაგალითად, იუდაიზმი არათუ არ ებრძოდა საკრედიტო ურთიერთობებს, არამედ ხელს უწყობდა. ვფიქრობ, რომ სწორედ ამას ადასტურებს ერთი შტრიხი, კერძოდ, ქართულში გავრცელებული გამოთქმა „ურიის ვალი": რადგან ქრისტიანს ეკლესია უკრძალავდა საკრედიტო ურთიერთობაში ჩაბმას, იგი, ქრისტიანი კაცი, მხოლოდ უკიდურესი გაჭირვების გამო თავს უფლებას აძლევდა აეღო ვალი ებრაელისგან.

ისტორიის შემდეგ ეტაპზე ისევ საეკლესიო მოღვაწეთა აქტივობითა და მცდელობით დაიძლია მცდარი შეხედულება კრედიტზე.

შვეიცარიაში, ქვეყნის ნეიტრალიტეტიდან გამომდინარე და ცენტრალური ხელისუფლების შედარებითი სისუსტის გამო, ბანკებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა და მათდამი ნდობის ხარისხი მთელ მსოფლიოში სამაგალითო გახდა.

— **ამიტომაც სწორედ აქ იყრიდა თავს მსოფლიო კაპიტალი?**

— შეიძლება ასეც ითქვას, მაგრამ ახლა უფრო მნიშვნელოვანი გახდა ე.წ. ობშორული ზონები. საქმე ისაა, რომ მსოფლიო ფულადი სისტემის მოწესრიგების მიზნით 1978 წლიდან პრაქტიკულად აიკრძალა კაპიტალის გატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში. სანაცვლოდ გაბატონდა საბანკო ანგარიშებზე ფულის შეუზღუდავი გადარიცხვა. ამას დაემატა ისიც, რომ ნამდვილ ფულს, ოქროს და სხვა ძვირფას ლითონს საყოველთაოდ ჩაენაცვლა ქაღალდის ფული. შესაბამისად, სხვა ქვეყნებსაც გაუჩნდათ სურვილი, შეექმნათ შვეიცარიულის მსგავსი საბანკო სისტემები და წარმოიქმნა კიდეც უამრავი ობშორი — ისეთი ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულები, სადაც საბანკო-საკრედიტო სისტემა სარგებლობს მოცემული ქვეყნის პოლიტიკური სტატუსით, მაგრამ გამოსულია მისი ეკონომიკური კანონმდებლობის არეალიდან.

მეტიც, ამ ობშორული ქვეყნების ბანკები იღებენ ნებისმიერი წარმოშობის ფულს.

იმასაც გეტყვით, რომ სწორედ ასეთმა პარალელურმა ფულადმა სისტემამ უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 2008-2009 წლების კრიზისის ჩამოყალიბებაში. უბედურება ისაა, რომ იგი დღეს ხელს უშლის კრიზისის დაძლევის ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავებას.

— **და ამას შეგუებულები არიან?**

— პირიქით, წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში რწმუნდებიან, რომ დადგა დრო, როცა ბოლო უნდა მოეღოს ასეთ გამონაკლისს. რახან შვეიცარიის ბანკების უძველესი და ურყევი ტრადიციაც კი შეიცვალა შექმნილი ვითარების გამო, ეჭვი არ არის, რომ ახლად წარმოქმნილ ობშორულ სივრცეებზეც ეფექტიანად იმოქმედებენ.

— **ბოროტს სძლევს კეთილი?**

— ებრძვის, თუმცა, უჭირს ბრძოლა, რადგან დროდადრო გამოჩნდებიან გეორგ XII მსგავსი „მოღვაწენი", რომლებიც ცდილობენ, გაამართლონ „შავი" ფულის „გათეთრება" თავიანთი კერძო პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, და იურიდიული საფუძვლების გარეშე. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს კორუფციის ელიტარიზაციას.

— **როგორც იქნა, მივადექით ჩვენს მთავარ პრობლემას — ელიტარულ კორუფციას, რომელიც საქართველოში ჩაენაცვლა „საყოველთაო კორუფციას".**

— ამ ტერმინებს ხშირად ხმარობენ და დაახლოებით ასე ესმით: შევარდნაძის დროს კორუფცია მთელ ქვეყანას იყო მოდებული, მაგრამ პირადად შევარდნაძე არ იყო კორუმპირებული. დღეს აღიკვეთა „საყოველთაო კორუფცია", მაგრამ ჩამოყალიბდა კორუმპირებული ელიტა, ანუ კორუმპირებული ხელისუფლება.

ჩვენ შემთხვევაში, მე ასე მგონია, კორუფცია არის ყველას კუთვნილი ქონების, რომელიც ხელშეუხებელი უნდა იყოს, არასამართლებრივი განკარგვა.

— **იქნებ, მაგალითით განვმარტოთ?**

— საქართველოს მთავრობა გურგენიძის პრემიერობისას ევროპის ბაზარზე რომ გავიდა, არ დაგიმალავთ, გამეხარდა. გურგენიძის ვარაუდით, ქართული ობლიგაციების ევროპაში რეალიზებიდან შემოსული თანხა უნდა მოხმარებოდა ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის სრულყოფას. მაგრამ სად წავიდა ობლიგაციების რეალიზებიდან ამონაგები ფული? აქ საქმე გვაქვს ისეთ ქმედებასთან, რომელშიც მონაწილეობს პოლიტიკური ძალა და უგულებელყოფილია საკითხის სამართლებრივი მხარე. სწორედ ეს არის ელიტარული კორუფცია.

— **თქვენ რომ ყური გიგდოთ, ელიტარული კორუფციის შედეგად პიროვნებები არ მდიდრდებიან?!**

— ანეკდოტით გიპასუხებთ. „საპოჟნიკ" სეროჟას ჰკითხეს, მეფე რომ იყო, როგორ იცხოვრებდიო? — მეფეზე უკეთესადო! — ეგ როგორაო? — ჰამაც ჩექმას შევკერავდიო!

კორუფციული ელიტის წარმომადგენელს არ აკმაყოფილებს თავისი სამუშაოთი მიღებული კეთილდღეობა და „ჩექმის კერას" იწყებს. მისი საქმე ეგაა. ფულის მიმოქცევის დღევანდელ სისტემაში სამართალდამცავ სტრუქტურებს, საეჭვოა, რამე გამოაპარო. ამიტომ, ვფიქრობ, დღეს უკანონოდ ვერავინ გამდიდრდება, მაგრამ ყურადღებით უნდა ვიყოთ,ელიტკორუმპირებულთა უნიათობით ჩვენ რომ არ გავღარიბდეთ უფრო მეტად.

**ესაუბრა**
**თორნიკე მანველიძე**

***P.S. დავით იაკობიძის პოზიციას ხომ გავეცანით და ახლა ჩვენიც ვთქვათ.***

***ამ პუბლიკაციის დასაწყისში მოხმობილ ციტატაში ნახსენები „ფარისეველთა საფუარი" ხომ არ ნიშნავს, ჩვენ შემთხვევაში, ოფშორულ ზონას, რომელიც ფულის გათეთრების საუკეთესო საშუალებადაა მიჩნეული, მაგრამ თავისი არსით პირმოთნეობაა?***

***უფრთხილდით ოფშორს, ვითარცა ფარისეველთა სიცრუეს!***

***მე კი ვამბობ, რომ ასეა, მაგრამ გაიგონებს ვინმე და, მით უფრო, „მოჰყვება დავითის რჩევასა"?!. რა მოგახსენოთ...***

## შვეიცარიის ბანკებში დიდი არეულობაა

შვეიცარიის კერძო ბანკებმა თავიანთ ხელმძღვანელებს აუკრძალეს საზღვარგარეთ — მომიჯნავე საფრანგეთსა და გერმანიაში მგზავრობაც კი იმის შიშით, რომ მათ საბანკო საიდუმლოების წინააღმდეგ გლობალური ბრძოლის ფარგლებში დააკავებენ.

ჟენევის ერთ-ერთი ცნობილი კერძო ბანკის ხელმძღვანელის განცხადებით, აშშ-ისა და გერმანიის მისწრაფება — ებრძოლონ გადასახადების გადაუხდელობასა და საბანკო საიდუმლოს, ნიშნავს, რომ ბანკები იძულებული არიან, უსაფრთხოების დამატებითი ღონისძიებები შეიმუშაონ საკუთარ თანამშრომელთა დასაცავად. „ზოგიერთმა ბანკმა უსაფრთხოების ზომები მიიღო, — განაცხადა მან, — დღეს გერმანიაში ჩასვლა რომ მოვისურვო იმ ორ ბანკში მისასვლელად, რომლებთანაც საქმეებს ვაწარმოებთ, შესაძლოა, გერმანიის საბაჟოზე დასაკითხად დამაკავონ." იმ კერძო ბანკის ხელმძღვანელმა, სადაც ხსენებული აკრძალვა არ მოქმედებს, განაცხადა: „დღეს თუ შვეიცარიის ბანკში მუშაობ და ამერიკაში მიემგზავრები, უნდა გეშინოდეს, რომ დაგაპატიმრებენ და დაგკითხავენ. ამერიკაში გამგზავრებამდე კარგად დავფიქრდები."

ოთხი კერძო ბანკის მესვეურთა განცხადებით, მათ ბანკებში კატეგორიულად აკრძალულია მეზობელ ევროპულ ქვეყნებში გამგზავრებაც კი.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

არნო ხიდირბეგიშვილი

# წიგნი ქართველი პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგებისთვის...

**„შეიძლება ხალხის ნაწილი ატყუო ყოველთვის, ანდა მთელი ხალხი — ცოტა ხანს, მაგრამ ყველას ყოველთვის ვერ მოატყუებ!“**

*აბრაამ ლინკოლნი*

**სიცრუე მათი პროფესიაა, მიუხედავად წოდებისა, ეროვნებისა და მრწამსისა (თუ საერთოდ რაიმესი სწამთ, დოლარის გარდა)... ჩვენთვის კარგადაა ნაცნობი მათი სახეები: ყოველდღიურად ტელეეკრანებიდან, გაზეთების ფურცლებიდან თუ მონიტორებიდან რომ გვასწავლიან, როგორ ვიცხოვროთ, როგორ გავარჩიოთ კარგი ცუდისგან... ეს პოლიტიკანი-პროპაგანდისტები ფლიუგერებს მოგვაგონებენ, რადგან ხშირად იცვლიან ორიენტაციასა და ლიდერებს, გადადიან პარტიიდან პარტიაში, ოპოზიციიდან — ხელისუფლებაში (და პირიქით), მაგრამ ესეც სიცრუეა: ისინი არასოდეს გასცდებიან სცენარის ჩარჩოებს და ყოველთვის კეთილსინდისიერად გამოიმუშავებენ გასამრჯელოს შემკვეთის სურვილის შესრულებისთვის.**

პარლამენტარები და მინისტრები, ფსევდოოპოზიციური პარტიებისა და მოძრაობების ლიდერები, ადგილობრივი „ექსპერტი-პოლიტოლოგები“ და მათი უცხოურგვარიანი კერპი „ფელგენგაუერი,“ „ჯიბის“ ჟურნალისტები, რომლებსაც არაფერი სმენიათ ისეთ ცნებებზე, როგორიცაა ობიექტურობა და საკუთარი აზრი, — გარკვეული დროის მანძილზე ატყუებენ საქართველოს მთელ მოსახლეობას, მაგრამ ეს ყოველთვის არ გამოუვათ!

მკითხველს უბრალო ექსპერიმენტს ვთავაზობ: დაივიწყოს ცრუპენტელები და თავად უპასუხოს ყველაზე საჭირბოროტო კითხვას, მაგალითად: რა ელის საქართველოს მომავალში? დარწმუნდებით, რომ ელემენტარული ცოდნისა და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის ანალიზის შემთხევევაში ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის. ამისათვის სულაც არაა აუცილებელი ვინმეს თავგზა აუბნიო, ან ხალხთა შორის შუღლი ჩამოაგდო, როგორც ამას ზემოხსენებული ბატონები სჩადიან (ცხადია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუარესების საქმეში წვლილის შეტანისთვის უთუოდ დაჯილდოვდებიან, მაგრამ ახლა ამაზე არ ვლაპარაკობთ). მაშ, ასე, დავიწყოთ:

როგორც ვიცით, დღეს ლონდონში, „G 20“-ის დიდი ეკონომიკური სამიტის დაწყებამდე, აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტი ბარაკ ობამა პირველად შეხვდება თავის რუს კოლეგას დიმიტრი მედვედევს. თეთრი სახლის პრესმდივნის რობერტ გიბსის ამასწინანდელი განცხადებით, ობამა, რომლის ადმინისტრაციაც რუსეთთან ურთიერთობის „გადატვირთვისკენ“ მიისწრაფვის, ამ შეხვედრას მოუთმენლად ელის.

რატომ? — იმიტომ, რომ ამ შეხვედრაზეა დამოკიდებული აშშ-ის მომავალი.

შორიდან რატომ მოვუარე? — იმიტომ, რომ საქართველოს მომავალიც აშშ-ისა და რფ-ის პრეზიდენტების შეხვედრაზეა დამოკიდებული და არა — საქართველოს პრეზიდენტზე...

რაზე შეთანხმდებიან მედვედევი და ობამა და როგორ აისახება ეს საქართველოზე? სწორედ ამის განჭვრეტას შევეცდებით.ასე რომ, ვაგრძელებთ.

რა უძღოდა წინ ამ შეხვედრას? — რა და, მოხსენება „აშშ-ის პოლიტიკის სწორი გეზი რუსეთის მიმართ,“ რომელიც ობამას დავალებით მოამზადა არასახელმწიფო კომისიამ რუსეთის მიმართ აშშ-ის პოლიტიკის დარგში, ყოფილი სენატორების — ჩაკ ჰეიგელისა და ჰარი ჰარტის ხელმძღვანელობით.

აქ მხოლოდ რამდენიმე დებულებასა და რეკომენდაციას მოვიყვან აღნიშნული მოხსენებიდან:

— მცირეა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებიც რუსეთივით მნიშვნელოვანია ჩვენი წარმატებისთვის;

— ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ რუსეთის ინტერესების ჩვენეული აღქმა იმის შესაბამისად, თუ როგორ განსაზღვრავენ მათ თავად რუსები;

— აშშ-მა უნდა გადახედოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის გეგმების განხორციელებას ჩეხეთსა და პოლონეთში და შეიმუშაოს ახალი მიდგომა პოტენციური ირანული სარაკეტო საფრთხისგან თავდასაცავად;

— უკრაინისა და საქართველოს პროდასავლური მისწრაფებების მქონე ხელისუფლებათა მხარდაჭერის სადემონსტრაციოდ გამოინახოს სხვა გზა, ნაცვლად ნატოში ამ ქვეყნების გაწევრებისა;

— განვაახლოთ რუსეთთან აქტიური მუშაობა საერთაშორისო ტერორიზმთან ბირთვული იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში და ამა წლის დეკემბრამდე შევიმუშაოთ ხელშეკრულება, რომელიც შეცვლის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე უკვე არსებულ დოკუმენტს;

— რუსეთსა და ევროპის ქვეყნებთან ერთად შევიმუშაოთ ევროპის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა;

— შესრულდეს ყველა აუცილებელი სამუშაო რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მისაღებად და ჯექსონ-ვენიკის შესწორებების გასაუქმებლად;

— რაც შეიძლება ფრთხილად ვაკრიტიკოთ რუსეთი, საშინაო პოლიტიკისა და ადამიანის უფლებების ვითარების გამო; აშშ-მა განსაკუთრებული ყურადღებაა უნდა მიაქციოს რუსი ლიდერების ყველა განცხადებას დემოკრატიისა და ადამიანების უფლებების დაცვის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებების ერთგულების შესახებ. ამავე დროს, პატივი სცეს რუსეთის სუვერენიტეტს, ისტორიასა და ტრადიციებს იმის გათვალისწინებით, რომ რუსი




საზოგადოება მის მიერ არჩეული საკუთარი გზით ივლის;

— ვაღიაროთ ყოფილი სსრკ-ის ტერიტორია რუსეთის განსაკუთრებული ინტერესების ზონად. აშშ უნდა მოერიდოს რუსეთთან კონკურენციას ამ რეგიონში. ასეთი კონკურენცია დააზარალებს აშშ-ს უპირველესად იმიტომ, რომ რუსეთი ამ რეგიონში იმყოფება, აშშ კი — არა. რუსეთს პოსტსაბჭოთა სივრცეში ლეგიტიმური ინტერესები აქვს, რომლებსაც ზოგჯერ მიუღებელი მეთოდებით იცავს.

რამ მიიყვანა ცნობილი და გავლენიანი პოლიტიკოსები ამგვარ დასკვნამდე? ორი სიტყვით გიპასუხებთ: იმან, რომ ორი „ბ“-ს ფორმულამ — თეორეტიკოს ბზეჟინსკისა და პრაქტიკოს ბუშისა — არ გაამართლა: გლობალური დომინირების ფილოსოფიამ — „აშშ უსაფრთხოებას ქმნის, დანარჩენები კი მას მოიხმარენ“ — წაიბორძიკა რუსეთზე, რომლის წინააღმდეგ სანქციებმა თავად მესანქციერეები „გაყინა“. მათ მიერ პროვოცირებულმა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა და ერაყსა და ავღანეთში გაჩაღებულმა ბრძოლებმა აიძულა ისინი, აღიარონ, რომ მსოფლიო უკვე აღარაა ერთპოლარული. ამერიკა განწირულია რუსეთთან, როგორც მოკავშირესთან, თანამშრომლობისათვის და, რაც უფრო გულწრფელად მოიმოქმედებს ამას, მით მეტად სასიკეთო იქნება მისთვის!

რა ელის საქართველოს, რომელიც, როგორც ზემოთმოხსენებულ მოხსენებაშია ნათქვამი, რუსეთის გსნსაკუთრებული და ლეგიტიმური ინტერესების ზონაშია და რომელიც ნატოში არ უნდა მიიღონ?

„საქართველოს თემას ერთ-ერთ არგუმენტად გამოიყენებენ ამ დიდ ვაჭრობაში, რომელიც ბოლოსდაბოლოს მისი მიტოვებით დასრულდება. მე ამაში დარწმუნებული ვარ. არ აქვს მნიშვნელობა, ეს ახლა მოხდება, თუ — მოგვიანებით“, — ასე პასუხობს ამ შეკითხვას პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია, საქართველოს სოციალური და ნაციონალური ურთიერთობების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი. ძნელია, მას არ დაეთანხმო...

კონკრეტულად რა მოვლენების განვითარებას უნდა ველოდოთ? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ:

საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება და პირადად მიხეილ სააკაშვილი 2013 წლამდე ნებაყოფლობით არ მოიხსნიან უფლებამოსილებებს და ვადამდე არ გადადგებიან (რაც საჯაროდ არაერთხელ განუცხადებიათ);

კრემლი საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებასთან და პრეზიდენტ სააკაშვილთან დიალოგს კატეგორიულად გამორიცხავს, (რაც არაერთხელ განუცხადებია საჯაროდ);

რჩება ვარიანტები, რომლებსაც ფორს-მაჟორი ეწოდება და რომლებიც ადრე აღვწერე ერთ-ერთ პუბლიკაციაში. მოვლენათა შესაძლო განვითარების იქ მოყვანილი 6 სცენარიდან გავიხსნებ რამდენიმეს:

— შინაომი: ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირების შედეგად ქვეყანა შესაძლოა, სამოქალაქო ომის ზღვარზე აღმოჩნდეს, მაშინ გაერთიანებული ოპოზიციის თხოვნით, რუსეთის ჯარები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შემოვლენ მისი მრავალეროვანი მოსახლეობის დაცვისა და კონსტიტუციური წესრიგის დამყარების მიზნით (1993 წელს შევარდნაძის ხელმძღვანელობით კიტოვანი-იოსელიანი-სიგუას სამხედრო საბჭომ რუსეთს დახმარება სთხოვა და ადმირალ ბალტინის ხომალდებმა დესანტი გადმოსხეს, რომელმაც იხსნა ისინი უკვე ქუთაისს მომდგარი, განდევნილი პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრე სამხედრო ფორმირებებისგან).

კრიმინალური ომი: პრეზიდენტ სააკაშვილის დამხობის მიზნით საქართველოში დაბრუნდებიან კრიმინალური ავტორიტეტები და სააკაშვილის მიერ განაწყენებულ, კორუმპირებულ ყოფილ მაღალჩინოსნებსა და ოლიგარქებთან ერთად გააჩაღებენ კრიმინალურ „გარჩევებს“ (როგორც ეს 1993 წლის მერე იყო), რის შემდეგაც საგანგებოდ შექმნილი ხსნის საბჭო რუსეთს კონსტიტუციური წესრიგის დამყარებისა და სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის თხოვნით მიმართავს.

— სახალხო რევოლუცია: ხალხი თავად გადაწყვეტს თავისი ხელისუფლების ბედს. მაშინ საქართველოს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება და პრეზიდენტი ეყოლება, რომლებსაც აგვისტოს ომთან საქმე არ ჰქონია, ხოლო რუსეთს საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევისთვის აღარავითარი საფუძველი არ ექნება!

თუმცა, ალექსანდრე ჭაჭიას სხვა ინფორმაციაც აქვს: „არსებობს მოსაზრება, რომ ომის პროვოცირებას საქართველოს ხელისუფლება მოახდენს იმისთვის, რომ ქვეყნიდან გაძევებული იქნეს არა ქართველი ხალხის, არამედ რუსეთის არმიის მიერ, რათა წამებულის, ძალით განდევნილი მთავრობის სტატუსი შეიძინოს“.

რატომ? — ახსოვს რა პუტინის ზრახვები მისი პერსონის მიმართ და ისიც, რომ საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მიზეზების შემსწავლელი ევროკავშირის საერთაშორისო კომისია, ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით, სადაცაა თავის დასკვნას გამოაქვეყნებს და დამნაშავეს — 2008 წლის აგვისტოში ომის ინიციატორს — დაასახელებს. პრეზიდენტი სააკაშვილი, ალბათ, უარს არ იტყვის რუსული ჯარების მიერ გაძევებულის „დაფნის გვირგვინზე“, რაც მას „მეორედ მოსვლის“ პერსპექტივას თუ არა, პრეზიდენტ შევარდნაძის მსგავსად პირადი ხელშეუხებლობის გარანტიას მისცემს მაინც!

ედუარდ ამბროსის ძის ხსენებისას (რომელსაც თავისი ანგარიშები აქვს მიხეილ სააკაშვილთან) მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ მარტში ობამასთან შესახვედრად მედვედევს შევარდნაძის მეგობრები ამზადებდნენ: ნიქსონის ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი, რეიგანის ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი, ჯორჯ ბუშ-უფროსის ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი... ხოლო რუსეთის მხრიდან — თბილისელები: ევგენი პრიმაკოვი, იგორ ივანოვი და საქართველოში დიდი ხნის ნამსახურები (ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი თბილისში) იური ბალუევსკი — ეს ის ხალხია, ვინც ჩინებულად იცნობს საქართველოს, მის ხალხსა და ენას (არმიის გენერალი ბალუევსკი საქართველოზე მრავალი ლირიკული ლექსის ავტორია, თანაც ამ ლექსებს ქართულად წერდა!).

ამგვარად, ძვირფასო მკითხველებო, სხვის დაუხმარებლადაც გავერკვიეთ ში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში და უახლოესი მომავალი გვიჩვენებს — შევმცდარვართ თუ არა..

**P.S.** ნატოს ცნობილმა აპოლოგეტმა და ქართველ პოლიტოლოგთა „ბელადმა“ — საქართველოს დიპლომატიური აკადემიის რექტორმა სოსო ცინცაძემ (წარსულში საქართველოს კომპარტიის ცეკას ლექტორ-პროპაგანდისტმა) 5 მარტს „კავკასიის“ ტელეეთერში განაცხადა, რომ დიპლომატიის მთავარი პრინციპია, რომ ყველა კვერცხი ერთ კალათაში არ შეინახო. მინდა დავაზუსტო: ეს პრინციპი მოქმედებს მაშინ, როცა კვერცხები გაქვს, ხოლო უტიფარ ცრუპენტელებს ისინი არ გააჩნიათ! მათ, პოლიტიკის „ფლიუგერებს“, „ფელგენგაუერებს“, „ფელდეგერებს“, პოზიციისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს, პოლიტოლოგებს — „სტაჟიან“ პროქტოლოგ-პოლიტოლოგებსა და მათ ნორჩ „კლონებს“, დიპლომატებს — „მასხარებს“, „ხელმწიფის კარის“ ტელეჟურნალისტებსა და სხვადასხვა ჯურის აფერისტებს, ვინც მთელი ამ წლების განმავლობაში მხოლოდ „ბუშის ბარკლებით“ იკვებებოდა და სიტყვა „მამას“ ნაცვლად „მეთიუს“ წარმოთქვამდა; ვინც ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შესცქეროდა და იქ აშშ-ის ვარსკვლავ-ზოლებიან დროშას ხედავდა; ვისთვისაც ქრისტიანული ჯვარი ნატოს ოთხქიმიან ემბლემას წარმოადგენდა, ვურჩევ წაიკითხონ პროფესორ გ. როლედერის 1927 წელს გამოცემული მონოგრაფია „ონანიზმი“ (მიზეზები, სნეულების წარმოშობა, გამაფრთხილებელი ზომები, მკურნალობა). ვინიცობაა, უშველოთ...

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ათას მიკროფონზე გადამხტარები

**მიმდინარე კვირა სახელისუფლებო ტელეარხებმა ტერმინი „რადიკალის“ დამკვიდრებით დაიწყეს. ლექსიკონი განმარტავს, რომ „რადიკალი“ ნიშნავს „საფუძვლიანი, გადამწყვეტი ზომების მომხრეს“, მაგრამ საქმე ის არის, რომ „გადამწყვეტ ზომებში“, ძირითადად, აკრძალული ხერხებისა და დამანგრეველი მეთოდების გამოყენება იგულისხმება. თანამედროვე პოლიტოლოგები განმარტავენ, რომ რადიკალიზმი მიზნის მიღწევის გზაზე საყოველთაოდ აღიარებული წესების დარღვევასა და მთელი რიგი ფასეულობების ნგრევას მოიცავს — დაწყებული რიგითი ობივატელის სიმყუდროვის დარღვევით, დასრულებული ღვთიური და ადამიანური კანონების რღვევით.**



არის შემთხვევები, როცა რადიკალიზმი საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს და სამეცნიერო და რელიგიურ ჭეშმარიტებებსაც კი. ცნობილია ისიც, რომ რადიკალს შესაძლოა, კეთილი მიზნები ამოძრავებდეს, მაგალითად, მოსახლეობის განათლების დონის ამაღლება, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად ყველა გაუნათლებელი ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმოს. მოკლედ, „რადიკალი“ და „რადიკალიზმი“ სასიამოვნო და დადებით ასოციაციებთან არ არის კავშირში და სააკაშვილის რეჟიმმაც გადაწყვიტა, ოპოზიციური პოლიტიკური ძალები აპრილის საპროტესტო აქციებამდე სწორედ ამ „კომპლიმენტით“ შეამკოს, რა თქმა უნდა, მისდამი დამონებული ტელეარხების, ასევე, მონა ჟურნალისტების დახმარებით, რომლებიც ვერც ტერმინი „რადიკალის“ არსში ერკვევიან და არც ის იციან, მათი დამკვეთი თავად რადიკალი რომ ბრძანდება. **რამიშვილი-ბოკერიას ახალი მესიჯი სახეზეა: 2009 წლის 9 აპრილამდე სახელისუფლებო ჟურნალისტებმაც და ხელისუფლების წარმომადგენლებმაც ოპოზიციასთან მიმართებაში იმდენჯერ უნდა გაიმეორონ ტერმინი „რადიკალი“, ვიდრე ქართველი მაყურებლის ისედაც ზომბირებულ ტვინში საბოლოოდ არ „ჩაჯდება“ აზრი, რომ გარშემო ყველა რადიკალია, „ნაციონალური პარტიის“ წევრთა და მომხრეთა გარდა. ამასთან, შეფასება „რადიკალი“ დასაწყისიდანვე ქმნის საფუძველს, უახლოეს პერსპექტივაში გამართლდეს ანგარიშსწორება „რადიკალურ ოპოზიციასთან“.**

დღეს ქართული ტელეეკრანი მართლაც „ცისფერი ყუთის“ ფუნქციას ასრულებს, სადაც რეჟიმის პიარაგენტების გამოფიტული ფანტაზია ფარულად გადაღებული ვიდეომასალის გარდა, ვეღარც იმპროვიზაციას გვთავაზობს და აღარც ის გულუბრყვილო მაყურებელი შერჩა, რომელსაც ერთსა და იმავე რესტორანში გადაღებული ამ ჩანაწერების სჯერა. **სამაგიეროდ, ჩემი კოლეგა „რუსთავი 2“-დან, ქალბატონი ნატა მახვილაძე (ირონიული ტონითა და გამომეტყველებით) პირნათლად ასრულებს სააკაშვილის რეჟიმის დაკვეთას და ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრს „რადიკალებად“ და „რადიკალებად“ და „რადიკალებად“ მოიხსენიებს. აფერუმ, ნატა! და აფერუმ, გორიდან გამოქცეულო არარადიკალო გოკა გაბაშვილო, რომელიც აგვისტოს ომს შარდენის კაფე-ბარებიდან უძღვებოდი. შენ და შენი ოჯახი რომ კარგი „ისპოლნიტელები“ ბრძანდებით, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ 9 აპრილამდე, ეტყობა, „ახალი სუნთქვა“ გაგეხსნათ და ასე გააგრძელეთ, გაბაშვილებო, სანამ იმ მამაგერმანიში არ დაბრუნდებით, რომელიც თავის დროზე ედუარდ შევარდნაძემ აღმოგაჩენინათ.**

„რადიკალთან“ ერთად, სახელისუფლებო ტელეარხები საზოგადოების ცნობიერებაში „სტახანოვური ტემპებით“ ცდილობენ, დააკვიდრონ ტერმინი „ექსტრემისტი“. ალბათ, გაინტერესებთ, — რატომ...

**პოლიტოლოგიაში ცნობილია, რას გულისხმობს რადიკალიზმის ცალკეული კლასიკური ფორმა: ზომიერი რადიკალი, ექსტრემისტი, რევოლუციონერი... ექსტრემისტი „საფუძვლიანი გარდაქმნებისათვის“ ყველა ზომას მიმართავს, მათ შორის, ტერორს. ეს არის ე.წ. არალეგალური რადიკალიზმის ფორმა, რომელიც, ძირითადად, ავანტიურას ეყრდნობა. იმედია, ჩვენი განმარტებების პარალელურად, ნათელი წარმოდგენა გექმნებათ, რატომ გაჩნდა სახელისუფლებო ტელეარხებზე ტერმინები „რადიკალი“ და „ექსტრემისტი“.**

ხელისუფლება საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისას კვლავ დანაშაულებრივ, კანონით აკრძალულ ხერხს მიმართავს — იარლიყის მიწებებას! **თუ მაყურებლის დარწმუნება მოხერხდება, რომ ოპოზიცია რადიკალია, მაშინ ერთ მშვენიერ დღეს ისიც არავის გაუკვირდება, რომ რადიკალმა ოპოზიციონერებმა ტერორს მიმართონ!!! თუ ოპოზიცია რადიკალია, მაშინ ყველა მეთოდს გამოიყენებს არსებულის დასანგრევად!!! მაგრამ დავსვათ მთავარი კითხვა — რამდენად არის „არსებული“ ფასეული? რამდენად პასუხობს იგი ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და, მითუმეტეს, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, რასაც კლასიკური ტიპის რადიკალები ებრძვიან?!. — არანაირად! პოლიტიკური ოპოზიცია საქართველოში დღეს რეჟიმისა და დიქტატურის წინააღმდეგ გამოდის და არა დემოკრატიული მმართველობის შესაცვლელად (დემოკრატია თავისთავად ფასეულობაა!)...**

ოპოზიცია რეჟიმის შეცვლას მშვიდობიანი მეთოდების გამოყენებით გეგმავს, რაც ასევე პასუხობს ყველა საერთაშორისო სტანდარტს. სად არის აქ რადიკალიზმი და სად არიან რადიკალები? — პრაქტიკულად, არსად!

გახმაურებული ვიდეომასალის გავრცელების ფონზე ადვილად ასახსნელია, რატომ დაიწყო ხელისუფლებამ რადიკალებსა და რადიკალიზმზე საუბარი. ჯერ ხელოვნურად შეიქმნა სურათი, თითქოს ბედნიერ და აყვავებულ ქვეყანაში დაუნახავი ექსტრემისტები შეიარაღებულ აჯანყებას გეგმავენ და მეორე — თუ დაუნახავები აჯანყებას აპირებენ, ე.ი. ოპოზიცია მიმართავს ტერორის მეთოდს და ის ექსტრემისტია.

## არ არის გამორიცხული, საზოგადოების დაშინების მიზნით, ხელისუფლებამ თავად გააქტიუროს ტერორისტული ჯგუფები და 9 აპრილის საპროტესტო აქციამდე და მის შემდგომ პერიოდშიც უფორმო სპეცრაზმელებს მოაწყობინოს აფეთქებები არა მარტო რეგიონებში, არამედ ქალაქის ცენტრში ან სტრატეგიულ ობიექტებზე, რაც სახელისუფლებო ტელეარხების დახმარებით „რადიკალ-ექსტრემისტ ოპოზიციას“ დაბრალდება.

თუმცა, მოსახლეობის გულუბრყვილობიდან გამომდინარე, ეს ბინძური ისტორიაც უფრო მეზობელ ვანკას, ანუ რუსეთს მიეწერება, ვიდრე გოგიას, ანუ მიშას. აი, როდის გახდება საჭირო ოპოზიციისა და ვანკას ფარული კავშირების თემის რეანიმაცია. **საბოლოო ჯამში, ისევ ელექტრონული მედიის მონობის პრობლემამდე მივდივართ, რომელიც იარაღია რეჟიმის ხელში, რომელსაც არ უნდა, იფიქროს ხვალინდელ დღეზე და არ არის მოწოდებული, შეასრულოს საინფორმაციო საშუალებისათვის უპირველესი ფუნქცია — საზოგადოებას მიაწოდოს ობიექტური ინფორმაცია, ანუ უთხრას სიმართლე.**

მე კი ერთ-ერთ სტატიაში ხაზგასმით აღვნიშნე, რომ როცა ქვეყანაში საინფორმაციო საშუალებების ფუნქცია იკარგება, რჩება მხოლოდ შიშველი დიქტატურის დამყარების ალტერნატივა. სააკაშვილის რეჟიმმა 5 წლის განმავლობაში იმდენად ამოწურა ბოროტი საინფორმაციო ზემოქმედების რესურსი, რომ მაყურებელში მხოლოდ და მხოლოდ ზიზღი და უნდობლობა დაბადა. ამ ზიზღის შედეგი კი ისაა, რომ ერთი კვირაა, ქართველი ტელემაყურებელი „ტერორისტი გველუკაშვილის“ ინფანტილურ მისწრაფებებზე მხოლოდ იცინის, ხოლო დანარჩენი „ტერორისტების“ გულახდილი დიალოგები იარაღით მოვაჭრეებთან იმდენად არაადეკვატურია, რომ „სიცილის თერაპიაც“ კი ეფექტიანობას კარგავს. **ისე, როცა ხელისუფების წარმომადგენლები რადიკალიზმზე საუბრობენ, ურიგო არ იქნებოდა, გაეხსენებინათ, ვინ იყვნენ თავად 2003 წლის ნოემბერში და უფრო მოგვიანებითაც, როცა ლომაიას განათლების უკუღმართ რეფორმას ლამის მთელი ქართული ინტელექტუალური საგანძური შესწირეს.** ესეც რადიკალთა დამახასიათებელი თვისებაა — მოკლა და გაანადგუროს, „კეთილი“ მიზნით.

## ასეთი „კეთილი“ და „კეთილშობილური“ ლოზუნგებით კლავდა სააკაშვილის რეჟიმი ქართველ კაცსა და საქართველოს 2003 წლის 23 ნოემბრიდან დღემდე. ზოგმა ეს ძალიან ადრე დაინახა და გააცნობიერა, ზოგიერთმა — გვიან...

რადიკალმა რევოლუციონერებმა ქვეყანას ღირსებაც წაართვეს და მიწა-წყალიც და ახლა კუდის მოქნევისთვის ემზადებიან. დამონებულ-გაყიდული ქართული ტელევიზია კი საზოგადოების წინაშე ისეთივე შიშველია, როგორც მისი პატრონი. სამწუხაროა, რომ სიშიშვლე ზოგიერთი ქართველი ტელეჟურნალისტისთვის დიდი ხანია, სირცხვილად აღარ ითვლება. პირიქით...

**ირმა ინაშვილი**

# ბოკერია-რამიშვილის ტანდემი მედიაზე ახალ შეტევას ახორციელებს

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# საინფორმაციო ტექნოლოგიები, რითაც საზოგადოებას ათაყვანებენ

**ცივი ომი არ დამთავრებულა. მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, ის გრძელდება და ძალასაც იკრებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთავარი ბრძოლა ჯერ წინ არის. გეოპოლიტიკური გავლენისა და ეკონომიკური რესურსებისთვის ბრძოლაში რუსეთის მოწინააღმდეგეები ახალ-ახალ გამოწვევებს გზავნიან, ინფორმაციულ ვირუსებს უშვებენ და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების თუ კომუნიკაციების საშუალებების დახმარებით მათ მასების ცნობიერებაში ნერგავენ.**



რევოლუციის ახალი თეორიის შემქმნელი ანტონიო გრამში გვასწავლიდა, რომ მოქმედება საჭიროა საზოგადოების ბაზისზე შეტევით არა ჯიქურ, არამედ ზედნაშენის მეშვეობით — ინტელიგენტთა ძალებით, ცნობიერებაში „მოლეკულური აგრესიის" განხორციელებითა და საზოგადოების „კულტურული ბირთვის" დაშლით. წარმატებული მანიპულაციის მნიშვნელოვანი პირობა ადამიანის ფსიქოლოგიური დაცვის დარღვევაა, იმ საფუძვლებისა, რომლებსაც მის მიერ ინფორმაციის კრიტიკულად აღქმის უნარი ემყარება.

**გრამშისეულ რევოლუციაში ტელევიზია მთავარი იარაღია. მეტიც, გრამშის თეორია თანამედროვე რეკლამას უდევს საფუძვლად. პრინციპში, ამოცანები ხომ ერთნაირია — ადამიანი დაარწმუნო, რომ აბსოლუტურად უსარგებლო ნივთი შეიძინოს ან პარლამენტში ხაკამადა აირჩიოს. დღეს კი აღმოჩნდა, რომ რეკლამის ამ ორი ტიპის შეერთება „მოლეკულურ აგრესიას" აძლიერებს.** ასე გადაიქცევა პატარა პროფესიული ჯგუფი — ტელევიზიის შემოქმედებითი მუშაკები — ორგანიზაციად, საგანგებო სპეცსამსახურად, რომელიც თანამემამულეთა მთელი მასის ცნობიერებისა და აზროვნების წინააღმდეგ ომს აწარმოებს.

უნდა ვაღიაროთ, რომ დასავლეთმა მანიპულაციის ინტელექტუალურ ტექნოლოგიაში დიდი ნახტომი გააკეთა. მნიშვნელობა არ აქვს, რომ „საშუალო ადამიანის" აზროვნება მთლიანობაში იქ მოუქნელი დარჩა. სპეციალისტებმა და ექსპერტებმა — მათ, ვინც პოლიტიკოსებს რჩევებს აძლევს — აითვისეს ახალი მეცნიერული წარმოდგენები, რომლებსაც „არასტაბილურობის ფილოსოფია" ემყარება. მათ გაურკვევლობის მდგომარეობის, სტაბილურად მოქმედი სტრუქტურების ქაოსში გადასვლისა და ახალი წესრიგის აღმოცენების სწრაფად გაანალიზება ისწავლეს. ისტორიკოსები მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევენ აშშ-ის ინტელექტუალური ელიტის „ჰიბრიდიზაციას", მასში ანგლოსაქსებისათვის უცხო, მოქნილი და პარადოქსული აზროვნების მქონე ებრაელი ინტელიგენტების მნიშვნელოვანი ნაწილის შეჭრას.

იმ „მიზნების" პოლიტეკონომიკური არსი, რამაც XX საუკუნის გამოქვაბულის ადამიანები ტელეეკრანს მიაჯაჭვა, საბაზრო საზოგადოებაში ზედაპირზე დევს. **ამბობენ, რომ ახლა მთავარი სახეების ბაზარია. ისეთი საქონელიც კი, როგორიც ავტომობილია, დღეს უპირველესად გადაადგილების საშუალება კი არა, სახეა, რომელიც მის მფლობელს წარმოადგენს. სახეების ბაზარი საკუთარ კანონებს კარნახობს, და მათი გამყიდველი (ტელეკომპანია) ცდილობს, მაყურებლის ყურადღება თავისი არხისკენ მიიზიდოს. თუ ეს ხერხდება, ის საზღაურს ახდევინებს ცალკეულ გამყიდველს, ვინც თავის სახეს მისი არხის მეშვეობით უწევს რეკლამას.** დასავლეთში რეკლამას გაზეთებისათვის შემოსავლის 75 და ტელევიზიებისათვის შემოსავლის 100 პროცენტი მოაქვს. აშშ-ში რეკლამას საეთერო დროის დაახლოებით მეოთხედი უკავია. რამდენიმე შემორჩენილი სახელმწიფო არხიც კი უმეტესწილად რეკლამის ხარჯზე ფინანსდება (საფრანგეთში ორი სახელმწიფო არხი 66 პროცენტით რეკლამაზეა დამოკიდებული; ყველაზე დამოუკიდებელი გერმანიის ტელევიზიაა). **80-იანი წლების მიწურულს ამერიკულ ტელევიზიაში საღამოს სერიალის დროს 30-წამიანი სარეკლამო რგოლის გაშვება საშუალოდ 6 ათასი დოლარი ღირდა, პოპულარული სპორტული შეჯიბრების დროს კი — 345 ათასი დოლარი. 2000 წელს ამერიკულ ფეხბურთში აშშ-ის ჩემპიონატის ფინალური მატჩის დროს 30-წამიანი რგოლის ჩვენება 1,5 მილიონი დოლარი ღირდა.**[1] ტელევიზიის რეკლამასთან შეერთება მას სრულიად ახალ თვისებას სძენს. რეკლამაში მეწარმის „მოლეკულური" უნარი, კონკურენციის პირობებში ბაზარზე თავისი საქონელი დაამკვიდროს, საზოგადოების კონსოლიდაციისადმი (თავისი კულტურული ჰეგემონიის დამკვიდრებისადმი) ბურჟუაზიის საზოგადოებრივ მოთხოვნილებასთან ერთიანდება. **სწორედ მოთხოვნილებათა გაერთიანების ამ კოოპერაციულმა ეფექტმა გამოიწვია რეკლამის როგორც განსაკუთრებული კულტურისა და ინდუსტრიის ფეთქებადი განვითარება.**[2]

ჩვენ არ ჩავუღრმავდებით რეკლამის რთულ და ჯერაც ბოლომდე გაურკვეველ ბუნებას და მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო მხარეს აღვნიშნავთ. თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში რეკლამის იდეოლოგიური როლი ინფორმაციულზე გაცილებით მნიშვნელოვანია. რეკლამა ქმნის „დამკვეთის პროექტით" აგებულ ვირტუალურ სამყაროს ბურჟუაზიული ფასეულობების გარანტირებული კულტურული ჰეგემონიით. ეს არის გამაბრუებელი წარმოსახვითი სამყარო და მასში ჩაძირული ადამიანის აზროვნება აუტისტური ხდება. ასეთმა ადამიანებმა იციან, რომ გამოგონილი სახეების გარემოცვაში ცხოვრობენ, მაგრამ „სპექტაკლის" კანონებს ემორჩილებიან.

**აშშ-ში 10 წლის განმავლობაში (1986 წლიდან) მიმდინარეობდა 10-დან 14 წლამდე მოზარდების საფუძვლიანი გამოკვლევა, რომელიც კარნეგის ფონდის მიერ იყო ორგანიზებული. 1995 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული მოხსენება მრავალმხრივ შთამბეჭდავი იყო, მაგრამ ჩვენ ერთი დასკვნა გვაინტერესებს:**

**„ტელევიზია არ იყენებს თავის შესაძლებლობებს აღზრდაში და სოციალური ქცევის ყველაზე უარყოფით მოდელებს კვებავს... რეკლამის პასიურმა ყურებამ შესაძლოა, მოზარდთა კრიტიკული აზროვნება შეზღუდოს და აგრესიული ქცევის სტიმულირება გამოიწვიოს".**

რეკლამის ეს ზემოქმედება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მკვეთრად ძლიერდება, როდესაც ის საინფორმაციო გამოშვებების თითქოსდა ობიექტურ შეტყობინებებს უკავშირდება. იქმნება შეტყობინებათა ორი ტიპის სინერგიზმი და ადამიანების ცნობიერება ორად იხლიჩება. **რეკლამის წარმოსახვითი სახეები კონტრასტის გზით არწმუნებენ მაყურებელს ინფორმაციების სარწმუნოობაში, ხოლო ახლა უკვე „აშკარად უტყუარი" ახალი ამბები რეკლამის მომხიბვლელ ეფექტს აძლიერებს: გულგრილი რეპორტაჟი „ნდობის" ინერციას ქმნის, რომელიც მის კვალდაკვალ გაშვებულ რეკლამაზე ვრცელდება, ხოლო რეკლამა ემოციებს აღძრავს და „გულგრილ" რეპორტაჟში ჩადებული იდეების აღქმისთვის ნიადაგს ამზადებს... ამიტომ ტელევიზიაში რეკლამისა და უკანასკნელი ცნობების დაკავშირება დიდი პოლიტიკის საკითხია. მეორე მხრივ, რეკლამა, რომელიც მთლიანი მხატვრული ნაწარმოების (მაგალითად, კინოფილმის) ქსოვილს არღვევს, მკვეთრად აქვეითებს ადამიანის ცნობიერებაზე მის სასიკეთო ზეგავლენას. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში იტალიაში კომუნისტებმა „მაღალმხატვრული" კატეგორიის კინოფილმების რეკლამით წყვეტის აკრძალვას მიაღწიეს. კანონის მიღებას თან მძიმე სამთავრობო კრიზისი ახლდა, ეს ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პოლიტიკური შეჯახება გახლდათ. სულ რაღაც საათნახევრით ტელეეკრანიდან რეკლამის განდევნა პრინციპული მნიშვნელობის საკითხია, რომელმაც არსებითად შეცვალა მდგომარეობა საზოგადოებაში. ეს დრო, დაურღვეველი ფილმის გამაჯანსაღებელ ზემოქმედებასთან ერთად, უკვე საკმარისია ცნობიერების „რემონტისთვის".**

რეკლამა ტელევიზიის მთელ კულტურულ პოლიტიკაზე ახდენს გავლენას. ხშირად მიუთითებენ იმ აშკარა ფაქტზე, რომ ტელევიზია „მაყურებელზე ნადირობისას" უჩვეულო, სენსაციური მოვლენების ზედმეტად ჩვენებას არ ერიდება. რა თქმა უნდა, ის ამით უკვე ამახინჯებს რეალობას. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია სხვა რამ: მაყურებლის და, მაშასადამე, რეკლამის დამკვეთის მიზიდვის ყველაზე იოლი საშუალებაა იმ ფარული, დათრგუნვილი ინსტინქტებისა და სურვილებისთვის მიმართვა, რომლებიც ქვეცნობიერებაშია დაბუდებული. თუ ეს სურვილები მეტისმეტად ღრმად იმალება, საჭიროა მაყურებლის გარყვნა, არაჯანსაღი ინტერესის ხელოვნურად გამწვავება. ერთმა დასავლელმა ტელეპროდიუსერმა ამის შესახებ გულახდილად თქვა: ბაზარი მაიძულებს, უმსგავსი სენსაციები ვეძებო და ვაჩვენო; ჩემთვის აზრი არა აქვს მღვდლის ჩვენებას, რომელიც ადამიანებს სიკეთეს ასწავლის — ეს ბანალურია; მაგრამ თუ სადმე ღვთისმსახურმა მცირეწლოვანი გოგონა ან, უმჯობესია, ბიჭუნა გააუპატიურა, ეს ინტერესს გამოიწვევს. მე ასეთ სენსაციებს მთელ მსოფლიოში დავეძებ. მსოფლიო კი დიდია და ტელევიზიისთვის ასეთი მასალები საკმარისზე მეტია.

**ტელევიზიისთვის განსაკუთრებით სარფიანი საქონელი სწორედ ის სახეებია, რომელთა ყურებას კულტურული ტაბუ ადევს. ამგვარი სახეების ჩამონათვალი განუხრელად იზრდება, და ისინი სულ უფრო დამანგრეველი ხდება. უბრალო პორნოგრაფია და ძალადობა უკვე ყელში ამოვიდა, კულტურაში დარჩენილი აკრძალვების და მათი დამანგრეველი მხატვრული სახეების ძიებით ნიჭიერი ადამიანების უზარმაზარი მასაა დაკავებული.** აი, მაგალითად, ბრიტანეთის ტელევიზიის კომერციული არხის მიერ გადაღებულმა ტელესერიალმა „ბრუკსაიდმა" ტელეპროგრამათა ხარისხის კონტროლის საბჭოს „შენიშვნა" დაიმსახურა.

**მაყურებლის მისაზიდად რეჟისორმა ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე აჩვენა ინცესტის სცენა — სქესობრივი აქტი და-ძმას შორის. თანაც ამისთვის მიმზიდველი, პოპულარული მსახიობები მიიწვია, რომლებიც, ჩვეულებრივ, დადებით გმირებს თამაშობდნენ. როგორ გაიმართლა თავი რეჟისორმა? ჩვენ, — თქვა მან, — ინცესტის სიუჟეტი იმიტომ ჩავრთეთ, რომ ეს „უკანასკნელ ტაბუზე შეტევის მიტანის" საშუალებას გვაძლევსო. უკეთესად ვერავინ იტყოდა.**

ამგვარად, ბაზარი, ტელემეწარმეთა პირადი თვისებებისაგან დამოუკიდებლად, მათ ადამიანის გარყვნას აიძულებს. თუ ეს მოცემული სოციალური ჯგუფის პოლიტიკურ ინტერესებსაც თანხვდება, ტელევიზია მძლავრ დამანგრეველ ძალად გადაიქცევა. მაინც, რა ვიცით ტელევიზიის დახმარებით კულტურული საფუძვლების ნგრევის შესახებ? უპირველეს ყოვლისა, ტელევიზია ინტენსიურად აჩვენებს იმას, რასაც ადამიანები არ უნდა ხედავდნენ, რის ნახვასაც მათ სიღრმისეული, არაცნობიერი ტაბუ უკრძალავს. როდესაც ადამიანს ამას აჩვენებენ (აკრძალული ხილი ხომ გემრიელია), ის აღიგზნება და ყოველივე ქვენა, რაც სულში აქვს, მობილიზდება. ასეთი ობიექტების ნაკრები უზარმაზარია. ჩვეულებრივ, პორნოგრაფიას „აწვებიან". მაგრამ ჩვენ სიკვდილის საიდუმლოზე შევჩერდებით. სიკვდილი ადამიანის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა და უცხო თვალთაგან დაფარული უნდა იყოს. **კულტურამ ადამიანებისთვის მიცვალებულის ჩვენე-**



საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**ბის რთული რიტუალი გამოიმუშავა. ტელევიზიის მისამართით ერთ-ერთი უმთავრესი ბრალდება სიკვდილისთვის საბურველის ჩამოგლეჯაა; ეს მყისვე აზიანებს ადამიანის სულიერ დაცვას, და ამ ნასვრეტიდან სხვადასხვაგვარი მითითებების ჩანერგვაა შესაძლებელი.**

რეკლამის დამკვეთები სიკვდილის ხშირად ჩვენებას მოითხოვენ. **ფროიდიზმის სკოლის მიმდევარი რეკლამის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სიკვდილის სანახაობა, რომელიც „ტანატოსის კომპლექსს“ აკმაყოფილებს, ყველაზე მეტად აღძრავს მაყურებელთა ყურადღებასა და ინტერესს. ა. მოლი აღნიშნავს, რომ ეს აზრი ფართოდ არის გავრცელებული პრესის თუ ტელევიზიის რედაქტორებს შორის: „სიკვდილი უდავო ფასეულობაა, რადგან ადამიანი სიამოვნებით იგებს, რომ ვიღაც გარდაიცვალა, იმ დროს, როცა თვითონ ჯერაც ცოცხალია“.**[3]

ამავე დროს, ადამიანები გრძნობენ, რომ სიკვდილის სახეებით მანიპულირება კულტურას არღვევს. ამიტომ ეს მნიშვნელოვანი, თუმცა ხშირად დაფარული საზოგადოებრივი კონფლიქტის სფეროა. გამარჯვება ხან ერთ, ხან მეორე მხარეს არის; ცნობილი ფოტოგრაფი, რომელმაც საკუთარი მამის სასიკვდილო აგონიის მაღალმხატვრული ფოტოები გამოფინა, ფარულად განკვეთეს საზოგადოებიდან. **მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულის საუკეთესო ფოტოს ავტორმა ფრანგმა ფოტოგრაფმა თავი მოიკლა. ფოტოზე ასახულია პატარა სომალელი გოგონა, რომელიც კვების პუნქტისკენ მილასლასებს, ორ ნაბიჯზე კი ხტუნვა-ხტუნვით მიჰყვება სვავი და ელოდება, როდის დაეცემა მსხვერპლი. საფრანგეთში ავტორს ჰკითხეს, მიიყვანა თუ არა ბავშვი კვების პუნქტამდე. არა, — თქვა ფოტოგრაფმა, — მე მხოლოდ მაცნე ვარ, რომელსაც თქვენამდე ამბები მოაქვსო. ფრანგებმა ის, შეიძლება ითქვას, სიკვდილით დასაჯეს.**[4]

**საერთოდ, სომალი პოსტმოდერნის ეპოქის ტელევიზიისთვის უმნიშვნელოვანეს პოლიგონად იქცა. ის აშკარად არა, მაგრამ ეფექტიანად ნერგავდა დასავლელი ობივატელის აზროვნებაში აზრს, რომ აფრიკული ტომები ადამიანებს კი ჰგვანან, მაგრამ როგორც თვითონ ხედავთ, ეს უმდაბლესი, უმწეო ქვესახეობაა. ტელევიზია პერიოდულად (როგორც ჩანს, ოპტიმალურად გათვლილი სიხშირით) აჩვენებდა სომალელ ბავშვებს არაადამიანურ პირობებში, ცილის უკმარისობისგან გამოფიტული ორგანიზმით, შიმშილისგან მომაკვდავებს ან უკვე გარდაცვლილებს. იქვე, როგორც ადამიანის სტანდარტს, აჩვენებდნენ ლოყაწითელ საზღვაო ფეხოსანს ან გაეროს თანამშრომელ მომხიბვლელ გოგონას. და არც ერთი ჰუმანისტი არ შევარდნილა ტელევიზიაში ყვირილით, რომ ეს დანაშაულია — აჩვენო ასეთი სახეები, მერე კი შამპუნის რეკლამა გაუშვა (ზოგჯერ ეს სახეები რეკლამის ნაწილსაც კი შეადგენდა).** ლიტერატურით შეიძლება ვიმსჯელოთ, როგორი კვალიფიკაცია აქვთ ტელევიზიის ფსიქოლოგებსა და ექსპერტებს, და იძულებული ვართ, უარვყოთ ვარაუდი, რომ მათ არ ესმოდათ, რას იქმოდნენ: იმით, რომ მაყურებელს მომაკვდავი აფრიკელის სახეს აჩვევენ, ისინი სულაც არ ცდილობენ, თეთრი ადამიანი უფრო სოლიდარული გახადონ. პირიქით, ქვეცნობიერებაში (რაც იაფფასიან სიტყვებზე მნიშვნელოვანია) აფრიკელებზე, როგორც უმდაბლეს ქვესახეობაზე, სოციალურ-დარვინისტული წარმოდგენის ლეგიტიმაცია ხდება. საჭიროა მათზე ზრუნვა (როგორც ნავთობის გუბეში მოხვედრილ ფრინველებზე), მათთვის ცოტაოდენი რძის ფხვნილის გაგზავნა. მაგრამ ეთიკაზე დაფიქრება? ამ გაჩხინკული ბავშვების გამო, რომლებიც სიკვდილის წინ სულელურად იღიმიან? რა უცნაური იდეაა. საშუალო ინტელიგენტს თავად საკითხის დაყენებაც კი აოცებს.

**მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ბავშვი ევროპელს უკვდება. და უცებ სახლში საქმიანი ახალგაზრდები შეიჭრებიან კამერებითა და ლამპებით, მამას ხელს ჰკრავენ და აგონიის სანახაობას იღებენ. ხვალ კი რომელიმე სქელუა რომელიღაც ბარში ლუდის ყლურწვისას ნახავს ამ სიუჟეტს და კომენტარს გააკეთებს: „ნახე, ნახე, როგორ სძვრება სული, რას უკანკალებს ხელები!“ ერთხელ დასავლეთში, ტელევიზიის შესახებ დებატებში მონაწილეობისას, ეს „წარმოსახვითი ექსპერიმენტი“ შევთავაზე. ყველას გააჟრჟოლა. მაგრამ თქვენი ტელევიზია ხომ ამას რეგულარულად აკეთებს აფრიკელების მიმართ და ამაში ცუდს ვერაფერს ხედავთ, ვუთხარი მე.**

აშშ-ში ტელევიზია „პირდაპირ ეთერში სიკვდილის ჩვენების“ ნებისმიერ შესაძლებლობაზე ნადირობს.

## ბალტიმორის მოსამართლემ სიკვდილმისჯილი ჯონ ტანოსის გაზის კამერაში გაგუდვის ვიდეოჩანაწერის გაკეთების ნებართვა გასცა. ფასიანი ტელევიზიის მსხვილმა სისტემამ მიიჩნია, რომ სიკვდილით დასჯის პირდაპირ ეთერში ტრანსლაცია საუკუნის გადაცემად იქცეოდა და 600 მილიონი დოლარის მოგებას მოიტანდა.

კიდევ იყო ფეხბურთის ვარსკვლავ ო. სიმპსონის სასამართლო — მას ცოლისა და მისი მეგობრის მხეცურად მოკვლაში სდებდნენ ბრალს. პროცესი, რომელზეც 3 მილიონი დოლარი დაიხარჯა, ეროვნულ შოუდ იქცა. მოსამართლემ ტელეტრანსლაციის ნებართვა გასცა, თუმცა 15 ათასი საპროტესტო წერილი მიიღო. სიკვდილით დასჯის ფოტოებზე არნახული მოთხოვნა იყო. ადვოკატებს ქუჩებსა და მაღაზიებში გასაქანს არ აძლევდნენ და ავტოგრაფებს სთხოვდნენ. ხოლო **1998 წლის 1 მაისს აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე საბავშვო გადაცემები იმისთვის შეწყდა, რომ ლოს-ანჯელესის ერთ-ერთი ქუჩიდან პირდაპირ ეთერში ეჩვენებინათ თვითმკვლელობა კაცისა, რომელმაც შეიტყო, რომ შიდსი სჭირს. ეს საუცხოო სპექტაკლი გამოდგა. მან ჯერ თავის მანქანას წაუკიდა ცეცხლი, რომელშიც ძაღლი ჰყავდა ჩაკეტილი, მერე ალმოდებული შარვლით გადმოვიდა მანქანიდან, თოფი გადმოიტანა, თავში ტყვია მიიჭედა და მთელი ქუჩა**



**სისხლით მორწყა. ამ ყველაფერს ვერტმფრენიდან იღებდნენ. ბავშვები მთელ ქვეყანაში იძულებული იყვნენ, ამ სცენისთვის ეყურებინათ, რამაც მშობლების პროტესტი გამოიწვია. უნდა აღინიშნოს, რომ ტელეკომპანიებმა მათ ბოდიში მოუხადეს.**

მიზანი ბოლომდე ახსნილი არ არის, მაგრამ ფაქტი მყარად დადგენილია: დასავლური საზოგადოების ტელევიზია „ძალადობის კულტურას“ აყალიბებს, დანაშაულებრივ ძალადობას მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ცხოვრების მისაღებ და გამართლებულ წესად აქცევს. ტელევიზია დიდ დროს უთმობს ძალადობას, მკვეთრად გადაჭარბებულად წარმოაჩენს მის როლს ცხოვრებაში და ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრის ეფექტიან საშუალებად წარმოადგენს; ტელევიზია ქმნის მოძალადის როგორც დადებითი გმირის მითიურ სახეს. ტელევიზიის ექსპერტები ამბობენ, თითქოს ძალადობის „სპექტაკლის“ ჩვენებით მათ ყურადღება რეალური ძალადობისგან გადააქვთ: როდესაც ადამიანი რეალურ ცხოვრებაში ბრუნდება, ის უკეთესიც კი ეჩვენება, ვიდრე ეკრანზეა. ანუ „იქმნება ძალადობის კულტურა, რომელიც ძალადობის რეალობას ენაცვლება“ (ეს ეგრეთ წოდებული კათარზისის თეორიაა). თუმცა ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ძალადობის კულტურა კი არ ენაცვლება, არამედ აკანონებს ძალადობის რეალობას. მეტიც, ცხოვრებაში ძალადობის აქტები იზოლირებულია, ტელევიზია კი ქმნის ძალადობას, როგორც სისტემას, რაც ფსიქიკაზე გაცილებით ძლიერად ზემოქმედებს, ვიდრე რეალობა. ფსიქოლოგი ე. ფრომი მიიჩნევს, რომ ტელევიზიით ძალადობის ჩვენება იმ საშინელი მოწყენილობის დაძლევის მცდელობაა, რომლითაც ბუნებრივ ადამიანურ კავშირებს მოკლებული ინდივიდები არიან შეპყრობილი. ისინი „პასიურ ლტოლვას განიცდიან დანაშაულის, კატასტროფების, სისხლიანი და სასტიკი სცენების გამოსახულებისკენ, რომლითაც პრესა და ტელევიზია ყოველდღე კვებავს საზოგადოებას. ხალხი ხარბად ნთქავს ამ სახეებს, რადგან ეს აგზნების გამოწვევის და ამით მოწყენილობის შემსუბუქების ყველაზე სწრაფი საშუალებაა. მაგრამ ძალადობით პასიურ ტკბობას მხოლოდ ერთი ნაბიჯი აშორებს სადისტური და დამანგრეველი ქმედებებით აქტიური აგზნებისაგან“. ტელევიზია ძალადობის გენერატორი ხდება, რომელიც ეკრანიდან ცხოვრებაში შემოდის. ყოველ შემთხვევაში, მოსახლეობის ნაწილთან მიმართებაში ეს მყარად არის დადასტურებული.

ამ ნიჰილიზმისა და მოწყენილობის ბევრი წყარო უკვე გარკვეულია. მნიშვნელოვანი მიზეზია სულიერი საკვები, რომელსაც ადამიანი ტელევიზიის მეშვეობით იღებს. ის ხარბად ყლაპავს მას, ოღონდ მოწყენილობას გადაურჩეს, მაგრამ **ტელევიზიამ ისეთ სახეთა ტიპი შექმნა, რომლებიც ადვილად მოიხმარება, მაგრამ არსისაგან დაცლილია. ეს არის შტამპების უზარმაზარი ნაკადი. მათ ჰიპნოზური ზემოქმედება აქვთ და აზრის სუროგატს აყალიბებენ, თანაც ადამიანის ყოველგვარ შემოქმედებით, სულიერ აქტიურობას ახშობენ. ეს სპეციალისტთა დასკვნაა, რომელიც რთული და ფაქიზი გამოკვლევებით დადასტურდა.**

შედეგად, როგორც ნარკოტიკების შემთხვევაში, ადამიანს სულ უფრო ძლიერი და უხეში სახეების მეტი და მეტი რაოდენობა სჭირდება — სანამ ის არ განადგურდება, როგორც პიროვნება, ანდა ყურადღების გადატანის სხვა მეთოდზე არ გადავა. **ოცი წლის წინათ აშშ-ის საშუალო კლასმა ასეთი გასართობი იპოვა — უიკენდზე ცოლების გაცვლა. მაგრამ მერე ესეც მოსაწყენი გახდა და წარმოიქმნა ახალი ბიზნესი ჟარგონული სახელწოდებით snuff (რაღაც „დაყნოსვის“ მსგავსი). ადამიანებს იტაცებდნენ, რათა იატაკქვეშა სტუდიებში ეწამებინათ და კარგი აპარატურით ვიდეოფილმები გადაეღოთ: წამება, აგონია, სიკვდილი. ეს კასეტები ძალიან მაღალ ფასად იყიდებოდა და ბიზნესი ყვაოდა**[5]**. სკოტლანდ-იარდის ინფორმაციით, ინგლისში მხოლოდ ბავშვების წამების შესახებ ვიდეოფილმების გავრცელებით დაახლოებით 4 ათასი გამყიდველი იყო დაკავებული. მაგრამ ეს სავსებით ლოგიკური ეტაპია „ფიქტიური“ ძალადობის იმ სპირალისა, რომელიც ტელევიზიამ გაშალა.**

ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ ახალი ადამიანი და ახალი ენა შექმნა. რაციონალური ენა, რომელმაც კავშირი გაწყვიტა ტრადიციასთან და ღრმა აზრებთან, საუკუნეების განმავლობაში რომ შეიძინეს სიტყვებმა. დღეს ტელევიზია, როგორც ლეგენდარული გოლემი, კონტროლს გაექცა. იარაღი, რომლითაც დასავლური საზოგადოება გამყარდა და რომლითაც მოწინააღმდეგეებს ანადგურებს, თავად „პატრონსაც“ სპობს. **დასავლეთი ჩათრეულია იმაში, რასაც ფილოსოფოსებმა უკვე უწოდეს „მოლეკულური სამოქალაქო ომი“ — მრავლობითი და გარეგნულად უაზრო ძალადობა ყველა დონეზე, ოჯახიდან და სკოლიდან დაწყებული, სახელმწიფოს სათავეებით დამთავრებული. მასთან გამკლავება შეუძლებელია იმიტომ, რომ ის „მოლეკულურია“, არც ერთი პარტიის მიერ არ არის ორგანიზებული და არანაირი გარკვეული მიზანი არ გააჩნია. რაღაც მოთხოვნების შესრულებით მისი დაშოშმინებაც კი არ შეიძლება.** მათ პირდაპირ არავინ აყენებს, და ისინი იმდენად ურთიერთსაწინააღმდეგოა, რომ „ოქროს შუალედის“ პოვნა გამორიცხულია. ძალადობა და განადგურება თვითმიზანი ხდება — ეს მთელი საზოგადოების სენია.

1. თავად სარეკლამო რგოლი მანიპულაციის შედევრი გახლავთ. ასახულია სასწაული — პოპულარული მსახიობი, რომელიც ცხენიდან ჩამოვარდნის შემდეგ რამდენიმე წელია პარალიზებულია, დგება და მიდის. კომპიუტერული ტექნიკის დახმარებით მისი თავი დუბლიორის სხეულს „მიადგეს“.

2. თავისთავად კონკურენციაზე დამყარებული ადრეული კაპიტალიზმი სულაც არ იყო სავალდებულოდ დაკავშირებული რეკლამასთან. პირიქით, როგორც მ. ვებერი პროტესტანტული ეთიკის გამოკვლევაში აღნიშნავს, კონკურენცია „მოთხოვნისა და მიწოდების ეკონომიკაში“ მხოლოდ საქონლის ხარისხზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული და არა მყიდველის ცდუნების უნარზე. ამიტომ ვაჭრებს მკაცრად ეკრძალებოდათ კონკურენტებზე უფრო ლამაზად ვიტრინების მოწყობა. რეკლამა ეკონომიკურად აუცილებელი მომხმარებელთა საზოგადოების და „შეთავაზების ეკონომიკის“ წარმოშობის შემდეგ გახდა, როდესაც საქონლის გაყიდვა ხელოვნური მოთხოვნის შეუქმნელად შეუძლებელი იყო.

3. საშუალო პარიზული გაზეთი („კომბა“) დღეში დაახლოებით 87 ცნობას აქვეყნებს გარდაცვალების შესახებ. რედაქტორები ამ შეტყობინებათა „ღირებულების“ გამოთვლის რაოდენობრივ მეთოდებს იყენებენ. მაგალითად, მაღალი თანამდებობის პირის ღირებულება სიკვდილის 0,5-ს უტოლდება; თითქოსდა უმიზეზო იდუმალი მკვლელობა 2 სიკვდილს უდრის. მაშასადამე, მაღალი თანამდებობის პირის იდუმალი მკვლელობის ღირებულებაა 4,5. ხოლო თუ ეს ეროვნულ გრძნობებს ეხება, ღირებულება მკვეთრად იზრდება.

4. სხვათა შორის, ჩვენც შეგვეძლო, გვეკითხა „ენტევეს“ რეპორტიორებისთვის, რომლებიც ერთი კვირის განმავლობაში იღებდნენ და გვაჩვენებდნენ ორი დალუპული რუსი ჯარისკაცის დაუმარხავ ცხედრებს: რატომ არ გადადეთ ერთი საათით თქვენი კამერები და ეს ჯარისკაცები თუნდაც იქვე, სკვერში არ მიაბარეთ მიწას? ნორმალური ადამიანები ასეთ მომენტში საფლავს ხელებითაც კი თხრიან.

5. რუსეთის ტელევიზიით ამ თემაზე ახალგაზრდა ესპანელი რეჟისორის ა. ამენაბარის ფილმი „დისერტაცია“ გავიდა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# საქართველო და რუსეთი თურქეთმა უნდა შეარიგოს

**„თურქეთმა აუცილებლად უნდა შეარიგოს რუსეთი და საქართველო", — განაცხადა რუსმა ეკონომისტმა და პოლიტიკოსმა ირინა ხაკამადამ თურქულ საინფორმაციო სააგენტო „Cihan"-ისთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში.**

ხაკამადას განმარტებით, რუსეთსა და თურქეთს ევრაზიის გეოგრაფიაში ერთობლივად მოღვაწეობა შეუძლიათ. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ბევრია საერთო — რუსეთი, ისევე, როგორც თურქეთი, განაწყენებულია ევროკავშირზე. „რუსეთი ნაწყენია ვაშინგტონზე და ამჟამად მიმდინარეობს ახალი პარტნიორების ძიება", — განაცხადა რუსმა ეკონომისტმა.

ხაკამადას აზრით, თურქეთს შეუძლია აქტიური როლი ითამაშოს კავკასიაში არსებული პრობლემების რეგულირების საკითხებში. „თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა რუსეთსა და საქართველოს კონფლიქტის დროს შესთავაზა კავკასიაში სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმა", — აღნიშნა ხაკამადამ.

მისივე თქმით, თუ კავკასიაში გაერთიანდებიან რუსეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი, მაშინ აღარანაირი პრობლემა აღარ დარჩება. „ამას გარდა, თურქეთმა აუცილებლად უნდა დაიწყოს საშუამავლო მისიის შესრულება რუსეთსა და საქართველოს შორის", — აცხადებს ირინა ხაკამადამ.

# რუსეთის საგარეო უწყება ქართულ მხარეს არაკონსტრუქციულობაში ადანაშაულებს

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგოლ კარასინის განცხადებით, ოფიციალურმა თბილისმა, რომელსაც მხარს ეუთოს წევრი სახელმწიფოები უჭერდნენ, პოლიტიკური მოტივით უარი განაცხადა რუსეთის შეთავაზებაზე — საქართველოში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში გახსნილიყო ეუთოს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მისიები.**

კარასინის თქმით, ეუთოს წევრებმა „ვერ მონახეს საკუთარ თავში ძალა", თვალი გაესწორებინათ სიმართლისთვის და იმისთვის, რომ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ რუკაზე ბოლო თვეებში სერიოზული ცვლილებები მოხდა.

# ავტოვაზი „07"-ისა და ხუთკარიანი „ნივის" გამოშვებას წყვეტს

**რუსული ავტოკონცერნი ავტოვაზი წყვეტს „ვაზ 2107"-ისა და ხუთკარიანი „ნივის" მოდელების წარმოებას.**

მიზეზი კი ისაა, რომ რუსეთში ცნობილ „ნოლ სემზე" მოთხოვნილება აღარ არის. სამარის ავტოქარხანას 2008 წლიდან მოყოლებული 30 ათასი „ვაზ 2107" დაუგროვდა, რომელთა გაყიდვასაც მენეჯერები ველარ ახერხებენ.

ხუთკარიანი „ნივა" კი, ავტოვაზის ექსპერტების აზრით, არარენტაბელურია და მისი გამოშვების გაგრძელებას აზრი არ აქვს. რაც შეეხება „ვაზ 2107" მოდელის ავტომობილების გაყიდვას, ფირმა „იოლი კრედიტის" სისტემით შეეცდება. შესაბამისი ხელშეკრულებები ავტოქარხანამ უკვე გააფორმა „როსსელხოზბანკთან", „სბერბანკსა" და „ვითიბი ბანკთან".

„ვაზ 2107"-ის ფასი 8 პროცენტით შემცირდება და მისი ღირებულება 3,5-4 ათასი დოლარი იქნება.

ავტოვაზი აქცენტს „სამარას", „პრიორას", „კალინასა" და ორკარიანი „ნივის" გამოშვებაზე გააკეთებს.

# ზალპური ცეცხლის სისტემებიდან ცხინვალს უკრაინელი სპეციალისტები ბომბავდნენ



**საუბარია, უკრაინის სპეცდანიშნულების სამხედრო დაზვერვის ქვედანაყოფის სამხედრო მოსამსახურეებზე, საჰაერო თავდაცვის სპეციალისტებსა და არტილერიის ოფიცრებზე.**

**რატომ ასწია ძმამ ძმაზე ხელი? რამ უბიძგა კაენს დანაშაულისაკენ? დრო გადის, ისტორიები მეორდება, მათ შორის წარსულის საშინელი მოვლენებიც. სამხრეთ ოსეთში სამხედრო კონფლიქტის დროს, სწორედ ძმა ესროდა ძმას. მართლმადიდებელმა ქართველებმა ოსებისა და რუსეთის მოქალაქეების დახოცვის ბრძანება მიიღეს. რამდენიმე თვის შემდეგ თავდაცვის ექს-მინისტრმა ყარყარაშვილმა, აანალიზებდა რა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს, განაცხადა, რომ, მისი აზრით, საომარი მოქმედებების დაწყების ამოსავალ წერტილს სააკაშვილის 2008 წლის 7 აგვისტოს ბრძანებულება „რუსეთის შესაძლო სამხედრო აგრესიის შეჩერების თაობაზე" წარმოადგენდა.**

პირველი რაზმები 15:30 სთ-ზე მოვიდნენ, მათი თავმოყრა 23:00-მდე გრძელდებოდა. იმავე დღეს, საღამოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა ტელევიზიით განაცხადა: „ჩვენ არ უნდა დავუშვათ ომი ჩვენს ხალხებს შორისო". 23:35 სთ-ზე კი პოლკოვნიკმა გოგავამ დახურული ხაზით მიიღო სააკაშვილის ბრძანება „შეეჩერებინა რუსი სამხედროების ცოცხალი ძალა და ტექნიკა (რომლებიც ჯერ არ იყვნენ შესული სამხრეთ ოსეთში. — ავტ.) და უზრუნველეყოთ ცეცხლოვანი წერტილების განადგურება".

**რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებისა და ოსთა ფორმირებების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში უკრაინელი სამხედროები და სამოქალაქო სპეციალისტებიც მონაწილეობდნენ.**

## საუბარია, უკრაინის სპეცდანიშნულების სამხედრო დაზვერვის ქვედანაყოფის სამხედრო მოსამსახურეებზე, საჰაერო თავდაცვის სპეციალისტებსა და არტილერიის ოფიცრებზე, რომლებმაც რუსებს იარაღი მიუშვირეს. ქართველი სამხედროები კი დამხმარეთა როლში გამოდიოდნენ.

**ამასთან, ჭურვები და საბრძოლო ტექნიკა უკრაინის სამხედრო საწყობებიდან მოდიოდა.**

ტელეარხ „რასიას" სპეცკორესპონდენტ არკადი მამონტოვთან ერთად ჩვენ შევძელით, გაგვერკვია იმ კონკრეტულ მეთაურთა, უფროსთა და დაქირავებულ სპწციალისტთა სახელები, რომელთაც მთელს უკრაინაში კრიბავდნენ, რათა მათ ფულის გამო მოეკლათ რუსებიც, ოსებიც, ჩეჩნებიც, თათრებიც... **ამას ისინი დიდი ენთუზიაზმით აკეთებდნენ, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ ბევრი მათგანი არ აღმოჩნდა დაავადებული „ნარინჯისფერი" საწამლავით. ნამდვილმა უკრაინელებმა არად ჩააგდეს იუშჩენკოს სამხედრო ხელმძღვანელობის ბრძანებები და მუქარები...**

**ამ გამოძიებაში წარმოდგენილია გამოუცხადებელ ომში იმ ქმედებათა კონკრეტული ფაქტები, რომელსაც რუსეთის წინააღმდეგ კიევის „ნარინჯისფერი" მეთაურები აწარმოებდნენ.**

### დანიშნული ნათლია და ზალპური ცეცხლის სისტემები

**ბოლო წლებში თბილისში იცვლებოდა სამხედრო მეთაურები, უფროსები, ჩინოვნიკები, მაგრამ რეალური პოლიტიკის არსი იგივე რჩებოდა — ქვეყანა სამხედრო რელსებზე იდგა: გრძელდებოდა იარაღის, სამხედრო ტექნიკის მასიური შესყიდვა. ყველა საქმეში, განსაკუთრებით კი სამხედროში, არსებობენ შემკვეთები, დამმუშავებლები, კურატორები და შემსრულებლები.**

სამხრეთ ოსეთზე თავდასხმის წინ ქართველმა სამხედროებმა მიიღეს ლაზერული მანძილმზომები და მიზანმაჩვენებლები, ღამის ხედვისა და სარაკეტო სისტემების დამიზნების ხელსაწყოები, რადიოსიხშირეებზე კონტროლის სისტემები ისრაელიდან და სხვ. ამასთან, ნატოს ნიმუშის მიხედვით ქართული არმიის შეკვეთით თურქეთში მზადდებოდა „მშრალი საკვები" — გერმეტულად შეფუთული ლობიო და ლავაში.

**სამხედრო ექსპერტების აზრით, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის წინააღმდეგ საქართველოს საომარი მზადება აშშ-ის, უკრაინისა და ისრაელის მონაწილეობით მიმდინარეობდა. როგორც ჩანს, ისრაელი ამას იმიტომ აკეთებდა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრი კეზერაშვილი ისრაელის მოქალაქე იყო, რომელსაც ბევრი ნაცნობი ჰყავდა ისრაელის გენერალიტეტში; უკრაინა — იმიტომ, რომ იუშჩენკო სააკაშვილის შვილების ნათლიაა. ნათელმირონობა კი ბევრ რამეში აერთიანებს ადამიანებს. თუ ამას კიდევ დავუმატებთ რუსეთისა და ყველაფერ რუსულისადმი პოლიტიკურ სიძულვილს, მივიღებთ სურათს, ეს და სხვა ფაქტები გახდა სამხრეთ ოსეთში რუსეთის მოქალაქეებზე თავდასხმის ერთგვარი პრელუდია.**

როგორც ჩვენი გამოძიებიდან გაირკვა, უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი თავისი კადრებით ცხინვალზე შეტევაში მთავარ როლს ასრულებდა. ეს ლოგიკურია, რამდენადაც **„PC30" წარმოადგენდა ჯერ კიდევ საბჭოთა დროინდელ იარაღს და ამერიკელმა სპეციალისტებმა — საქართველოს შეიარაღებული ძალების კურატორებმა — დაწვრილებით არ იცოდნენ მისი ყველა შესაძლებლობები. სწორედ ამიტომ რეაქტიულ დანადგარებს პოზიციებზე განალაგებდნენ არა ქართველები, რომელთაც უბრალოდ არა ჰყავთ ამ მხრივ მომზადებული ოფიცრები და სპეციალისტები, არამედ უკრაინელი ოფიცრები, ცხინვალზე ღამით მასიური ცეცხლოვანი დარტყმის დამგეგმავები და ფაქტიური განმახორციელებლები.**

კონფიდენციალური ინფორმაციით ცხინვალზე შეტევით დაკავებული იყო უკრაინელი პოლკოვნიკი ალექსანდრე ცუკანოვი ყოფილი საბჭოთა ოფიცერი, რომელიც სხვადასხვა დროს მსახურობდა გერმანიაში და შორეულ აღმოსავლეთში. **მისი სპეციალობა ზუსტად უკავშირდება ზალპური ცეცხლის რეაქტიულ დანადგარებს. შევძელით გაგვერკვია, რომ ეს იყო პროფესიონალი, რომელიც ამაყობდა თავისი სამუშაოთი და გამოცდილებით. არკადი მამონტოვის სტუდიის ჟურნალისტებმა მოინდომეს მასთან შეხვედრა კიევში, მაგრამ უშედეგოდ.**

## ცუკანოვი უკრაინის სპეცსამსახურების ბრძანებით „დაიმალა". ჩვენი კოლეგები შეხვდნენ მის მეუღლეს, რომლისგანაც შეიტყვეს, რომ რამდენიმედღიანი მივლინებიდან ცუკანოვი ძალიან დათრგუნული დაბრუნდა.

**ამის მიზეზი ნათელია: ქვეყანა, რომელსაც ის ემსახურებოდა, დამარცხდა, რაც ყველა შემთხვევაში ჩრდილს აყენებს მის პროფესიონალიზმს.**

კიდევ ერთი ოფიცერი — დიმიტრი დ. (გვარს შეგნებუ-

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ლად არ ვწერთ, რადგან მისი ღვიძლი ძმები რუსეთის არმიაში მსახურობენ) ცხოვრობს დასავლეთ უკრაინაში, თავის დროზე დაამთავრა ორჯონიკიძის სახელობის უმაღლესი საზენიტო-სარაკეტო სამეთაურო სასწავლებელი. **„ადნაკლასსნიკების“ საიტზე ის ტრაბახობდა, რომ საომარი მოქმედებების დროს კავკასიაში იმყოფებოდა. როგორც გაირკვა, დიმიტრი დ.-მ აღიარა, რომ ეს ფულის გამო გააკეთა. იგი ქართველ ოფიცრებს ასწავლიდა რუსული თვითმფრინავების ჩამოგდებას და ჟურნალისტებთან შეხვედრისას უამბო მათ, რომ საქართველოში ომამდე ერთი წლით ადრე ჩავიდა(!).**

უკრაინის სამოქალაქო სპეციალისტებს (ყოფილ სამხედროებს) დამქირავებელი ქართული მხარე სოლიდურ თანხას — რამდენიმე ათას ამერიკულ დოლარს სთავაზობდა, მაგრამ საბოლოოდ მათ მხოლოდ 800-800 დოლარი მისცეს.

### იუშჩენკოს ექსკლუზივი: ბინა ჩამოგდებული თვითმფრინავისათვის

უკრაინის შეიარაღებული ძალების ყოფილი პოლკოვნიკი იური პოლესსკიც სარაკეტო-საზენიტო კომპლექსების ყოფილი სპეციალისტი იყო.

## იგი მოქმედ ქართულ არმიაში ირიცხებოდა და იუშჩენკოს უშუალო განკარგულებით მას სასწრაფოდ, ურიგოდ გამოუყვეს ბინა ქალაქ სტრიში (ლვოვის ოლქში).

**როცა ჟურნალისტები შეხვდნენ ამ კაცს, იგი ემოციებმა გასცა — იური მიხეილის ძეს ხელები აუკანკალდა. მასაც ნაბრძანები ჰქონდა, ყველაფერი უარეყო, მაგრამ ჟურნალისტთა მოულოდნელმა ვიზიტმა დააბნია, შიში დაეტყო. მაგრამ, როცა პირველმა ემოციებმა გაუარა, განაცხადა, რომ ეს მისთვის ბოლო ომი არ იყო. ჟურნალისტების კითხვაზე — აუკანკალდა თუ არა ხელი, როცა რუსული თვითმფრინავის ჩამოსაგდებად ღილაკს ხელს აჭერდა — ცინიკურად უპასუხა: რომელი ხელი — მარჯვენა თუ მარცხენა?**

როგორც ჩვენი წყაროებიდან გავარკვიეთ, ეს ოფიცერი კარგი სპეციალისტია, მაგრამ ლოთობისათვის არმიიდან იყო გაძევებული. მისი მეუღლე მინისტრთანაც კი მისულა ქმრის სამსახურში აღდგენის თხოვნით. პოლესსკი „შეიწყალეს“, შესთავაზეს რა საქართველოში გამგზავრება. ასე აღმოჩნდა ოფიცერი ანკესზე წამოგებული. მორალური მხარე მას არ აინტერესებდა.

**ამას გარდა, გვაქვს ინფორმაცია, რომ ცხინვალის საომარ მოქმედებებში სულ 270 უკრაინელი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა.**

### მასწავლებლები და „მუყაითი“ მოსწავლეები

**საომარი მოქმედებების დროს საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს „Оса-АКМ“ და „Бук-М1“, რომელიც უკრაინამ საქართველოს გადასცა, ემსახურებოდა ათობით სამხედრო სპეციალისტი, რომელთა შორის იყვნენ: დიმიტრი პილიპჩუკი, ვლადიმერ პონომარენკო, ალექსანდრე მინიაილო, ვალერი კაბანეცი, ვიქტორ ვერბიცკი, ალექსანდრე პანიმატკო, ნიკოლაი კოპტევი, რომან ტიხონოვი და სხვ. როგორც უკრაინის უმაღლესი რადის კომისიამ გაარკვია, ზემოთ ჩამოთვლილი სპეციალისტები უკრაინაში 13 აგვისტოს საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ სპეციალური რეისით დაბრუნდნენ. აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილთა უმრავლესობა გადამდგარი სამხედროები არიან, რომლებიც თავიანთი სპეციალობით მუშაობენ.**

კომისიამ იმის გარკვევაც შეძლო, რომ ეს უკრაინელი სპეციალისტები მონაწილეობდნენ ქართული არმიის მომზადებაში.

## კერძოდ, მძიმეტვირთიან ავტომობილებს (КРАЗ), რომელიც ქართულ არმიას იუშჩენკომ გადასცა, ემსახურებოდნენ უკრაინელი სპეციალისტები — ბორის ნოჩოვნი და ვლადიმერ ტონკოვსკი. ამ ტექნიკის ნაწილი 11 აგვისტოს რუსმა დესანტებმა და ბატალიონ „ვოსტოკის“ სპეცნაზელებმა ქ. გორთან დააკავეს.

**უკრაინელმა ინჟინრებმა საბრძოლო ზონიდან გაქცევა მოახერხეს. იქვე, გორთან ახლოს, სოფ. ვარიანში, სადაც განლაგებული იყო საქართველოს ქვეითთა მე-4 ბრიგადის ბაზა (რომლის ჯარისკაცები ბრძოლების დროს იქიდან გაიქცნენ), რუსმა სამხედროებმა უკრაინიდან ჩამოყვანილი რამდენიმე ათეულ „T-72“ ტიპის ტანკი გაიყვანეს.**

და, რაც ყველაზე საინტერესოა, ქართველი ტანკისტების სწავლებით ისევ უკრაინელები — ხარკოვის მანქანათმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლები დიმიტრი კარპოვი და ანდრეი ნოვოკრეშენკოვი იყვნენ დაკავებულნი, რომლებიც შინ 14 აგვისტოს დაბრუნდნენ.

### უკრაინის სპეცნაზი რუსეთის არმიის ზურგში

**ომში მონაწილეობის მსურველების შერჩევა მარტო დასავლეთ უკრაინაში არ ხდებოდა. სანდო წყაროების მიხედვით კიევში რეგისტრაცია გაიარა უკრაინის 10 ათასმა სამხედრო მოსამსახურემ. სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ მათ დიდ უმრავლესობას ეყო ვაჟკაცობა, უარი ეთქვა ამ საეჭვო წინადადებაზე და არ გამხდარიყო იუდა. მაგრამ ზოგიერთები დათანხმდნენ. ესენი იყვნენ ზრდასრული ადამიანები, რომლებმაც იცოდნენ, რაზე მიდიოდნენ. „ნარინჯისფერმა“ პროპაგანდამ თავისი საქმე გააკეთა. უკრაინელმა ოფიცრებმა იცოდნენ, რომ უნდა მოეკლათ რუსები და ოსები.**

ჯერ კიდევ 2008 წლის დასაწყისში ნათელი გახდა, რომ საქართველოს მილიტარისტული ძალისხმევა კავკასიაში სისხლისღვრით დასრულდებოდა. ამას მშვენივრად აცნობიერებდნენ კიევში.

**არსებობს დოკუმენტური მტკიცებულებები იმისა, რომ 58-ე არმიის ზურგში სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე უკრაინის სპეცნაზის დივერსიული ჯგუფები მოქმედებდნენ.** ამ ხალხმა კარგად იცოდა რუსული ენა, ეცვათ რუსული არმიის ნიშნიანი ფორმები, რის გამოც ადვილად აღწევდნენ სამხედრო ბაზებსა და ქვედანაყოფებში, მოქმედებდნენ გზებზე, ნადირობდნენ მაღალი ჩინის რუს ოფიცრებზე.

**შესაძლებელი გახდა ცოცხალი მოწმის პოვნა. ეს არის რუსი ყმაწვილი, გვარდიის უმცროსი სერჟანტი ვლადიმერ ლენსკი, რომელიც ტყვედ ჩაუვარდა უკრაინელებს (რომლებიც ტყვეთა დაკითხვაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ). უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს ერთ-ერთ ოფიცერს ტყვეებმა „ჰაკერი“ შეარქვეს. ის სცემდა მათ და იგივეს ავალებდა ქართველებს, იგინებოდა, „თქვენი გაზი არავის უნდა, რუსეთი ბოროტების იმპერიააო“; ისევე არ მალავდა თავის წარმომავლობას, როგორც — რუსეთისა და რუსებისადმი ზიზღს.**

მართლაც, სამხრეთ ოსეთში ყველაზე საშინელი რამ მოხდა — პირველად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კიევის ხელისუფლებამ თავის სამხედროებს რუსეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობისკენ მოუწოდა.

ახლა ეს ადამიანები მშვიდად ცხოვრობენ დონეცკში, ლვოვში, კიევში... და ჩადიანხოლმე მოსკოვში. ესენი ხომ მანქურთები არიან, რომელთაც მიუფურთხებიათ ვის და სად მოკლავენ!

სამხრეთ ოსეთის ომში ხშირად ირკვეოდა, რომ ნათესავები ერთმანეთის საპირისპირო მხარეს იბრძოდნენ.

## მაგალითად, რუსეთის 58-ე არმიაში იყო პოლკოვნიკი ზაიცევი, მისი ძმა კი საქართველოში გასაგზავნ „БУК“-ის კომპლექსებს ამზადებდა უკრაინის ქალაქ ბალაკლეში.

მსგავს პროცესებს აკონტროლებდა უკრაინის სამხედრო დაზვერვა ოფიცერ-ნაციონალისტის ვიქტორ გვოზდის ხელმძღვანელობით. მან ხუთი ენა იცოდა, მუშაობდა აშშ-ს სადაზვერვო სტრუქტურებთან, 2008 წლის 21 აგვისტოს იუშჩენკომ იგი თავად დანიილ გალიცკის ორდენით დააჯილდოვა. **ბოგდან ხმელნიცკის II ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს უკრაინის არმიის თავდაცვის ეროვნული აკადემიის გენერალი ვიტალი რადეცკი; ბოგდან ხმელნიცკის III ხარისხის ორდენით — გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი სერგეი კირიჩენკო და უკრაინის შეიარაღებული ძალების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ანატოლი ტოპორჩინი.** ამას გარდა, დანიილ გალიცკის ორდენი გადაეცა თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსს ალექსანდრე გალაკას.

**ირონია იმაში მდგომარეობს, რომ ბოგდან ხმელნიცკი იბრძოდა სწორედ რუსეთის გაერთიანებისათვის. მას ესმოდა, რომ რუსი და უკრაინელი ხალხი ერთმანეთის გარეშე ვერ იარსებებენ, რომ ეს ერთი სანათესავოა. ახლა კი მისი სახელობის ორდენით აჯილდოვებენ მოღალატეებს, რომლებიც რუსი ხალხის წინააღმდეგ იბრძვიან (?!).**

### მობილიზაცია ბჟეზინსკის გეგმით

**კავკასიაში ომის დროს უკრაინაში გამოცხადებული იყო ღია მობილიზაცია. სწორედ ამ დროს კარპატებში მოხდა დიდი წყალდიდობა. რეზერვისტების წინაშე საკითხი ასე დადგა: ან უნდა წასულიყვნენ თავიანთი თანამემამულეების „უფასოდ“ დასახმარებლად კარპატებში ან გარკვეულ საფასურად (ათას დოლარად) ქართველებს რუსებთან ომში დახმარებოდნენ.**

„2009 წლის 29 იანვარს გაჩნდა ზ. ბჟეზინსკის სტატია სათაურით „უკრაინელები — კარგი მებრძოლები“ ეს რუსთმოძულე კაცი, რომელსაც ძილსა თუ ღვიძილში ელანდება, როგორ დაანგრიოს ჩვენი ქვეყანა და გააქროს პირისაგან მიწისა, პირდაპირ მოუწოდებს უკრაინელებს, იომონ რუსების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 15-18 წლის წინათ ეს წარმოუდგენელი იყო. ახლა კი ამას გვასწავლიან. უკრაინაში „ნარინჯისფერები“ აგრძელებენ რუსეთის სახით მტრის ხატის შექმნას“, — თვლის არკადი მამონტოვი. ამ სიტყვებს რომ არ დაეთანხმო, ძნელია. ნაციზმი უკრაინაში ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ეს მონათესავე ხალხი ერთმანეთის მტრებად აქციოს. სამხრეთ ოსეთში უკვე სცადეს მათი ხელოვნური გათიშვა. უკრაინის მკვიდრი უკრაინელები და რუსები რუსი ხალხის წინააღმდეგ იბრძოდნენ. არსებობს ზღვა მასალა იმის დასამტკიცებლად, რომ ჩადენილია დანაშაული მთელი კაცობრიობის, სლავიანობის, რუსი და უკრაინელი ხალხის მიმართ. ყოველივე ეს ყურადღებით გამოძიებას და რეაგირებას მოითხოვს.

**სინამდვილეში პოსტსაბჭოურ სივრცეში პროვოცირებულია გაჭიანურებული სამოქალაქო ომის სიტუაცია. ამას აკეთებს ის, ვისაც უნდა, რომ რუსეთისა და უკრაინის ადგილას მხოლოდ კონტროლირებადი ტერიტორია არსებობდეს, მაგრამ ეს არ გამოსდით, რადგან რუსეთი მზადაა, დაიცვას თავისი თანამემამულეები, რაც დაამტკიცა კიდეც სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენების დროს.**

**იური კოტენოკი,**
„შიტ ი მეჩ“.

## სიღნაღში ბიბლიოთეკისათვის ადგილი ვერ გამოინახა

**ბიბლიოთეკარების საპროტესტო აქციებისა და ადგილობრივი ხელისუფლების არა ერთი დაპირების მიუხედავად, სიღნაღში ბიბლიოთეკა ამ დრომდე არ ფუნქციონირებს. 70 ათასზე მეტი წიგნი ტომრებშია მოთავსებული და სიღნაღის №1 საჯარო სკოლის სარდაფში ყრია. ნესტისგან ათასობით წიგნი მთლიანად განადგურდა, — იუწყება კახეთის საინფორმაციო ცენტრი.**

სიღნაღში ბიბლიოთეკა მას შემდეგ აღარ ფუნქციონირებს, რაც წიგნის სახლის შენობა კომპანია „კოკა კოლამ“ იყიდა. ორი წლის განმავლობაში წიგნების გადარჩენის თხოვნით ადგილობრივ ხელისუფლებას ბიბლიოთეკარებმა არა ერთხელ მიმართეს, მაგრამ — უშედეგოდ.

საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, ბიბლიოთეკის გარდა შენობებიდან სხვა კულტურული დაწესებულებებიც გაასახლეს. მათ ადგილზე კი ამჟამად სასტუმროები და რესტორნები ფუნქციონირებს.

## ლაგოდეხში მიწის ფართობები შესაძლოა, დაუმუშავებელი დარჩეს

**ლაგოდეხის მცხოვრებნი ამბობენ, რომ ტრაქტორების უქონლობის გამო მიწებს ვერ ამუშავებენ. ისინი ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ, — იუწყება რადიო „ჰერეთი“.**

როგორც რადიოს ლაგოდეხის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა თამაზ ღონღაძემ განუცხადა, პრეზიდენტის ნაჩუქარი ტრაქტორები მხოლოდ სოფლის მცხოვრებთ მიიღეს, თუმცა მიწის ფართობები ლაგოდეხის ყველა მცხოვრებს აქვს და ქალაქს დახმარება აუცილებლად სჭირდება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარე კახეთის რეგიონული სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თამაზ გოძიაშვილის განცხადებით, სახელმწიფოსგან ტრაქტორების გადაცემა 2009 წელსაც იგეგმება, მაგრამ რა ფორმით მოხდება ეს, ჯერ უცნობია.

შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2006 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს ტრაქტორები საჩუქრის სახით გადაეცა, რომლებიც სოფლებში გადანაწილდა.

## „ოპელმა“ ახალი „ასტრას“ შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა

**კომპანია „ოპელმა“ ჰეჩბექ „ასტრას“ განახლებული ვერსიის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა.**

ჰეჩბექმა წინამორბედისაგან განსხვავებული ძარის დიზაინი, დახრილი უკანა კარი და სახურავებისა და ფანჯრების დინამიკური ხაზი მიიღო, მას საფუძვლად „დელტა 2“-ის წინაწამყვანიანი პლატფორმა დაედო.

ახალი „ოპელ ასტრა“ ბენზინისა და დიზელის რამდენიმე აგრეგატს მიიღებს, რომელთა სიმძლავრე 75-იდან 250 ცხენისძალამდე იქნება. მოდელი 120-140 ცხენისძალიან 1,4 ლიტრაჟის ტურბოძრავებსაც მიიღებს.

ფინანსური კრიზისის პირობებში „ოპელის“ მფლობელი „ჯენერალ მოტორსი“ ახალ „ოპელ ასტრაზე“ დიდ იმედებს ამყარებს. კონცერნის მენეჯმენტის გათვლებით, ბაზარზე „ასტრამ“ მთავარი კონკურენტი „ფორდ ფოკუსი“ უნდა შეავიწროვოს.

„ოპელ ასტრას“ მსოფლიო პრემიერა მიმდინარე წლის სექტემბერში ფრანკფურტში დაგეგმილ ავტოსალონზე გაიმართება.

# ოქრუაშვილის პარიზული ვნებანი, ანუ ჯართის შემსყიდველი ოქრო ბიჭი...

**დღეს ყველა, ვისაც არ ეზარება, პოლიტიკოსობს. უფრო დაუზარელებს კი ოპოზიციის ლიდერობაზე აქვთ პრეტენზია... სამწუხაროდ, ქართველ პოლიტიკოსებს, როგორც ჯაბა იოსელიანმა თქვა, კარგა ხანია, პოლიტიკა ლობიოობა ჰგონიათ... ასე რომ არ იყოს, რაღა უნდა ქართულ პოლიტიკაში ხისტ და მოუქნელ პოლიტიკოს ირაკლი ოქრუაშვილს და, მითუმეტეს, როგორ შეიძლება, მას ოპოზიციის ლიდერობაზე ჰქონდეს პრეტენზია?! მაგრამ ასეა: „ამ ქალაქში ყველაფერი მოსულა“...**



1995 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი. 1995-2000 წლებში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. 2001-2002 წლებში იყო იუსტიციის მინისტრის მოადგილე. 2003 წელს გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნებში და გახდა გორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი. 2003 წლის დეკემბრიდან 2004 წლის იანვრამდე პრეზიდენტის რწმუნებული იყო შიდა ქართლში, 2004 წლის იანვრიდან 2004 წლის ივნისამდე — საქართველოს გენერალური პროკურორი, 2004 წლის 7 ივნისიდან 2004 წლის 17 დეკემბრამდე — საქართველოს შს მინისტრი, 2004 წლის 17 დეკემბრიდან 2006 წლის ნოემბრამდე — საქართველოს თავდაცვის მინისტრი, 2006 წლის 10 ნოემბრიდან 2006 წლის 17 ნოემბრამდე — საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი. ეს მინი-დოსიე, ალბათ, მიხვდით, რომ ირაკლი ოქრუაშვილს ეკუთვნის. მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ყველა უმაღლესი თანამდებობისა, რაც „ვარდებით მოსულ“ ხელისუფლებაში „ოქროს“ ეკავა, მან თავს უფლება მისცა და საბოლოოდ ჩამოლაბორანტების შემდეგ ოპოზიციაში გადაბარგება გადაწყვიტა. ვერ დავუკარგავთ ქართლელ პოლიტიკოსს, ერთობ სკანდალური განცხადებებიც არახუნა პირდაპირ ეთერში, თუმცა, კონკრეტული მტკიცებულება ვერც ერთ განცხადებაზე ვერ დადო. სააკაშვილის რეაქციამაც არ დააყოვნა და ოქრუაშვილს 2008 წლის 27 სექტემბერს ციხეში უკრეს თავი. ექს-შს, ექს-თავდაცვის, ექს-საქართველოს ეკონომიკური განვითარების, და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის დაკავება აღმოჩნდა ოპოზიციური სპექტრის გაერთიანების მიზეზი და იმავე საღამოს მრავალათასიანი მიტინგიც გამართეს. მეორე დღეს პარლამენტის წინ კვლავ 10-ათასობით ადამიანმა მოიყარა თავი და სააკაშვილის ხელისუფლებაში თითქოს ვაჟკაცური ბუნებით გამორჩეულმა ოქრუაშვილმა მომიტინგეებთან ეკა ბესელიას ხელით საგანგებო უსტარიც აფრინა... „მადლობა მინდა, გადაგიხადოთ ასეთი ძლიერი მხარდაჭერისთვის. მთელი ჩემი საქმიანობის მანძილზე მე პატიოსნად ვემსახურებოდი ჩემს ქვეყანას და ხალხს. ერთადერთი ჩემი ოცნება ქვეყნისა და ერის გაერთიანება იყო. სამწუხაროდ, მხდალმა სააკაშვილმა ეს ოცნება წაგვართვა“ (საინტერესოა, 3 წელიწადში თავად ოქრუაშვილმა რატომ ვერ აუსრულა ქართველ ხალხს ეს ოცნება?!)

**„ერთ რამეს გთხოვთ — გაერთიანდით, გაერთიანდით და იბრძოლეთ თქვენი უფლებების დასაცავად, იბრძოლეთ ამ ტირანის თავიდან მოსაშორებლად ყველა სამართლებრივი საშუალებით. მე თქვენთან ვარ ამ ბრძოლაში. ჩვენი ოცნება ასეთი საქართველო და ასეთი ხელისუფლება არ იყო, როდესაც 2003 წელს წვიმაში ვათენებდით და ვაღამებდით“,** — აცხადებდა ყოფილი მინისტრი. ამ თვალსაზრისით კი არ შეიძლება ოქრუაშვილს არ დავეთანხმოთ: ათასობით ქართველი 2003 წელს ქუჩაში იმისთვის ნამდვილად არ ათენებდა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას დაკარგული ტერიტორიებისთვის კიდევ 114 ქართული სოფელი მიემატებინა, საკუთრება ერთი ხელის მოსმით წაერთმიათ ხალხისთვის, ქუჩაში სადისტურად ეწამებინათ და დაეხვრიტათ ახალგაზრდები და კიდევ რომელი მსგავსი დანაშაული ჩამოვთვალოთ?!

**ირაკლი ოქრუაშვილი დაპატიმრებიდან მეორე დღეს იმასაც აცხადებდა, რომ ყველა ბრალდება, რაც მას წაუყენეს, სრული სიცრუეა. მაგრამ, თურმე, მას ამის დამტკიცების საშუალება არ ექნება და, ნუ იტყვით, თავის მართლებაც კი მისთვის ღირსების შემლახველი ყოფილა.**

## თუ სააკაშვილის ხელისუფლებასთან თავის მართლება ოქრუაშვილისთვის ღირსების შემლახველი იყო, დაპატიმრებიდან რამდენიმე დღეში კალამი რომ ვერ გაგაგდებინეს ხელიდან სამართალდამცავებმა და კამერების წინ აღიარებითი ჩვენება მიეცით — ოღონდ ციხიდან გამოსულიყავით, ეს არ იყო თქვენთვის ღირსების შემლახველი, ბატონო ირაკლი?!

ისე, ღირსეული ადამიანისთვის, რომელიც თითქმის ყველა მინისტრის სავარძელს გამოიცვლის, მერე ოპოზიციაში გადაბარგდება და საზოგადოებას საფრანგეთიდან დამოძღვრავს, არც ეს უნდა იყოს დიდად ღირსეული საქმე...

**ახლა ოქრუაშვილი საზოგადოებას დაჰპირდა — ვითარება უკიდურესად რომ დაიძაბება, საქართველოში მაშინ ჩამოვალო. თუმცა მის ამ განცხადებას სკეპტიკურად უყურებს მავანი და ისმის შეფასება: ოქრუაშვილი საქართველოში ჩამოსვლას მანამდე ვერ გაბედავს, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლება იქნებაო....**

ოქრუაშვილის ბიოგრაფიიდან ერთ ასევე არცთუ ღირსეულ პასაჟს შეგახსენებთ: საზოგადოებას კარგად ახსოვს, ნოემბრის მოვლენების დროს, უკაცრავად პასუხია, როგორ გაიპარა ოქრუაშვილი საქართველოდან. ღირსეულ ნაბიჯად ვერც იმას ჩავუთვლით ოქრუაშვილს, საფრანგეთიდან მიშას რომ შემოუთვალა, — პრემიერ-მინისტრად თუ დამნიშნავთ, მიტინგს დაგიშლითო...

ღირსეული ნაბიჯი ვერც მაშინ გადადგა ირაკლი ოქრუაშვილმა, 2004 წელს მისი ხელისუფლების არაადეკვატური ქცევის გამო 50 ქართველი ჯარისკაცი ცხინვალში უსირცხვილოდ რომ დააჩოქეს...

ქართველმა საზოგადოებამ მაშინ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. წესით, იგივე განცდა უნდა ჰქონოდა თავმოყვარე, ღირსების მქონე ოქრუაშვილს, მაგრამ კოკოითს ყურებზე ხახვიც ვერ დააჭრეს. მართალია, ქართველი ჯარისკაცი დაჩოქებული არავის უნახავს და ამას გვასწავლის საქართველოს ისტორია, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებამ ეს წარმატებით განახორციელა და, სხვათა შორის, გარკვეულწილად, ეს მაშინ ოქრუაშვილის გაუწონასწორებელი განცხადებების დამსახურებაც იყო...

**ირაკლი ოქრუაშვილი უღირსად მოიქცა მაშინაც, როდესაც რუსეთთან დაძაბული ურთიერთობების დროს მეზობელ ქვეყანაზე საჯაროდ განაცხადა, — რუსეთში ფეკალიები რომ გავგზავნოთ, ისიც გაიყიდებაო... ეს არათუ პოლიტიკოსის, უზრდელი კაცის განცხადება უფროა... თავმოყვარე და საღად მოაზროვნე ადამიანისთვის ამგვარი უღირსი განცხადების გაკეთება ღირსების საკითხია, ბატონო ირაკლი!**

ოქრუაშვილისთვის ღირსების საკითხი უნდა ყოფილიყო მისი ცნობილი განცხადებაც — 2007 წლის 1 იანვარს ცხინვალში ვიქნებითო... მისი „ფანები“ ეკა ბესელია და თეო ტლაშაძე ამაზე შეიძლება გაკაპასებული ტონით შემოგვედაონ, — მოხსნა, ბატონო, მანამდე სააკაშვილმა ოქრუაშვილი თავდაცვის მინისტრობიდან და ამ დაპირებას როგორ შეასრულებდაო? მაგრამ თავდაცვის მინისტრიც რომ ყოფილიყო, ერთბაშად ცხინვალის შუაგულში არ მოედინა ზღართანი „ოქროს“. რომ არ მოეხსნათ, ჯარების სარდალი ნეტავ რა ჯადოქრულ ხერხს მიმართავდა იმისთვის, რომ გამარჯვება მოეპოვებინა?! ესეც „ოქროს“ მიერ ჰაერში გასროლილი მორიგი დაპირება იყო და მეტი არაფერი...

**უღირსად მოიქცა ირაკლი ოქრუაშვილი მაშინაც, როდესაც მის ოპონენტ ქალბატონებს საჯაროდ „პირდაუბანელი დედაკაცები“ უწოდა... არც ქალებთან ამგვარი დამოკიდებულება თავსდება ღირსეული მამაკაცის ქცევაში...**

**რაც შეეხება მისი დაკავების ერთ-ერთ მიზეზს. არსებობს იარაღის შესყიდვის სამი კატეგორია: საბრძოლო მოქმედებისთვის (უმაღლესი ხარისხის); საბრძოლო-სასწავლო (ღარიბი ქვეყნებისთვის, ზოგჯერ „ასეჩკას“ იძლევა, მაგრამ იაფი ღირს) და სასწავლო (10-დან ორმა შეიძლება „გაჭედოს“, მაგრამ სასწავლოდ გამოდგება). ჩვენი ინფორმაციით, „ოქროს“ თავდაცვის მინისტრობის დროს იყიდეს მესამე კატეგორია და გააფორმეს პირველ კატეგორიად. მოხდა ფულის დიდი „ატკატი“.** შესაძლოა, ვინმემ თქვას, რომ ოქრუაშვილმა ამის შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ მინისტრი ის იყო და ლოგიკურია, რომ პასუხიც მას აგებინეს. **იარაღის მაკონტროლებელი კომისია ოქრუაშვილის დაჟინებული მოთხოვნით უშიშროების საბჭოდან თავდაცვის სამინისტოში გადაიტანეს. მოკლედ, შესყიდავასაც მისი უწყება უზრუნველყოფდა და მერე — შესყიდულის გაკონტროლებასაც. სწორედ, ამის გამო უკრეს „ოქროს“ ვირის აბანოში თავი.**

## ოქრუაშვილი დღეს რომ აცხადებს, — ტირანი და დიქტატორია სააკაშვილიო, უპრიანია, დაფიქრდეს და საკუთარ თავს შეახსენოს, რომ დიდ მიხეილს დიქტატორობაში, პირველ რიგში, მან შეუწყო ხელი.

**სწორედ, მისი შს მინისტრობის დროს გამოკეტეს ციხეში შევარდნაძის ყოფილი ჩინოვნიკები, მერე ეს ადამიანები დაარეკეტეს და „საპროცესო გარიგების“ საფუძველზე გაათავისუფლეს. ჯერ იყო და, ბორდელში შეიჭრა პირქუში „ოქრო“ და მსუბუქი ყოფაქცევის ქალები დააწიოკა... ამ ყველაფრის შემდეგ პირადად მონაწილეობდა ბონდო შალიკიანის სკანდალურ დაკავებაში, რომელიც ლოგინიდან საცვლის ამარა წამოაგდეს და ციხეში უკრეს თავი.** ქართველი ერისთვის ეს ღირსების შემლახველი ტელეშოუდაპატიმრებები, სწორედ, ოქრუაშვილის შს მინისტრობის და გენერალური პროკურორობის დროს ხდებოდა და თამამად შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ამ პიროვნებას გადახრა აქვს ძალადობისკენ. თუმცა დღეს ცხვრის ტყავში გახვეული მგლის სახით გვმოძღვრავს პარიზიდან და ქართველებს ჭკუას გვარიგებს, თითქოს, მის კისერზე არ იყოს „ვარდებით მოსული“ ხელისუფლების პირველი დღეებიდან 2006 წლამდე ჩადენილი ყველა ბოროტება. ყველა დანაშაულისთვის მას, ისევე, როგორც მიხეილ სააკაშვილს, პასუხი მოეკითხება...

**ოქრუაშვილის ფერისცვალება ისეთივე ირონიით უნდა აღიქვას ქართველმა საზოგადოებამ, როგორც ხვალ ვანო მერაბიშვილი რომ გამოვიდეს და განაცხადოს, — თქვენი ლიდერი გავხდები, ძვირფასო ოპოზიციონერებო, რადგან ყველა ბოროტებას სააკაშვილი დამოუკიდებლად ჩადიოდა და მე უცოდველი კრავი ვარო...**

2008 წლის 28 სექტემბერს ციხიდან გამოგზავნილი წერილში ღირსებაზე რომ საუბრობთ, ალბათ, მაშინ ჯერ კიდევ გქონდათ ეს გრძნობა შერჩენილი, მაგრამ მას შემდეგ, რაც თქვენს თანამებრძოლებს სულში ჩააფურთხეთ და კამერების წინ საკუთარი დანაშაული აღიარეთ, ღირსებაზე საუბარს, წესით, უნდა ერიდებოდეთ... რაც მთავარია, „ვარდების სურნელით“ ისე არ უნდა გაიჟღინთო, რომ თანამდებობიდან გაბუნძულების შემდეგ კაცობა და ღირსება ვერ შეინარჩუნო!

**იმასაც ამბობენ, მერაბიშვილი და სააკაშვილი „ოქროს“ გამოჩენას მოუთმენლად ელიანო... სააკაშვილი ჩვეული გესლით ქირქილებს, თურმე, ოქრუაშვილის ჩამოსვლაზე... ჩამოვა და ტრაპზევე დავაკავებთო!.. გამოცდილება არ აქვთ თუ?!. სხვათა შორის, ბატონი ოქრუაშვილის ხელმძღვანელობით დააკავეს ტრაპზე შევარდნაძის სიძე გია ჯოხთაბერიძე...** ასე რომ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია... კულუარებში ერთსაც ამბობენ: **სააკაშვილი ოქრუაშვილის პირდაპირი ეთერის შემდეგ ბოლთას სცემდა და გაიძახოდა — ჩემი ოქრო ჩემთანო...**

**მანანა ჩხეიძე**

საქართველო გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ეს წერილი პრეზიდენტის ტყუილების ამოცნობაში დაგეხმარებათ

**უკანასკნელ ხანებში სულ უფრო ხშირად საუბრობენ პოლიტიკოსების პოპულიზმზე, როგორც ნეგატიურ მოვლენაზე. მოდით, გავარკვიოთ, რით არის იგი სახიფათო და როგორ ავიცილოთ თავიდან მისი ცუდი გამოვლინებანი. პოლიტიკურ მეცნიერებაში პოპულიზმს უწოდებენ იდეოლოგიას, რომელიც სათნოებასა და ერთიან ხალხს უპირისპირებს ელიტას ან „სახიფათო გადამთიელებს“. ამ დროს, როგორც წესი, ელიტას და გადამთიელებს აღწერენ, როგორც ჯგუფებს, რომლებიც ცდილობენ, წაართვან სუვერენულ ხალხს საკუთარი უფლებები, დასცინონ მის ღირებულებებს, წაგლიჯონ სიმდიდრეები, დაესხან თავს მის იდენტურობას. პოპულიზმს ასევე უწოდებენ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც რთული პრობლემების მარტივი გზით გადაწყვეტის შემოთავაზება შეუძლია; დაჰპირდნენ „უბრალო ხალხს“ „დასნეულებული ელიტისაგან“ დაცვას, მოაწყონ პროვოცირება და ყოველმხრივ გააღრმავონ უნდობლობა წარმომადგენლობით დემოკრატიასთან.**



მთლიანად პოპულიზმი — ესაა პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც ახდენს კორუმპირებულ ელიტასთან ბრძოლის დეკლარირებას, ხალხის დაცვას და ისეთ ბუნებრივ წესრიგს, როგორშიც ცხოვრობდნენ „ჩვენი წინაპრები“.

**რაშია პოპულიზმის ზიანი, რატომ ეშინიათ მისი? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ საკითხებს, რომლებსაც პოპულისტებიააქტიურებენ პოლიტიკურ დებატებში. ესაა: „რა მოუვიდა მსოფლიოს, რომელიც ასე უცხო და არასწორი გახდა? ვინაა ამაში დამნაშავე და რა უნდა გავაკეთოთ, რომ გამოვასწოროთ სიტუაცია?“**

ძირითად პასუხებს შორის აღსანიშნავია: კორუმპირებული ელიტები იყენებენ დემოკრატიას თავიანთი გამდიდრებისათვის. ისინი არიან დამნაშავენი იმ უბედურებებშიც, რომლებიც უცხოელებთან ერთად თავს დაატეხეს ჩვენს ხალხს; ხალხმა უნდა დაიბრუნოს ხელისუფლება მისი ერთგული პოლიტიკოსების მეშვეობით.

ამით შეკითხვებისა და პასუხების თამაშში პოპულისტები საზოგადოებას ითრევენ და ასკვნიან: მიღებული იქნეს „სასწრაფო ზომები“, თორემ უარესი მოხდება“. ამ თამაშში დათესილი პანიკა უმალვე პოულობს გაგრძელებას ვინმე ქარიზმატული ლიდერის მხრიდან: მკაცრი და უბრალო ზომები თავიდან გვაცილებენ პანიკის მიზეზებს. პოპულიზმის პოლიტიკა ყოველთვის ექსტრემალურია და ექსტრაორდინარული, ტაქტიკური და არასტრატეგიული, გასაგებია შეკითხვების გარეშე და დახურულია რაციონალური გაგებისათვის.

**პოპულიზმის გამოყოფა პოლიტიკური პარტიის ან ლიდერის პროგრამული დებულებიდან შესაძლებელია სტილის მიხედვით, რომელშიც უფრო მნიშვნელოვანია შინაარსი. თუ გესმით გამარტივებული არგუმენტაცია, წინადადება „პრობლემის საბოლოო გადაწყვეტის შესახებ“ და ირაციონალური და მით უფრო სასურველი მიზნისაგან სწრაფვის შესახებ, იცოდეთ, თქვენს წინაშე დგანან პოპულისტები. განვმარტავ: როდესაც ვსაუბრობთ გამარტივებულ არგუმენტაციაზე, საკითხი შეეხება თქვენი მისამართით გამოთქმულ პოლიტიკურ მოწოდებებს, პატივცემულო მკითხველებო.**

ის, ვინც თქვენ მოგმართავთ, თავადაც იმ ადამიანად თვლის თავს, რომელსაც, როგორც თქვენსავით ეშინია „კორუმპირებული პოლიტიკოსის“, რომელიც ცხოვრობს თქვენს გვერდით და ცხოვრებას გინგრევთ. ამგვარად იგი ხდება თქვენი ახლობელი ადამიანი, ადვილად ამყარებს თქვენთან ურთიერთობას და სამაგიეროდ თქვენს მხარდაჭერას იღებს. თქვენს ემოციებს თავისი მიზნების მისაღწევად იყენებს. ამ დროს იგი მიმართავდა „ჯანსაღ განსჯას“, საერთო ცოდნას, მაგრამ არასოდეს—თქვენს გონებას, თქვენს კრიტიკულ უნარს, დამოუკიდებელ არჩევანს. ამას გარდა პოპულისტი კეთილია: იგი არ გთხოვთ, რომ დიდხანს იფიქროთ და თავი შეიწუხოთ რთულ საკითხებზე ფიქრით.

**და მართლაც, ყველამ ხომ იცის, რომ „X“-ები მართავენ ამ ქვეყანას, გვწოვენ სისხლს და უბრალო ხალხს თავისუფალი ცხოვრების საშუალებას არ აძლევენ. დააყენეთ „X“-ის ნაცვლად ეთნიკური ჯგუფი, კლასი ან ფენა და გაერკვევით არსებულ სიტუაციაში — რომ ესაა მოწოდებანი, რომელსაც საფუძვლად უდევს ტერნოპოლის ოლქში უკანასკნელი არჩევნების შედეგები და მთავრობის გადაწყვეტილება, ხელფასის შემცირებით დაძლიოს სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული კრიზისი.**

**საბოლოო გადაწყვეტილებებს, რომლებსაც გვთავაზობენ პოპულისტები, ხშირად ვხვდებით ცხოვრებაში. ისინი ძაბავენ ვითარებას და ამით ნიადაგს ამზადებენ თავიანთი მიზნის განსახორციელებლად, რომელსაც კეთილშობილულ საბურველში წარმოგვიდგენენ.**

დაბოლოს, პოპულისტი გაგაბრუებთ ირაციონალური, გაურკვეველი და მეტად სასურველი კონსენსუსით. თქვენ დაეთანხმებით, მის წინადადებებსა და მეთოდებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ რაიმე გონივრული, დასაბუთებული და გასაგები შემოგთავაზათ. პირიქით, თქვენ ეთანხმებით მის არა ცხად და კარგად მოწოდებულ აზრს, არამედ პოპულიზმს, ვინაიდან მან შეძლო, თქვენთვის ჩაენერგა იმედები და მათი გადაწყვეტის საშუალებები წარმოედგინა. დარწმუნების ძალის დახმარებით, რომელიც აქვთ პოლიტიკურ ტექნოლოგიებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ამგვარად პოპულისტი გარწმუნებთ, რომ დაფაროთ თქვენი პირადი მისწრაფებები და უსათუოდ მას დაეთანხმოთ. მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა გაწუხებთ თქვენ თვითონ.

აქ ჩვენ მივადექით პოპულიზმის ყველაზე საოცნებო აზრს. იმისათვის, რომ დაახშოს ისედაც სუსტი გონებრივი ხმა, პოპულისტს გადავყავართ ნებისმიერი საჯარო საუბრიდან პიროვნულზე. თქვენთან ურთიერთობაში პოპულისტს ყველაფერი უნდა ჰქონდეს პიროვნული, საიდუმლო, ინტიმური და სანდო. სწორედ ასე ახერხებს ლიდერი პოპულისტი თქვენი ნდობის მოპოვებას. თქვენ კი იმ ადამიანის როლში ხართ, რომელმაც უნდა დაუჯეროს ლიდერს და არა საჯარო ინსტიტუტს, რომელსაც იგი წარმოადგენს. ლიდერი ახდენს დეკლარირებას, რომ კისრულობს პასუხისმგებლობას. თქვენ კი მზად ხართ, გადასცეთ მას საკუთარი პასუხისმგებლობა. ბელადი გარწმუნებთ, რომ ჭვრეტს პოლიტიკას და თქვენც აშკარად ეთანხმებით მას! მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ორიენტაციით პოპულისტი ასრულებს შოუმენის როლს, თქვენ კი გეძლევათ ფანატის ნაკლებად პრესტიჟული როლი.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ პოპულიზმი იმთავითვე ანტიპოლიტიკური მოვლენაა და სწორედ ამაშია მისი საშიშროება. ჩვენ, ვინც შევეჩვიეთ იმას, რომ პოლიტიკას ვუწოდებთ არც თუ ძალიან კარგ საქმეს, გვაშინებს იმის მოსმენა თუ რა შეიძლება მოჰყვეს პოლიტიკის ნგრევას. მოქალაქეთა თავისუფლება პირდაპირ არის დამოკიდებული პოლიტიკური ინსტიტუტების დემოკრატიის სიმტკიცესთან და პოლიტიკოსებსა და მოქალაქეებს შორის ნდობის არსებობასთან. პოპულიზმი კი ეს აზროვნების ისეთი საშუალებაა, რომელიც ამცირებს ამ ინსტიტუტების ეფექტიანობას და სპობს ყოველგვარ გონივრულ საფუძველს ადამიანებს შორის ნდობის დასამკვიდრებლად.

მთლიანად და საერთოდ, პოპულიზმი ანგრევს აზროვნების საფუძველს, რაზეც იგება მომწიფებული პოლიტიკური სისტემა, ის სისტემა, რომელსაც მივყავართ დემოკრატიული ინსტიტუტების ურთიერთობებთან. პოპულიზმი ანგრევს დემოკრატიულ ინსტიტუტებს, იწვევს სამოქალაქო კონფლიქტებს, გვთავაზობს წარმოსახვით ალტერნატივას რთული პრობლემების მარტივი გადაწყვეტისთვის. პოპულიზმი სიახლე როდია ჩვენთვის. ის იყო ჩვეულებრივი მოვლენა XIX საუკუნის რუსეთის იმპერიის ხალხოსნების წრეებში. გასული საუკუნის 90-იან წლებში იგი დამკვიდრდა დემოკრატიულ უკრაინაშიც.

სხვათა შორის, ძველი დემოკრატიებიც პოპულიზმითაა დაავადებული. ისეთი წარმატებული ევროპელი პოლიტიკოსები, როგორებიცაა სილვიო ბერლუსკონი (იტალია), ძმები კაჩინსკები (პოლონეთი) და იორგ ხაიდერი (ავსტრია) — აშკარა პოპულისტები არიან. ისინი სათავეში უდგანან თავიანთ ქვეყნებს. ევროპაში პოპულიზმის გავრცელება — ესაა რეაქცია იმაზე, რომ ადამიანთა მნიშვნელოვან რაოდენობას არა აქვთ გაცნობიერებული, თუ რა ხდება მათი ცხოვრების სამყაროში.

**ფაქტობრივად, ევროპული პოპულიზმი მოსახლეობის რეაქციაა ჩვეულებრივი სამყაროს ჩვეულებრივი კონტურების გაქრობაზე. ჩვენი პოპულიზმი არასოდეს მოექცევა ჩვეულებრივ ჩარჩოებში. ხალხი უბრალოდ დაიღალა ცვლილებათა ნაკადებისაგან. საბჭოთა კავშირის დაშლა, როგორც არ უნდა შეაფასო ეს მოვლენა, იყო ლეგიტიმური საბჭოთა საზოგადოების თვალში არა იმიტომ, რომ პირველი დეკემბრის რეფერენდუმის დროს უკრაინაში მოსახლეობის უმეტესობამ ხმა მისცა დამოუკიდებლობას. დაე, ასე იფიქრონ უკრაინის სკოლების კურსდამთავრებულებმა, მაგრამ მათზე უფროს ხალხს ახსოვს, რამდენი რეფერენდუმი მოეწყო იმ წელიწადს და რამდენად არაერთგვაროვანი იყო ამ რეფერენდუმების შედეგები.**

საბჭოთა კავშირის დაშლის ლეგიტიმურობის მთავარი მაჩვენებელი იყო მოქალაქეთა უმოქმედობა, რომლებსაც არ სურდათ, გადაერჩინათ ქვეყანა დაშლისაგან. თუმცა მამაკაცების უმეტესობას სსრ კავშირის ერთგულების ფიცი ჰქონდა დადებული საბჭოთა არმიაში სამსახურის დროს. ამ ფიცის შესრულება მათ აღარ ისურვეს, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლით საბჭოთა ადამიანი თანდათან გაქრა. იგი გახდა რარიტეტი, შინაგანი ემიგრანტი ახალ ეროვნულ სახელმწიფოებში.

ბევრი თანამედროვე ფილოსოფოსის, სოციოლოგის და ისტორიკოსის აზრით, ნაციონალიზმი ახალ პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში იყო ახალი წესრიგის ლეგიტიმაციის საშუალება. 90-იანი წლების ნაციონალიზმმა საშუალება მისცა ახალი სახელმწიფო წესრიგი ბალტიისპირეთის, ამიერკავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებში. იმავე 90-იანი წლების ბოლოს ნაციონალიზმმა გაიმარჯვა რუსეთშიც, სადაც მან დაამარცხა ლიბერალური პროექტი. ბელარუსშიც კი, 2000 წლის დასაწყისში, ლუკაშენკოს რეჟიმმა მოახდინა ლეგიტიმირება, როგორც ეროვნულმა პროექტმა.

ჩვენში პოპულისტები ქმნიან პოლიტიკური ისტებლიშმენტის ბირთვს: პოპულიზმი გახდა ჩვეულებრივი საარჩევნო ტაქტიკა, რომლის ფარგლებსაც არ სცილდება არცერთი პოლიტიკური ფიგურა. მაგრამ „გაუმკვრივებელი“ პოლიტიკური ინსტიტუტებისათვის, მაგალითად, უკრაინაში პოპულიზმი განსაკუთრებით სახიფათოა. პოპულიზმი აძლიერებს ისედაც ძლიერ უნდობლობას მოქალაქეებს შორის, არღვევს საზოგადოებრივ კონსენსუსს და შეუძლებელს ქმნის გონივრულ, არგუმენტირებულ დიალოგს სხვადასხვა სოციალური, კულტურული და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა შორის.

ძველი დემოკრატიის ქვეყნებში პოპულიზმთან დაპირისპირებას აწარმოებენ სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ინტელექტუალთა ჯგუფები. როგორც წესი, ანტიპოპულისტური ზომები მიზნად ისახავენ სამი ამოცანის გადაჭრას: 1. პარტიების, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტების ეფექტიანობის ამაღლებას; 2. მოქალაქეთა პოლიტიკური კომპეტენტურობის ამაღლებას; 3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პროფესიონალიზმის მხარდაჭერას. ძლიერი პარტიები წარმოადგენენ ლიდერების პოპულიზმის შეზღუდვის საშუალებას. ისინი გამოდიან ერთგვარ მექანიზმებად ლიდერების პასუხისმგებლობის გაძლიერების საქმეში. ამას გარდა, განვითარებული პარტიები მხარს უჭერენ მათი ლიდერების საშინაო კონკურენციასაც.

ამრიგად, ქარიზმატიკულ პოლიტიკოსს აქვს მუდმივი შინაგანი ოპოზიცია, რომელიც აიძულებს მას იმოქმედოს გონივრულად. ამიტომ ძლიერი დემოკრატიული საწყისების პარტიების მხარდაჭერა და განვითარება კარგი საშუალებაა პოლიტიკური პოპულიზმის შესაზღუდად.

როგორც ჩანს, პოპულიზმის ყველა საპირისპირო საშუალება, ადრე თუ გვიან, ნადგურდება თავად პრაქტიკოსი პოპულისტების მიერ.

**დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გვახსოვდეს: ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს არსებობის თავისი ვადა. ჩვენ თითქმის ორი ათეული წელი დავკარგეთ სახელმწიფო მშენებლობაზე. ამ დროს უქმად არ ჩაუვლია: წარმოიქმნა პოლიტიკოსებისა და ბიუროკრატების კლასი, მოქალაქეებმა შეიძინეს ცხოვრების გამოცდილება არადამაკმაყოფილებლად მართულ ქვეყანაში, დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა თვითმყოფადობა შეინარჩუნეს.**

**საჭიროა წინსვლა, თუნდაც იგი ნუ იქნება სწრაფი, ოღონდ სწორი მ იმართულებით წავიდეს.**

**მიხეილ მიხაილოვი**
**„უკრაინსკაია პრავდა“**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური

**აზერბაიჯანის მილი მეჯლისის (პარლამენტის) გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ პრეზიდენტი შეიძლება არჩეული იქნეს განუსაზღვრელი ვადით, რასაკვირველია, არ იყო სენსაცია. უფრო მეტიც, ეს იყო რუტინული გადაწყვეტილება. ახალი ინფორმაცია მასში ნოლის ტოლია. აზერბაიჯანი უბრალო დეფაქტო მონარქია არაა, უფრო საინტერესოა ის, რომ აზერბაიჯანმა — პირველმა და ჯერჯერობით უკანასკნელმა — შეძლო, წარმატებით გადაეჭრა პოსტსაბჭოთა პოლიტიკური ფილოსოფიის მთავარი ამოცანა. კერძოდ: დაამყაროს მემკვიდრეობითი მონარქია. ესაა პრობლემა, რისთვისაც იბრძვის ბევრი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის ხელმძღვანელი და, უწინარეს ყოვლისა, ყაზახეთი და უზბეკეთი.**

არსებობს საბაბი, ერთმანეთს შევადაროთ „15 თავისუფალი რესპუბლიკის მოწყობა“, რომლებიც სსრ კავშირის ნანგრევებზე აღმოცენდნენ?.. რას იზამ, თითოეული რესპუბლიკა ბედნიერია თავისებურად. ბალტიის ქვეყნებმა — ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა, როგორც ცნობილია, მიაღწიეს თავიანც მიზნებს (რასაც დანარჩენები ჯერაც მხოლოდ უახლოვდებიან). ყველა მათგანი ნატოსა და ევროკავშირის წევრია.

ნორმალურ ევროპულ საპარლამენტო რესპუბლიკებს 1990 წლიდან უმაღლესი ხელისუფლების შეცვლის პრობლემები უკვე აღარ აქვთ. პარლამენტარები თავისუფლად იკრიბებიან და ირჩევენ პრეზიდენტებს. არავის აქვს უფლება, იჯდეს პრეზიდენტის სავარძელში ორ ვადაზე მეტხანს. პრეზიდენტის პოსტიდან ეს აღიქმება არა როგორც ეროვნული, პიროვნული კატასტროფა, რომელიც თავიდან უნდა ავიშოროთ ნებისმიერ ფასად, არამედ როგორც რუტინული პროცედურა (როგორც ევროპაში).

**ესტონეთი.** პრეზიდენტებად იყვნენ რუიტელი (ესტონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი), ლ. მერი (სსრ კავშირის დროს — ყოფილი გადასახლებული, შემდეგ კი მწერალი და რეჟისორი), ამჟამად ტ. ილვესი (ესტონელი, რომელიც დაიბადა შვედეთში, ცხოვრობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ესტონეთშია 1991 წლიდან).

**ლატვია.** ქვეყნის მეთაურები (ჯერ პარლამენტის თავმჯდომარედ, 1993 წლიდან პრეზიდენტებად) იყვნენ: ა.გორბუნოვი (ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი), გ. ულმანისი (ბავშვობა გადასახლებაში გაატარა, საბჭოთა ხელისუფლების დროს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის დირექტორი იყო რიგაში), ვ. ვიკე-ფრეინბერგი (მონრეალის უნივერსიტეტის ყოფილი ფსიქოლოგი, სამეფო საზოგადოების (მეცნიერებათა აკადემიის) წევრი, ლატვიაში ჩამოვიდა 1997 წელს), ამჟამად კი ვ. ზალტერსი (ყოფილი ექიმი-ორთოპედი).

**ლიტვა.** სახელმწიფოს ხელმძღვანელები იყვნენ (სეიმის თავმჯდომარე, პრეზიდენტი): ვ. ლანდბერგისი (კონსერვატორიის პროფესორი, ჩიურლენისის შემოქმედების სპეციალისტი), ა. ბრაზაუსკასი (ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი), რ. პაკსასი (აეროკლუბის ყოფილი თავმჯდომარე, კორუფციისა და კანონების დარღვევისათვის მოხსნეს თანამდებობიდან) და ორი ვადით (1998-2003 და 2004-დან) ვ. ადამკუსი (ლიტვიდან გაიქცა გერმანიაში 1944 წელს, 1949-1992 წლებში ცხოვრობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამერიკის მოქალაქე, სახელმწიფო ჩინოვნიკი, ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის წევრი).

ამ ადამიანების პროფესიები და ბიოგრაფიები საკმაოდ ნათლად მეტყველებენ იმაზე, თუ რას წარმოადგენს ამ ქვეყნების პოლიტიკური ელიტა, რით განსხვავდება იგი სსრ კავშირის სხვა ექს-რესპუბლიკების პოლიტიკური ელიტისაგან. ჩავყვეთ რუკას ქვევით.

**ბელორუსია.** საპრეზიდენტო რესპუბლიკა, ესე იგი პრეზიდენტს ირჩევენ საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით. მასში 1991 წლიდან იყო ორი ლიდერი — უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, მეცნიერებათა დოქტორი, ფიზიკოსი ვ. შუშკევიჩი და 1994 წლიდან პრეზიდენტი (განუსაზღვრელი ვადით) ა. ლუკაშენკო (ყოფილი საბჭოთა მეურნეობის დირექტორი). შუშკევიჩის ლუკაშენკოთი შეცვლა მშვიდად, ძალადობის გარეშე მოხდა. იგი სიცოცხლის ბოლომდე პრეზიდენტი იყო. ლუკაშენკოს შემდეგ არჩევნებს ყოველთვის თან ახლდა ბრალდებანი ხმათა არასწორი დათვლის, ოპოზიციაზე ზეწოლის თაობაზე და ა.შ. თუმცა ხმაური უფრო მეტი იყო ხოლმე ევროპაში, ვიდრე თავად ბელორუსიაში. ქვეყანაში მოხდა რამდენიმე გახმაურებული მკვლელობა და გატაცება.

**უკრაინა**. საპრეზიდენტო რესპუბლიკა. პრეზიდენტები: ლ. კრავჩუკი (უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი); ლ. კუჩმა (სსრ კავშირში ყველაზე დიდი სარაკეტო ქარხნის „იუჟმაშის“ (დნეპროპეტროვსკი) ყოფილი დირექტორი); ვ. იუშჩენკო (სსრ კავშირის დროს მუშაობდა „აგრომრეწვბანკის“ სამმართველოს უფროსად. ცოლი — უკრაინელია, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე.

როგორც ცნობილია, პრეზიდენტის არჩევნებს თან ახლდა ხმაურიანი სკანდალები, მაგრამ უსისხლო (თუ არ ჩავთვლით „ღონღაძის მკვლელობას“ და უცნაურ თვითმკვლელობათა უამრავ რიგებს მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკების მხრიდან).

მთელი პოლიტიკური ცხოვრება ი. რეპინის ცნობილ სურათ „ზაპოროჟიელებს“ მოგვაგონებს. იმ განსხვავებით, რომ ისინი წერილს სწერენ არა „თურქეთის სულთანს“, არამედ მხოლოდ ერთმანეთს და მუდმივად.

**მოლდოვა.** საპარლამენტო რესპუბლიკა. პირველი პრეზიდენტი მ. სნეგური (მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი); მეორე პრეზიდენტი — ტ. ლუჩინსკი (მოლდავეთის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი); მესამე ვ. ვორონინი — კომუნისტების ლიდერი (უკანასკნელი საბჭოთა თანამდებობა — მოლდავეთის შინაგან საქმეთა მინისტრი). 1992-1993 წლებში მოხდა სამხედრო შეჯახებები სეპარატისტებთან დნესტრისპირეთში. არჩევნები პარლამენტში ფალსიფიკაციის მუდმივი ბრალდებებით მიმდინარეობს, მაგრამ ძალადობის გარეშე.




**სომხეთი.** საპრეზიდენტო რესპუბლიკა. პირველი პრეზიდენტი — ლ. ტერ-პეტროსიანი, ყოფილი მეცნიერ-მუშაკი; მეორე პრეზიდენტი — ლ. კოჩარიანი, საბჭოთა პერიოდში აბრეშუმის კომბინატის პარტორგი; მესამე პრეზიდენტი — ს. სარგსიანი — საბჭოთა პერიოდში პარტიის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგე. სამივე პრეზიდენტი „ყარაბაღის“ მოძრაობის აქტივისტია. არავითარი საუბარი არ არის „სიცოცხლისბოლომდე“ პრეზიდენტობაზე. პრეზიდენტები ყოველთვის საჯარო არჩევნების შედეგად ხდებოდნენ. არჩევნები მიმდინარეობს ქუჩაში შეხლა-შემოხლის რეჟიმში. უკანასკნელი არჩევნების დროს მოკლეს სულ ცოტა ათი კაცი.

**საქართველო.** საპრეზიდენტო რესპუბლიკა. პირველი პრეზიდენტი დისიდენტი და ნაციონალისტი, მეცნიერ-მუშაკი ზ. გამსახურდია. ძალით ჩამოაგდეს პოსტიდან, შემდეგ დაიღუპა (გარდაიცვალა? თავი მოიკლა?) გაურკვეველ ვითარებებში. ეს ვითარებანი გაურკვეველია დღემდე, მეორე პრეზიდენტი ე. შევარდნაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყოფილი წევრი, სსრ კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ხელისუფლების სათავეში მოვიდა შეიარაღებული გადატრიალების შედეგად, შემდეგ აირჩიეს პრეზიდენტად, ჩამოაგდეს უსისხლო „ვარდების რევოლუციის“ დროს; მესამე პრეზიდენტი მ. სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა „ვარდების რევოლუციის“ მსვლელობის დროს, შემდეგ აირჩიეს, შემდეგ ხელახლა აირჩიეს პრეზიდენტად. სსრ კავშირის დროს იყო სტუდენტი (დაბადებულია 1967 წელს), ცხოვრობდა და მუშაობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპაში. მეუღლე ჰოლანდიის მოქალაქეა.

**არჩევნები ყოველთვის მიმდინარეობდა გახმაურებული ბრალდებებით ხმების არასწორი დათვლის გამო. მუდმივი პოლიტიკური ფონია — პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა (შევარდნაძე, უკანასკნელი ორი წელი სააკაშვილი). მუდმივი ბრალდებანი პოლიტიკურ მკვლელობებზე (ზ. ჟვანია), იმიტაცია პრეზიდენტზე და საკუთარ თავზე თავდასხმებისა (შევარდნაძის მისამართით).**

**აზერბაიჯანი.** საპრეზიდენტო რესპუბლიკა. პირველი პრეზიდენტი ა. მუთალიბოვი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი, ჩამოაგდეს ძალადობის გზით; მეორე პრეზიდენტი — ა. ელჩიბეი, მომნანიებელი დისიდენტი, ნაციონალისტი, მეცნიერ-მუშაკი; ხელისუფლებაში მოვიდა აჯანყების შედეგად, შემდეგ აირჩიეს, შემდეგ ჩამოაგდეს ძალადობით; მესამე პრეზიდენტი — ჰ. ალიევი (1993 წლიდან). აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, პროფესიონალი ჩეკისტი, ხელისუფლებაში მოვიდა ძალადობის გზით, შემდეგ აირჩიეს, ხელახლა აირჩიეს, სიკვდილის წინ მოასწრო თავის მემკვიდრედ გამოეცხადებინა ვაჟიშვილი — ი. ალიევი; მეოთხე პრეზიდენტი ალიევი II სსრ კავშირის დროს მან დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი, დაიწყო კომერციული საქმიანობა „გარდაქმნის წლებში“. არჩევნები აზერბაიჯანში მიმდინარეობს ქუჩის შეტაკებების რეჟიმში, თუმცა უსისხლოდ.

ამჟამად გადავდივართ შუა აზიაში. იქ ყველა ქვეყანა საპრეზიდენტო რესპუბლიკაა.

**თურქმენეთი.** პირველი პრეზიდენტი, პრეზიდენტი სიცოცხლის ბოლომდე თურქმენბაში, ს. ნიაზოვი — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი. გარდაიცვალა 2006 წელს, მემკვიდრეები არ დაუტოვებია. მემკვიდრედ გახდა გ. ბერდიმუხამედოვი, ყოფილი ექიმი-სტომატოლოგი, ითვლება თურქმენბაშის უკანონო შვილად, მაგრამ ოფიციალურად ეს ვერსია არაა დადასტურებული. თურქმენეთი — ესაა ოდნავ უფრო ღია, ვიდრე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. არჩევნები იქ მიმდინარეობს მშვიდად, „გაუგონარი ენთუზიაზმის ვითარებაში“, მაგრამ დროდადრო მჟღავნდება გამყიდველთა ბოროტი შეთქმულებანი.

**ტაჯიკეთი.** პირველი პრეზიდენტი (1990-1992 წლები) კ. მახკამოვი, (ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი, გადადგა 1991 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ); 1991-1992 წლებში პრეზიდენტია რ. ნაბიევი (წარსულში აგრეთვე, ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი), ჩამოაგდეს 1992 წელს სამოქალაქო ომის მსვლელობის დროს, როდესაც ათასობით ადამიანი დაიღუპა, 1992 წლიდან პრეზიდენტია ე. რახმონოვი (საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორი).

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**ყირგიზეთი.** პირველი პრეზიდენტი (1990-2005 წწ.) — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ლენინგრადიდან, ა. აკაევი. 2005 წლის რევოლუციის შემდეგ (დაღუპულთა რაოდენობა სხვადასხვანაირადაა შეფასებული) პრეზიდენტი გახდა კ. ბაკიევი, რომელიც საბჭოთა პერიოდში იყო ქარხნის დირექტორი.

**უზბეკეთი.** 1990 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე პრეზიდენტი — ი. კარიმოვი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი (1989 წლიდან); იყო, როგორც ცნობილია, რამდენიმე გამოსვლა ქუჩებში პრეზიდენტის წინააღმდეგ, გამომსვლელები დახვრიტეს, მსხვერპლის კონკრეტული ოდენობა უცნობია. ამჟამად 71 წლის კარიმოვის მემკვიდრედ ითვლება პრეზიდენტის უფროსი ქალიშვილი გულნარა, რომელიც სწავლობდა მოსკოვში, ჰარვარდში.

**ყაზახეთი.** 1990 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე პრეზიდენტი ნ. ნაზარბაევი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი 1989 წლიდან. საჯარო გამოსვლები და მათი შეიარაღებული დარბევა ამ წლებში არ მომხდარა. ვინ იქნება 69 წლის ნაზარბაევის მემკვიდრე, უცნობია. ადრე მიაჩნდათ, რომ იგი, ალბათ, იქნებოდა უფროსი ქალიშვილი დარიგა. მაგრამ უკანასკნელ ხანებში მის ყოფილ ქმართან დაკავშირებული სკანდალების გამო ასახელებენ სხვა სახელებს — პრეზიდენტს სამი ქალიშვილი ჰყავს, უფროსი შვილიშვილი კი 20 წელზე მეტი ხნისაა.

და, ბოლოს, რუსეთის ფედერაცია. პირველი პრეზიდენტი (1991 წლიდან) — ბ. ელცინი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი. მიიჩნევენ, რომ 1996 წლის არჩევნებზე მან წააგო რუსეთის ფედერაციის კომპარტიის ლიდერთან გ. ზიუგანოვთან. თუმცა, ეს ვერსია მაინც ვერ დადასტურდა. 1999 წლის 31 დეკემბერს ელცინმა ხელისუფლება გადასცა ვ. პუტინს. პუტინი მესამე ვადაზე აღარ წასულა და 2008 წელს დ. მედვედევი პრეზიდენტი გახდა.

ამ ფაქტების ასეთი ელემენტარული ჩამოთვლაც კი მრავალმნიშვნელოვანია.

1990-1991 წლებში ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში ხელისუფლებაში მოდიან ნაციონალ-დემოკრატები, რომლებსაც სათავეში უდგანან ადგილობრივი კომუნისტური პარტიების ლიდერები. ისინი შემდგომი არჩევნების დროს ხელისუფლებას უთმობენ ნაციონალისტებს, ემიგრანტების რიგებიდან. ყველაფერი ევროპულად მშვიდად მიმდინარეობს (თუ არ ჩავთვლით მოსკოვის უაზრო მცდელობას, 1991 წლის დასაწყისში „აღედგინა საბჭოთა ხელისუფლება“). მოსახლეობის რაოდენობა სულ უფრო მცირდება სამივე რესპუბლიკაში, განსაკუთრებით ეკონომიკური თვალსაზრით ყველაზე წარმატებულ ესტონეთში 20 წლის განმავლობაში (1989 წლიდან) კლებამ 13% შეადგინა (რუსეთში მხოლოდ 5%).

იმავე წლებში ამიერკავკასიაში ხელისუფლებაში მოდიან ნაციონალისტი დისიდენტები. საქართველოსა და აზერბაიჯანში იწყება არასტაბილურობის, ამბოხებათა და სხვა სახის „მიწის რყევათა“ პერიოდი. აზერბაიჯანში ის მთავრდება ალიევის მოსვლით (1993 წ.), საქართველოში კი მიმქრალი არასტაბილურობა გრძელდება დღემდე.

მიწის მსუბუქი რყევები მოლდოვაშიც იგრძნობოდა კომუნისტი ნაციონალისტის სნეგურის დროს, რაც 1992-1993 წლებში დამთავრდა დნესტრისპირეთთან „სტატუს-კვო“-თი.

ბელორუსიასა და უკრაინაში შეიარაღებული შეტაკებანი არ ყოფილა. წყნარი ბელორუსია მივიდა ლუკაშენკოს დიქტატურასთან (თუმცა ამ დიქტატურამ 90-იან წლებში გამოიყენა, როგორც ამბობენ ხოლმე, „სიკვდილის ესკადრონი“). უკრაინაში კი როგორც დაიწყო „ფეოდალური დემოკრატია“, ისევე გრძელდება. რასაკვირველია, ამ ზაპოროჟიულ ვოლნიცას არავითარი კავშირი არ ჰქონია „უკრაინის დაცემასთან“, ხოლო თუ აქვს ასეთი კავშირი „ევროპულ დემოკრატიასთან“ — მაშინ საკმაოდ თავისებური. ამ დროს ბელარუსის მოსახლეობა 20 წლის განმავლობაში შემცირდა 6%-ით, უკრაინისა — 12%-ით, უპირატესად ემიგრაციის, შრომითი მიგრაციისა და ა.შ. ხარჯზე.

შუა აზიაში არასოდეს ყოფილა საუბარი „ევროპულ დემოკრატიაზე“, მაგრამ ყაზახეთში, თურქმენეთსა და უზბეკეთში თავიდანვე ხელისუფლება მყარად ეპყრათ ხელთ ადგილობრივი კომუნისტური პარტიების ყოფილ პირველ მდივნებს, ტაჯიკეთში კი იყო „მიკროინსულტი“ — 1992 წლის პატარა სამოქალაქო ომი, რომლის შემდეგაც დამყარდა რახმონოვის ხელისუფლება. ყირგიზეთში აკაევი ძალიან სუსტი აღმოჩნდა იმისათვის, რომ დაემყარებინა დიქტატურა. ქვეყანა კი სულაც არაა ისეთი, რომელსაც ექნებოდა დემოკრატიისადმი მიდრეკილება.

რას იზამ, „ყოველივე არსებული მართებულია“. ბალტიისპირეთის პატარა „ნაციონალ-დემოკრატიის“ გარდა (დიდი გაჭირვებით, მაგრამ ისინი მაინც შეიძლება მივაკუთვნოთ „ევროპულ“ დემოკრატიას). ყოფილი სსრ კავშირის დანარჩენი ქვეყნები მერყეობენ მონარქიასა და ფეოდალურ ვოლნიცას შორის...

ასეთია ობიექტური სურათი. ხალხი? ძირითადად, ალბათ, ის კმაყოფილია — რახან არ ავლენს პოლიტიკურ უკმაყოფილებას! რასაკვირველია, არის აქ შიშიც, ძალდატანებაც, მაგრამ ცხადია, რომ ეს არ ასრულებს გადამწყვეტ როლს.

### მასობრივი უკმაყოფილების დროს პრეზიდენტები მიდიოდნენ (ყირგიზეთი, საქართველო), თუმცა შემდეგ „ნამდვილი დემოკრატია“ მაინც არ ჩნდებოდა. მაგრამ საუბარი ამაზე როდია:

საქმე იმაშია, რომ, მასობრივი უკმაყოფილება ძალიან ძლიერი რომ ყოფილიყო, ხელისუფლება სხვა რესპუბლიკებშიც (რუსეთში, ბელარუსში, აზერბაიჯანში, შუა აზიაშიც) შეიცვლებოდა, უკმაყოფილება კი არ ყოფილა.

მაგრამ „უკმაყოფილების არარსებობა“ როდი ნიშნავს „კმაყოფილების არსებობას“. კაზუისტიკას რომ არ მივმართოთ, ერთი რამ შეიძლება ითქვას: ყოფილ საბჭოთა მოქალაქეებში უკმაყოფილების არარსებობა ნიშნავს პოლიტიკური კულტურის გარკვეული ხარისხის შესაბამისობას იმ სახელმწიფოთა პოლიტიკური კულტურის ფორმებთან, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ.

**ბორის სუვარინი**
**ყოველდღიური ჟურნალი „დელფი“, ლიტვა**

# გადატვირთვის ღილაკი



**დიპლომატიურ შეცდომებზე თუ ვილაპარაკებთ, ძნელი იქნება, ვაჯობოთ ჰილარი კლინტონს, რომელმაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს „გადატვირთვის ღილაკი“ აჩუქა, როგორც ამერიკა-რუსეთის ურთიერთობაში ახალი ეტაპის დასაწყისის სიმბოლო. სამწუხაროდ, ღილაკის გვერდით გაკეთებული წარწერა ითარგმნება როგორც „თვითლიკვიდაცია“. ამას, ასე თუ ისე, ადასტურებს რუსების ყველაზე მტკივნეული შეფასებანი იმასთან დაკავშირებით, თუ რას აპირებენ მათ წინააღმდეგ ამერიკელები.**

მაგრამ... ამერიკის განზრახვა გასაგებია. ობამას ადმინისტრაციას სურს რუსეთთან ურთიერთობის განახლება და გაუმჯობესება. ამერიკელებს უნდათ, დაეხმარონ რუსებს მთელი რიგი სადავიდარაბო საკითხების მოგვარებაში; კერძოდ, ირანთან დამოკიდებულებაში (თუ ეს საერთოდ შესაძლებელია), საქართველოსთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში, დაგმონ ვნებათაღელვა ისეთ თემებზე, როგორიცაა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა...

სამწუხაროდ, უკვე მწიფდება ახალი კრიზისი საქართველოს გამო, რომელიც შეიძლება, უკონტროლოც გახდეს. საქართველოში 9 აპრილისთვის დაგეგმილია დიდი ანტისამთავრობო დემონსტრაციები. ოპოზიცია მოითხოვს პრეზიდენტის გადადგომას. ეს სავსებით აძლევს ხელს სააკაშვილისმოძულე რუსეთს, რომლის ხელისუფლებაც დარწმუნებულია, რომ „ვარდისფერი“ და „ნარინჯისფერი“ რევოლუციები საქართველოსა და უკრაინაში ამერიკელთა დამსახურება იყო. ეჭვი არ არის, რომ ისინი რამდენიმე კვირის შემდეგ მხარს დაუჭერენ ქართულ ოპოზიციას, რომელიც სააკაშვილის წინააღმდეგ გამოდის. გარედან თანადგომის გარეშე ამ დემონსტრაციებს შეიძლება ორმხრივი ძალადობა მოჰყვეს.

უწესრიგობანი საქართველოში და საქართველოს პრეზიდენტის შესაძლო დაცემა ობამას ადმინისტრაციას მეტად მწვავე დილემის წინაშე დააყენებს, რადგან სააკაშვილს ძველებურად ბევრი მეგობარი ჰყავს ვაშინგტონში. იმ შემთხვევაში, თუ წარმოიქმნება იმის შეგრძნება, რომ სააკაშვილი შეთქმულების მსხვერპლი ხდება (რომელსაც რუსეთი მოაწყობს), ზოგი მათგანი ზემოქმედებას მოახდენს ობამას ადმინისტრაციაზე. მაგრამ ახალი კრიზისი საქართველოსთან დაკავშირებით იქნება ის, რომ დათბობა ამერიკა-რუსეთის ურთიერთობაში გაგრძელდება სულ რაღაც რამდენიმე კვირის განმავლობაში.

**გიდეონ რახმანი**
**„THE FINANCIAL TIMES“**

# ფილმი უფროსებისთვის

ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯეკი სმიტმა საჯაროდ მოიბოდიშა იმის გამო, რომ სახელმწიფო მოხელეთათვის გამოყოფილი ინტერნეტზე გახარჯული სახსრების ანაზღაურების პროგრამით ისარგებლა, რადგან ორი ფილმი, რომელთაც მან სახლში უყურა, უფროსებისთვის ყოფილა გათვალისწინებული.

მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს დაუბრუნებს მისთვის კომპენსირებულ ფულს. ბრიტანეთის პრესაში დაიბეჭდა, რომ 2008 წლის აპრილში მინისტრის სახლში ინტერნეტით უყურეს ორ პორნოფილმს (ფილმის სახელწოდებები არ სახელდება) და მათ ნახვაზე გახარჯულმა თანხამ 10 გირვანქა სტერლინგი შეადგინა. ცნობილია, რომ მინისტრი ამ სახლში თავის მეუღლესთან, რიჩარდ ტიმნისთან ერთად ცხოვრობს. ჯეკი სმიტის განცხადებით, ფილმის მიმდინარეობისას ის შინ არ იყო. მედიის ცნობით, როგორც კი მინისტრმა სკანდალის შესახებ შეიტყო, გაოგნდა და ქმარს „ნამდვილი სასამართლო“ მოუწყო. ბევრი ბრიტანული გაზეთი იმ დღეს გამოვიდა ირონიული სათაურით: „უნდა დაუფარონ თუ არა გადასახადების გადამხდელებმა მინისტრის ქმარს პორნოფილმის ყურების საზღაური.“

ჯეკი სმიტის განცხადებით, როგორც კი მან ამ გაუგებრობის შესახებ შეიტყო, მაშინვე მიმართა შესაბამის საპარლამენტო კომიტეტს სიტუაციის გამოსასწორებლად. „ფული მთლიანად დაბრუნდება ბიუჯეტში,“ — თქვა მან.

# ბოროტმოქმედი მღვდლები

წმინდა ვინსენტის ეკლესიის (დელრეი ბიჩი, ფლორიდის შტატი) ორი ყოფილი წინამძღვარი დამნაშავედ ცნეს მრევლის მიერ შემოწირული 8,7 მლნ დოლარის დატაცებაში. 81 წლის ჯონ სკიჰანს 14 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 66 წლის ფრენსის გუინანს 4-წლიანი ციხე მიესაჯა.

გამოძიების მონაცემებით, მღვდლებმა მრევლის შემოწირული თანხებით უძრავი ქონება და იშვიათი საკოლექციო მონეტები შეიძინეს, დრო ატარეს კაზინოებში, იმოგზაურეს და ფული მეგობარ ქალებსაც დაახარჯეს, თუმცა თანხის ნაწილი ეკლესიის საჭიროებებისთვისაც გაიღეს.

ძიებისას დადგინდა, რომ სკიჰანმა, რომელიც ეკლესიის მსახური იყო 50 წლის განმავლობაში, ირლანდიაში პაბი და კოტეჯი შეიძინა, ასევე, 445 ათასი დოლარის ღირებულების კონდომინიუმის მფლობელი გახდა ფლორიდაში. მისი ადვოკატების მტკიცებით, სკიჰანი ინანიებდა დანაშაულს და სასჯელის შეცვლას იმსახურებდა, თუმცა ბრალდებამ არ გაითვალისწინა ეს გარემოება და ყოფილ პასტორს პატიმრობა მაინც მიუსაჯა.

მოსამართლე კრისტა მარქსის განცხადებით, ის ვერავითარ გამართლებას ვერ უძებნის მღვდლების ნამოქმედარს. „მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი კარგი საქმე გაგიკეთებიათ ეკლესიის მსახურების დროს, რადგანაც თქვენმა შემდგომმა ქმედებებმა ყველა კეთილი საქმე გააბათილა“, — განაცხადა მოსამართლემ.

# როგორ გავიტაცოთ 88 მილიონი

ნიუ-იორკში დაკავებულია არტდილერი ლოურენს სალანდერი, რომელსაც ბრალად ედება 88 მილიონი დოლარის დატაცება თაღლითობითა და სხვისი ქონების გაყიდვით.

სალანდერი ეჭვმიტანილია 13 წლის განმავლობაში ხელოვნების ნიმუშთა 26 კოლექციონერის მოტყუებაში.

სავარაუდოდ, არტდილერი ორი სქემის მიხედვით მუშაობდა: ყიდდა სხვის ქონებას, ფულს კი თავად ეპატრონებოდა. გარდა ამისა, თაღლითობდა ინვესტიციებშიც. ამასთან, ამერიკის ბანკისგან 2 მილიონი დოლარის კრედიტი მიიღო, ხოლო გირაოში სხვისი ხელოვნების ნიმუშები ჩადო.

გამოძიების მონაცემებით, სალანდერის მიერ მოტყუებულთა შორის ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი, 1982-1985 წლების მსოფლიოს პირველი ჩოგანი ჯონ მაკინროიც იყო.

თაღლითობით მითვისებული ფულით სალანდერი აღორძინების ეპოქის ხელოვნების ნიმუშებს იძენდა და ფუფუნებაში ცხოვრობდა: ჰქონდა სახლი მანჰეტენზე, ქალაქგარეთ — 26,7 ჰა მიწის ნაკვეთი და კერძო თვითმფრინავი.

სალანდერს ბრალი წაუყენეს 100-ზე მეტი მუხლის დარღვევაში, რის გამოც 25 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ირინე ხუბაშვილი:

# საუკეთესო წლებს უცხოთა სამსახურში ვკარგავთ

**უკანასკნელ წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ქართველები ისტორიის ვეება ხახასთან თითქმის დედიშობილა დაგვტოვა. ნიველირების ჯადოსნურმა ქარმა ჩვენი თანამემამულენი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მიმოფანტა. სად არ წავიდა ქართველი კაცი, რა გზები არ მოძებნა, რა ბარიერები არ გადალახა, რა ტკივილი არ დაიტია. წლები გადის და მათი სია უფრო გრძელდება. დღესაც, უცხოურ საჰაერო ლაინერებს უამრავი შემკრთალი და დაბნეული ქართველი მიჰყავს მატერიკის სხვადასხვა კუთხეში. ასე, თვალსა და ხელს შუა ვკარგავთ თაობებს. ერის შვილები იძულებულნი არიან სამშობლო თავის გადარჩენის მერკანტელურ აუცილებლობაზე გაცვალონ. რაოდენ სულისშემძვრელია მათი ყოფა უცხო მხარეში. ემიგრანტთა სევდის გამოძახილი მიგვანიშნებს, როგორ უჭირს ქართველ კაცს უცხოობაში. მათ ხომ თავიანთი ადგილების პოვნა მშობლიურ მიწა-წყალზე ვერ შეძლეს. ამჟამად, რუბრიკის სტუმარია ჩვენი თანამემამულე და ამჟამად ამერიკაში მყოფი ირინე ხუბაშვილი.**



— **ქალბატონო ირინე, რამ გაიძულათ სამშობლოდან წასვლა?**

— (სინანული და ცრემლნარევი ტონი კრთის მის ხმაში)

ქვეყანა თავზე გვენგრეოდა. ჯერ კიდევ 15 წლის ვიყავი, როცა მამა დამეღუპა. ჩემი ძმა ხუთი წლით უმცროსია ჩემზე. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩავირიცხე, პარალელურად ჟურნალისტთა სკოლაში ვსწავლობდი. აღნიშნული სასწავლებლები წარჩინებით დავამთავრე, სტუდენტობის პერიოდში ჟურნალისტურ პრაქტიკას სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოებში გავდიოდი, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ცოდნის მადლი ჩაქრა. ჩემს წარჩინებულ დიპლომს გროშის ფასიც არ ჰქონდა — სამსახური ვერ ვიშოვე. დედა კი სადღელამისო მუშაობით თავს იკლავდა, რათა ოჯახი ერჩინა. არავის და არაფერს განმკითხავი არ ჰყავდა, ამიტომ სამსახურის ძებნისას ყველა კარი ახსნა-განმარტებების გარეშე, უცერემონიოდ იხურებოდა ჩემს წინ. გულგატეხილობამ შემიპყრო, მივხვდი, სამსახური, თანაც სპეციალობით, ჩემთვის მიუწვდომელი ოცნება იყო. თავისებური სასოწარკვეთა დამეუფლა — მე, ზრდასრული, განათლებული, ენერგიული ახალგაზრდა ისევ დედის ხარჯზე ვცხოვრობდი. ამის გახსენება დღესაც სევდით მავსებს. ჩემი მდგომარეობა ტკივილად მექცა. ჩემდამი თანაგრძნობით გამსჭვალული ოჯახის წევრებიცა და ახლობლებიც ჩემს ფსიქიკაზე ნეგატიურად მოქმედებდნენ. ამ დროს მეგობრებმა მირჩიეს აუპაიერის პროგრამაში მეცადა ბედი, რომელიც უცხოეთში ცხოვრებისა და სწავლის პროგრამას გვთავაზობდა. მივხვდი, თუ წასვლას გადავწყვეტდი, ჩემს ხელჩაქნეულობას ბოლო მოეღებოდა, მაგრამ ცხოვრების კარიბჭესთან მდგარი გოგონასათვის, რომელიც მშობლიურ კერას წუთით არ გასცილებია, ამ ნაბიჯის გადადგმა ადვილი არ იყო. ვგრძნობდი, დედა ნერვიულობდა. როგორც ყველა ქართველ დედას, მასაც კრუხის კომპლექსი ჰქონდა. მეც მთელი ცხოვრება მის ფრთებქვეშ შეფარებული თავს ყოველმხრივ დაცულად ვგრძნობდი, მაგრამ ქვეყნის სოციალურმა სიდუხჭირემ გზა განშორებისა გაგვიმზადა. გადაწყვეტილება მივიღე, ჩემს პირად ცხოვრებაში ახალი ეტაპი უნდა დამეწყო და ღამურას სავალალო ბედისთვის გავმზადებულიყავი. დედამ ჩემს გადაწყვეტილებას მაღალი შეგნებითა და პატივისცემით უპასუხა. პროგრამა, რომლითაც მივემგზავრებოდი, მოითხოვდა გზისა და სასწავლო პროგრამის დაფინანსებას მსურველთა მხრიდან. ჩემმა ოჯახმა, გაჭირვების მიუხედავად, შეძლო ფული გადაეხადა. რომ იტყვიან, მდგომარეობამ მყუდროების გალავანი დამინგრია და მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს სტუმარ-მასპინძლურ ორომტრიალში გადამისროლა.

— **ქალბატონო ირინე, როგორი მასპინძელი აღმოჩნდა ჩვენი ოკეანისგაღმელი მეგობარი ამერიკა ქართველი ემიგრანტისთვის?**

— ხომ იცით, ქართველები თავმომწონე ერი ვართ, ხოლო ახალგაზრდები მაქსიმალურად ვცდილობთ მსოფლიოს ცივილიზაციას ფეხი ავუწყოთ. არც მინის სასახლეების ბრწყინვალება და ფუფუნება გამკვირვებია, იქაური წესებიც რიგიანად მოვირგე, და არც პროვინციულობით მიმიქცევია ყურადღება. ინგლისურ ენას ბავშვობიდან ვსწავლობდი, წასვლამდე მოსწავლეებსაც ვამზადებდი. ვაშინგტონში კი ვიგრძენი, რომ საქართველოში ნასწავლი ინგლისური ძალიან მოიკოჭლებდა თანამედროვე ამერიკელთა მეტყველებასთან შედარებით. ცოცხალ ენასთან კონტაქტი გასაოცარი ინტენსივობით ახდენდა ჩემზე გავლენას და სულ რამდენიმე თვეში მასპინძლების მსგავსად ვსაუბრობდი. ხომ იცით, მაგალითის ძალა არაჩვეულებრივად დიდია. პროგრამის მიხედვით უკვე ვიცოდი, — სად, ვისთან ვიქნებოდი და რა დავალებას შევასრულებდი. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ამერიკაში მცხოვრები ქართველის, კიკნაძეების ოჯახში გამამწესეს. ოჯახის უფროსი, პროფესიით ჟურნალისტი, ვაშინგტონის რადიო „ამერიკის ხმაში“ მუშაობდა, ცოლად კი ამერიკელი ქალი ჰყავდა. მათ უკვე ორი შვილი — გოგონა და ბიჭი ეზრდებოდათ. მე, უმცროსის, წლინახევრის ბავშვის მოვლა მევალებოდა. მამამისს სურდა, მისთვის ქართული ენა მესწავლებინა. თავად კი სწავლა ერთ-ერთ კოლეჯში, ლინგვისტიკის განხრით განვაგრძე, სადაც ინგლისური ენის კურსსაც გავდიოდი. ვაშინგტონით ჩასვლისთანავე აღვფრთოვანდი. ნიუ-იორკთან შედარებით ეს დიდი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრია. საოცარი დახვეწილი არქიტექტურით და დიაგონალური პროსპექტებით მწვანეშია ჩაფლული. მდინარე პოტომაკს მიჰყვება საპარკო მაგისტრალი. ძირითადში კლასიციზმის სტილის შენობებია, მაგრამ არცერთი შენობის სიმაღლე არ აღემატება კაპიტოლიუმს. ნიუ-იორკთან შედარებით ვაშინგტონი წყნარი, მყუდროებით აღსავსე ქალაქია, მას სულ სხვა რიტმი აქვს. აქ ყველაფერი იდეალურ დონეზეა: მომსახურება, მგზავრობა, სახელმწიფო და საელჩო აპარტამენტები, კონგრესის რეზიდენციები, კაფე-რესტორნები, გასართობი ბარები, უამრავი ბაღი და სკვერი.

**სანამ გვიან არ არის, შემოვკრათ განგაშის ზარები, ქვეყანა ჩიხიდან რომ გამოვიყვანოთ, თორემ მსოფლიოს ისტორიამ არაერთი მაგალითი იცის ამა თუ იმ ერის თუ ეთნოსის გადაგვარებისა და გაქრობისა...**



სწავლაც და ბავშვის მოვლა ერთად უდიდეს ძალისხმევას მოითხოვდა. ახალგაზრდული ენერგიით ორივეს ვუმკლავდებოდი და გასამრჯელოც სოლიდური მქონდა. ასე რომ, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ოფლით მოპოვებული ლუკმის გემო უცხო ქვეყანაში გავიგე. პროგრამით გათვალისწინებულმა ერთმა წელმა ელვის სისწრაფით გაირბინა, რომელმაც ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვალა. გადავწყვიტე ამერიკაში კვლავ სწავლა გამეგრძელებინა, მაგრამ მისი საფასურის გადახდა ემიგრანტისათვის მეტად რთული აღმოჩნდა. ხელშეკრულების თანახმად, შინ უნდა დავბრუნებულიყავი, მაგრამ ჩემს სამშობლოში ჩარხი უკუღმა ტრიალებდა...

რაც ამერიკაში ჩასულს იმთავითვე თვალში მომხვდა, ეს შრომის კულტია, მათი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა. აქ ნიჭიერ და შრომისმოყვარე ადამიანს ნებისმიერ ასაკში შეუძლია კარიერა ნულიდან დაიწყოს. გადავწყვიტე დარჩენა, თუმცა სამშობლოს სამსახური გულით მეწადა. კიკნაძეებიდან ამერიკელი იტალიელების ოჯახში მოვეწყვე ძიძად. იტალიელები ხასიათით და ტემპერამენტით ძალიან გვანან ქართველებს. მათი დამოკიდებულება ჩვენდამი ღია, ძალდაუტანებელი და ლაღია.

— **მიამბეთ ვაშინგტონის ქართული სათვისტომოს შესახებ, სადაც თქვენი მეუღლე გაიცანით...**

— ჩასვლისთანავე მოვძებნე ქართველები. ვაშინგტონის ცენტრში მდებარე წმიდა ნიკოლოზის სახელობის კათოლიკურ ეკლესიაში ქართველებს დათმობილი აქვთ კუთხე, სადაც კვირაობით ქართველ ემიგრანტთა მრევლისთვის მართლმადიდებლური წირვა-ლოცვა მიმდინარეობს. სწორედ იქ გავიცანი ქართველი ემიგრანტი ირაკლი ნიშნიანიძე — თბილისელი კაცი, პროფესიით ჟურნალისტი, რომელიც ამერიკაში თავის დროზე სწავლის მიზნით ჩასულა და მუშაობაც კერძო სტრუქტურაში დაუწყია. დაქორწინება რომ გადავწყვიტეთ, თბილისში ჩვენს ოჯახებს შევატყობინეთ. ჯვრისწერა ქართული სათვისტომოს ტაძარში ჩატარდა. მას ვაშინგტონში მყოფ ემიგრანტთა უმრავლესობა ესწრებოდა... ალბათ, იშვიათია დედამიწაზე პატარძალი, რომელიც სიყვარულით იწერს ჯვარს და გულს უკლავს, რომ ამ განუმეორებელ ცერემონიაზე ვერ ხედავს დედას, ძმას, ნათესავებს, ბავშვობის მეგობრებს — ყველას, ვინც უყვარს.

— **ქალბატონო ირინე, ქორწინების შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება?**

— ერთობლივი ცხოვრება ნაქირავებ, პატარა სახლში დავიწყეთ, რომელსაც პატარა ბაღიც აქვს და ჩვენთვის საკმარისზე მეტია. ჩვენ სპეციალურ პროგრამაში გავწევრიანდით, რომელიც ემიგრანტებს სამედიცინო მომსახურების შეღავათიან პირობებს სთავაზობს. როგორც კი ჩემი გოგონა — ანა დაიბადა, მას ავტომატურად მისცეს ამერიკის მოქალაქის სტატუსი და სამედიცინო დაზღვევის პროგრამით დააჯილდოვეს. ეს კი ემიგრანტების ბავშვისთვის დიდი საჩუქარია, მის აღზრდასა და მოვლაზე სადაზღვევო კომპანია ზრუნავს. ახლა ანა უკვე წლინახევრისაა და მეც სამუშაოს დავუბრუნდი. ჩემს გოგონასა და იტალიელების პატარა ბიჭს ერთად ვუვლი.

— **სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებთ?**

— ეს დროც დადგება! მანამდე კი ანას ქართულად ველაპარაკებით. ისიც თუთიყუშივით იმეორებს. ბებიები მას კომპიუტერის ეკრანიდან და გაგზავნილი ფოტოებით იცნობენ. ეკლესიაში როდესაც ვიკრიბებით, თითოეული ჩვენთაგანის თვალებში სამშობლოს მონატრების უძირო, უნაპირო სევდაა. ჩვენ ხომ საუკეთესო წლებს უცხოთა სამსახურში ვკარგავთ, ეს კი ძალიან ძნელია. ტაძარში ძილგატეხილი ქართველები საქართველოსათვის ლოცულობენ. უცხო მხარე, თუნდაც უკეთესი, ემიგრანტისთვის „ოქროს გალიაა“, საიდანაც გაღწევას მუდამჟამ ესწრაფვის. ვინ ვართ დღეს, რას წარმოვადგენთ? — დედასამშობლოს იძულებით მოცილებულნი. სანამ გვიან არ არის, შემოვკრათ განგაშის ზარები, ქვეყანა ჩიხიდან რომ გამოვიყვანოთ, თორემ მსოფლიოს ისტორიამ არაერთი მაგალითი იცის ამა თუ იმ ერის თუ ეთნოსის გადაგვარებისა და გაქრობისა.

დიდი მადლობა თქვენს გაზეთს, რომელიც ჩვენს პრობლემებზე წუხს, ვახსოვართ, ესმის ჩვენი და სიხარულის პატარა ნაპერწკალს გვჩუქნის.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# „ქეშტიანშიკის“ სიკვდილი ანუ რა ქენი, გუდუნა, ეს?!

**ტრაგედიის შინაარსიდან გამომდინარე, სტატიაში მოყვანილი ფაქტის რეალური ადგილი და მოქმედ პირთა ვინაობა შეცვლილია. მკვლელობა, რომელზეც მოგითხრობთ, 2008 წლის 31 იანვარს თბილისში, გურამიშვილის ქუჩაზე მოხდა. ღამის 12 საათზე 39 წლის შალვა ბილიხოძე ყოფილი მეუღლის ბინაში ხანჯლით მოკლეს. მკვლელობის დროს სახლში მოკლული შალვა ბილიხოძის გარდა კიდევ ექვსი პიროვნება იმყოფებოდა, მათ შორის — მეუღლე და მისი არასრულწლოვანი ვაჟი. თუმცა, მკვლელობის დამამტკიცებელი კვალის წაშლის შემდეგ პოლიციას აღიარებითი ჩვენება შალვა ბილიხოძის სიდედრმა — 67 წლის ლიდა ვარდიაშვილმა მისცა. ყველას უკვირდა, თუ როგორ მოახერხა ხეიბარმა მოხუცმა, რომელიც ხშირად ავადმყოფობდა, საკმაოდ ახალგაზრდა და ძლიერი სიძის მოკვლა, მაგრამ შემთხვევის ადგილზე მისულ კრიმინალურ პოლიციას გარეცხილი დანა, მორეცხილი იატაკი და ლიდას აღიარება დახვდა.**



ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ 15 წლის წინათ შალვა ბილიხოძემ დაპატიმრებული მეგობრის ცოლი, რომელსაც უკვე ორი წლის გოგონა ჰყავდა, ცოლად შეირთო. სამი წლის განმავლობაში ნორმალურად ცხოვრობდნენ, პროფესიით „ქეშტიანშიკი“ ბილიხოძე ცოლს, გერს და უკვე საკუთარ ვაჟსაც შეძლებისდაგვარად არჩენდა. ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობის დაძაბვა კი ცოლის უყურადღებობამ და შალვა ბილიხოძის ეჭვიანობამ გამოიწვია.

ახლობლები იხსენებენ, რომ ცოლ-ქმარი ძალიან ხშირად ჩხუბობდა, მაგრამ მალევე რიგდებოდა. თხუთმეტწლიანი აურზაურის შემდეგ თამთა ბეგიაშვილმა ბილიხოძესთან დაშორება გადაწყვიტა. ქმართან დაცილების შემდეგ იგი მეგობარ მამაკაცთან ერთად დადიოდა, რასაც ბილიხოძე ვერ შეეგუა და ყოფილ მეუღლეს თითქმის ყოველდღე ნასვამ მდგომარეობაში სახლში უვარდებოდა და სცემდა.

2007 წლის 10 ივლისის ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბილიხოძეს აეკრძალა ყოფილ მეუღლესთან კონტაქტი, თუმცა იგი სისტემატურად მიდიოდა თამთა ბეგიაშვილის სახლში და აგინებდა მას.

შალვა ბილიხოძის გერი 16 წლის ასაკში გათხოვდა. 14 წლის აკაკი კი დედ-მამის ყოველი ჩხუბისა და კინკლავის მოწმე იყო.

2008 წლის 31 იანვარს ბილიხოძე კვლავ ნასვამი მივიდა ნაცოლარის სახლში და რამდენიმე საათის განმავლობაში აგინებდა მას. ამ დროს შინ თამთა ბეგიაშვილი, ლიდა ვარდიაშვილი, არასრულწლოვანი აკაკი, სტუმრად ჩამოსული შალვა ბილიხოძის გერი, მისი მეუღლე და მამამთილი იმყოფებოდნენ. სასამართლო პროცესზე ლიდა დაწვრილებით მოჰყვა მომხდარი მკვლელობის ამბებს, თუმცა, რამდენად შეესაბამება მისი მონათხრობი სინამდვილეს, საკამათო საკითხია.

**„ჩემი სიძე თითქმის ყოველდღე გვაწიოკებდა. მოდიოდა და ჩემს შვილს სცემდა. ბოლოს და ბოლოს, უჩივლა თამთამ და სასამართლომ აუკრძალა ჩვენს სახლში მოსვლა, მაგრამ არ ისვენებდა. ეზოს კარსაც კი ვკეტავდით, მაგრამ შეეძლო, მთელი ღამე კართან მდგარიყო და თამთასთვის ეგინებინა. იმ ღამეს სტუმრები გვყავდა. ჩემი შვილიშვილი იყო მოსული ქმართან და მამამთილთან ერთად. ეს კი კარებთან იდგა და თამთას აგინებდა. მერე სახლში შემოვიდა და ჩემს შვილს უთხრა — შევრიგდეთო. ამ დროს ჩემი შვილიშვილი, მისი ქმარი და ქმრის მამა გარეთ იყვნენ გასულები. ოთახში მე, პატარა აკაკი, შალვა და თამთა ვიყავით. თამთამ შალვას უთხრა, რომ მასთან ცხოვრება არ შეეძლო და ვერ შეურიგდებოდა. ამის გაგონებაზე ჩემი სიძე გაცოფდა და თამთას ეცა. ლოგინზე დააგდო და ახრჩობდა. მე და აკაკიმ ვერაფრით გავაშველეთ. რისი მოფიქრებაც შევძელი, ის იყო, რომ კედელზე დაკიდებული ძველი ხანჯალი ჩამოვხსენი და ზურგში ჩავარტყი... მერე კიდევ რამდენჯერ დავარტყი, აღარ მახსოვს. გონს რომ მოვედი, შალვა დასისხლიანებული ეგდო, მე კი დანა ხელში მეჭირა. სამზარეულოში გავვარდი, სისხლიანი ხელები დავიბანე და დანაც გავრეცხე, სისხლიანი იატაკიც მოვწმინდე და გადავწყვიტე, პოლიციისთვის დამერეკა. მე არც მიფიქრია დანაშაულის კვალის წაშლა, უბრალოდ, სისხლის შემეშინდა და იმიტომ გავრეცხე. ძალიან ვნანობ, რომ მოვკალი, მაგრამ იმ წუთში მე მხოლოდ საკუთარი შვილის სიცოცხლის გადარჩენაზე ვფიქრობდი,“** — ასე დაასრულა ჩვენება ლიდა ვარდიაშვილმა.

მოკლულის დედა ტატიანა ბილიხოძე იხსენებს, რომ მისი შვილისა და თამთა ბეგიაშვილის შეუღლების დღიდანვე მათ ოჯახებს შორის კონფლიქტს მუდმივი ხასიათი ჰქონდა.

ბილიხოძის ოჯახი ამ ქორწინების წინააღმდეგი იყო.

**„15 წლის ცოლ-ქმარი არიან. თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავი მათი დაქორწინების, რადგან თამთა ბეგიაშვილი ჩემი შვილის მეგობრის ცოლი იყო და ერთი გოგოც ჰყავდა მისგან. მერე მისი ქმარი ქურდობისთვის დააკავეს. შალვას ეცოდებოდა თამთა და ეხმარებოდა. რა გაუკეთა, არ ვიცი, მაგრამ ჩემს შვილს შეუყვარდა. ამ ურთიერთობის სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, თუმცა თამთა დაორსულდა და ბიჭი გააჩინა. იცოდნენ, რომ მე ასეთ რძალს სახლში არ შემოვუშვებდი და შალვა ჩაისიძეს. ორ შვილს უზრდიდა. ჩემი შვილი მეთუნუქე იყო, კარგ ფულს აკეთებდა და ფულის გამო უნდოდათ.**

**ხშირად ჩხუბობდნენ, მაგრამ მერე რიგდებოდნენ. მკვლელობამდე ხუთი თვით ადრე ორი კვერცხის გამო დაშორდა ჩემს შვილს (სამსახურიდან მოსულა და უთქვამს — კვერცხი შემიწვიო. თამთამ უპასუხა: არ არისო. შალვას უთხოვია, რომ ეყიდა. იმან არ იყიდა. ამის გამო იჩხუბეს და დაშორდნენ ერთმანეთს),“** — იხსენებს ტატიანა ბილიხოძე.

მისივე თქმით, მკვლელობის არც სხვა ვერსიაა გამორიცხული, თუმცა ამის დადასტურება მტკიცებულებების არარსებობის გამო რთულია. შალვა ბილიხოძის დედის განცხადებით, მის შვილს 67 წლის სიდედრი ვერ მოკლავდა. მათი ვერსიით, შალვა ბილიხოძის ყოფილი სიდედრი მკვლელობას სხვების დასაცავად იბრალებს.

**„ჩემი შვილი სასტიკად არის მოკლული. გულში, ფილტვში, ბარძაყში და თავში ჰქონდა ჭრილობები; ისეთი დაჩეხილი იყო, ომიდან დაბრუნებულს ჰგავდა. დაუჯერებელია, 67 წლის კოჭლ ქალს მოეხერხებინა ამ სისასტიკის ჩადენა.“**

**„ბეგიაშვილებს იმ დღეს სტუმრები ჰყავდათ. შალვას თამთასთან შერიგება უნდოდა და ამის გამო ხშირად უწევდა ჩხუბი სიდედრთან, რადგან თამთა ეუბნებოდა — დედაჩემის მერიდება, თორემ შეგირიგდებოდიო. იმ ღამით თამთას სახლში შესარიგებლად გადავიდა. სტუმრები გარეთ ყოფილან გასულები. თამთა, ლიდა, ციცინო და შალვა კი შერიგებასთან დაკავშირებით კამათობდნენ. ამ კამათის დროს ოთახში ჩემი შვილიშვილი აკაკიც ყოფილა. როგორც აკაკიმ გვითხრა, ეს კამათი ჩხუბში გადასულა. მერე რა მოხდა, არ ვიცით, რადგან ბავშვი, მგონი, დაშინებულია და მეტს არაფერს ამბობს.“**

ოფიციალურად მეტს მართლაც არავინ ჰყვება, თუმცა, მკვლელობის არაოფიციალური ვერსია შემზარავია. დადუმებული მოზარდი, რომელიც მამის მკვლელობას შეესწრო, ძალიან ცოტას საუბრობს. ის შეშინებული და შოკირებულია. მკვლელობის ღამეს სასტუმრო ოთახში აკაკიმ დიდხანს უსმინა მშობლების ჩხუბს. მამის მუდმივი აგრესია მას დედასთან ცხოვრებისა და მისი დაცვის სურვილს უღრმავებდა. ხშირად ჰპირდებოდა დედას, — **გავიზრდები და მამას მეზობლად აღარ ვიცხოვრებთო...**

სუფრასთან მყოფ ცოლ-ქმარს თავს ლიდა ედგა. იგი სიძეს ევედრებოდა, სახლში წასულიყო და შერიგებაზე სასაუბროდ ფხიზელი მოსულიყო. გაბრაზებული შალვა კი გაუთავებლად იგინებოდა ცოლისა და სიდედრის მისამართით. ნასვამი სტუმრები გარეთ გასულიყვნენ, პატარა აკაკი კარებთან იყო ატუზული იმის შიშით, რომ მამას დედა კვლავ უმოწყალოდ არ ეცემა. როდესაც თამთამ შალვას შერიგებაზე კატეგორიული უარი უთხრა, შალვამ მათ შორის მდგომ ლიდას ხელი ჰკრა, სუფრა გადააყირავა და ცოლს ყელში ეცა. თამთა ხელიდან გაუსხლტდა, მაგრამ, ლოგინის იქით გასაქცევი რომ ვეღარ იპოვა, ყვირილით შველას ითხოვდა. შალვამ თამთა საწოლზე დააგდო და ორივე ხელი ყელში წაუჭირა... ლიდა ექაჩებოდა სიძეს, მაგრამ ვერაფრით აშველებდა. კართან გაშეშებული იდგა აკაკი.

**ის მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა დედის ყვირილი აღარ ისმოდა და მხოლოდ ბებიას კივილი ჩაესმოდა ყურში. ინსტინქტურად მივარდა კედელთან, ეცა ხანჯალს და დედის გადასარჩენად მამას ზურგში რამდენჯერმე ჩაარტყა... როცა გაასნობიერა, რა ხდებოდა მის თავს, გაიქცა...**

იგი გამთენიისას სასაფლაოზე ჩაძინებული იპოვეს...

ლიდა ვარდიაშვილმა შვილის სიცოცხლის შესანარჩუნებლად ბრძოლა შეწყვიტა და უკვე შვილიშვილის გადასარჩენად ყველაზე მძიმე და რთული ნაბიჯი გადადგა. მკვლელობის იარაღი გარეცხა, იატაკი მორეცხა, შემდეგ პოლიციაში დარეკა და განაცხადა, რომ სიძე მოკლა...

ლიდა იმ ღამესვე დააკავეს. სასამართლო პროცესზე მისი ადვოკატი ამტკიცებდა, რომ მან სიძის მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩაიდინა. თუმცა, მოსამართლემ მას სიძის განზრახ მკვლელობისათვის შვიდი წლით პატიმრობა მიუსაჯა.

**მაკა ქობალია**

## ოჩამჩირეში მომხდარ აფეთქებაში ქართულ მხარეს ადანაშაულებენ

**ოჩამჩირის რაიონის სოფელ აჩიგვარაში მომხდარი აფეთქების შედეგად ე.წ. აფხაზეთის არმიის ორი სამხედრო მოსამსახურე და მაღაზიის მფლობელი დაიჭრნენ.**

საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსის“ ცნობით, აჩიგვარაში, გზის პირას მდებარე მაღაზიაში, რადიომართვადი ასაფეთქებელი მოწყობილობა აფეთქდა, რაშიც სოხუმის მარიონეტული მთავრობა ქართულ მხარეს ადანაშაულებს. სავაჭრო ობიექტის მფლობელმა ქვედა კიდურების სერიოზული დაზიანება მიიღო, 1976 წელს დაბადებული ორი სამხედრო მოსამსახურე კი მსუბუქად დაიჭრა. შემთხვევის ადგილზე გალის და ოჩამჩირის რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებისა და ოჩამჩირის რაიონის პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფი მუშაობს. გალის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის ლორენს კოლონიას განცხადებით, ასაფეთქებელი მოწყობილობა მაღაზიის ჭერქვეშ იყო დამონტაჟებული.

## სულიმ იამადაევი დუბაიში მოკლეს

**29 მარტს უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა გაერთიანებულ არაბთა საემიროების დედაქალაქში რუსეთის 58-ე არმიის ბატალიონ „ვოსტოკის“ მეთაური სულიმ იამადაევი მძიმედ დაჭრეს.**

წინასწარი ინფორმაციით, სულიმ იამადაევი დუბაის საავადმყოფოში 30 მარტს გარდაიცვალა.

უცნობი პირები იამადაევს თავს ავტოსადგომზე დაესხნენ. მიუხედავად იმისა, რომ იამადაევს ორი მცველი ახლდა, უცნობმა პირებმა მისი მძიმედ დაჭრა მაინც შეძლეს.

**ცნობისთვის:** სულიმ იამადაევი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში ბატალიონ „ვოსტოკის“ მეთაურობდა და 11 აგვისტოს სწორედ ამ ბატალიონმა აიღო გორი. ომის დასრულების შემდეგ იამადაევი ბატალიონის მეთაურობიდან გადააყენეს და ჩეჩნეთის პროკურატურამ მასზე ძებნა გამოაცხადა.

## მე შაირი არ მინდოდა...

მოგზაურობა, როგორც ჩანს,
ოქრუაშვილის ჰობია.
თბილისის ანძა, ამბობენ,
ეიფელის კოშკს სჯობია.

ვაგლახ, ლაჩარი ყოფილა,
გვეგონა რკინის მკვნეტავი —
ერთხელ ხო უკვე გაიქცა,
რისთვის ბრუნდება, ნეტავი?

ალბათ, ცხინვალში ახალ წელს
ველარ შევხვდებით აწიო,
ღირსია, ჯანში მარილის
„კარტეჩი“ რომ დააწიო!

როცა კაცს საქმე არა აქვს,
უნდა ეძებოს მახათი,
სახლში არ უნდა წაიღოს
დიდი ნიკალას ნახატი.

არ უნდა დადოს თაროზე
ილიას „ქვათა ღაღადი“,
არ აქოს აეროპორტი —
ქარისგან კრიშანახადი.

არ დარჩეს ისტორიაში,
როგორც სენი და სახადი
და არც ბიზნესმენს წაართვას
მოგების გადასახადი!

ისეთ რამეებს გაიგებ,
ყურებს გაუდის გუგუნი...
სხვის პარტიაში კვერცხებს დებს
ქალთა პარტიის გუგული!

მომავლის მაისაშვილმაც
(თუმცა კი ბევრი ითმინა),
ბოლოს და ბოლოს, გუგულის
ბუდესაც გადაუფრინა.

განათლების სისტემას რომ
ძირს უთხრიდა ცოტა ადრე,
გაეროში ელჩად მოჯდა
ლომაია ალექსანდრე.

რას ნიშნავს „მკვდარი ქალაქი“,
თუმც ბაიბურში არ იყო,
„უცნობს“ გამოთქმებს უწუნებს
სამადაშვილი ზალიკო.

სიფათი ჰქონდა ისეთი,
ვერ დახატავდა პიკასო
„თენგოსგან“ შეშინებულსა
მაქარაშვილსა გიგასო.

დღეს დიალოგზე ვინ წავა,
ჭკუათმყოფელი თუ არი?
გოკა კი იმას მოითხოვს,
რაზეც კოტემ თქვა უარი.

მომაკვდავივით ხრიალებს
უწყლო შადრევნის ონკანი...
ხალხური სიბრძნე ღაღადებს:
წყალზე ტყდებიან გოკანი.

პეტრეს და პავლეს რომ ვუსმენ,
სიმწრით მიჭკნება ყურები,
მთავრობას ემუქრებიან
კუკავებ-ძიძიგურები.

პეტრეს და პავლეს ბრალია,
კუჭებს რომ გვიწვავს შიმშილი:
პავლეა კუბლაშვილი და
პეტრეა ცისკარიშვილი.

P. S. „უცნობს“ საკანში ეწვია
ანზორის ქალი ნინიკო...
ბოლოს და ბოლოს, გავიგეთ,
ის შავი კაცი ვინ იყო!

# ბონდი, ჯეიმს ბონდი, ანუ „პროსტო მიშა“



**ევროპას საქმე გამოელია. საქმეც და მახათებიც.
ევროპამ შეუტია და დაიპყრო პოლიტკორექტულობის ახალი ზღუდეები.
ევროპარლამენტმა, ანუ ევროპის ოლიმპოს მთამ, ენის კანონების დადგენა დაიწყო.
ამ სამი წინადადებიდან რომელი ასახავს რეალობას, რომელია სწორი? მოსაფიქრებლად — ათი წამი! და შემდეგ: „სწორი პასუხი ეკრანზე“! ყელში ხელწაჭერილის ხმით შემოგვძახებს დაპროგრამებული წამყვანის კარიკატურული ასლი ხელის ენერგიული გაქნევით მარჯვნიდან მარცხნივ.**

არის პასუხი! გაიმარჯვა კნეინა დარეჯანმა, ლუარსაბ თათქარიძის მეუღლემ ან ვიღაც ამისთანამ, ვისაც „გონების გასართავად და უგემურ დღის დასალევად“ ფანჯარაზე გაკრულ გაქონილ ქაღალდზე ნემსის ჩხვლეტით დაუწერია: „დათვი ხეზედ როგორ გავა, იავნანინაო“...

**უსაქმურობასთან ბრძოლის ძველისძველი ქართული სლოგანი გვასწავლის: „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო“.**

ცუდად რომ არ მსხდარიყვნენ, აგერ ახლახან ევროპარლამენტის დეპუტატებმა აიტაცეს ლოზუნგი — „დისკრიმინაციას არა!“

**დისკრიმინაციას აუჯანყდნენ ენაში — მიმართვის დროს, პროფესიის მინიშნებისას, ყველაფერს, რაც ტრადიციულად ურთიერთპატივისცემის გამოხატვასთან იყო და არის დაკავშირებული.**

მათი პოზიცია, ანუ ნათქვამი, ქარს რომ არ წაეღო, დასტამბეს 785 ცალი ბროშურა და პერსონალურად დაურიგეს ბრიუსელსა და სტრასბურგში მოღვაწე 785 დეპუტატს ევროპარლამენტის გენერალური მდივნის რომერის პირადი კონტროლით.

რომერი, ჰაროლდ რომერი და არავითარი **მისტერ** რომერი, ან **მესიე**, ან **ჰერ**, ან კიდევ **სენიორ** რომერი.

**ბატონოზე** ლაპარაკიც არ არის, რადგან იმ 785-ჯერ გამრავლებულ ბროშურაში, რომელსაც ევროპარლამენტარებისთვის დირექტივის ძალა აქვს, ზუსტადაა დადგენილი, რომ **„ბატონო“** და **„ქალბატონო“** აქტივისტური მოვლენაა და დისკრიმინაციის ელემენტის შემცველია.

ამიტომ აკრძალეს.

ამიტომ დღეის ამას იქით ვერავინ მიმართავს გერმანიის კანცლერს — **ფრაუ მერკელ**, აშშ-ის სახელმწიფო მდივანს — **მის კლინტონ**, ყოფილს — **მისის რაის** და ასე შემდეგ.

ასეთი მიმართვა, პარლამენტართა აზრით, დაუშვებელია, რადგან, თურმე, დისკრიმინაციულია, ვინაიდან ხაზს უსვამს ქალის ოჯახურ სტატუსს(!).

როდიდან გახდა ოჯახისქალობა დისკრიმინაცია, ვერ გეტყვით. ან გაუთხოვრობა? ვერც ენციკლოპედია იძლევა პასუხს ამაზე.

ენციკლოპედია ღაღადებს, რომ დისკრიმინაცია ნიშნავს სახელმწიფოში განსაზღვრული კატეგორიის მოქალაქეებისათვის იმ უფლების ჩამორთმევას ან შეზღუდვას, რომელიც მინიჭებული აქვთ სხვა მოქალაქეებს. შემდეგ: „დისკრიმინაცია შეიძლება ხდებოდეს მოქალაქეთა რასობრივი კუთვნილების, ეროვნების, სქესის, სარწმუნოების, პოლიტიკური მრწამსის და სხვ. მიხედვით“.

ის, რასაც ევროპის კანონმდებლები გვთავაზობენ, ალბათ, ენციკლოპედიის „და სხვ.“-შია ნაგულისხმევი.

ან თვითონ იგონებენ.

**მე ვერ გეტყვით, თორემ ევროპარლამენტის დეპუტატებისთვის, რომლებიც ბრიუსელისა და სტრასბურგის უმაღლეს საკანონმდებლო დერეფნებში ისე დასეირნობენ, რომ მიწას ფეხს არ აკარებენ, დღესავით ნათელია: თუ პროფესიის აღმნიშვნელ სიტყვაში წარმოდგენილია „მამრობითი“ ფესვი „man“ (ინგლისურად — კაცი), ამ სიტყვის ხმარებისგან თავი უნდა შეიკავო, რადგან ამით დაარღვევ გენდერულ ბალანსს, შეურაცხყოფ ქალს(!).**

აბა, რა უნდა ქნა?

უნდა მონახო შესაბამისი სხვა სიტყვა, რომელსაც სქესი არა აქვს, რაღაც მსგავსი ტრანსვესტიტისა.

ევროპარლამენტის დოკუმენტის თანახმად, **სპორტსმენის** ნაცვლად უნდა თქვა **ათლეტი**. მაგალითად, ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკე ქალები მხოლოდ ათლეტებად შეგვიძლია მოვიხსენიოთ — ათლეტი ნონა, ნანა ან ათლეტი მაია! „რავალია“?

**მაღლა-მაღლა ნუ დადიხარ, დაბლა ჩამოდიო!**

რას ჩამოვლენ! ძლივს მიაღწიეს ევროპარლამენტის სიმაღლეებს. ეგენი კი არა, ჩვენი დეპუტატები ფეხით აღარ დადიან თბილისის ქუჩებში.

**ჩვენ რა ვქნათ, მიწაზე მოსიარულე ხალხმა, ვისაც გვასწავლეს, რომ, მაგალითად, დედაკაცი სალანძღავი სიტყვა კი არ არის, ღვთიური არსის მიმანიშნებელია, რადგან ადამის ნეკნისგან შექმნა ღმერთმა ქალი, ევა, დედაკაცი?**

ჩვენი აზრი ჩვენს ხელისუფლებას არ აინტერესებს, თორემ რა გასაკვირია, ევროპარლამენტარები მხოლოდ თავიანთ დაწერილს რომ კითხულობდნენ?!

შეიძლება, — გაზეთებსაც.

იმათ ნაწერებში კი წერია, რომ აკრძალულია ისეთი man-იანი პროფესიების დასახელება, როგორიცაა: **firman (ფაირმენ, ინგლისურად — მეხანძრე), policeman (პოლისმენ — პოლიციელი), salesman (სეილსმენ — გამყიდველი), managers (მენეჯერი — მმართველი)** და ასე შემდეგ.

ქალი — არაო, კაცი — არაო...

ასე თუ გააგრძელეს, ევროპას უსქესო არსებათა კონტინენტობა ზედა აქვს.

როგორ მიმართავენ ერთმანეთს ასეთ ევროპაში ეს უსქესო არსებანი, ესეც ზუსტად განსაზღვრეს დეპუტატებმა — მხოლოდ სახელითა და გვარით.

## — ბონდ, ჯეიმს ბონდ!

ან:

## — მიშა! მიშა! მიშა!

ისე, როგორც ყვიროდნენ წინასაარჩევნო პერიოდში ყვითელი ავტობუსებით მიყვანილი ეგზალტირებული „ამომრჩევლები“.

**„პროსტო“ მიშა! მხოლოდ სახელი! ინოვაცია, რომელიც 6 წლის წინათ დავნერგეთ საქართველოში.**

მაგრამ პირველობას მაინც ვერ დავიჩემებთ, რადგან მანამდე, დიდი ხნით ადრე, იყო ტელესერიალი „პროსტო მარია“.

წინაა წასული ევროპა. შვიდი წლის წინათ, როცა განიხილავდნენ საკითხს ხმაურის დასაშვები დონის შესახებ, პარლამენტარებმა კინაღამ აკრძალეს სტვირზე დაკვრა, ხოლო 1990-იანი წლების დასაწყისში, როცა მოინდომეს, შეეზღუდათ აშშ-ის გავლენის ზონიდან „დოლარების ბანანების“ შემოზიდვა „ევრობანანების“ ექსპორტის სასარგებლოდ საფრანგეთისა და ინგლისის ყოფილი კოლონიებიდან, სერიოზულად განიხილავდნენ ბანანების ფორმის საკითხს(!). ბოლოს და ბოლოს, 1995 წელს დაადგინეს სტანდარტი, რომლის მიხედვით, ევროპაში შემოტანილი ბანანები სიგრძით უნდა იყოს 14 სანტიმეტრი, დიამეტრში — 27 მილიმეტრი („დოლარების ბანანები“ ამასთან შედარებით კნინია).

ვინ იფიქრებდა, რომ დღევანდელ ევროპაში კალოშები პრიორიტეტული საკითხია. საქართველოშიც კი იმ გაღლეტილი მარგინალების გამო (მაგალითად, ყოფილი პრემიერი ნოღაიდელი) ახსენდებათ, რომლებიც ცალ-ცალი კალოშით ჩამოვიდნენ დედაქალაქში და მილიონერები გახდნენ.

## ევროპარლამენტის ერთ-ერთი გადაწყვეტილებით (ყურადღება!) კალოშების ყველა წყვილს უნდა ახლდეს ინსტრუქცია 12 ენაზე(!).

არადა, არ გამოგატანინებენ გასაყიდად.

ახლა გასაგებია, მიხეილ სააკაშვილმა რატომ იცის რამდენიმე ენა?

**გიორგი გიგიბერია**

**P.S. სანამ ჩვენ აქ ვკამათობთ და ვვარჯიშობთ გენდერულ, ანუ ფემინისტურ, ლინგვისტიკაში, სერიოზულმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ენის ტრადიციის ასეთი ხელყოფა არანორმალურობაა, ჰიპერკორექციაა და ამგვარი დირექტივები ენის განვითარების კანონების არაადეკვატურია.**

**ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაწყვიტეს, აღარ გამოიყენონ ტერმინი „მტრის მებრძოლი“ და ამით საბოლოოდ თქვან უარი ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკის ერთ-ერთ საკვანძო საკითხზე.**

**პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ამტკიცებდა, რომ მას, როგორც მხედართმთავარს, უფლება ჰქონდა, დაეტუსაღებინა „მტრის მებრძოლი“ განუსაზღვრელი ვადით და სასამართლოს გარეშე.**

**მიაჩნიათ, რომ ტერმინის უარყოფა „ღრმად სიმბოლურია“.**

**ჰოდა, იძახეთ „მიშა!“ და კარგად იყავით!**

რეკლამისათვის დარეკეთ:
38 41 97

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
გამომცემელი ტარიელ გაგნიძე
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5; ტელ.: 38 41 97
მკითხველთა კორესპონდენცია მიიღება ელექტრონულ მისამართებზე:
info@geworld.net; geworld@mail.ru